



ჩვენი მწერალი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

25 ივლისი 2014

№ 15 (223)



თეიმურაზ ნადარეიშვილის სულის ფოტოგრაფიები
 თეატრმცოდნის რჩევები ახალგაზრდა რეჟისორს
 პავლე ინგოროყვა და მეცნიერებათა აკადემია
 მაკა ჯიბლაძის საუბარი რეზო კიკნაძესთან
 სალომე კაპანაძე ეკატერინე ტოგონიძეზე
 ქართველ ფილოსოფოსთა ბატალიებიდან
 გრემ გრინი და დეტექტიური პროზა
 გოთური მოტივი ქართულ პროზაში
 ინტერვიუ სოფიო კუჭავასთან
 იეიტსის გრაფინია ქეთლინი
 ირაკლი კაკაბაძის ლირიკა
 თამაზ ბარჯაძის ლექსები
 გამოსვლები უეკრანოდ

შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
როგორ ვპითხვლობთ კლასიკას	7	ზურაბ ლავრელაშვილი გოთური მოტივი ქართულ პროზაში („სურამის ციხე“ და „დიდოსტატის მარჯვენა“)
მსსპრან-ინტერვიუ	9	სოფიო კუჭავა „მთავარია გნამდეს“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	10	ნათია როსტიაშვილი ერთნაირდინიანი ქალაქი
პოეზია	21	თამაზ ბარჯაძე შენ შორს ხარ ახლა... და სხვა ლექსები
	23	ირაკლი კაკაბაძე ბაზაფხული. პრალა და სხვა ლექსები
უხსოვთის სხოვრავიდან	25	ნიკა თევზაძე ბრემ ბრინი და მისი დედაქმნიური პროზა
მომონევათა სპირი	30	სერგი ავლიანი XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან
უხსოვლის თვალთ	37	ეკატერინე ტუკვაძე რატომ დაავინყდა მურატ ილდირის... ქართული ფესვები?!
ღიალოვი	38	„სასოფონი ჩამთვის ჯიუტ ქალთან ასოცირდება“ (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება რეზო კიკნაძე)
დაუვიწყარი სახელები	40	კონსტანტინე გამსახურდია „იქალეს, მარია, მგლისფერმა თვალებმა“ (სიტყვა ზვიად გამსახურდიაზე)
ახალი წიგნები	42	მამუკა მალულარია კაცი, რომელსაც როკ-ნ-როლი ქლიარ უყვარდა (კლიმ მარის „მთელი ეს როკ-ნ-როლი“)
თეატრალური სინახელები	42	ნათელა არველაძე გონიარსა მწვრთნელი უყვარს (თეატრმცოდნის რამდენიმე რჩევა ახალგაზრდა რეჟისორს)
კრიტიკა	44	სალომე კაკანაძე სულიარი ხადვის ალგორითმი (ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „წმინდა შესაძლებლობა“)
გადი კასისა	46	ქარდა ქარდუხი „კრკალვითა და ცახცახით“ (როგორ ჩაიშალა პავლე ინგოროყვას არჩევა მეცნიერებათა აკადემიაში)
რეპორაჟი	49	ეკა ბუჯიაშვილი ღრო — 48 საათი (როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის განხილვა)
ფიქრები	54	თეიმურაზ ნადარეიშვილი სულის ფოტოგრაფიები
ახალი თარგმანები	59	უილიამ ბატლერ იეიტსი ბრავინია ქეთლინი
ამ მთისა და იმ გარისა	71	მუნ ჯვარის მოსაპი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 8 აგვისტოს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნათია როსტიაშვილი (ბათუმი)
ნათია ჯაფარიძის ფოტოგრაფიული

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

ორი შესველრა: მინალ და ზეცად

ხან ისე უცნაურად შეიძლება დაწყვილდნენ წიგნები!.. უცნაურად ვითომ? ეგებ იდუმალი ძაფები თავისთავად მიეზიდებათ ერთიმეორისაკენ.

იდუმალიც და... გარდუვალიც იმავდროულად. ეს გარდუვალობა რომ არა, განა რა საერთო შეიძლება ჰქონოდათ:

ჯემალ ფოცხვერიას მემუარული ყაიდის თხზულებას „შავი სათვალე ეკეთა (ჩეკისტის ჩანაწერები)“ („ახალი საქართველო“, 2008).

და თორნიკე ჭელიძის სადებიუტო პოეტურ კრებულს „კონცენტრიკული წრეები“ („სიტყვლექტი“, 2013).

არადა... ჯემალ ფოცხვერიას წიგნი შვილისა და ძმისშვილის — გიასა და ზაზას — ხსოვნას ეძღვნება, სახელწოდებაც და სულისკვეთებაც კი შთაგონებულია შვილის იმ სიტყვებით, ეპიგრაფივით რომ უძღვის და მკითხველს იმთავითვე აგრძობინებს ამ ჩანაწერთა მხატვრულ მრწამსსაც და მიზანდასახულებასაც.

გია ფოცხვერიას ერთი უცნობი შეხვედროდა, შავი მზის სათვალე რომ ეკეთა. კარგა ხანს ისაუბრებდნენ. ის ძალიან ჭკვიანი, პატიოსანი, ღრმა, გულახდილი ადამიანის შთაბეჭდილებას დატოვებდა, მაგრამ ამას ერთი რამ არ მოასვენებდა: მისი შავი სათვალე.

ცნობისმოყვარეობა შეუჩნდებოდა, ნეტა რას მალავს მათ უკანო?..

ის... მიუხედავად ფიქრს და მოიხსნიდა. და აღმოჩნდებოდა, რომ მალავდა არა ბოროტ ან გულგრილ ანდა მატყუარა, არამედ ძალიან თბილ, გამჭრიახ, ბრძნულ და მუდმივად სევდიან თვალებს.

„ყველა თავისებურად იცავს თავს“, გაიფიქრებდა გია ფოცხვერია და... დიდად მაღლიერი დაურჩებოდა, რომ ენდოდა სათვალის მოხსნის ღირსად სცნო.

და გია უეცრად ჩაუკვირდებოდა, რომ თვითონაც ხშირად მალავდა ხოლმე სევდას ამგვარადვე.

და რატომღაც გული დაწყებოდა, რომ თითქოს... თითქოს მასავით გულუხვი და თბილი, ანდა ენერგიული არ გახლდათ.

მეტსა და მეტს სთხოვდა საკუთარ თავს და ეს გულდაწყვეტაც მხოლოდ აქედანაა, თორემ მის ნაწერებს რომ ეცნობი, ადვილად რწმუნდები მისი ბუნების სიხალგაეთესა და სიმდიდრეში.

ეს რა გულთმისანი ყოფილხარ შვილოო, — ამ სიტყვებს თავის ფიქრსა და განცდას მიაღვენებდა ჯემალ ფოცხვერია, — ამ მინიატურაში თითქოს ჩანსეხილია ჩემი წარსული, ცხოვრების სირთულეებთან ბრძოლაში მეც ხომ ძალიან ხშირად მიხდებოდა შავი სათვალის აფარება არამარტო თვალეზისათვის, არამედ გრძობებზეც, ემოციებზეც, განცდებზეც,

რათა სიცოცხლის უნარი შემენარჩუნებინა და შეძლებისდაგვარად გადამერჩინა ჩემი ცოდილი სულიო.

თუმც ბედნიერი წუთებიც ახსოვდა.

არსებობდნენ და კვლავაც არ აკლდა გარშემო ისეთი პიროვნებანი, რომელთაც მასთან ურთიერთობისას მოუხსნიათ შავი სათვალე და... ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გინდოდა, როდესაც თვალნათლივ გრძნობდი, რომ გყავდა მეგობრები, ნათესავები, გულშემატკივარნი... თვისტომი გყავდა.

ეს ავტობიოგრაფიული წიგნი თავით ბოლომდე გამსჭვალულია შვილის ლანდით.

ეს ლანდი გამოჰყვებოდა ჯემალ ფოცხვერიას სიყმანვილის მოგონებათა კრებულსაც „ჩემი ცხოვრების აღმართი“.

ერთ წიგნშიც, მეორეშიც გვიამბობს ათას რაიმეს, საგულისხმოსა თუ შემძვრელს, ჩვენი ცოდნის შემავსებელს პოლიტიკურ თუ ყოფით ცხოვრებაზე, მძაფ-

რი ვნებებითა და ტკივილებით აღსავსეზე, ამასთან არც სიხალისე აკლია მის მონაცულს, სასაცილო ეპიზოდებსაც გულუხვად რომ გვთავაზობს, მაგრამ გრძნობ, ხელშესახებად გრძნობ, როგორ ფეთქავს სტრიქონსა და სტრიქონს შუა შვილმკვდარი მამის გული.

დაკარგული შვილის მოლანდება ქმნის ორივე ამ წიგნის — განსაკუთრებით მაინც „ჩეკისტის ჩანაწერთა“ — კომპოზიციურ საყრდენს.

თორნიკე ჭელიძის პოეტური კრებულის მთავარი ბირთვი კი დაკარგული მამის მოლანდებაა, ადრე წასულის ამა ქვეყნიდან, შვილს შორეული მოგონება რომ დაუტოვა... და კიდევ ის წიგნი ლაკონიური წარწერით:

— თოკოს, მამიკოსაგან 12. 2001 წ.

ან უკვე რელიკვიადქცეული წიგნით, წარწერა კი უსათაურო ლექსის ეპიგრაფად გადაიანაცვლებდა, ლექსისა, რომელიც გიმჟღავნებდა იმ გაუნელებელ ტკივილს, ლირიკულ გმირს შემდეგი ფურცლების გადაშლა რომ აღარც სურდა და სანოლში ისე იწვა, როგორც მანქანით გატანილი ძალღი ავტოსტრადაზე.

მე დამეჯახა შენი სიკვდილი, მე შენს სიცოცხლეს შევეყმუველე და ძვლები ამტკიცადა. რა ვუთხრათ ერთმანეთს ამაზე მეტი?!

მართლაც ნეტა რა შეიძლება ითქვას ამაზე მეტი?..

მაგრამ ყმანვილკაცი აგნებს გზას სწორედ ამ ლაკონიური წარწერის მეოხებით, ამ ნაწერში რომ უნდა იცხოვროს მამის აწრდილთან ერთად — ერთად ისუნთქონ, შუქიც ერთადვე ანთონ... და ლირიკულ გმირად გარდასახული პოეტი ყველა სიტყვას, ყველა გრძობას თითით გამოჰყვენს, თითქოს ეს-ესაა ანბანს ეუფლებოდა... და მართლაც ანბანი, განა არა, ოღონდ კითხვის ნაცვლად... მამის ნაკითხვას სწავლობს თანდათან.

ამ თანდათანობითი შესწავლის ნაყოფია „კონცენტრიკული წრეები“, რომლის ავტორის ნიჭიერებასა და ხედვის თავისებურებასაც ჯერ მარტო ეს პანია ლექსი ათვალაჩინოებს:



**სულ ნუ ჩადგებით ქარიშხლებო.
მე თუ მარტო ვარ,
ხეებს მაინც ხომ აქვთ უფლება,
რომ ერთად იყვნენ?!**

მარგალიტი ტალახში

(ელისაბედ ორბელიანის გაელვება)

ასეთი მოულოდნელი და მოხდენილი სტრიქონი არაერთი დაიძებნება ამ კრებულში, ზოგიერთი მარჯვედ რომ ამოუკრებიან რედაქტორს (გვანცა ჯობავა) და შესაფერისი ადგილიც მიუჩენია მოკლე, ემოციურ და ტევად ანოტაცი-აში (ანოტაცია სწორედ ასე უნდა იწერებოდეს, ჩვეულებად რომ ქცეულა „ინტელექტის“ გამოცემებისათვის)... თუმც ამჯერად მამის ლანდს გავეყვით და კვლავაც უსათა-ურო ლექსში, ამ სტრიქონით რომ უნდა გაიხსნას:

— ვინ იცხოვრებს შენს ტვივილებში...

მართლაც ვინ შეიძლება იცხოვროს, როდესაც ქუჩაში სულ უბრალო გასეირნებაც შესაძლოა დაემსგავსოს და-ნის მჭრელ პირზე გასვლა-გამოსვლას?!

დანის მჭრელ პირზე... რატომ?!

აგერ ტრანსპორტში ასულა მამადაკარგული ყმანვილ-კაცი და იქ — შემთხვევით თუ იდუმალი კანონზომიერე-ბით — შვილმკვდარს გადაყრია, ალბათ ამის მსგავსების გამო იმ გარდაცვლილთან, დიდხანს, დიდხანს და მდუმარ-რედ რომ შემოაჩერდებოდა.

და ამას მოუნდებოდა მისამართი სცოდნოდა მისი და ოდესმე, თუკი გაბედავდა, შეელო კარი და დაეძახა რამე უბრალო:

— მშა, ვიძინებ, გვიან მოვალ ანდა... მიყვარხარ...

ამ განცდამ ასე მძაფრად რატომ დარია ხელი?

ნარმოსახვამ უბიძგა აქეთ, უეცარმა შეგარძნებამ, ხელშესახებად რომ უნდა გამოკვეთილიყო:

**იქნებ ზეცაში მისი შვილის სული მამაჩემს
ასე ეპყრობა?!**

უთუოდ ასე ეპყრობა, იქ, ზეცაში ეს და ამგვარები უთუოდ უფრო იოლად და ძალდაუტანებლად უნდა ხდე-ბოდეს და ისლა დაგვრჩენია, ნუთისოფელშიც შევეცადოთ ზოგიერთი იქაური წეს-კანონის გადმოტანას.

როგორც შევიძლებთ...

მშა... ვიძინებ... გვიან მოვალ... მიყვარხარ...

თქმით რა ადვილად ითქმის!..

ოლონდ — თუკი გაბედავ.

და გაბედავ კიდევ, რაკილა ეს ხილვა მოგვევლინა, რომ მა-მამის აჩრდილსაც გამოაჩენია მოყვარული სული და მამაშ-ვილობის დღენაკლული განცდა იქ მაინც შეუფხია მისთვის.

განა რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ორ ამ ნიგნს — „შავი სათვალე ეკეთა“ და „კონცენტრიკული წრეები“?

უფრო მეტი საერთო რაღა გვინდა, როდესაც უნებუ-რად ასე დაახლოებულან და დანათესავებულან... და ორი-ვე კრებულს რომ გაეცნობი — ავტობიოგრაფიული ნარკ-ვევებისა თუ ნოველების და ლირიკული ძიებებისა — თა-ვისთავად გიჩნდება შეგარძნება, რომ ამ ორ პიროვნებას — ყოფით სინამდვილეში თუ არა, სულიერ განზომილებაში ხომ უსათუოდ — ერთიმეორე უპოვნიათ... და თითქოს თორნივე ჭელიძე ჯემალ ფოცხვერიას მისამართს დაე-ძებდეს გასაგებად, რათა როგორც კი შესაფერის გამბე-დაობას მოიკრებს, კარი შეუღოს და რამე უბრალო სიტყ-ვები უთხრას, ამ უბრალოებაში ჩატყული თუ ვერჩატყუ-ლი დიდი და მძაფრი განცდით და იმ რწმენით, რომ მამა-მისის სულს ზეცაში ამ კაცის შვილი სწორედ ასე ეპყრობა.

ეს კაცი კი, მასპინძელი, პირველად იმას მოიმოქმედებს, რომ ჩამოისხნის შავ სათვალეს და დიდი ხნის ნანატრ და უეცრად გამოცხადებულ ყმანვილკაცს შეაგებებს ძალიან თბილ, გამჭრიახ, ბრძნულ და მუდმივად სევდიან მზერას.

სიამაყეზე რომ ჩამოვარდებოდა სიტყვა, გურამ ლორთქიფა-ნიძე ლელა ჯიყაშვილთან საუბრისას ელისაბედ ორბელიანს გა-იხსენებდა: აი, ის იყო ამაყიო.

ეს საუბარი იმ ციკლიდანაა, „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე რომ ქვეყნდებოდა და საბოლოოდ მოზრდილ ნიგნსაც შეადგენდა: „ვითარებანი ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან“.

მაინცდამაინც „ვითარებანი“ რატომ?

სულხან-საბა ორბელიანის იმ ფრაზას შთაეგონებინა ინტერ-ვიუერი: ვითარებანი არიან სოფელსა ამას შინა ქმნილნი საქმენი და ჟამთა ქცევანი, ნივთთა ნივთეულებანიო.

ინტერვიუერი პირობითად უფრო ითქმის, რაკილა მთელი ნიგ-ნი საუბრების ქარგაზეა გაშლილი, თორემ თავისი სიღრმითა და სტილური დახვეწილობით მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჩინებულ ნიმუშად წარმოდგება და ამიტომაცაა, ასე ხელშესახე-ბად რომ გამოკვეთილა მწერალთა, მხატვართა, რეჟისორთა, მსა-ხიობთა, კომპოზიტორთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, უამრავი უცნობი რეალითაც რომ ამდიდრებს ჩვენს ცნობიერებას.

ელისაბედ ორბელიანის სახებამ ამ ჩანაწერში უნდა გამოანა-თოს — უაღრესად დაწურულად, მაგრამ მოკლე პასაჟებშიც ისე ხელშესახებად ცნაურდება ამ კოლორიტული პიროვნების ხასია-თიც და იმ გარდასული ჟამის მოლანდებაც, ბაგრატიონთა მეფეო-ბა რომ ინარჩუნებდა საქართველოს თვითმყოფადობასა და ეროვ-ნულ მხნეობას, მიუხედავად ბედისწერის სასტიკებისა.

ერეკლე მეორის შეილთაშვილი გახლდათ ელისაბედი.

შვილიშვილი — ალექსანდრე ბატონიშვილის, თავისუფლები-სა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირულ ბრძოლას რომ გაიგივებია.

და შვილი — ირაკლი ბატონიშვილის, ვისი აღსასრულიც თა-ვისებურ ნიშანსვეტად შემორჩებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას, თვითონ იგი კი — ზნეობრივ გაღვრეას.

ელისაბედი ფრანგულად რომ თარგმნიდა არაერთ ქართულ თხზულებას, მისი სახელი უპირველესად მაინც დაუკავშირდე-ბოდა „ვეფხისტყაოსნის“ გატანას ფრანგულ ენობრივ სივრცეში, ხოლო ეფემერული დამოუკიდებლობის ჟამს ჩვენში გამომაველ ფრანგულენოვან გაზეთებსაც — „თავისუფალი საქართველო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ — სხვა ვინ უპატირონებდა და ურედაქტორებდა, თუ არა იგი.

აი, ის იყო ამაყიო...

გაჭვარტლულ ოთახში იჯდა და... ხელიდან მანიკიურს არ იშორებდა.

რას ნიშნავს დეტალის ხელოვნება — ამ ერთმა „წვრილმანმა“ რაოდენ ცხადად წარმოგვიჩინა მისი ფსიქოლოგიური პორტრე-ტის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი.

როდესაც ინსტრუმენტის გაყიდვას აიძულებდა გაჭირვება, ყოველდღე ადიოდა ლორთქიფანიძეებთან და მათ პიანინოზე ას-რულებდა კლასიკურ ნაწარმოებებს.

ერთი კუზიანი მოსამსახურე ჰყავდა — ლუკა ქართველიშვილი, ვინც დროდადრო ამ სიტყვებით სესხულობდა ხოლმე ფულს:

— კენინამ შემოგივთვალათ, კვირამდე ხუთი მანეთი მათხოვეთ.

შვიდი ძალღი შეყავდა და პურს რასაც იღებდა, ძალღებს უყოფდა. გურამის დედა ბუნებით გულუხვი ქალი კი გახლდათ, მაგრამ ერთხელ მასაც კი წამოცდებოდა:

— ლიზავეტა ირაკლიევნა, ამდენად რომ ჰყოფთ პურს და თქვენთვის ასე ცოტას იტოვებთ, რად გინდათ ეს ძალღები?..

იმან კი პასუხად:

— ქართველმა ეს არ უნდა თქვა.

შენ წვრილმანი ეძახე თუნდ ასეთ ფრაზებს!..

ერთი კოჭლი ძალღიც რომ ჰყოლია და მოუკვებებოდა, ეზოში დაასაფლავებდნენ ბავშვები.

ერთხელ გურამს სოსისებზე დაპატიჟებდა. ეს დახედავდა და... პიურე ჭვარტლისაგან გაშავებულყო. როგორც კარგად აღ-



ელისაბედ ორბელიანი

ზრდილ ბავშვს შეჰყვარის, არაფერს შეიტყობდა, გადაიღებდა და გეახლებოდათ.

და მასპინძლის სახება მთელი ცხოვრება გამოჰყვებოდა. — ბევრი რამ მომცა ორბელიანის ქალმა... ასეთი ქალბატონი რომ ცხოვრობდა ჩვენ გვერდით, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მის გამსახიობებასაც სასიკეთოდ წაადგებოდა ასეთი მეზობელი, სპექტაკლებს რომ ადგმევინებდა ეზოს ბავშვებს.

რომ გარდაიცვლებოდა და მწერალთა კავშირი ჩაიბარებდა ყველაფერს, მის ბინაში ერთ ცნობილ კრიტიკოსს შეასახლებდა. გურამ ლორთქიფანიძე მოერიდებოდა მისი ვინაობის გამჟღავნებას, რაკილა სწორედ მამინ დაიკარგებოდა ორბელიანისეული ჯვარცმაც და ბიბლიოთეკის დიდი ნაწილიც...

მისი ოთახის ეს ჭვარტლი აღმოჩნდება მთავარი ნიშანიც და ფერიც მერაბ კოკოჩაშვილის მოგონებისაც, ნათესავად რომ ერგებოდა ელისაბედს და ამიტომაც სტუმრობდნენ ხოლმე დღევანდელი სასტუმრო „საქართველოს“ პირდაპირ. შესასვლელში მოხუცი გუვერნიორი ხვდებოდათ ტანტზე მძინარი, იმდენად მოხუცი, რომ აღარაფრის გაკეთების თავი აღარ ჰქონდა და ელისაბედი არჩენდა ომისა და გაჭირვების წლებში.

ნათქურა ჭვარტლავედა ირგვლივ ყველაფერს.

მაგიდაზე უამრავი ფურცელი რომ ეყარა, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანისაც და მასპინძლის საკუთარი ლექსებისაც.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, მერაბის თეთრი აბრეშუმის პერანგი სულ შავი გახლდათ და თვითონაც გამურულიყო ჭვარტლისაგან.

იოსებ იმედაშვილი თავის მოგონებაში ვაჟა-ფშაველაზე საგანგებოდ მოიხსენიებდა იმ ეპიზოდს, რომ 1908 წლის მიწურულს აკაკის საიუბილეო დღეებში ტფილისში ჩამოსული ვაჟა გაიცნობდა იმ დროის ბრწყინვალე საზოგადოებას და, მათ შორის, ელისაბედ ორბელიანსაც, სილამაზითა და ქართველი ქალობით განთქმულს და საზანდარის ფსევდონიმით ცნობილ პოეტს; და მისით მოხიბლული ალბომში ჩაუწერდა ამ ლექსს, ღრმა ტკივილებით განმსჭვალულს.

ვის, თუ არა ელისაბედ ორბელიანს გაუმჟღავნებდა, რომ დღე-ღამე ცრემლი სდიოდა და ვერ იძირებდა გულზე დაწოლილ სეფდას, იმ დარდას და ნაღველს, რომელსაც ერქვა: ქართველი დედა.

**იმასთან ერთად ივერის ბედი,
დღეს უპატრონო, — მას უნდა შველა,
და ალბომებში ლექსების წერით,
გახდება რამეს ვაჟა-ფშაველა?!**

ეს ის დროა, როდესაც ვაჟა სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს, გარდა ეროვნული აჯანყებისა და გულმოდგინედაც ამზადებს ჰეროიკულ გაბრძოლებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოსაგებად, და ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიშვილის გაცნობა და მასთან საუბარი კიდევ უფრო ნათქვამი ანუ კიდებდა ამბობების ცეცხლს და ლექსების წერა უმწიბობადაც მოეჩვენებოდა, ამოი გარჯად იმ საზარელი რეალობისაგან თავდასაღწევად, რაც უკვე აღარ ეგვიანებოდა, თორემ...

ივერის ბედი — დღეს უპატრონო, — მას უნდა შველა... აკაკი წერეთელს ერთი კი არა, სულაც რამდენიმე ლექსი მიეძღვნა ელისაბედისათვის.

ჯერ შეეხუმრებოდა: ფრანციზულად გიყვარს წერა, რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა, მაგრამ მაინც ქართველობა, გეფიცები, შენი მჯერაო!! — თუმც მერე ძალიან დააკლდებოდა გულს, მეგობრული შეხუმრება კარგია, მაგრამ ამ გამორჩეულ ქალს ნუთუ შესაფერისი ხოტბა არ მოუხდებოა?!

და ამიტომაც:

**თვალად, ტანად, მიხვრა-მოხვრით
პოეტურად შემკობილო!
მომღერალო, უებარო
მოსაუბრევე, ენატკბილო!**

ცის მნათობსაც რომ შეადარებდა, გულის გამთობს, მისი შორიდან მხერთაც რომ სულდგმულობდა.

ამჯერადაც ვერ შეაჯერებდა გულს და კიდევ ერთ ლექსსაც მოადევნებდა, ყვავილიდან ყვავილზე გადაფარფატებულ პეპელასთანაც რომ გააიგივებდა, სათაფლო სიტკბობას ვინც წუნნიდა ნელა-ნელა.

**ქმარს უყვარხარ, ყველა გეტრფის,
არ შეგყურებს მტრული თვალი
და საამო ანწყოს გიმკობს
საიმედო მომავალი!**

რაო — არც ქართველი იყო?.. არც სომეხი, არც რუსი და არც ფრანგი?..

მაგრამ გახლდათ ყველას ერთობლივ შემეართები ტკბილი ჰანგი.

**დიახ, ჰანგი მომხიბლავი,
სანამდი ხარ ჯერ ყმანვილი...
მაგრამ როცა დაბერდები,
შეგცვლება მწარედ ტკბილი...**

და აკი წერეთელი იმიტომაც შეახსენებდა სიცოცხლის წარმავლობას, რომ ელისაბედ ორბელიანს სრულყოფილად გაემჟღავნებინა ის შინაგანი პოტენციალი, რითაც აღვსილიყო და ქართული კულტურა მოელოდა მისი კვალის აღბეჭდვასაც, მისი მისიის აღსრულებასაც.

წლები რომ ჩაივლიდა, გურამ ლორთქიფანიძეც და მერაბ კოკოჩაშვილიც გაეცნობოდნენ აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ამ ლექსებს და ელისაბედ ორბელიანის სახება კიდევ უფრო გაზვიადდებოდა მათ წარმოსახვაში, თუმც ამ ქალბატონის უჩვეულობას, მის არისტოკრატიზმსა და სულიერ სისპეტაკეს უკვე მაშინვე გრძნობდნენ ყმანვილური ალლოთი, ერთი გაჭვარტლულ პიურეს რომ დაჰყურებდა და მეორე — გაჭვარტლულ თეთრი აბრეშუმის ხალათს.

ბაგრატიონის ქალს ეს რა დღე მოსწეოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური ზეობის ხანაში?!

...მარგალიტი ტალახშიც მარგალიტიაო, — ამისთანა შემთხვევებისას წამოაგონდებოდა ხოლმე შალვა დადიანს საკუთარი თავისა და ყველა ღირსეული პიროვნების საწუგეშებლად.

პოლიტიკური დახვეწულობის ხლართში

(მარკესის მიმზიდველი თხრობის მკვიფრ საყრდენი)

სათაურია თუ მოკლე ანოტაცია გაბრიელ გარსია მარკესის მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობის გარეკანზე გატანილი, ველარც გაგიგია: „ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი“ („ინტელექტი“, 2014).

ეს იმ ციკლიდანაა, თუა გვასალაის მიერ თარგმნილი მარკესის თხზულებანი ერთბაშად რომ ჩამომწკრივდებოდა ამ გამომცემლობის თაროზე.

როგორც შესავალი გვამცნობს, 1985 წლის დამდეგს ჩილეელი კინორეჟისორი მიგელ ლიტინი, რომელიც იმ ხუთი ათასკაციანი სიაში იხსენიებოდა, კატეგორიულად რომ ეკრძალებოდათ სამშობლოში დაბრუნება, მალულად შეიპარებოდა ჩილეში, იქ სამ კვირას დაჰყოფდა და 7 000 მეტრზე მეტ ფირს დახარჯავდა, რომელზეც თავისი ქვეყნის რეალობას ასახავდა 12-წლიანი სამხედრო დიქტატურის შემდეგ.

ლიტინი, რომელსაც შეუცვლიდნენ სახეს, ლაპარაკის მანერას, ჩაცმის სტილს და ყალბი საბუთებითაც მოამარაგებდნენ, არალეგალურად მომუშავე დემოკრატიული ორგანიზაციების შემწეობით ქვეყნის მთელ ტერიტორიას შემოივლიდა, მთავრობის სასახლეშიც კი შეაღწევდა და ექვს ადგილობრივ, ახალგაზრდულ ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად სამ ევროპულ გადამღებ ჯგუფსაც უხელმძღვანელებდა, რომელნიც სხვადასხვა ლეგენდის წყალობით ოფიციალურად გადაკვეთდნენ ჩილეს საზღვარს.

ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნებოდა 4-საათიანი სატელევიზიო ფილმი და მისი 2-საათიანი კინოვერსია, რომელსაც მთელს მსოფლიოს უჩვენებდნენ.

როდესაც მიგელ ლიტინი მადრიდში შეხვდებოდა მარკესს და უამბობდა თუ რა და როგორ გააკეთა, მწერალი იფიქრებდა, რომ მისი ფილმის მიღმა კიდევ ერთი ფილმი იმალებოდა, რომელსაც... სამწუხაროდ, ვერავინ ნახავდა.

და ვითომ ასე უკვალოდ უნდა გამქრალიყო? ამისთანა მარჯვე შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა გაბრიელ გარსია მარკესი და ამიტომაც დაითანხმებდა რეჟისორს და თითქმის ერთკვირიან დამქანცველ დაკითხვას მოუწყობდა, რომლის აუდიოვერსიასაც 18-საათიანი ფირის სახით შეინახავდა, გადაამუშავებდა და... ასე შეიქმნებოდა ეს პატარა წიგნი: ათი თავისაგან შემდგარი, რეჟისორის პროფესიული და პოლიტიკური მოსაზრებებით გაჯერებული ადამიანური თავგადასავალი. და თუ ზოგიერთი სახელი და მოქმედების ადგილი შეიცვლებოდა, ესეც იმ ადამიანთა უსაფრთხოების დასაცავად, რომელნიც ჩილეში ცხოვრობდნენ.

მონათხრობს პირველ პირში დატოვებდა. მწერლური გუმანი უკარნახებდა, რომ ასე ემჯობინებოდა — შეეცდებოდა ლიტინის თხრობის მანერა და ტონი შეენარჩუნებინა და თავიდან აეცილებინა დრამატიზმი და ისტორიული პრეტენზიები. თუმცე მარკესი შეფიქრიანებით მაინც შეფიქრიანდებოდა: ემანდ მიამიტ მკითხველს არ ეგონოს, თითქოს მონტაჟით შემოვიფარგლე და ჩემი წვლილი ესაა და ესო, — და დასძენდა: ტექსტის სტილი რა თქმა უნდა ჩემია და სხვანაირად არც გამოვიდოდა, მე ხომ თითქმის ექვსასი გვერდიდან ას ორმოცდაათი გამოვადნეო. და თავსაც დაიზღვევდა: ძალიან ვეცადე ხელუხლებლად დამეტოვებინა ჩილური იდიომები და მხრობელის მოსაზრებანი, რაც ყოველთვის არ ემთხვეოდა ჩემსასო.



მწერალი აშკარად თავმდაბლობს, როდესაც ირწმუნება: მასალის თავისებურებიდან გამომდინარე ეს რეპორტაჟია, უფრო ზუსტად, ერთი თავგადასავლის რეკონსტრუქცია ემოციურ ჭრილშიო.

ცხადია, ეს არ არის რეპორტაჟი — უფრო სწორად, მხოლოდ რეპორტაჟი, რაც მარტოდენ გარეგნული მხარეა თხრობისა. ეს ორიგინალური აგებულების თხზულება უფროა, კიდევ ერთი მომხიბლავი შტრიხი კოლუმბიელი ბელეტრისტის მრავალფეროვან შემოქმედებაში და ალარ გვიკვირს, რომ ფინალი იმაზე გულშიჩამწვდომი და სულისშემძვრელი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ჩაფიქრებულიყო — უბრალოდ ფილმის გადაღება, რომლითაც სამხედრო რეჟიმისათვის უნდა დაეცინათ. თვითონ ლიტინი რას ამბობდა?

— ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გმირული კი არა, ყველაზე ღირსეული საქციელი იყო.

და მარკესი დასძენს: ჩემი აზრით, სწორედ ესაა მისი სიდიადეო.

კიდევ ერთი მომხიბლავი შტრიხი... იგულისხმება თხრობის სილამდე და შთამბეჭდაობა, მღელვარება და არტისტიზმი, თუმცე ძნელია გაიზიარო მოთხრობის მხატვრულ-იდუური მრწამსი, როგორც საერთოდაც ამ მწერლის პოლიტიკური შეხედულებანი, განმსჭვალული კომუნისტური სულისკვეთებითა და... იმ დაბნეულობით, რაც ნიშანდობლივია ამ ყალბი იდეალის მიმდევართათვის, ზოგს ანგარებით, ზოგსაც ილუზიებით რომ აბმიათ თვალთახედვა და რეალობას მონყვეტილ აბსტრაქციებში ეძიებენ წუთისოფლის ტრაგიზმი-საგან თავდაღწევის გზას.

ეს პოლიტიკური დაბნეულობა გააერთიანებდათ მწერალსა და რეჟისორს, მისი მოთხრობის მთავარ გმირს, ოდესლაც თავგამოდებული მომხრე და პროპაგანდისტი რომ გახლდათ იმ სალვადორე ალიენდესი, ვინც ჩილეში

— საბჭოთა იმპერიის ხელშეწყობით — კომუნისტურ მმართველობას დაამყარებდა და ქვეყანას იმ არაბუნებრივ გზაზე გადაიყვანდა, რასაც გულისხმობს კომუნისტური საზოგადოება — სიკეთეს ამოფარებული ბოროტება, მოჩვენებით ბედნიერებას ამოფარებული დიქტატურა ყველა თავისი უმსგავსობით.

გენერალ პინოჩეტის მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება ჩილეს დააბრუნებდა განვითარების ბუნებრივი გზისაკენ, თუმცე ახალი მმართველი მკაცრ პოლიტიკურ სტილს აირჩევდა და დევნას გამოუცხადებდა სხვაგვარად მოაზროვნეებს — ზოგს ჩახოცავდა და ზოგსაც ისე გადევნიდა ქვეყნიდან, მალულად თუ მოახერხებდა ერთი-ორი კაცი მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმას, მიგელ ლიტინისა არ იყოს.

პინოჩეტის მმართველობის სტილი ყოველად მიუღებელია განდევნილი რეჟისორისათვის, ვინც თავის დროზეც დიტირამბებს აღუვლენდა ალიენდეს და ამ გადასახედიდანაც მისი მმართველობის ანუ კომუნისტური ხელისუფლების დაბრუნება ეზმანება და ენატრება.

პოლიტიკური იდეალის ერთიანობა რომ აპოვინებდათ ერთიმეორეს მარკესსა და ლიტინს, მწერალიც თავისი გმირით შეუტევდა პინოჩეტის ხელისუფლებას, როგორ თუ დიქტატორული რეჟიმის გარდა სხვა სახსარი ვერ გიპოვნია ჩილეს სახელმწიფოს გაძლიერება.

და ეს ის კაცი, ვისთვისაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მმართველის იდეალად დარჩებოდა ფიდელ კასტრო — კლასიკური განსახიერება დიქტატორისა, მაგრამ მარკესი არაფრისდიდებით არ მოინდომებდა ამის დანახვას და დარჩებოდა მის მეხოტბედ და დიტირამტიკოსად.

პინოჩეტი ბუნებრივი გზით მანაც გაუძღვებოდა ჩილეს. ფიდელ კასტრო არაბუნებრივ რელსებზე შეაყენებდა კუბას, ერთ-ერთ ბასტიონად რომ გადააქცევდა საბჭოთა იმპერიისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან გამართული ცივი ომისას.

ეს არაბუნებრიობაც აღიტაცებს მარკესს, ყალბი იდეალის დამკვიდრების მცდელობაც ძალმომრეობით — ფიდელ კასტრო რომ გაუფრთხავდა მონინალმდეგეებს და ზოგი კუნძულიდან გაქცევით თუ უშველიდა თავს, ეს თურმე შეიძლება, როგორც აუცილებლობა და გამართლება, ხოლო თუ პინოჩეტი მოიმოქმედებს იმავს, ეს უკვე უპატივბელი დანაშაულია.

რას ვიზამთ, კარგი მწერლები ყოველთვის ვერ აღმოჩენილან შესაფერისი მოქალაქენი თუ პოლიტიკური მოაზროვნენი... თუმც ასლი მანაც ასლია და დედანი კიდევ დედანი. ხომ ყოვლად წარმოდგენილია, რომ გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედების პირველწყარო — უილიამ ფოლკნერი — რაიმე ასეთ დაბნეულობაში გახლართულიყო და — თუნდაც გულუბრყვილობით — კომუნისტი მმართველობისა და დიქტატორებისათვის ალევლინა სობტა-დიდება?!

აქა აზგაპი ჟაკის მემკვიდრისა

ვერაინ იტყვის, რომ მთლად გადასაყრელი იყოს ჟაკი ბალახაშვილის წიგნები — მოიპოვება იქ ისეთი უცნობი თუ საარქივო მასალები, რაც შესაძლოა ხანდახან კიდევ დავისაჭიროოთ ხოლმე, მაგრამ ნდობით მთლადაც რომ ვერ ენდობი, ესეც აშკარაა. თუ არ შეამონმე, ვერცერთ ცნობასა თუ დოკუმენტს ვერ გაიზიარებ, რადგანაც ხშირად შესაძლოა არარსებული დოკუმენტი შემოგასაღოს, არარსებული ფაქტი რეალობად მოგაჩვენოს.

ეს ჟაკის სტილისტიკა გახლდათ. უამისოდ ვერ წარმოედგინა გამოკვლევის დანერა.

ერთხელაც თითქოს გამოერკვეოდა ამ ბურანიდან და გადანწყვეტდა, რომ პატიოსან გზას დადგომოდა. და ასეც აუნწყებდნენ ბესარიონ ჟღენტს: გამოსწორდა ჟაკიო!.. იცინებდა და რას იცინებდა ცნობილი კრიტიკოსი: ვის უნდა მერე გამოსწორებული ჟაკიო!..

ჟაკობისაგან ყველა ღმერთმა დაიფაროს, თუმც საამისო ნიშნები სულ უფრო უხვად გვხვდება აკა მორჩილადის ნაწერებში და ლამისაა მის სტილისტიკადაც გადაიქცეს, თუ ჯერ არ გადაქცეულა.

მთლად გადასაყრელად გასამეტბელი არც მისი წიგნებია, მაგრამ შეუმომბებლად ვერც მას ენდობი, რაკილა მოსალოდნელია, რომ არარსებული დოკუმენტი შემოგასაღოს ანდა არარსებული ფაქტი რეალობად მოგაჩვენოს.

როგორც ბელეტრისტი, საქმოსნად რომ ჩამოყალიბდა, ეს კიდევ ცალკე, მაგრამ დოკუმენტური მხარე მისი წიგნებისა, განსაკუთრებით კი მანაც ის ლიტერატურული ციკლი, ტელეკომპანია „იმედი“ რომ გადასცემდა და აგერ ცალკე კრებულადაც დაუსტამბავთ, ძალზე გულსატკენია იმ ძალადობის გამოისობით, ავტორი რომ იჩენს, რაკილა არაფრად უღირს მკითხველი, როგორც მსმენელი არ უღირდა არაფრად.

გასავალი აქვს მის ნაწერებს? მამ კიდევ უნდა გაიტანოს, ვიდრე მოასწრებს, თორემ დიდხანს კი არ გაანებებრებს ბედი, მწყალობელი მედროვეების და ზურგმექცეული ნამდვილი სულიერი ღირებულების მიმართ.

ეს ბედი ლიბერალური გლობალიზმის ადებტებმა გამოუჭედეს და... კიდევ თავისმა მარიფათმა, მარჯვედ რომ აულო ალლო ლიტერატურულ კონიუნქტურას და ნაბადივითაც მიირგო ბედის წყალობა.

მთელი ეს წიგნი — „ქართულის რვეულები (XIX საუკუნის სურათები)“ — არის მიზანმიმართული ცდა, სახელი გაუტეხოს, რაც ძვირფასია და თავმოსანონებელი ჩვენთვის, ლაფი

შეასხას და იქირქილოს იმ ნეტარებით, მოჩვენებითი წარმატების კვარცხლბეკზე შემოსკუპებულთ რომ სჩვევიათ...

გულმოდგინედ დაეძებს ისეთ ფაქტებს მემუარულ თუ ეპისტოლურ წყაროებში, ყვითელი პრესა რაზეც ნადირობს ხოლმე და... თუნდ უილიამ შექსპირის გულისწყრომასაც რომ ინვევდა ასეთი საქციელი, ჰამლეტს გააკიცხვინებდა ამ მისწრაფების ადამიანებს:

— ერთი ვილაც წუნკი სატირიკოსი გვარწმუნებს, ბერიკაცებს თეთრი წვერი აქვთო, სახე აქვთო დაჭმუჭვნილი და თვალებში სქელი, ფისის მზგავსი, ამბრი ჩამოსდითო; ჭკუაზედ თხლად არიან და მუხლებში ღონე აკლიათო. მე ეს ყველაფერი სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია, მაგრამ გამომჟღავნება კი არაფერი პატიოსნებაა.

ასეთ „ნადირობასა“ და გაღლაბუცებას ვინ ჩივის დიდ სახელებთან, არ გაგიკვირდეთ, რომ ამოქექოს კარგა ხნის წინათ სრულიად გაცამტვერებული ცილისწამება, თითქოს ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებისა და რომანების ნამდვილი ავტორი მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი ყოფილიყო; ანდა ერეკლე ტატიშვილი ტერორისტად გამოცხადდეს...

სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს!..

ან ეს რაღა, ეს დაუსრულებელი ქაფვა ნიკოლოზ გაბაონის (ვალერიან გაბაშვილის) რომანიდან „აივნიანი ქალაქი“, რომელშიც დიდძალ და სანდო გადმოცემებსა და დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გაცოცხლებულია არაერთი საგულისხმო დეტალი თუ გარემოება და მარჯვედაც და მოხდენილადაც გადაბმული, შთამბეჭდავი სურათები რომ წარმოისახება.

სხვა მწერლის ზურგზე მოკალათება მოკალათებად და... ერთხელ მანაც როგორ არ უნდა დაცვდეს, საიდან გაჩნდა ყველაზე ღირებული პასაჟები შენს ნაწერებში?!

თუმც... რაღაც ძალიან ზედმეტს მოვითხოვ ამ ყაიდის კალმოსნისაგან!..

ძალზე უხერხულია ეს ყოველივე, მკაცრი გამოპასუხებისათვის რომ განგანყოფს... თუმც იმ გულუბრყვილო განზრახვით სულაც არა, რომ ამგვარი შეწვდრევი თითქოს გეიმედებოდეს აკას გამოსწორებისა.

ვის უნდა მერე გამოსწორებული აკაო! — სიცილიად არ ეყოფათ იმ ადამიანებს, რომელნიც ხელს უწყობენ და აქეზებენ ამ გზაზე სასიარულოდ... და ამიტომაცაა, რომ აინუნშიც არ აგდებს საპროტესტო ხმებს, აქეთ-იქიდან რომ გაისმის, მაგრამ პრესის ფურცლებზე ერიდებიან და ისევე ჩემი გამოსატანი გახდა ჟაკი-აკას ლიტერატურული ცოდვანი, ეს იდუმალი გადაძახილ-გადმოძახილი მონათესავე სულებს შორის, ეს დაუსრულებელი გაყალბებანი და ცრუპენეტრობანი... ეს წუნკი სატირიკოსობა... ეს მოჩვენებითობა, მოჩვენებითობა, მოჩვენებითობა...

ასე უღმერთოდ რომ არ იყოს აჭრილი ჩვენი სამწერლო ცხოვრება, არც აკა მორჩილადის ექნებოდა ასეთი ავალა და ვერც ბარაქალას ქუდით ივლიდა — დანერით ისევე ამეებს და ამისთანებს დანერდა, მაგრამ ეს ყოველივე შეფასდებოდა ისე, რისი ღირსიცაა... და მაშინ საწუხარიც არა იქნებოდა რა.

...ცხოვრება ბრუნავს, ტრიალებს, იცვლებიან პერსონაჟები, მაგრამ შეუცვლელი რჩება წუთისოფლის ეს ნეს-კანონი, სიცარიელეს რომ არ ითმენს და ყველა ადამიანს გამოუჩნდება თავისი ფარდი და მისი ადგილის დამკავებელი.

თორემ, აბა, თქვენ თვითონაც დაუკვირდით თაობათა ცვლის პროცესს ამ თვალთახედვით...

ჟაკი ბალახაშვილის ადგილმა ვითომ ერთხანს მოიცალა? ცხოვრების დინებისათვის ეს ხანა განა რა არის, წამია და ნამზეც უსწრაფესი, მთავარი ისაა, რომ ის ადგილი უკვე ამოვსებულია და იმ სტილისტიკასაც გამოუჩნდა თავისი დამცველი და გამგრძელებელი.

...ლაა-ზათ! — იტყობა მიხილ ჯავახიშვილის ჯალილა, „კვაჭი კვაჭანტირაძედან“ უეცრად ჩვენს ყოფით სინამდვილეში რომ ამოეყო თავი.

ზურაბ ლავრელაშვილი

გოთური მოტივი ქართულ პროზაში

(„სურამის ციხე“ და „დიდოსტატის მარჯვენა“)

უსამართლოდ მივიწყებულ ქართული პროზის შედეგებს „სურამის ციხეს“ ბედად ეწერა გამხდარიყო იმ ძლივს შესამჩნევი ტრადიციის სათავე, თითქმის ასი წლის შემდეგ რომ აღორძინდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანით „დიდოსტატის მარჯვენა“ („სურამის ციხე“ გამოქვეყნდა 1859 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეთორმეტე ნომერში, „დიდოსტატის მარჯვენა“ — 1939 წელს „მნათობში“), თუმცა, რასაკვირველია, საუბარი წმინდა სახის გოთურ რომანზე ქართულ პროზაში ნაკლებ საკვანძოდ, მითუმეტეს, რომ ჟანრის გაფანტულობის გამო მხოლოდ დიდი სიფრთხილით თუ შეიძლება ესა თუ ის მწერალი ან თხზულება ხსენებულ ჟანრს მივაკუთვნოთ; ქართულ პროზაში გოთური ჟანრი მჟღავნდება გაშუალებული, ფრაგმენტულად, ოდენ მოტივებისა და ეპიზოდების, პერსონაჟების, თემისა და სიუჟეტური მოდელების ვარიაციით და არა მსოფლმხედველობრივად, კონცეპტუალურად... გოთური მოტივი თუ თემა ქართულ პროზაში გარეგნულია, რომანტიზებულია, შესაფუთი მასალაა, რამდენადაც ამ ყაიდის თხზულებებს ჩვენში აკლავს გოთური ლიტერატურის ძირითადი მახასიათებლები — შიშისა და ირაციონალობის ატმოსფერო; ასევე — დამანტირიგებელი და მკითხველის მისაზიდავად განგებ გამძაფრებული ნაირ-ნაირი „საიდუმლო“ ამბავი, გაუგონარი ბოროტმოქმედების ჩამონათვალი თუ დაუჯერებელი და ფანტასტიკური ელემენტი, რაც გოთურ რომანს მასობრივი ლიტერატურის რკალში აქცევს. ცნობილია, რომ გოთური რომანი იყო ერთგვარი „პოსტმოდერნი“ განმანათლებლობის ეპოქის შემდგომ ხანაში, როცა სანტიმენტალური თხზულებებით გულმოყრჭებულ მკითხველს მან სათავგადასავლო-სარაინდო რომანის ახლებური ვერსია შესთავაზა, რომლის პერსონაჟიც ისევედაიხვეს სანტიმენტალური გმირი, ოღონდ — უჩვეულო და შიშისმომგვრელ სიტუაციაში...

საგულისხმოა ამ მხრივ თვით გოთური ჟანრის მამამთავრის ჰორას უოლპოლის გამონათქვამი სემუელ რიჩარდსონის „სერ ჩარლზ გრანდისონის“ თაობაზე: „უკვე მომაბეზრებელია, როცა რომანში ორი ვინმე ხვდება ერთმანეთს და იწყება გამოკითხვა: „გემუდარებით, მის, მითხარით, გიყვართ ვინმე?“

მანვე „ოტრანტოს ციხე-სიმაგრის“ ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში ასე განსაზღვრა თავისი მწერლური მეთოდი: „რა სალი აზრიც უნდა გვქონდეს მომადლებული, ჩვენ არანაირი წესი და ურყევი კანონი არ გვზღუდავს. რასაც არისტოტელემ და მისმა საუკეთესო კომენტატორებმა, თქვენმა მწერლებმა, მიგვაჩვიეს, ვერ გვაიძულებს წესრიგს დავემორჩილოთ“. არისტოტელესა და ლიტერატურული შაბლონის წინააღმდეგ გალაშქრება ნიშნავდა რომანის ახალი სიუჟეტური შესაძლებლობებისა და შინაარსისათვის ბრძოლას; უოლპოლმა და მისმა მიმდევრებმა შეახსენეს მწერლებს, რომ ინტრიგა და საინტერესო ამბავი რომანის ბირთვია და რა სიბრძნესაც უნდა ქადაგებდეს მწერალი, მის ნაწერს არავინ წაიკითხავს, თუ მკითხველი უწინარესად სიუჟეტური ხლართით არ დაიპყარი და არ მიიზიდვ. ამიტომაც გაუსწნეს კარი და უხვად შემოუშვეს რომანის უმფოთველ და რაციონალურად მოწესრიგებულ სამყაროში ათასი ჯურის მოჩვენებანი, კედელში ჩაკირული მიცვალებულები, საფლავი-

დან ნამომდგარი ვამპირები და დემონურად მოქირკილე ბოროტმოქმედები, მოქმედება კი დღის შუქიდან ღამის სასაფლაოზე, დანგრეულ ციხე-სიმაგრესა თუ მონასტერში გადაიტანეს. ამით ისინი მკითხველის დაინტერესებას ცდილობდნენ და ეს რომანებიც მასობრივად გავრცელდა ყველგან ევროპაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ გოთური ჟანრი მაინც ინგლისურენოვანი ლიტერატურის კუთვნილებაა და სხვა ენების მწერლობაში ის ფრიად ნირშეცვლილი და მოდიფიცირებული სახით გადაგორდა (რუსულ მწერლობაში, მაგალითად, გოთური ნიმუში კარამზინის ორიოდე მცირე ნოველითა და ალექსეი ტოლსტოის მოთხრობებით თუ ამოიწურება, ხოლო პუშკინისა და დოსტოევსკის შემოქმედებაში ის უკვე ძნელად ამოსაცნობია).

რალა უნდა ითქვას ქართულ პროზაზე? თუ რუსულ მწერლობას სარაინდო-სათავგადასავლო რომანი არ შეუქმნია და ძირითადად ჰაგიოგრაფიული ჟანრით საზრდოობდა, ქართველმა მწერლებმა რატომღაც დაივიწყეს „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცდილება და მეოცე საუკუნემდე ჩვენი პროზა პუბლიცისტურ ნიაღვარში იღრჩობა; მით უფრო გასაკვირია, რომ ამ პერიოდის პროზაიკოსებმა არათუ რუსთველური ტრადიცია, არამედ „სურამის ციხეც“ ვერ აითვისეს შემოქმედებითად; თითქმის ასი წელი დასჭირდა ხიდის გადაებას ტრადიციასთან, სანამ ქართული პროზა ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდებოდა და სანამ გოთიკურ ჟანრსაც გამოუჩნდებოდა გამგრძელებელი...

მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე ჩვენ ამ ჟანრის ნიმუში არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით შიო არაგვისპირელის „გაბაზარულ გულს“, რომელიც უფრო მითოლოგიურ-სიმბოლური თხზულებაა, ვინემ გოთური...

ერთადერთი „დიდოსტატის მარჯვენა“, სარკისებურად რომ იმეორებს და ახლებურად იაზრებს „სურამის ციხის“ მოტივებსა თუ ელემენტებს... ეგაა, რომ „სურამის ციხე“ არ არის განუბივრებული ჩვენი მკვლევარების ყურადღებით; დავიწყების მიზეზი — არასწორი ინტერპრეტაციაა, დანიელ ჭონქაძის ამ შედეგს სოციალურ-კრიტიკული თხზულების სახელი რომ დაუმკვიდრა, ვითომდა ეს მოთხრობა ბატონყმობის მხილება იყოს და მეტი არაფერი...

ნამდვილად კი „სურამის ციხე“ ღრმად ფილოსოფიური და სიმბოლური ნაწარმოებია, რომლისთვისაც სოციალური კრიტიკა მხოლოდ ფონია მარადიული პრობლემების განსაზღვრად (სოციალური კრიტიკა რომ აქ მთავარი არ არის, იმიტაც ჩანს, რომ ტრავიკული კონფლიქტი სწორედ თავისუფალ ადამიანებს შორის ინსაკება და არა ყმასა და ბატონს შორის, როგორც ეს, ვთქვათ, ილიას „კაკო ყაჩაღშია“). ასეთივე დამხმარე სახისაა გოთური მოტივები თუ ეპიზოდები, რომლებიც მწერალს გამოუყენებია სიმბოლურობის მისაღწევად (სურამის ციხე — ბაბილონის გოდოლი), მოთხრობის სიუჟეტი აგებულია სწორედ ამნაირ „გოთურ“, საშინელ შურისძიებასა და კედელში ცოცხლად ჩაკირულ უდანაშაულო მსხვერპლზე, ხოლო კონფლიქტის შინაარსია ასევე გოთური ჟანრისათვის ჩვეულებრივი შურისძიების მოტივი უარყოფილი სიყვარულის გამო, რა მიზნითაც ვარდო ფიცით შეეკრება ეშმაკს; მოვიგონოთ ეპიზოდი, როცა ის ავლაბრელ მკითხველს მიდის და სთხოვს მკითხაობა ასწავლოს: „ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის რაო, მე იმისთანა რამე მასწავლე, რო ეშმაკის ძალით(!) ასრულდეს.“

როგორც ვხედავთ, აქ მწერალი ფაუსტური მოტივის შემოტანით გოთურ ლიტერატურაში გავრცელებული ცოდვისა და მიზღვის პრობლემას უტრიალებს, რაც ამ ჟანრის მწერლებმა გააქტიურეს რომანტიზმამდე (მსგავსი თემატიკა იკითხება ლუისის „ბერში“); ჟანრის სუნთქვა იგრძნობა პერსონაჟთა აბსოლუტურად კეთილბუნად და ასევე აბსოლუტურად ბოროტებად დაყოფით; მაგალითად, ვარდოს ბატონები უზომოდ კეთილები არიან, ნოდარისა — უაზროდ ავები და უმოწყალონი...

ზოგადად უნდა ითქვას, რომ „სურამის ციხე“ სარკისებურ პრინციპით არის აგებული და აქ ერთ ამბავს მრავალი მთხრობელი ჰყავს (სიკო და ნიკო, საშინელი ფილოსოფოსი, კნიაზ-ლიბერალი და ა. შ.), რაც მრავალგვარიანტულობის შთაბეჭდილებას ქმნის. შესაბამისად, ზნეობრივი შეფასებაც ამ ამბისა არაერთგვაროვანია, დ. ჭონქაძის მწერლური ოსტატობა კი — განსაკვირვებელი, რაკილა არცთუ დიდ მოთხრობაში მას ისე რთული და იმდენად ბევრი თემა აქვს დამუშავებული, რასაც რომელიმე ცნობილი მწერალი, ვთქვათ, დოსტოვესკი, უშველებელ რომანშიც ვერ ჩასტევდა. მოთხრობა ბოლოვდება გოთური „ტოპოსით“ — კედელში ადამიანის ჩატანებით და მოჩვენებად ქცეული დედის აჩრდილით...

თუკი მას „დიდოსტატის მარჯვენას“ შევუდარებთ, კვლავ სარკისებურ ანარეკლს დავინახავთ: კ. გამსახურდიას რომანიც ქალაქგარე გასვლით იწყება და აქაც თქმულებას გარეშე პირი ჰყვება, თავად თქმულება კი, რასაკვირველია, უარყოფილი სიყვარულის გამო საშინელ შურისძიებას გვამცნობს, რაც ტაძრის კედელში ადამიანის ჩაკირვით თავდება (სვეტიცხოველზე ამოტივტივებული ხუროთმოძღვრის მარჯვენა იგივე ზურაბის კედელში ჩატანების ანალოგია, ოღონდ სიმბოლიზებული, თუმცა ორივე თხზულებაში უდანაშაულო მსხვერპლი ილუპება; სხვაობა მხოლოდ ამ რიტუალის შინაარსია — ზურაბი „სურამის ციხეში“ ე.წ. „სამშენებლო მსხვერპლია“, არსაკიძე „დიდოსტატის მარჯვენაში“ — მასონური ლეგენდის პერიფრაზი, ოსტატისა და უნაყოფო შეგირდის ტრავესტირებული ვერსია). რომანის ფინალშიც ნაცნობ სურათს ვაკვირდებით: არსაკიძის დედა გაქვავდა და შვილს ასეული ნლობით სდარაჯობს. მსგავსება შეინიშნება პერსონაჟთა გამოსახვის მხრივაც — ფარსმან სპარსიც ხომ მწერალს ისევე ეშაურ ვინმედ ჰყავს დახატული, როგორც ვარდოა, ფაუსტისა და მეფისტოვლის უცნაურ ნაზავად, დაუძლეველი ვნებით შეპყრობილ ბოროტ არსებად, ვისი ხელითაც არსაკიძე ილუპება; გოთურია არსაკიძის საცხოვრებელი გარემო, ხურსი აბუღელის სანახევროდ დანგრეული კოშკი, სადაც მას მორიელები დაკბენენ და სადაც ავი წინასწარმეტყველება ასრულდება; დაბოლოს, სურათი, რომელზეც ჭაბუკი იაკობი, არსაკიძის ალტერ ეგო, მამალმერთს ერკინება... ხუროთმოძღვრის სიკვდილის სცენაში მგლისთვალა მოხუცის ლანდი კედლიდან ჩამოდის და არსაკიძეს სულს სთხოვს... გავიხსენოთ, თუ როგორ დასეირნობენ კედლიდან ჩამოსული პორტრეტები ასეთივე დანგრეული და პირქუში ციხე-კოშკების თაღებქვეშ გოთურ რომანებში და მსგავსებაც აშკარა გახდება, იმ განსხვავებით, რომ აქ გოთური საშინელება პერსონაჟის ხილვაშია გადატანილი...

„სურამის ციხესთან“ რომანს აახლოებს სიუჟეტის არაისტორიულობაც, იმის მიუხედავად, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში“ თითქოს კონკრეტული ეპოქაა ნაჩვენები — გიორგი პირველის ზეობის ხანა და თითქოს ეს ხანაც ფლობერისეული მუყაითობითა და სკრუპულოზურობით არის აღწერილი; ასევე უხვად არის „ისტორიულობის“ დამადასტურებელი ე. წ. „კრიზისული ეპოქის“ მოვლენები: შინაომი, რელიგიური დაპირისპირება, იმპერიასთან კონფლიქტი და ა. შ., მაგრამ არ არის ისტორიზმი: აქ აღწერილი ამბები არ შეიძლება ხსენებულ დროს მომხდარიყო და არც პერსონაჟთა ქცევა თუ მოქმედება გამომდინარეობს ჩვენთვის ცნობილი ამ ეპოქის ვითარებიდან; რომანი არც ისტორიის სოციალურ-თეოლოგიურ გადააზრებას ცდილობს, რათა ბოლოსდაბოლოს შევიტყოთ, თუ რა ამოძრავებს ისტორიას: სოციალური კანონზომიერება თუ ღვთაებრივი განგებულება? ისტორია აქ მხოლოდ ფონია, რომელშიც „ჩასმულია“ გვიანდელი გერმანული ნეორომანტიზმისათვის საინტერესო ხელოვანის თემა და ნიცშეური დიონისიზმის განმასახიერებელი არსაკიძე, რომელიც მწერალმა გოთურ გარემოში მოაქცია; გოთური რომანის ქვეყნარებიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ უახლოვდება სანტიმენტალურ-გოთიკურ რომანს

(შორენას ხაზი: უმანკო და ბედით დაჩაგრული ქალწული, აუცილებლად ცისფერთვალა და ქერათმიანი, მისი მოტაცება, ნაძალადევი ქორწინება, ტყვეობა, გამოსხნა და ა. შ.).

ამავე ყაიდის რომანის მახასიათებელია სიუჟეტის განვითარება შემთხვევითობის წყალობით და პერსონაჟთა არადამაჯერებელი, დაუსაბუთებელი ქცევა. პირველის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ შორენასა და არსაკიძის გაქცევა ფხოვეში, როცა ისინი მაინცდამაინც ჭიაბერის ქუჩებში გადაეყრებიან და დაჭრილი არსაკიძე ისევ მცხეთაში ბრუნდება, მეორის ნიმუშად კი გამოგვადგება გიორგი მეფე, რომელიც ფრიად და ფრიად უმოტივაციოდ იქცევა რომანში. მაგალითად, „ამხელს“ ერეტიკოს არსაკიძეს და ინკვიზიციას მოუწყობს, რათა შური იძიოს გაცრუებული სიყვარულისათვის, თუმცა არსაკიძის მოშორება მას სრულებით უსკანდალოდ შეეძლო; ეგაა, რომ მწერალს სურს აუცილებლად „ტირან“ მეფედ მოგვაჩვენოს იგი.

გოთური ეფექტის გამძაფრებისათვის შემოჰყავს მწერალს რომანში ფარსმან სპარსიც, სრულებით ზედმეტი და უფუნქციო პერსონაჟი, ვინაც არსაკიძის მოწინააღმდეგედ არის ჩაფიქრებული, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, არსაკიძე ისევე არა ტაძრის ცუდად აგებისათვის, არამედ „ერეტიკული“ სურათად დახატვისათვის... უფრო გასაკვირია შერისხული და დასჯილი ხუროთმოძღვრის მკლავის ამოკვეთა სვეტიცხოვლის ფასადზე!.. ცხადია, რომ გოთური ეფექტების ასეთი გამძაფრებით მწერალი ცდილობს გვაგრძობინოს შუა საუკუნეების დამთრგუნველი და სამიში ატმოსფერო, რაც ისევედასევე გოთური რომანის ამოცანაა, ამ კონტექსტში კი უკვე სხვა მნიშვნელობას იძენს ისტორიული რომანისათვის საჭირო პერსონაჟები, რომლებიც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ასეთნი არ არიან, თუნდაც იგივე გიორგი მეფე და ფარსმან სპარსი — ისინი აუცილებელნი არიან გოთური თხზულებისათვის, როგორც შურისძიების იარაღნი, და მაშინ ასევე აუცილებელი ხდება არსაკიძის გასამართლების დაუჯერებელი ეპიზოდიც, როცა მელქისედეკ კათალიკოსმა „ვერ მოიცალა“ სვეტიცხოვლის ამგების ბრალდების გასაცნობად.

აშკარაა: რაც ულოგიკო და არადსაჭიროა ისტორიული რომანისათვის, ის ჰაერივით სჭირდება მწერალს გოთური სინამდვილის შესაქმნელად. რომანის ყველა კომპონენტით „დიდოსტატის მარჯვენა“, თვით სათაურითაც კი, გოთური ჟანრის თხზულებაა და ალბათ — ერთადერთიც მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში; მისი პირველწყარო კი, როგორც გამოჩნდა, დ. ჭონქაძის „სურამის ციხეა“, ამ ჟანრის პირველი ნიმუში ჩვენს ლიტერატურაში.

ორივე ეს თხზულება ქმნის ქართული გოთური ჟანრის ტრადიციას და უწერია თუ არა განგრძობა ამ ტრადიციას, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.



სოფიო კუჭავა

„მთავარია გნამდეს!“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- სულიერად გამოფიტვა, სიცარიელე, რწმენის დაკარგვა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- „...და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი...“
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- უმაღლესი ბედნიერებაა, როდესაც შენს ცხოვრებას უფალს მიუძღვნის.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები, რომლებიც სავსე არიან ზნეობრივად, აგრეთვე, პატარა უფლისწული...
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, ვინსენტ ვან გოგი, ნინო ჩაკვეტაძე, გია და შალვა მატუაშვილები...
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ლალიძე, კვერნაძე, მილორავა, ცაბაძე, კვალიაშვილი, სებისკვერაძე... მოცარტი, შოპენი, ბახი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- მამაკაცობას, ვაჟკაცობას, კაცობას...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ქალურობას, ქალობას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- სიყვარული.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- შვილის აღზრდა, ოჯახის წევრებთან დროის გატარება (სიმღერა და გადაცემის წაყვანა).
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ჩემი ძმა — მირზა კუჭავა და ჩემი მშობლები ლია ნიკლაური, მურად კუჭავა (მათ იცინა სიცოცხლის, ცხოვრების სიყვარულის, ოჯახის, ერთგულების, მეგობრობის ფასი... ეს კი მათ ძალიან დიდ ძალასა და მომხიბვლევლობას მატებთ).
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- გულს ბოღმით არ ვივსებ.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- დაგვიანება.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბედნიერებაა, როდესაც დგახარ ტაძარში და იმ სიმშვიდეს, მადლს გრძნობ, რომელიც იქ ტრიალებს და არაფრისა გეშინია... ბედნიერებაა, როდესაც შენს შვილს, მეუღლეს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს უმზერ და მათ თვალბეჭდში იმ დიდ სიყვარულს ხედავ, რომელიც შენ გაკავშირებს მათთან, ბედნიერი ხარ, როდესაც ყველა და ყველაფერი შენს გარშემო კარგადაა...
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- თუკი ყველაფერი ზემოთხსენებული წამერთმეოდა...
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- როგორიც ვარ...
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ვარდისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ადრე უფრო მეტად ვარდი მიყვარდა, ახლა კი ყველა ყვავილი ლამაზია ჩემთვის, ყველას თავისი ხიბლი აქვს, თავისი სურნელი, ფერები, თავისი ისტორია...
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ფრინველების მიმართაც ასევე ვარ განწყობილი, თუმცა ბელურას გამოვარჩევდი, რადგან მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, არ ტოვებს თავის ბუდეს და ერთგული რჩება თავისი ქვეყნის...
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, ნოდარ დუმბაძე, გოდერძი ჩოხელი, რევაზ ინანიშვილი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გალაკტიონი, ომარ ხაიამი.



- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ოთარაანთ ქვრივი, ოღლა ბებია, ჯეინ ეარი — თავისი სინაზით და ამავე დროს ძალიან დიდი შინაგანი ძალის მქონე.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ყველა, ვინც სარწმუნოებისა და ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძვის და იღვწის.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- თამარ მეფე.
- საყვარელი სახელები?
- თათუკა, ლევანი, ლუკა, მათე, ანდრია, საბა, თეკლა, ზანდა, თათული, სოფიო, მარიამი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ტყუილს.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?
- ყველა, ვინც საქართველოს და ქრისტიანობის მტერია.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?
- ყველა ქმედება, რომელიც დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს უკავშირდება.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ლოცვის ნიჭი.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- შეძლებისამებრ მართალი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ბედნიერი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- მონანიება, საკუთარი შეცდომის აღიარება.
- თქვენი დევიზი?
- მთავარია გნამდეს! უფალი მალიდან იყურება და ყველას ჩვენ-ჩვენი მოგვეზღვება.
- თუკი ოდესმე შესვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- რომ ჩემი დიდი ოჯახი საქართველო გამთლიანებული იქნება და ჩემი ოჯახიც სხვებთან ერთად გადარჩება და ბედნიერად იცხოვრებს.

ნათია როსტიაშვილი

ერთრდლიანი ქალაქი

1.

დავითა

ახალი ამბების წამყვანს, ეველინას, უოლოსფერი პიჯაკი ეცვა, — ტანზე ისეთნაირად მომდგარი, რომ იფიქრებდი, ერთი გულიანი ჩასუნთქვა ან წამოხველება და, ლილებამწყდარი პიჯაკიდან მკერდი მაგიდაზე გადმოუფუფვდება.

„თუ ასტეროიდი დედამინას დაეჯახება...“ — ეველინა თვალბამღვრულ დავითას თვალმოუცილებლად უყურებდა და გონებასაც უმღვრევდა. დავითამ ტელევიზორს ზურგი შეაქცია. ორ კაცზე გაშლილ ღარიბულ სუფრას მიუბრუნდა, პურს ყუა წაატეხა, მაგრამ პირთან მიტანილი ლუქმა ისევ საპურზე დაახეთქა.

— აეგრე მიყურებს, ძმაო!.. მოვა, მიყურებს და მიდის. გეუბნები, ძმაო, გამორთულს ვტოვებ, აღარ მინდა გულის ნაკანრს მართლი ვაყარო. ყოველ ღამე გამორთულს ვტოვებ, მანც ირთვება. თავისით ირთვება და მოდის... მოდის და აეგრე მიყურებს...

დავითამ ჭიქა არყით შეივსო, მეორე ჭიქაშიც ჩამოასხა. ერთი თვითონ დაიდგა, მეორე წინ გააჩოჩა. ძეხვი დაჭრა, ერთი ნაჭერი თავისთვის გადმოიღო, ერთიც მეორე თეფშზე გადადო და ისევ თავის ჭიქას მიუბრუნდა.

— მოდი, ძმაო, ამ ჭიქით სიყვარულს გაუმარჯოს. მაგის გარეშე ვინა ვართ? აი, მე ვინა ვარ? მე დავითა აღარა ვარ. დავითა, მაგასთან ერთად რომ ვიღვიძებდი, მაშინ ვიყავი. ეგ რომ კარს გამიღებდა და გამიღიმებდა, დავითა მაშინ ვიყავი. ეგ რომ ზვიდნად საბანივით მეფარა და ისე მეძინა, დავითა მაშინ ვიყავი. დილით ჩაის რომ დამისხამდა, სამ კოვზ შაქარს ჩამიყრიდა, მოურევდა, დავითა მაშინ ვიყავი... სიყვარულს გაუმარჯოს, ძმაო!

ჭიქა ჭიქას მიუჯახუნა, ამოიოხრა. მოგონებები, დარდი, ვარამი და ასი გრამი არაყი თავის „ჯაჭვებიანად“ ერთ ყლუპში ჩაატეხა და გადაჭკრა. მეორე ჭიქასაც დასწვდა. ამ ყლუპით ყელში მობჯენილი ბურთი ჩააგორა და თავი მაგიდაზე ჩამოუვარდა.

— არ ნახვიდე, ძმაო, დავბრუნდები. — ამოილულულა და ხვრინვა ამოუშვა.

„ემითვრალეობა ცოდვილი სულის სწულეებაა, ღვთიმვილითოო...“ — ქუჩიდან ფანჯარაში ფოთლებივით შემოყარა ქარმა სიტყვები.

დრო იყო, დავითა არაყს მხოლოდ გაციების პირველი სიმპტომების აღმოჩენისას სვამდა. სვამდა კი არა, ჭამდა. ჩამოასხამდა ბროლის ჭიქაში ცოტას. ჩასუნავდა და „ფიიჰ!“ იმანჭებოდა. ეს ჩასუნავდა ახლაც ჩვევად აქვს, მაგრამ ახლა „ჰ“-ს აღარ ამბობს და იმ ამოგდებული „ჰ“-დან უკუღმა მოდის: „იიფ!“

მოაყრიდა პილპილს, ჩაანურავდა ლიმონის ნაჭერს, ნერწყვითმდგარ პირს გაანჯალაუნებდა. მერე ჩაის კოვზით სიდედრის გაკეთებულ აკუკასაც დაამატებდა, კარგად მიჭყლეტ-მოჭყლეტდა, მოურევდა, შეანჯღრევდა და დაფრენილ პირში იპირქვავებდა. თან ჭიქის ძირს ნკიპურტს აშველებდა, რომ ბროლის კედლებზე მიმხრჩავალი ლიმონის ნარჩენები, ვირუსთან ბრძოლაში, დეზერტირებად არ დარჩენილიყვნენ.

მაშინ გაუთოვებული პერანგები ეცვა, პატივსაცემ ადამიანთა რიგებში ეწერა. თავს უფლებას აძლევდა, ლექციის კითხვა შეენყვიტა, სათვალის მინები აუჩქარებლად დაეორთქლა და განხამებული ცხვირსახოციტო რამდენ ხანსაც უნდოდა, იმდენ ხანს ეპრიალებინა. ვინ რას გაუბედავდა? სტუდენტები მოთმინებით ელოდებოდნენ, თვალბამღვრულ შესციციცინებდნენ...

მაგრამ ეს ადრე იყო. მაშინ, როცა გვერდით ულამაზესი ცოლი ჰყავდა. ერთხელაც, როგორც ძმოსთვის იცოდა მოყოლა, ზედ ფაქტზე წაასწრო ცოლს, ცხოვრება იქ დამთავრდა.

— როგორც ქვიშის საათი ამოატრიალო, აეგრე ამოყირავდა ჩემი ცხოვრება, ძმაო. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ ძვლები მიგრძნობენ, სადაცაა ქვიშის ბოლო მარცვლებიც ჩამოიბერტყება და მორჩება ეს ძალღური ცხოვრება. კაცი რომ ცოლს ზედ ფაქტზე წაასწრებ, ის ცხოვრება მალე დასამთავრებელი ცხოვრებაა, ძმაო.

ჯერ თავისი ნილი არაყი გადაჭკრა, მერე — ძმაოსი და დაელოდა, როდის მოისმენდა იმას, რასაც, როგორც წესი, ორივე ჭიქიდან არაყის გადაყლურნვის შემდეგ ისმენდა ხოლმე ძმოსგან:

— დავით, არა ხარ მართალი. რა ფაქტი, რის ფაქტი?! ფაქტი არის, როცა სანოლში წაასწრებ, ან უსანოლოდ, მაგრამ მანც ფაქტზე. შენ კიდევ კომპიუტერში წერილი ნახე, იქაც პირდაპირ არაფერი ეწერა...

ეველინასთან დაშორების მერე ლექტორობასაც დაანება თავი და სათვალის მინების გახამებული ცხვირსახოციტო წმენდასაც. მთლად „დაანებაც“ არ ეთქმის, ლექციებზე სლოკინს და ფილტვებიდან ნახშირორჟანგის ნაცვლად ალკოჰოლის ამოსუნთქვას რომ მოუხშირა, ადგნენ და გამოაგდეს. სათვალის ამბავში კი სუფთაა, არავის გაუხდია იძულებული, თვითონ შეეშვა, ძმაოსთან საუბრისას მინის წმენდის გამო გაკეთებულ პაუზას ის ხიბლი აღარ ჰქონდა...

შინიდან თითქმის არ გადიოდა. არავის ეკარებოდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც გულს უშლიდა, ვისაც მისი ესმოდა, ძმაო იყო. დავითამ თავისი გონების ჯერ კიდევ საღი ნაწილი გადაინახა, დააბანდა ძმაოში.

— ღმერთზე ვფიქრობ, ძმაო, ბოლო დროს. აი, შენი ღმერთი ხომ მე ვარ? ჩემმა ღმერთმა ტალახისგან შემთხაპნა, მე სუფთად გაგაკეთე. ტვინისგან, ფიქრებისგან, ჩემგან. ჩემი საუკეთესო თვისებები დაგიტოვე. ახლა მითხარი, ვინ უფრო ღმერთია? ის თუ მე?

ძმაო უსმენდა, გვერდიდან არ სცილდებოდა და საჭირო დროს იმას ეუბნებოდა, რისი მოსმენაც დავითას უნდოდა. დავითას ზოგჯერ ავინყდებოდა კიდევ, წარმოსახვის ამბავი რომ იყო. ეჩვეებოდა, თითქოს ძმაო მართლა, რეალურად, ხორციელად იჯდა მაგიდასთან.

ესმა და ლანკა

„ასტეროიდის ზომა...“

— ესმ, ეს ეველინა როგორ გაიქაჩა, არა?.. საათის ისრის მიმართულებით უნდა ვატრიალო?

— აბაა, ქალო! ეგ ქმარს რატომაა გაშორებული ხომ იცი? კი, საათის ისრის მიმართულებით...

— რავი, ვითომ საყვარელი ჰყავდა, ქმარმა სახლიდან გააგდო. არ მჯერა, ტყუილი იქნება. ეგეთი კარგი ქმარი როცა გყავს, რატომ უნდა უღალატო?

— შენმა გულუბრყვილობამ მომკლა, რაა, ლანკა... ეგ გოგო ბო-ზი-ა! საკუთარ სანოლში წაასწრო ქმარმა სხვა კაცთან! ძუქნაა ეგ შენი ეველინა. — ესმას შავად უელავდა თვალბამღვრული აუნთილმა. „ძუქნა, ძუქნა!“ გაიმეორა გულში და კმაყოფილმა გაიღიმა. — არადა, როგორი ძან პატოსანი და გულუბრყვილო გოგონას იმიჯი ჰქონდა ინსტიტუტში, ფუჰჰ!.. ნულარ ანჯღრევე.

— ესმ, იცი, ზოგჯერ ვფიქრობ, კარგია ლამაზებად რომ არ დავიბადეთ. ვართ ჩვენთვის, არავინ არაფერს გვერჩის. ეველინასნაირებს კიდევ რამდენი პრობლემა აქვთ... ცალი ფეხი ცოდვებში აქვთ ჩაყოფილი.

— დადე. — ლაპარაკისმოყვარე ესმასგან მხოლოდ ერთი სიტყვის გამომეტება კარგს არაფერს ნიშნავდა.

„ლამაზებად რომ არ დავიბადეთ...“

ლანკამ ყავის ჭიქა უსიტყვოდ გადმოამხო ლამაზაქზე. ეს-მამაც ნერვიულად მიატრიალ-მოატრიალა თავისი ფინჯანი,

გადმოაპირქვევა და ლანკასას მიუდგა გვერდით. კი არ მიუდგა, მიაჯახა. ლანკას დამფრთხალმა ჭიქამ მაშინვე ჩაიჩოჩა, ადგილი დაუთმო.

— იცოდე, მარჯვენა ჩემია, შენ ისეთი ბატი ხარ, აგერევა.

„ლამაზებად არ დავიბადე-თ!“

— თუ მარცხენა? — შეჰბედა ლანკამ.

— ოოო... მართლა ბატი ხარ, რაა! — გაცხარდა ესმა. — შენგან მარცხენა ჩემგან მარჯვენა არაა, გოგო?! „თ!!!“

ესმა და ლანკა ჯგუფელები იყვნენ. დავითა და ეველინაც — ჯგუფელები, ოღონდ ორი კურსით უფროსები. ის, რასაც ერთიანობაში ეველინა ერქვა (დიდი მკერდი, ვინრო წელი, გრძელი ფეხები და პატარა ცხვირი, სქელი ტუჩები, მოკლე კაბები), დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიჭებში. ლანკას, გულში, ოცნებად ჰქონდა, უშნო ესმას ნაცვლად მნიფე ეველინასთან ედაქალა. მასთან ერთად რომ ივლიდა, ეგებ მისთვისაც მიექციათ ყურადღება, იქნებ ისიც შეემჩნია ვინმეს... თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი სურვილის გამო ესმასთან თავს დამნაშავედ გრძნობდა. პატარა ლმერთად სინდისი ჰყავდა ლანკას.

ესმას კი აბსტრაქტული რამეების გაღმერთებისთვის არ ეცალა, დავითას ჰყვაროდა. ჰყვარობდა შორიდან და უიმედოდ. რამდენჯერ მთელი დღე მდგარა ინსტიტუტის ლიფტთან დავითას მოლოდინში. ისიც გამოჩენილა, ლიფტში ერთად შესულან... მაგრამ არც არაფერი. ზრდილობის გამო მაინც არასდროს გაუღიმიდა დავითას ესმასთვის.

დაბალი და განიერი იყო ესმა. მსუქანი არა, განიერი. ლანკა — ანონილი და მჭლე. იმდენად გამხდარი, რომ სიბრაულს იწვევდა. პლასტიკის სასაცილო თოჯინებზე იყვნენ. თითქოს ერთს თავსა და ფეხებში მოჰკიდეს ხელი და განელეს, მეორე კი მაგიდაზე დადეს და გაშლილი ხელისგული დააჭირესო.

სტუდენტობის წლები ისე გაილია, ამ ორი წყვილის შერევა არ მოხერხდა. როგორი კომბინაციითაც დალაგდნენ ინსტიტუტში, მერეც ისე წავიდნენ. ისინიც წყვილად (ცოლ-ქმრი) — ესენიც (დაქალები). ლანკამ ეველინასთან დაქალობის სურვილი დაიჩინა, ესმამ დავითასთან დაქალების სურვილი — ვერა.

რაც ინსტიტუტი დაამთავრეს, თვალი არსად მოუკრავს ესმას დავითასთვის. ერთ დღეს დეიდას ესტუმრა. ცოტა ხანში მის დეიდაშვილს ძმაკაცი მოუვიდა. ხელკავით უცნობი შემოიყვანა, ოჯახს წარუდგინა:

— გაიცანი, ჩემი თანამშრომელი დავითა.

გაიშალა სუფრა.

ესმას თავი სიზმარში ეგონა. რას იფიქრებდა, რომ ოდესმე დავითასთან ერთად მოხვედროდა სუფრასთან, თანაც დეიდამისის ოჯახში? სიმხნეისთვის ცოტა დალია. მოეჩვენა, რომ თვითშეფასება აუმაღლდა. არა მხოლოდ თვითშეფასება. თავს ისე გრძნობდა, თითქოს რაც სიგანე ჰქონდა, სიმაღლეში წაუვიდა. მერე ადგა და ბევრი დალია, მაგრამ „იცით, ჩვენ ერთად ვსწავლობდით“-ის თქმა მაინც ვერ შეძლო. დავითას არათითზე მბრწყინავი რგოლი ამუნჯებდა. გულწრფელობის ნაცვლად შურისძიების გუნებაზე აყენებდა. სძულდა ეველინა. შური და ბოღმა ახრჩობდა იმის გაფიქრებისას, რომ მისთვის მიუღწეველი ოცნება ეველინასთვის ყოველდღიური რეალობა იყო.

— გნებავთ, ყავაში ჩავხებდით? — უცებ მოაფიქრა.

— აჰ, ეგეთების არ მჯერა, — გაუღიმა დავითამ, მაგრამ ჭიქა მაინც მიანოდა.

— „ე“ ახოს ვხედავ, ძალიან ახლობელი უნდა იყოს, გვერდით ამოვივიდათ... ნნ-ნნ... შეხედავ, — ანგელოზსა ჰგავს, მაგრამ... ეუჰ, რამდენ ფიგურას მალავს! ძალიან მეძნელება გითხრათ... ეს ადამიანი მოლაღატა, ანგელოზის ტყავში გახვეული ეშმაკია, არ ენდოთ. — ბოლო სიტყვები პროფესიონალი მკითხავივით დაიჩურჩულა ესმამ და პროფესიონალი ლოთივით ამოასლოკინა. — აი, ჩახხედეთ, კუდს ხედავთ, ბატონო... მაპატიეთ, თქვენი სახელი დამავიწყდა... — დავითი... — თქვა დავითამ და კუდგამომბმული ცოლის წარმოდგენაზე გააჟრჟოლა.

— თავი შორს დაიჭირეთ მაგ ლურჯთვალა და ავხორცი „ე“-სგან, ბატონო დავით. — ენაზე იკბინა, თვალის ფერის დაკონკრეტება ნამეტანი მოუვიდა.

დავითა გაფითრდა. მერე ნაძალადევიად გაიღიმა და, უნდა დაგტოვოთ, შეხვედრაზე მაგვიანდებო. — წავიდა.

თავი გამარჯვებულად იგრძნო ესმამ. ამსუბუქდა. თითქოს ერთ დიდ სიმძიმედ შეკონინებული დარდი, ფიქრი, ტკივილი... ამოიღო გულიდან და დავითას აჰკიდა.

იმ საღამოს, ესმა შეეცადა დავითასთან შეხვედრა დაწვრილებით გაეხსენებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. ძალიან ბევრი დაელია საამისოდ. თან წლების ტრადიციის დარღვევაც არ იყო იოლი. ადრინდელი შეხვედრების გახსენება ჰქონდა ჩვევად. რიტუალივით იყო: ძილის წინ შუქს აქრობდა, საწოლში წევობდა, საბანს



თავზე იფარებდა და თვალებს მაგრად ხუჭავდა. თვალების დახუჭვა და განათების ჩართვა ერთი იყო. ნათურის ქვეშ სტუდენტი ესმა იდგა. ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა დავითა, ლიფტის ლილქს თითს აჭერდა. შედიოდნენ ინსტიტუტის მონჯლრეულ ლიფტში. გვერდივერდ იდგნენ... ესმა დავითას სუნამოს სურნელს ახლაც, თვალდახუჭულიც გრძნობდა. გრძნობდა და მსუბუქად ალიგზნებოდა. მერე მის ხმას იხსენებდა და უცებ მოვარდნილი ტალღა მთელ სხეულს უნვავდა. ტექსტს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ტემბრი იყო:

„თქვენ რომელ სართულზე?“ — ეკითხებოდნენ დავითას ტუჩები. ყოველდღე, ამ ეპიზოდამდე ერთი მოძრაობა, სიტყვა ან გამოხედვაც არ იცვლებოდა მიზანსცენაში. თითქოს აკრძალული იყო. მერე კი ესმას ნებაზე გრძელდებოდა:

„თქვენ რომელ სართულზე?“ — ეკითხებოდნენ დავითას ტუჩები. მერე... ესმას ტუჩებისკენ იხრებოდნენ, ხელები მკერდისკენ მიცოცავდნენ, ქურთუკი ძირს ვარდებოდა... ზოგჯერ ისე იჭრებოდა როლში, სულ ავიწყდებოდა, რომ ამ ფილმში მხოლოდ მონაწილეობა კი არა, ფილმის რეჟისურაც მის იმედად იყო. საკუთარი თავის გარდა სხვა მაყურებელიც რომ ჰყოლოდა, ის სხვა აუცილებლად აღმოაჩენდა, რომ სინამდვილეში ერთი ქურთუკის გახდით ორი ჩაცმულ-დახურული ადამიანი ვერ გამოიშვლდება... რომ ისიც არარეალურია, ლიფტს ამდენი დრო სჭირდებოდა მესამე სართულზე ასასვლელად... და კიდევ, — სადაა ფინალი? რატომ არ იღება კარი?.. და მისთანები. ესმა თუ მოინდომებდა, ტანსაცმლის ეპიზოდის საკითხს უფრო დამაჯერებლად მოაკვარახებინებდა, მაგრამ აი, ფინალში კარის გაღება გამორიცხული იყო. ფაბულა მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული: ლიფტის კარი არ უნდა გაიღოს!

ახლაც რომ ახსენდებოდა, გული ეწურებოდა: მონჯლრეული ეძახე და... ვიდრე ესმა ერთ შეკავებულ ამოსუნთქვას მოასწრებდა, ლიფტის კარი უკვე მესამე სართულზე იღებოდა. იქ ეველინა იდგა. ვნებიანი, ლამაზი, ამაყი, ბედნიერი... დავითას აზრად არ მოსდიოდა, ჯერ ესმა გაეტარებინა. ნახევრად-გახსნილ კარში გაძვრებოდა ხოლმე, ეცემოდა ეველინას და კოცნიდა. ესმას ამ მომენტში განსაკუთრებულად სძულდა ეველინა.

შური და ბოლმა ყელში ენასკვებოდა. ყველა სტუდენტი გოგონა სძულდა, ლანკას გარდა. ლანკას არავინ ეხვეოდა და კოცნიდა. მარტოგოგო იყო ლანკა.

„ღვთიშვილნოო... როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე შური – სულს, რომელშიც მკვიდრობს...“

— ლანკა... „ის“ გინდა ხოლმე? — ჰკითხა ერთხელ ესმამ.

— შვილი მინდა. ოღონდ ეგრევე. „იმის“ მეშინია. — უპასუხა ლანკამ.

რალაცნაირად... გამომშრალი, ხმელი იყო ლანკა.

— ეჰ, ბავშვსაც რამდენი ფული უნდა... — დააყოლა სევდიანად.

თავმდაბალი, კეთილი, გულწრფელი, სუფთაგულა იყო ლანკა, მაგრამ ერთი ზნე ჰქონდა: ფულის ხარჯვა არ უყვარდა. ფული უყვარდა, მაგრამ მხოლოდ დასაგროვებლად. მათხოვარს რომ ხედავდა, ისე ეცოდებოდა, გული უკვებოდა, მაგრამ ფულს ვერ იმეტებდა. ღმერთო, ფულის მიმცემი ხალხი გამოუგზავნე ამ სანყალსო, — თავისებურად ლოცულობდა. მარტოც ვარ, მომავლისთვის ვაგროვებო, — საკუთარ თავთან თავს იმართლებდა. ერჩივნა საჭმელი მოეკლო და ფული შეენახა. ერთ პაკეტ ჩაის იმდენჯერ ხმარობდა, ვიდრე ბოლო ფერად წვეთსაც გამონურავდა.

„ღვთიშვილნოო... შეისმინეთ წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები: ლითონის ჩხრალი ვერცხლისმოყვარის სმენას იმდენად იპყრობს, რომ ამის გამო მისი ყური ფულის სიტყვას ველარ ისმენს.“ — ისმოდა ლანკას ფანჯრებთან. ლანკას არ ესმოდა. ხურდებს ითვლიდა. იმ დღეს ფეხით იარა, რომ ტრანსპორტისა დაეზოგა...

ირა

„ასტროლოგები ვარაუდობენ...“

ცარიელი ოთახის სივრცე ტელევიზორის ხმას ექოდ გამოსცემდა. ეკრანზე მუქი ქსოვილი, გამოღებულ ფანჯარაზე კი სქელი ფარდა იყო ჩამოფარებული. ოთახის კუთხეში, პირდაპირ იატაკზე ფეხმორთხმით მჯდარი ირა ამ ოთახივით გამოცარიელებული თვალებით მისჩერებოდა ტელევიზორს. ცალ ხელში მაკრატელი ეჭირა, მეორეში — თავისი გრძელი თმა, ჯერ ისევ თბილი, ახალდაკლული.

მთელი ღამის უძილო და ნახევარი დღის მშვიდ ირას დღის მეორე ნახევარიც, სავარაუდოდ, უძილო და უსაჭმლო ექნებოდა. ამის გაფიქრებამ კარგ განწყობაზე დააყენა. მკერდზე ჩამოწოლილ თოკს ხელი ნაზად ჩამოუსვა. თითქოს თოკი კი არა, მისი საყვარელი ფისოს ზურგი ყოფილიყოს.

„შესაძლოა ასტეროიდ...“

ეველინას ხმა ესმოდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ეკრანზე ჩამოფარებული ნაჭრიდან მხოლოდ მისი გამოსახულების კონტურის გარჩევა გახლდათ შესაძლებელი. ჭამა და ძილი რა მოსატანი იყო ეველინას დანახვის სურვილთან... ირამ თოკს ფრჩხილები ჩაარჭო და ჩამოუსვა, ჩამოკანრა.

როდის გადაექცა ტანჯვა სიამოვნებად? რომელ ცხოვრებაში? ბავშვობაში წყნარი, ბაფთებიანი გოგონა იყო. შიშისგან რეიტუზს ასველებდა, როცა სკოლიდან დაბრუნებულს მამა მთვრალი ხვდებოდა. მერე ცხოვრებისგან გაავეებული დედის ძლიერი ხელები ჩქმეტდნენ, სწინკინდნენ, სილას უტკაცუნებდნენ. უხეშად ხდიდნენ რეიტუზს და მასზე მიკრულ სველ ტრუსიკთან ერთად თვალღუსა და ცხვირში სწრიდნენ. ირინას კარგა ხანს ეგონა, რომ ფსიტიის სუნი შარდიან საცვალს კი არა, სიტყვებს — „ამხელა გოგო“ — ასდიოდა.

მერე მამა გაქრა. ირამ მესხიერებიდან ამოშალა ის მონაკვეთი, როცა სკოლიდან მომავალმა მამა ტალახის გუბეში პირქვე ჩამოხობილი ნახა და დედის რისხვის ასაცილებლად შინ კრინტი არ დაუძრავს. ამოშალა პანაშვიდები, მიხაკები და დედის „შე უბედურ-როოო!..“ დედის „ობოლს მიტო-ვეეებ!..“ დედის „რა მი-ყააავ ბი-ჭოოო...“.

ჰოდა, რაც ამოშლის მერე დარჩა, ეგაა — მამა გაქრა.

რომ შეძლებოდა, მთელი თავისი ბავშვობის ხანას ამომლიდა, მაგრამ იოლი არ იყო: ხერხემალზე ჰქონდა აკრული, სისხლში ჰქონდა შერეული, კანქვეშ ჰქონდა ამოპოხილი... ერთადერთი გზით თუ ნაშლიდა...

ერთხელაც გადაწყვიტა და თოკის ყულფი გამონასკვა, კისერზე ჩამოიკვია, ემძიმა. ხესთან მივიდა, თვალთ ტოტის გამძლეობა მოსინჯა, თოკის სიგრძე აზომა და, რომ დარწმუნდა, ყველაფერი ლოგიკურად შესატყვისი იყო, — გადაიფიქრა. კი არ შეეშინდა, დაენანა. დაენანა, რომ უცებ დამთავრდებოდა ეს სიამოვნება. წარმოიდგინა, მთელი მისი ბავშვობა კაუჭზე ჩამოკიდებული დაკლული ცხვრის ტყავივით როგორ ეცლება ხერხემლიდან. ირა ბავშვობამოშორებული და მსუბუქია, მაგრამ... ეს მეტჯერ ველარასდროს განმეორდება.

თოკის კული იქვე, მორზე გააწვინა და ცული დაჰკრა.

მას შემდეგ კისრით დააქვს. იჩვევს, იშინაურებს...

„ღვთიშვილნოო... თვითმკვლელობა მიუტევებელი ცოდვია. ნუ ჩაიკეტებით, მარტო ნუ დარჩებით პრობლემასთან... ღმერთს გაენდეთ, ღმერთს ესაუბრეთ. ეკლესიაში იარეთ, ილოცეთ, ეზიარეთ... თვითმკვლელს შენდობა არა აქვს, შვილებოო...“

შაკო

დივანზე წამოწოლილმა შაკომ საათს დახედა თუ არა, მაშინვე წამოხტა, პულტს ეცა და ტელევიზორი ჩართო.

ეველინას პიჯაკი მიმედ სუნთქავდა.

„თუ ასტეროიდი დედამინას დაეჯახება, შესაძლოა დედამინაზე სიცოცხლე შეწყდეს...“

— აუუუ... აუ-აუ ძაან მაგარი ნაშაა, რაა!

ეველინას დანახვაზე თავისი გასართობი გოგოების ჯარი მთლიანად ავიწყდებოდა შაკოს. სივრცის კოლოფს ოქროსფერი ლენტი შემოარღვია. ფოლგის ქალაქი ისეთი სიმამავით შემოაცალა, თითქოს ფოლგის ქალაქი კი არა, ეველინას ფოლგისფერი პენუარი ყოფილიყოს. ერთი ღერი ამიოლო, ხელიწიწილად შეათამამა და ცოლს გასძახა.

— ცეცხლი!

— ბებიაშენისამ. — უპასუხა აივანზე გამავალ კარში თავშემოყოფილმა თათამ. — შენმა ბებერმა „მაგარმა ნაშებმა“ მოგიკიდონ! — კარი მიიჯახუნა. მოწულ სკამზე დაჯდა, ფეხები მოაჯირს შემოაწყო, სამი ღრმა ნაფაზი დაარტყა და სივრცის ნამწვი ავიწინდნენ წიკურტით გადაისროლა.

„უნდა დავუპაღიებო.“ — მტკიცედ გადაწყვიტა შაკომ.

„არათუ მრუშობა, ადამიანისთვის გულისთქმით შეხედვაც ცოდვია, შვილებო... მრუშობის ცოდვას სანყისშივე უნდა შეგებრძოლოთ, ვიდრე პატარაა, ადვილად ამოსაძირკვი, თორემ მერე, ფესვებს რომ გაიდგამს...“

ევლინა

— შემდეგ გამოშვებამდე გემშვიდობებით. — ეველინამ ყურსასმინი მოიძრო, მაგიდაზე დადო. მაგიდიდან ყვითელი ფანქარი აიღო. ეგ იყო, რომელიც ხელში მოხვდა. დახედა, გადაადო, სხვა ამოარჩია. თმა ორივე ხელით აიწია, ჟოლოსფერი ფანქრით დაიმაგრა.

— მდა... დედამინა გველუბება, ძია უშანგი. — ჭალარა თმა-წვერიან ოპერატორს ეშმაკურად გაუღიმა, თან სკამის საზურგეზე გადაწვა, გადაიჭიმა, გაიზომრა... რა მოსახიბლი კაცი ბებერი უშანგი იყო, მაგრამ ეგეთი კოდი იდო ეველინაში, ყველასთან უნდა ეკეკლუცა.

— რა ინფორმაციასაც გადმოსცემ, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო, კუკლა! — ეველინა დაამშვიდა და თვითონ ალელდა უშანგი. დედამინის გამო არა... არც ისეთი ბებერი იყო, როგორც ჩანდა...

საერთოდ, მამაკაცები სამ ტიპად იყოფოდნენ ეველინასთვის: 1. ახალგაზრდა-სიმპათიურები; 2. სხვა დანარჩენები და 3. დავითა. ახალგაზრდა, სიმპათიურ მამაკაცებს შეგნებულად ეპრანჭებოდა, სხვა დანარჩენებს — თავისდაუნებურად, დავითას — იშვიათად. წოლით კი მხოლოდ დავითასთან იწვა.

კარგა ხანია დავითა მხოლოდ ქმარი აღარ იყო ეველინას თვალში. ცოტათი მამაც გახდა, ცოტათი — ძმაც. სასიამოვნო იყო, რომ ქმრიდან ბონუსად „მამა“ და „ძმაც“ გამოდნა, სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ — „კაცის“ შევინროების ხარჯზე.

გაუმაძღარი იყო ნარცის-ეველინას ამპარტავნება, ერთი და ორი წყვილი თვალის აღფრთოვანება არ ჰყოფნიდა. იმ ასაკში ჩარჩა, გოგონებისთვის ბედნიერება თაყვანისმცემელთა სიმრავლით რომ იზომება. მხოლოდ დავითას კი არა, ზედ დამატებულ ორივე ტიპის მამაკაცებსაც კი არა, — მთელ სამყაროს თვლიდა მოვალედ, ხელისგულზე ეტარებინათ. ის ხომ ასეთი მშვენიერი! ერთ დღესაც ყველა კუთხიდან რომ წამოეკრიფა სამყაროს თავისი წყალ-ხმელეთოვანი კალთა და ეველინას ხლებოდა, მის წინ წაჩოქილიყო, მისი სილამაზის წინაშე ქედი მოეხარა, — არ გაიკვირვებდა, ბუნებრივად მიიღებდა, შეიფერებდა. მიჩვეული იყო, ქუჩაში ფეხს გაადგამდა თუ არა, ყველა თავი მისკენ ტრიალდებოდა. რახა-რუხით ცვიოდა ასფალტზე მამაკაცების ქვედა ყბები. იტბორებოდა ქუჩები მათ პირს მომდგარი ნერწყვით. აღფრთოვანებული მამრების გულის ნაფლეთები შემოდგომის ფოთლებივით მსუბუქად ეცემოდა ეველინას ფერხით... ოღონდ ეველინას ყურადღება დაემსახურებინათ და ბოძიდან ბოძამდე გადაჭიმულ მავთულზე ჯამბაზებივით ყირაზე დგებოდნენ უფლისწულები. ძვირფასი თვლებით სავსე ხურჯინები მოჰქონდა ქარავანს, „რა ლამაზი ხარ, ეველი!“ — გამონაბოლქვით ოკრობოკრო ასოები გამოჰყავდა ცაზე თვითმფრინავს... ხშირად იხსენებდა ამ თითქმის არმომხდარ, გაზვიადებულ ამბებს ეველინა. ძილის წინ იხსენებდა ცხვრების მოსაწყენი დათვლის ნაცვლად. საღამოობით სევდა იპყრობდა, ცალად ძილისთვის თავი არ ემეტებოდა. დავითა აკლდა. უყვარდა კიდეც, თავისებურად, როგორც შეეძლო. მიუხედავად თაყვანისმცემელთა სიმრავლისა, დავითას ვინმეთი ჩანაცვლებას არ ჩქარობდა. რალაც ისეთი აკლდა მისკენ მომართულ სხვების მხერგს, დავითას რომ ჰქონდა.

ერთხელ ეველინას ინტერნეტით ვილაც გამოელაპარაკა. იკად, ანუ ირაკლიდ გაეცნო. უცნაური ვინმე ჩანდა. ხიბლავდა ეველინას უცნაურობანი. თუმცა, რომ არა უცნობის კომპლიმენტების სიმრავლე და იმავე უცნობის ერთადერთი, მაგრამ უსიმათიურესი ფოტო, დაეზარებოდა ამდენი „სულელური“ ფილოსოფიური მსჯელობების მოსმენა. შეიძლება ითქვას, თბილ სიტყვებს ყიდულობდა. ორიგინალური კომპლიმენტები რომ მიეღო, ამისათვის ჯერ უნდა „გადაეხადა,“ — იკას ფსიქო-ფილოსოფიური მსჯელობა უნდა აეტანა.

ერთხელ იკა სულისა და სხეულის კონფლიქტზე მსჯელობდა, ამბობდა, რომ შესაძლოა ეს ორი ცნება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდეს, უფრო მეტიც, ერთიმეორეს გაუცხოვდეს. სიტყვა გაუგრძელდა. ეველინას ნებისყოფის საღარომი არც ისე ბევრი მოთმენა და მოთმინება მოიძვევებოდა, ამდენიანი ლოდინისთვის საკმარისი რომ ყოფილიყო. მაგდალაზე მონაცვლებით ააკაკუნა თხელი თითების გრძელ ფრჩხილები:

ნეკი... არათითი... შუათითი... საჩვენებელი თითი...

ნეკი, არათითი, შუათითი, საჩვენებელი თითი.

ნეკიარათითიშუათითისაჩვენებელითითი!

მისწერა: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია, იკა!“

როგორც სარწყავ არხს პირს უზამენ სასურველი კალაპოტისკენ, ეგრე გადმოიყვანა იკას სიტყვები საკუთარი პატივმოყვარეობის დასარწყულელებად.

„ეგ მხოლოდ შენთან, ევა... შენ ჰარმონიაში ხარ საკუთარ თავთან და სამყაროსთან. ჩემი ყოველი დღე შენი ხატების გახსენებაა. სხვანაირ მედიტაციას არ ვცნობ.“

ეველინა ილიმოდა. აღარ აკაკუნებდა.

„შეხვდეთ. მეგობრულად.“ — მისწერა. თან, მექანიკურად, კარადას გახედა. ახალი კაბა ჰქონდა, შოკოლადისფერი. უხედებოდა. შეხვედრის სურვილში არანაირი ქვეტექსტი არ იკითხებოდა. გარდა იმისა, რომ უნდოდა პირადად ენახა იკას, უნდოდა მისი ალტაცებული თვალები დაენახა. მეტი არაფერი. მისი სხეული მხოლოდ დავითას ეკუთვნოდა. მისი ვნება მცო-

რედსაც სჯერდებოდა. აი, მასში ჩასახლებული ნარცისი კი დიდი გაუმაძღარი ვინმე გახლდათ. უძირო ქვევრივით, რამდენი ხოტბა, ქება და ალტაცებაც უნდა მიეღო, არ იგებოდა.

იკამ იუარა. ის არ ვარ, ვინც შეიძლება აღგაფრთოვანოსო. შემთხვევით რომ შემხვდე სადმე, ყურადღებას არც მომაქცევო. სადმე რომ დაგინახო, აუცილებლად გიცნობო, — ეველინამ.

იცოდე, თუ დაგინახე და არ გაგიღიმიე, ესე იგი, განა ვერ გიცანი, უბრალოდ ჩემს ღირსად არ ჩაგთვალეო. — ნაიკეკლუცა, იცელქა. იკა აღარ შეხმიანებია. ერთი-ორჯერ დაესიზმრა, ეგ იყო და ეგ. ბევრი არაფერი, მხოლოდ ჩახუტება. მერე ძილბურანში ცოტა ხელი წაშველა ეველინამ სიზმარს, კოცნამდე მიიყვანა.

ფლირტს ცოდვად არ უთვლიდა თავს. ლამაზი იყო, მიმზიდველი. თავი მხოლოდ ერთი კაცისგან მიღებული კომპლიმენტებისთვის არ ემეტებოდა. ეცოტავებოდა. სინდისი არაფერზე ქენჯნიდა, „იმნაირობას“ ვერავინ დასწამებდა.

იმ თარს საღამოს, ქმარი თანამშრომელთან რომ ეგულეობდა, იკამ მოსწერა:

„მოვედი. მომენატრე. გაკოცე“

„მეც მომენატრე... უკვე მიდიხარ?“

„არა, მოვედი.“

„აბა, გაკოცეო?“

„ჰოდა, გაკოცე-მეთქი, ანუ მოვედი...“

— ნადი.

ეველინამ მიიხედა, მის უკან გაფითრებული დავითა იდგა. — ნადი! — გაიმეორა დავითამ. — მოღალატესთან ვერ ვიცხოვრებ.

„ნადი!“ — სილასავით გაენწა ეველინას ამპარტავნებას.

შეურაცხყოფილმა ეველინამ გარდერობიდან ტანსაცმელი გამოალაგა, ჩანთაში ჩატენა და კარები გაიჯახუნა.

შეურაცხყოფილმა დავითამ კარადიდან არყის ბოთლი გადმოიღო, საცობი მოაძრო და ჩაის ჭიქაში ჩააპირქევა.

„ჩემი ღირსი არაა!“ — გაიფიქრა გაცეცხლებულმა ეველინამ და ქუჩის შადრევნიდან წყალი მოსვა. ვერ ჩაქრა. ორი ყლუპი რას ჩააქრობდა აბრიალებულს?..

ეველინას მესხიერება მწლებს ნაგროვები ამბების ქვეშიდან ბების მზით დამწვარი სახე ამოაცურა.

„შენი სილამაზე დიდი ძალაა, შვილო. ნუ იამაყებ, ეგეთი სილამაზე მძიმე ჯვარია. — უთხრა ბავშვობაში ბებია. მშობლები არ ჰყავდა, ბებო ზრდიდა. — ამპარტავნებას თავი მოადრეკინე, ერთგულების აღვირი გამოსდე, ღმერთისკენ უყავ პირი. ბოროტებას ბუდედ ნუ გაუხდები. მეც ლამაზი ვიყავი. როგორც კი ეშმაკი შემიჩნდებოდა და გავიფიქრებდი, მე ვჯობივარ ჩემს ქმარს-მეთქი, ტაშტი მომქონდა და პაპაშენს ფეხებს ვბანდი, ვემსახურებოდი. ეგრე ვებრძოდი ჩემს ამპარტავნებას.“

ეგ იყო და ეგ. ბებოსგან „ლამაზი ხარ“ მეტჯერ აღარ გაუგია. სულ ელოდა კია...

ეველინას ქმრისთვის ფეხების დაბანვა არ შეეძლო. მოკალი და არ შეეძლო. ამიტომ ამპარტავნებასთან ბრძოლის საკუთარი, თავისმომტყუებელი მეთოდი შეიმუშავა: დილით დავითას ჩაის რომ დაუსხამდა (ჩაის დასხმა ცოლის მოვალეობაა), შაქარსაც თვითონ უყრიდა (ჩაყრა — აღარ) და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავს იმდენად იმდაბლებდა, საკუთარი ხელით (ცხადია, კოვზიანით) ურევდა კიდეც. ემსახურებოდა. არ იყო ცოტა. ეველინასთვის.

„ღვთისშვილნოო... ამპარტავნება დედა ყოველი ვნებისა და ცოდვისა. ისე არაფერი განაშორებს ადამიანს ღმერთისგან, როგორც ამპარტავნება. ამპარტავნების ცოდვას თავმდაბლობით უნდა შევებრძოლოთ, შვილებო...“

ბერი

ამ პატარა ქალაქში ყველა იცნობდა ერთ უცნაურ ბერს, მამა პეტრეს. გამხდარი იყო ბერი, ფარანატი. გრძელი, თეთრნაცრისფერი თმა-წვერითა და ხშირი წარბებით დამძიმებული, წელში მოხრილიყო. გახუნებული ანაფორის ჯვრით თეთრ,

ღუნღუნა მტრედს დაატარებდა. აჭმევდა, ეფერებოდა, ესაუბრებოდა. შორიდან ვერ იფიქრებდი და ამიტომ როცა ახლოდან ნახავდი, გიკვირდა ადამიანს: მზეები დაჰქონდა თვალებით. ნელა დადიოდა, თუ ვინმე რამეს ჰკითხავდა, გაჩერდებოდა, გაუღიმებდა და მერე უპასუხებდა. უნდოდა, ღმერთზე ეკითხათ, ადამიანები კი ყველაფერზე უსვამდნენ კითხვას, ღმერთის გარდა. ალბათ იმიტომ, რომ ბერის „დალაგებულობაში“ ეჭვი ეპარებოდათ. სალამობით, რომელიმე კორპუსს ამოირჩევდა მამა პეტრე. დაჯდებოდა მის წინ, სკამზე და ხმამაღლა იწყებდა ქადაგებას. ზოგჯერ სადამოს არ ელოდებოდა, გამთენიისასაც გაიგონებდით მის ქადაგებას, შუადღის გულზეც...

— ღვთისშვილნოო... — ბერის მსუბუქი ხმა ქათქათა ღრუბელივით ადიოდა მაღლა, საჭირო ფანჯრებში მიფარფატებდა. იშვიათად, რომ ვინმეს იქ დაეტოვებინა. უკან გამობრუნებული უცნაური მქადაგებლის სიტყვები მთელ ქალაქში იფანტებოდნენ და ფიფქზე სწრაფად დნებოდნენ. ზედმეტად ცხელები იყვნენ ადამიანები იმისთვის, რომ ქადაგება უცებ არ შემოსდნობოდათ ზედ.

2.

დავითას დილით თავი ისე ჰქონდა დამძიმებული, — რა ნაიღებს ამას მაგიდამდე? — გაიფიქრა და ხელი აღარ ახლო, ბალიშზევე დატოვა. თვალი წვალებით, მძიმედ და, როგორც მოეჩვენა, ხმაურით გაახილა. თითქოს ქუთუთო კი არა, გარაჟის მძიმე კარ-ჟალუზი იყო, ორი კაცი მაინც სჭირდებოდა ზემოთ ასაქანად. ტელევიზორი არ ჩაუერთავს, მაგრამ ეკრანზე ეველინა მაინც ჩანდა.

„ისევ თავისით ჩაირთო.“ — გაიფიქრა დავითამ. არც ახლა გახსენებია, ნუხელ გამორთვა რომ დაავიწყდა.

ვევლინას შავი თმა შიშინებდა. სახე კი ისე ემანჭებოდა, თითქოს „სიცილის ოთახის“ სარკეში ჩაახედეს: ხან ტუჩი ადიოდა და ნარბებს შორის ეკვეხებოდა, ხან ცხვირი ნიკაპამდე უგრძელდებოდა. ვერ იყო კარგად დავითას საქმე. უცებ ვევლინას სახე მილაგდ-მოლაგდა, თმა გარჩემდა და ტუჩებმა ხმა ამოიღეს. ორი სიტყვა გაარჩია დავითამ: „მანტიტური დღე.“ მერე დღემილი ჩამოწვა და კიდევ ერთი სიტყვა თევზივით დაუსხლტა ხელიდან ეკრანს და ყურში შეუსრიალდა: „ასტეროიდი.“ მეტი ველარაფერი გაიგო, გაითიშა. უცნაური, უძირო ძილით ჩაეძინა.

ვინ იცის, რა დრო გავიდა. აფორიაქებულს გაეღვიძა. ადგა, მაგიდასთან მივიდა. არაყი დაისხა. როგორც იცოდა ხოლმე: ჯერ ერთ ჭიქაში, მერე — მეორეში. „გაგვიმარჯოს, ძმაო.“ მიუჭახუნა და გადაჰკრა. ჩვეულებისამებრ ძმაოს წილის დალევაც რომ დააპირა, ჭიქა თავისით აინია მაღლა. დავითა დააკვირდა. ხელს ეჭირა.

— გაგვიმარჯოს, დავით.

დავითა გაშეშდა. მის წინ ძმაო იჯდა. მაღალი, დაკუნთული, თავდაჯერებული კაცის გამომეტყველებით. ზუსტად ასეთს წარმოიდგენდა ხოლმე. თვალის ჭრილი და ფერი დავითასწარი ჰქონდა. ოღონდ დალაგებულ-მოპრიალებული. არანაირი ნითელი კაპილარების აბლაბუდა, შიგ გაბმული ამოღამებული მზერა და აცდენილი ფოკუსი.

„ბელაია გარიაჩკა დამენყო.“ — აღელდა. თვალები მოიფშვნიტა. ძმაო არ გამქრალა.

„არ ყოფილა ჰალუცინაცია...“ — გაუხარდა.

„მამ რა გამოდის? მოჩვენებაა?“ — შეეშინდა.

სხვა რამეებისა არ იყოს, გმირობის ჩადენაც ერთხელ ჭირს, თორემ... ხელი, მართალია, გაუბედავად, მაგრამ მაინც ასწია და ძმაოს ხელისგული გულ-მკერდზე მიადო. მიანვა. ისევ კიდევ მიანვა...

„ხელს არ ატარებს, ხორცია, არაა მოჩვენება.“ — დამშვიდდა.

„და... აქ როგორ გაჩნდა? საიდან შემოვიდა?“ — პასუხის მოძებნაზე დრო აღარ დაკარგა, ეგრევე აღელდა.

ის ღამე განსაკუთრებით შფოთიანი იყო ესმასთვისაც. თავი გაუსაძლისად სტკიოდა.

„კიდევ კარგი კიკინა მიკეთია, — გაიფიქრა. — ეგ აკავებს, თორემ აქამდე თავის ქალა ყვავილივით გადამეფურჩქნებოდა.“ გამთენიისას ჩაეძინა. მკვდარივით. კარგა ხანს ეძინა.

„რომელ სართულზე?“ — ძილ-ღვიძილში მყოფს დავითას ხმა ჩაესმა. ეუცნაურა. ახალგაღვიძებულზე არასდროს ფიქრობდა მასზე.

თვალი გაახილა.

— რომელ სართულზე ვართ? — ღიმილით ჰკითხა სანოლის კიდევ ჩამომჯდარმა დავითამ.

ესმამ თვალები მოიფშვნიტა.

— ცუდად გეძინა? კვნესოდი.

ესმამ არ იცოდა რა ეპასუხა. პასუხი კი არა, კითხვებით იყო სავსე: „დავითა?! მღვიძავს? რა? როგორ? რაროგორსაიდან? ვაიმე? წირპლები ხომ არ მაქვს? რა მოხდა? მძინავს? მოვკვდი? დავითა?“ არ იცოდა, რა ეთქვა, ან რა ექნა? საუკეთესო გამოსავალი თავისით გამოიძებნა, — გული წაუვიდა.

დავითამ მოასულიერა, გაუღიმა. იმან — გაუღიმა, ეს — დამშვიდდა. უსიტყვოდ შეხმატკილდნენ, მოერგნენ.

ტელეფონმა დარეკა. ტელეფონმა — დარეკა, ეს — შეხტა. ესმაზე ვამბობ, თორემ მეორეს შეხტუნება ეგრე ადვილი არ იყო, ესმას წონისა მარტო თავდაჯერებულობა ესხა თვალეში... მძიმედ ადგა, ტელეფონი მოიტანა და ესმას ჩაუდო კალთაში. ლანკა რეკავდა.

— გეძინა? გაგიჟდები, ისეთი ამბები ხდება! ახლა შენ კი არ შეგეშინდეს, მაგრამ ძალიან საშიშია: ქალაქში ვილაც ადამიანები გაჩნდნენ. მგონი უცხოპლანეტელები. — ლანკა რეაქციას დაელოდა, მაგრამ ესმა დუმდა. ლანკამ დუმილი რეაქციად მიიღო. „გაოცებისგან ენა მუცელში ჩაუვარდა.“ გაიფიქრა და განაგრძო. — მკითხავი გინდა, ექსტრასენსი გინდა, კიდევ ისინი რომ არიან... ყველა ტელევიზორშია. ასე ამბობენ, რალაც შრეები გათხელდაო, პარალელური სამყაროდან დერეფანი გაკეთდაო, წარმოსახვის გამატერიალურება მაგის შედეგიაო. დაჟინებით ნაფიქრი ადამიანები ხელშესახებად ჩნდებიან, რალაც ველებია არეულიო. ვაიმევე, საგიჟეთია! ლამის გული წამივიდეს! თუ ვინმემ დაგიკაკუნა არ-გა-ა-ლო! ბერი პეტრე ამბობს, — აღსასრულიაო, ეშმაკები გაჩნდნენ ღვთის შვილების საცდუნებლადო. თუ არ მოვიწინებთ, ვერ გადავრჩებითო. ერთი მართალი მაინც თუ გადაურჩა ამ ეშმაკების კლანჭებს, ღმერთი შეგვინდობს, არ გადაგვაშენებსო, ჟამი მოვიდაო, — ამბობს... მისმინე, იქნებ ის ჯანდაბა კომეტა დაეჯახა დედამიწას, ჰა? როგორ ფიქრობ? კომეტა ან მფრინავი თეფში. მთელი ქალაქი პანიკაშია! ისე შემშინა, ლამის გული წამივიდეს... ესმა... მანდ ხარ? ესმა!..

ახალმა დავითამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ძირს დაფინა, საგულდაგულოდ დაუთოვებულ შარვალს ორი თითით მაღლა აქანა და ცხვირსახოცზე ჩაიმუხლა. ესმას თავი კალთაში ჩაიღო, ყურმილი იატაკიდან აიღო, დაკიდა. გათავისუფლებული ხელით ლოყებზე მსუბუქად შემოარტყა. ესმამ თვალი გაახილა.

ნოხზე ჩამუხლულმა შაკომ რიგრიგობით აანეგინა შიშველი ტერფები სანოლზე ჩამომსხდარ გოგოებს. „ახლა რომ შევუღულტუნო“ — თავისდაუნებურად გაუელვა. რა დროს ეს იყო? მაღალ ხმაზე ჩართული ერთი და იგივე მელოდია მეორედებოდა და მეორედებოდა. ბოლო ფეხიც ასწია, შეიხედა. არა, სანოლის ქვეშ არ იყო. ტელეფონს ეძებდა.

— ვეფქუნია, ამას ეძებ? — დივანზე წამოწოლილმა, აჟურულ საცვალში დუნდულებჩალაგებულმა ლამაზმანმა ფისოსავით დიკრუტუნა. ლაბასავით უთიმთიმებდა ფაფუკი მკერდი. ზედ ტელეფონი ედო. ხმოვანთან ერთად ვიბროზარზეც იყო ჩართული...

შაკომ გოგოს ყურადღება არ მიაქცია, ტელეფონს ეცა.

— დათვო... — გოგო გაიბუტა, ბოლო წკიპამდე გაებუშტა ისედაც დაბერილი ტუჩები. — დათვო! — გაიმეორა. რომელი ტორებიანი შაკო იყო, მაგრამ ქალი-ფისოების ასოციაციებს რას გაუგებ?

— როგორ უნდა ვიყო?! — ტელეფონს ჩაჰყვირა. არ ჩანდა შაკო ბედნიერი. არადა, რამდენიმე დღის წინათ რომ გეკითხათ, რა გჭირდება ბედნიერებისთვისო, ზუსტად ამას ინატრებდა — ყველა მაგარი ქალი, რომელზეც ოდესმე უოცნებია, მის საძინებელში გაჩენილიყო.

— პაროლგატეხილი ფეისბუქით ვარ, ჩემი... ყველა პირადი წერილი კედელზე ამომიყარეს. ყველა აქაა, ტო! თათა ორი დღეა იქით ოთახში ჩაიკეტა. მაგრამ ტეხავს, ჩემი...

შაკო ცოლის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, რაც არანაკლებ გასაკვირი ამბავი იყო, ვიდრე ქალაქში ადამიანების უცაბედი გაჩენა-მომრავლება. ცოტა რომ დამშვიდდა, დაბნეულობამ და გაოცებამ რომ გაუარა, თავის საქციელი ინანა. ინანა, რომ ძვირფასი დრო ძმაკაცთან საუბარში გაფლანგა...

პირველ ორ დღეს ვერ მოიცალა შაკომ, მესამე დღეს კი თათასთვის ბოდის მოხდა გადაწყვიტა. მთლად ბანალურ „ბოდში“ — მდე დაცემას არ აპირებდა. ოთახში გამოკეტილი, გულნატკენი, ტირილისაგან დაღლილი ცოლის გულის მოგებას უამსიტყვოდ შეძლებდა. ჯერ აბაზანაში შევიდა, თხემით ტერფამდე გაბნეული ტუჩის წითელ-ვარდისფერი ანაბეჭდები ჩამოირეცხა სხეულიდან.

„განვსპეტაკდი.“ — გასამხნევებლად თავს გაეხუმრა და თათას ახალი აპარტამენტისკენ მხნედ გაემართა. კართან გაჩერდა. სულელური აზრი მოუვიდა: „რომ შევიდე და ლუსტრაზე ჩამოკიდებული დამხვდეს.“ მშვიდი, თავდაჯერებული შაკო უცებ სულ სხვა შაკოდ გადაიქცა. ეს მეორე ძალიან ლელავდა. დაკაუნებამდე უფრო მეტად, ვიდრე დაკაუნების შემდეგ.

კარი ბიჭმა გაუღო.

— ვა, აქ ხარ, ძმა? — ძმაკაცის დანახვა გაუხარდა შაკოს. მის ზურგს უკან კიდევ ორ ძმაკაცს მოჰკრა თვალი. — დაგერეკათ მაინც, შეჩემა, თუ მოდიოდით.

ბიჭები არ უღიმოდნენ.

— რა გჭირს, ტო?! — ერთ-ერთს თავზე წამოარტყა.

— დაანებე. — მშვიდად უთხრა მუდამ ნერვიულმა თათამ, ტანზე შემოხვეული ზენარი აუჩქარებლად შეისწორა და თმა თითებით ჩამოივარცხნა. — ისინი არ არიან ესენი, ესენი სხვები არიან.

რამდენიმე დღეში ქალაქი ორეულეებით აივსო. მართალია, შოკი დიდი იყო, მაგრამ საყოველთაო პანიკა მალე ჩაცხრა. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. სიახლე მიიღეს, შეეგუვნენ. ერთადერთ უცნაურობად იმას თვლიდნენ, რომ ახალ ადამიანებს ჩრდილი არ ჰქონდათ.

— როგორ შეიძლება, ადამიანს ჩრდილი არ ჰქონდეს? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს და პასუხად მხრებს იჩეჩავდნენ. ახალი ადამიანების უჩრდილოობა ისე უკვირდათ, თითქოს თავად მათი გაჩენის ფაქტი კანონზომიერი ყოფილიყო.

ბევრი ადამიანი გაბედნიერდა. ბევრს აუხდა ისეთი ოცნება, აქამდე აუხდენელი რომ ეგონა. უიმედოდ შეყვარებულებს ისინი,

ვისთან მხოლოდ ერთი პაემანის სანაცვლოდაც კი მზად იყვნენ სული ეშმაკისთვის მიეყიდათ, ახლა გვერდით ეწვათ.

ცოტა ხანში ქალაქის მკვიდრი არათუ შეეჩვივნენ ამ უცნაურ ამბებს, სხვანაირად ცხოვრება უკვე ვეღარც კი წარმოედგინათ. აქამდე რა უბედურები ვიყავით, საერთოდ როგორ ვარსებობდითო, — უკვირდათ.

ქალაქის მერმა ბრძანება გასცა, დაენწყით მოქალაქეების აღწერა, — ჩრდილიანებისაც და უჩრდილოებისაც. ჩათავდა დამღლეი პროცესი და აღმოჩნდა, რომ უჩრდილოების უმეტესობა ჩრდილიანობას იბრალებდა. ერთი სახელ-გვარისა, ასაკისა და მამის სახელისა რამდენიმე ჩრდილიანი დაფიქსირდა.

— თავი მოატყუებინეთ? მასხრად აავადებინეთ მერის ბრძანება? რაო, სიტყვაზე ენდეთ? რატომ არ შეამონმეთ?! — ხელქვეითებს უყვიროდა მერი. — მოიფიქრეთ რამე! ახლავე! ხელახალი აღწერა დაიწყეთ!

მოიფიქრეს: მოქალაქეები ბნელ ოთახში შეჰყავდათ. სახით ზენარგაკრულ კედელთან აყენებდნენ და ძლიერ შუქს ანათებდნენ. თვლებში არა, ზურგზე. თუ კედელზე ჩრდილი გაჩნდებოდა, ესე იგი ჩრდილიანი იყო, თუ არა და — უჩრდილო.

— ოჰომ! — გადარჩევის ხერხი მოეწონა მერს. დარეკა, სადაც ჯერ არს.

„ასე მოვიფიქრე... გაამართლა... აჰ, რა გენიოსი, უბრალოდ, ქალაქის უსაფრთხოებაზე ვზრუნავ...“

მეორე დღესვე პრემია გამოუნერეს. თავმდაბლად იუარა, მაგრამ მაინც მიიღო.

ყოველდღიურად ემატებოდნენ ქალაქს უჩრდილოები. შეყვარებული წყვილების ყოველი მშვიდობიანი გასეირნება ცენტრალურ ქუჩაზე მიტინგი ეგონა დაზარულ მთავრობას. ქალაქში ხალხის ტევა აღარ იყო. რაღაც უნდა ელონათ. პარლამენტმა ახალი კანონი შემოიღო, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეებს ეკრძალებოდათ შვილის გაჩენა.

ერთ მოქალაქეს უფლება ჰქონდა ჰყოლოდა მხოლოდ ერთი ქმარი, შეყვარებული ან საყვარელი. იყო ლაპარაკი იმაზეც, მალალ ეშლონებში მყოფთათვის გამონაკლისი დავიშვათ. მათი „ერთი ცოლი (ქმარი)“ გათანაბრებულიყო „თითო ჩრდილიანი და თითო უჩრდილო ცოლის (ქმრის)“-ს მნიშვნელობასთან. კანონის ამ პუნქტს უნდა რქმეოდა 1=2. მაგრამ მათემატიკოსი მოქალაქეების გალიზიანებას მოერიდნენ...

ახალი კანონების შემოღებამ შედეგი თითქმის არ გამოიღო. ვის შეუძლია გააკონტროლოს, კანონს დაუმორჩილოს სურვილები? ბაქტერიებივით მრავლდებოდნენ ადამიანები. თუკი აქამდე ადამიანის გაჩენა-გამრავლება მხოლოდ ქალებს შეეძლოთ, ახლა მთავარი წარმოსახვის უნარი იყო, სქესს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ის კი არა, კაცების (წარმოსახვით) გაჩენილი უჩრდილოები, პროცენტულად, ბევრად აღემატებოდა ქალებისას. რის „მხოლოდ ერთი(!)“, თითო კაცს სამი საყვარელი მაინც ჰყავდა. ქალები შედარებით კანონმორჩილები აღმოჩნდნენ. თითო ჩრდილიან ქმარსა და თითო უჩრდილო საყვარელს სჯერდებოდნენ. შვილებს კი საერთოდ აღარ აჩენდნენ. არცერთი უჩრდილო ბავშვი არ იყო ამ ქალაქში.

— ამ ერთ კანონს მაინც ხომ ემორჩილებიან? დასაწყისისთვის ეგეც კარგია: დღეს შვილს არ გააჩენენ, ხვალ საყვარელს აღარ გაიჩენენ. — თავს იმშვიდებდა პარლამენტი.



მხატვარი ბერდა არაბული

— გაივსო ქალაქი! როგორმე უნდა შევგაჩეროთ ეს სიციფე!
— თათბირს თათბირზე ატარებდა მერი. — მოიფიქრეთ რამე!
ამჯერად ვერავინ ვერაფერი მოიფიქრა. ერთმა თქვა, —
ახალი კანონი ყველაფერს დაარეგულირებსო. დანარჩენებმა
თავი დააკანტურეს. ეს იყო და ეს.

სიტუაცია უმართავი გახდა. ქუჩის გრძელ სკამებზე, სა-
დაც ადრე მოხუცი მემზესუმზირეები ისხდნენ და თვლემდ-
ნენ, ახლა წყვილები იწვნენ და რიტმულად ირნეოდნენ. ძველ,
მშვიდ დროს მისტიროდნენ შეურაცხყოფილი სკამები... უჩრ-
დილო ქალები ზღვარგადასულად ვნებიანები იყვნენ, მაგრამ
უნაყოფოები. კაცები — მეტისმეტად ტემპერამენტიანები,
მაგრამ სიცოცხლეს ვერ თესავდნენ.
უშვილოები იყვნენ უჩრდილოები.
პარლამენტში ეს ამბავი ჯერ არ იცოდნენ...

ვევლინამ კიდევ ერთხელ გამოიხედა ფანჯრიდან. მარკეტის
წინ უკვე შეკრებილიყვნენ მეზობლის ქალები. ასე იცოდნენ, —
მარკეტისგან გამოსულები ერთმანეთს ელოდებოდნენ, რომ მერე
დილის გამამხნეველები ჭორაობა დაეწყათ. ეს უფრო მეტ
ენერგიას აძლევდათ, ვიდრე ფინჯანი ყავა. სიმხნევე მთელი
დღე მიჰყვებოდათ. შესაშური ურთიერთგაგების უნარს ფლობ-
დნენ: ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა და თითოეული ყვე-
ლას მონათხრობს იგებდა. ეველინას საყვარელი გართობა იყო:
შაბათ-კვირას ფარდის უკნიდან გადმოხედავდა ხოლმე, როცა
მოჭორავეთა ქოროს მთლიანი შემადგენლობა მოგროვდებოდა,
მერე ჩამოდებოდა და ერთი ქალის სპექტაკლს თამაშობდა.

დრო იყო. კარი გამოიხურა, კიბე ჩაირბინა.
— მობრძანდება. — იდაყვი გაჰკრა ერთმა ფერ-ხორციან-
მა მეორეს. ეველინამ საერთო გამარჯობა გამოიმეტა და მარ-
კეტში შენარნარდა, ორი პური იყიდა. არადა, პური-ფუნთუშე-
ულს საერთოდ არ მიირთმევდა, მკაცრ დიეტაზე იყო. პურის
ყიდვა სცენარით იყო გათვალისწინებული. რა ტყუილად მოჰ-
ქონდათ მეზობლებს თავი ჭკვიან ქალებად, რა ტყუილად იშ-
ხამავდნენ ჭორაობით ამაღლებულ განწყობას... გული უმძიმ-
დებოდათ იმის გაფიქრებისას, რომ განგებამ ეველინას
სრულყოფილი აღნაგობა ლანგრით მიართვა. აგე, დღეში ერ-
თი პური არა ჰყოფნის და მანაც ფორმაშია, ესენი კიდევ თავი-
ანთი დღე და მოსწრება დიეტას იცავენ და მანაც...

ვევლინა ხუმრობის გუნებაზე დადგა, კარიდან მიბრუნდა და
კარაქიც შეიძინა. ცალი თვალით გაიხედა. ეფექტი აშკარა იყო:
ქალები იშლებოდნენ. ბევრი გაგებით: დაიშალნენ (სახლებისკენ
ინყეს წასვლა), მოიშალნენ (ნერვები აუშალათ), ნაიშალნენ (ნა-
კეთები აერიათ). დღეს მძიმე დილა ჰქონდათ სამეზობლოში.

ვევლინას სადარბაზოსთან ბიჭი იდგა, მისკენ მიმავალ გა-
ოცებულ ქალს თვალს არ აცილებდა. ეველინა თვალებს არ
უჯერებდა — მის წინ იკა იდგა.

— ჩემი მისამართი როგორ გაიგე? — ჰკითხა აღელვე-
ბულმა.

— შენ... თქვენ... მე მიცნობ?... თ?... დაიბნა ბიჭი.

— იკა, დაგავინყდა, რომ შენი პროფილის ფოტო ნანახი
მაქვს?

— სად? ვინ იკა? მე შალვა ვარ, შაკო ანუ.

„მადებლებს.“ — ეველინას პატივმოყვარეობა აეჯავრა.
ადამიანი, რომლის გამოც ოჯახი დაენგრა, მის წინ იდგა და
ასულელებდა. ფიცხები იყვნენ ეველინა და მისი სიამაყე.

— ტაქსი!

ვევლინა მანქანაში შევარდა, კარს ხელი ჩაავლო და დაბნეულ
შაკოს მთელი ძალით ცხვირწინ მიუჯახუნა. ტუჩი სიმწრით მოი-
კნინდა მორიდებულმა მძღოლმა. პროფილაქტიკიდან მოდიოდა.

„ვილაცას ჩემი ფოტო ეყენა და ისე აბამდა.“ — როგორც იქ-
ნა სიტუაციაში გაერკვა შაკო და ნერვები მოეშალა. იმ სხვაზე
არა, საკუთარ თავზე. ნელან რატომ ვერ მოისაზრა? როგორი
შანსი გაუშვა ხელიდან! ფაქტობრივად, მუქთად შებმული ქალი

ვერ გამოიყენა. ეთქვა — ო, დიას, ეს მე ვარ — იკა. „ვილაცას იმ-
დენი უმუშავია, შანსი არ იყო, სახლში არ ავეყვანე. აუჰ, ჩემი!“
ვევლინამ მძღოლს მექანიკურად, დაზეპირებულივით
უთხრა მისამართი და ვიდრე ტაქსი გაჩერდებოდა, იკაზე ფიქ-
რობდა, ბრაზობდა, მის საქციელს ახსნას ვერ უძებნიდა.

„ვითომ ვერ მიცნო... მის გამო ოჯახი დამენგრა. ეს კიდევ...“

— მოვედით, — უთხრა მძღოლმა და მორიდებით დააყოლა:
— თუ შეიძლება კარი ნელა მიხურეთ, დღეს გამოვაცვლევინე...

ფული გადაიხადა, გადმოვიდა და გაცოცდა. სრულიად გაუ-
აზრებლად დავითას მისამართი უთქვამს მძღოლისთვის...

„ალბათ ასე იყო საჭირო.“ — გაიფიქრა. უცებ ისე ძალიან
მოუნდა დავითას ნახვა... რატომაც არ უნდა ასულიყო და ენა-
ხა? ბოლო-ბოლო ის კლასიკური ფრაზა მანაც ხომ უნდა ეთქ-
ვა? „ეს ის არ იყო, რაც შენ იფიქრე, საყვარელო.“

ვევლინამ მშობლიურ ფანჯრებს ახედა. დავითას შარვალი
სარეცხის თოკიდან ხელს უქნევდა. რა კავშირშია, მაგრამ
ვევლინა ამ წუთას მიხვდა, რა იყო ისეთი, რაც დავითას სხვა
მამაკაცებისგან გამოარჩევდა, ის, რასაც ეველინა სხვების
მზერაში ვერ პოულობდა:

„არა მხოლოდ კაცი, არამედ მამაც და ძმაც.“ მზრუნველი
იყო დავითა.

მხოლოდ დავითასგან გრძობდა იმაზე მეტს, ვიდრე მხო-
ლოდ მისი გარეგნობით აღფრთოვანება, მასთან ფიზიკური
სიახლოვის სურვილი იყო.

კიბე ფეხსაცმლის ქუსლების წკაპუნით აირბინა. დააკაუ-
ნა. არა, ჯერ თმა შეინორა, გაიღიმა და მერე დააკაუნა. ეჭ-
ვიც არ ეპარებოდა, რომ დავითა მოუსმენდა, რომ მიიღებდა.

— ვინ არის? — იკითხა ქალმა.

ქალმა.

ქალმა?

ქალმა!

კარი გაიღო. ზღურბლს იქითაც და აქეთაც ეველინა იდგა.
სამი წამი და ზღურბლსგარეთ მდგომმა ეველინამ კიბე უფრო
ხმამალალი წკაპუნით ჩაირბინა, ვიდრე ამოირბინა.

— მოვბრუნდი. — უთხრა ტაქსის მძღოლმა. — პური და კა-
რაქი დაგარჩენიათ მანქანაში.

გაკაპახებულმა ეველინამ პარკი გამოართვა და მოისრო-
ლა. ვიდრე გაოცებული მძღოლი რამეს მოისაზრებდა, მანქა-
ნაში ჩაჯდა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და კარი მთელი ძალით
მიიჯახუნა.

— ვინ აკაუნებდა, ეველინა? — გასძახა დავითამ.

— მისამართი შეეშალათ. — ცივად უპასუხა უჩრდილომ.

— ჰოდა, ძმაო, როგორ ხდება, ველარ გამიგია. — შეწყვეტი-
ლი საუბარი განაგრძო დავითამ. — აი, თუნდაც ესენი ავილოთ:
ეს ეველინა ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ის ეველინა. ხა-
ლიც კი ისეთივე აქვს ზურგზე. როგორ წარმოიქმნა ან ის ხალი,
ან თვითონ ეველი? როგორ ხდება ასე? თან, თითქოს ზუსტად
ერთნაირები არიან და თანაც — აბსოლუტურად სხვა და სხვა...

— დავით, ნუ ართულებ. აქამდეც ხომ არსებობდნენ ტყუ-
პები? ზუსტად ერთნაირი გარეგნობისა და სხვადასხვა ხასია-
თის ტყუპები არ გინახავს? რატომ ის არ გიკვირდა?

— რა ვიცი... დაბნეული ვარ. ისე უცებ გაჩნდით... თან ეგ-
რევე ზრდასრულები...

— ხომ გასმის, როგორ ჯღავის ყოველამ შენი მეზობლის
ბავშვი? რა საჭიროა ამდენი წვალემა იმაზე, რისი გაკეთებაც
სულ იოლად შეიძლება? განა ბავშვებს იმისთვის არ აჩენენ,
რომ დიდები გახდნენ? არ ჯობია ეგრევე დიდები გაჩნდნენ?

— რა ვიცი... მანაც არაა ეს ნორმალური.

— დრო იცვლება. რომელი საუკუნეა? ყველაფერი მარტივი და
კომფორტული ხდება. ძველად ხელნაწერები იყო. სამ პირზე რომ
გაგვერცვლებინა, რამდენი უნდა გენვალა? მერე შემოვიდა კომ-
პიუტერი. დანერ ერთხელ და დააკოპირებ რამდენსაც გინდა.
უცებ, უპრობლემოდ. განა შეიძლება თქვა, რომ ეს არაა ნორმა-
ლური?

— რა ვიცი... — თქვა დავითამ. სიჩუმე ჩამოწვა. მარადწარ-
თული ტელევიზორიც დადუმებულიყო. სამუდამოდ. უჩრდილო
ვევლინას გაჩენის საღამოსვე „შემთხვევით“ რაღაც გაუფუჭდა...

ირა ისევ მარტო ცხოვრობდა, არავინ შემომატებია. სანამ
სხვები კონკრეტულ ადამიანებზე ფიქრობდნენ, ოცნებობდ-
ნენ და ამით მათ უნებურად ამზადებდნენ უცნაური, უჩრდი-
ლო დაბადებისათვის, ირა მხოლოდ მის სხეულში მცხოვრებ
„მე“-ზე ფიქრობდა. სხვებმა ზუსტად იცოდნენ, ვისთან ერ-
თად სურდათ ყოფნა, ირა კი იმის გარკვევას ცდილობდა, ვინ
უნდოდა, რომ ყოფილიყო.

როცა ეველინა პირველად ნახა ეკრანზე, სავსე, ნაკეთებ-
ნაქრნი, თვალებს უკან მიყრილი ნაკვერჩხლებით — თითქოს
რაღაცას მიხვდა, რაღაც სხვა იგრძნო. ადგა, ფანჯრები გამო-
ალო და მას მერე აღარც დაუცქეავს.

„ამხელა გოგო... ამხელა გოგო... გოგო...“ — ამისგან, შარ-
დის სუნისგან უნდოდა გათავისუფლება. უნდა გაენიავებინა.
მაშინ ცოცხლები იყვნენ სიტყვები. მაშინ უჩრდილო ადამიან-
ის ნარმოდგენა ნარმოუდგენელი რამ იყო. მაშინ ცოცხლები
იყვნენ სიტყვები, ცხოვრებას ართულებდნენ. ირა ფიქრობდა,
რომ იმ საძაგელი სუნის მოცილება შეუძლებელია. ახლა
„შეუძლებელია“ მკვდარი იყო, ისევე, როგორც „აუხდენელი“
ან „ოცნება“. თითო უჩრდილოს გაჩენა თითო სულგაცლილი
სიტყვის ხარჯზე მოდიოდა. ამ მცირე მსხვერპლზე არავინ
ფიქრობდა, არ ენანებოდათ. ალბათ უღირდათ...

ერთ უმთვარო ღამეს ირას ლოყები გაუხურდა, აენვა, გა-
ელვოდა. იმდენ ხანს იფხანა, ვიდრე ფრჩხილები კანის ნამცეცე-
ბითა და სისხლით არ ამოეცხებოდა. გაოგნებული წამოდგა,
სარკესთან უნდოდა მისულიყო, მაგრამ ისე აუტანლად აქეზა
მუცელი, ნაბიჯი ვეღარ გადადგა. მერე — ზურგი, ფეხები...
მთელ სხეულს მუნიაწივით იფხანდა და უცებ... ხელი კანკა-
ლით ჩააყოლა ქავილისგან აქერცლილ, გახურებულ სხეულს...

სარკეში ჩასახედად აღარ გასულა. უსარკოდაც ხედავდა,
გრძნობდა, როგორ ჯიუტად მოინეგდა ჯარით მწყობრში
ჩამდგარი თმა მის სახეზე დასაბანაკებლად, გაუხეშებული კა-
ნის ზედაპირიდან ამოსა-წვერად...

3.

დავითამ უცნაური სიზმარი ნახა. აღარ ახსოვდა — რა? იქ-
ნებ არც იყო უცნაური, მაგრამ ის, რომ დავითამ სიზმარი ნა-
ხა, უკვე უცნაურობა იყო. რაღაცნაირად კარგ განწყობაზე
გაიღვიძა. პირი დაბანა, სარკეში თავი შეითვალიერა და...
შეცბა. სულ სხვანაირ ანარეკლს ელოდა, სხვანაირი ახსოვდა
თავი. ეს „ვილაც“ უსიამო გარეგნობის კაცი თავისიანადაც კი
ვერ მიიღო არათუ — საკუთარ თავად. როგორ შეცვლილა, რას
დამსგავსებია...

სადღაც, დავითას გულის მიყრუებულ კუნჭულში მძინარე
სიამაყემ გაიზმორა, ცალი თვალი გაახილა.

გარეთ გასვლა მოუნდა დავითას. უფრო სწორად — შინი-
დან წასვლა, ამ ანარეკლისგან გაქცევა.

„დღეს აღარ დავლევ.“ მტკიცედ გადაწყვიტა. არყის ბოთ-
ლი მხოლოდ და მხოლოდ „რა იცი, რა ხდებას“ პრინციპით ჩა-
იიღო ჯიბეში, დალევას არ უპირებდა. უხმაუროდ გაიხურა კა-
რი. ძმოს ეძინა.

სადარბაზოდან გამოვიდა თუ არა, მზემ ეგრევე თვალის
გუგებში აძგერა წვეტიანი სხივები. სახეზე ხელები აიფარა.
რაღაცნაირად, დაჩაგრულად, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.
ლამის ცრემლი მოადგა. შინ დაბრუნება მოუნდა. შებრუნ-
და, კიბის საფეხურზე ფეხი დადგა, მაგრამ თითქოს მნიშვნე-
ლოვანი გადაწყვეტილება მიიღო, სწრაფი ნაბიჯით წავიდა
გასასვლელისკენ. მზის განმეორებითი შემოტევა არაფრად

ჩააგდო. გარეთ ისეთი სიამაყით გამოვიდა, გეგონება დიდი
ვაჟაკობა ჩაედინოს. ცოტათი კი ეთანაღრებოდა გული,
თითქოს რაღაც აკლდა... თითქოს რაღაც მარილი აკლდა ამ
გმირობას.

დღემდე თავი გმირად არასდროს უგრძნია. არც დიდობა-
ში და ბიჭობაში, — მითუმეტეს. მრავალი წლის წინათ, ამავე
სადარბაზოსთან, მისი ტოლი მეზობლის ბიჭი დახვდა. ახალ-
ნაყიდი „რაგატკა“ დათუნაზე (მაშინ ეგრე ეძახდნენ) გამოს-
ცადა. დაუმიზნა და კენჭი შიგ შუბლში მოარტყა.

— დაგიბრმავე, მესამე თვალი, გენიოსა? — გადაიხარხა-
რა და გაიქცა.

დათუნა სადარბაზოში ჩაიკეცა. შუბლიდან გადმოჟონილი
სისხლის წვეთისხელა ცრემლები გადმოეღვარა თვალებიდან.
ტკივილს ვერ გრძნობდა, საკუთარი სიმხდალე ატირებდა. რა
იქნებოდა, იმ ბიჭის ცემისთვის თუ არა, შეგინებისთვის სამ-
ყოფი გამბედაობა მაინც რომ ჰქონოდა?!

— ნაი, შენი კარგიც... — მზის მისამართით აისროლა და-
ვითამ. თან ისე, რომ ზემოთ არც აუხედავს. ეგლა აკლია, მეტი
საქმე არა აქვს, ვილაც მზეს დასდოს პატივი და ახედოს!

აეგრე! — ახლა აღარც მარილი აკლდა და აღარც პილპი-
ლი. გულის მიყრუებულ კუნჭულში დილის გამამხნეველ
ვარჯიშს ასრულებდა ახალგაღვიძებული სიამაყე.

დასაქოქ სათამაშოს ჰგავდა ჩქარი ნაბიჯით მოსეირნე
დავითა. ვერაფერზე ფიქრობდა, ვერაფერს გრძნობდა, მხო-
ლოდ ნაბიჯებს დგამდა. სცადა, განა არ სცადა, რომ გონება
დაეძაბა და საფიქრალზე გადაერთო, მაგრამ არაფერი გამო-
უვიდა. არადა, სულ ცოტა, ორი საკითხი ჰქონდა გასაანალი-
ზებელი: ცოლის წასვლისა და ძმოს მოსვლისა. ვერაფრით
შეძლო ყურადღების მოკრება. ამდენი უშედეგო მცდელობი-
სა და უმისამართოდ სიარულისგან დაიღალა. გაჩერდა. შეის-
ვენა. ჯიბიდან ბოთლი ამოიღო და გადაჰკრა. თავი უკეთ იგ-
რძნო, თუმცა მსჯელობის ვერდანყების საქმეს ეს ამბავი ვე-
რაფერში წაადგა. თვალთ სკამს დაუნყო ძებნა. იქვე ყოფი-
ლა, რამდენიმე ნაბიჯში. სკამზე კაცი იჯდა, გაზეთს კითხუ-
ლობდა. დავითა დააკვირდა. კაცს, თორემ გაზეთები მის ყუ-
რადლებას რახანია აღარ იწყობდნენ... გაოცებისგან არყის
გადაყლაპვა დაავინყდა და პირის აქეთ-იქიდან ორ ზოლად
გადმოეღვარა. ხშირმა წვერმა ღრუბელივით შეისრუტა ნაც-
ნობი სითხე.

სკამზე ლექტორი დავითა იჯდა. ლექტორობისდროინდე-
ლი პიჯაკი ეცვა, სახე სუფთად გაეპარსა, თმა საგულდაგუ-
ლოდ დაევერცხნა, ზუსტად ისე, როგორც ლექტორობისას
ივარცხნიდა. იჯდა, გაზეთს კითხულობდა. ვითომც არაფერი.

ყელში ჩაშვებულ ორ და ერთსაც — წვერზე ჩაღვრილ
ყლუბს თუ არ ჩავთვლით, დღეს სასმელს არ გაკარებია. ამი-
ტომ მოჩვენების ვარიანტი თავიდანვე გამოირიცხა. გაოცე-
ბულზე გონებამ უფრო სწრაფად იწყო მუშაობა და დავითა
სიტუაციაში დროულად გაერკვა.

„ვილაც მყვარობს. — სითბომ დაუარა. — ვილასაც ჩემზე
იმდენი უფიქრია, რომ...“ — ფანჯრების მწკრივს თვალი
ააყოლა. ვერაფრით გაიხსენა, ვის იცნობდა ამ კორპუსში.
ისევ სკამისკენ გაიხედა. ასეთს ელოდა წელან სარკეში... აჰ,
რა ვაჟაკურია, მოვლილი, სიმპათიური... დავითას ტანში
სასიამოვნო, თბილ ტალღად დაუარა ნელანდელმა ორმა
ყლუბმა. „ასეთი იყო დავითა, დიას, ასეთითი!“ — გული სია-
მაყით აეცსო, მაგრამ ამ მზაკვარმა „იყომ“ სახედდახლოდ
საიდანღაც ყურით მოათრია მთელი ფუთი სევდა-ნალველი
და სალათას ძილიდან ახალგამოჩეკილ სიამაყეს ზედ თავზე
ჩამოამხო.

აღლევებულ-გაოფლილი დავითა მონინებით მიუახლოვ-
და ორეულს. თუმცა ამწუთას მათი მსგავსება-ორეულობა
ფრიად ძნელად ამოსაცნობი გახლდათ. დავითა თავს უხერ-
ხულად გრძობდა: ხუმრობა ხომ არაა, — ასეთი სოლიდურ კაც-
თან, ასეთი მოუწესრიგებელი თმა-წვერით... რა, მხოლოდ

თმა-წვერი? ვის ატყუებს, საკუთარ თავს? დავითამ ცხვირი საკუთარი ილლიისკენ გააპარა. ჯერ მარჯვნივ, მერე — მარცხნივ. რა უნდა ეგრძნო? ან რომ ეგრძნო, რას შეცვლიდა? ეგ იყო, რაც იყო. მორჩა.

— გამარჯობა. — როგორც იქნა, გაბედა. ჩუმი, მოგუდული ხმით მიესალმა ორეულს.

— გაგიმარჯოს. — გაზეთს იქიდან ამოაგდო და ფეხებთან სამადლო ლუკმასავთ მიუგდო სალამი უჩრდილომ.

საუბარი არ შედგა.

დავითამ ბოთლს ისე მაგრად მოუჭირა ხელი, იფიქრებდი, ჯიბეში ჩაეფშვებნებო. მარცხენა ჯიბეში ედო. მარჯვენა ხელი სალმისთვის ჰქონდა გამოთავისუფლებული...

ველარაფერი თქვა. ერთ დღეში ორი გმირობა მეტისმეტი იქნებოდა დავითას მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის. უხმოდ გატრიალდა.

უჩრდილო რამდენიმე წამს არ განძრეულა. მერე თავი დინჯად მიატრიალა უკან. ქედმაღლურად, ზიზლით გააყოლა თვალი მხრებში მოხრილ, გაბურძნულ დავითას. ფეხსაცმლიდან, ზურგის გავლით, კეფაზე აატარა მზერა და მკვეთრად შემოტრიალდა, ზურგი აქცია. ისევ რამდენიმე წამს მიყურდა, მერე წამოდგა, საგულდაგულოდ დაფერთხა გაზეთი, თითქოს წლების დაგროვილ მტვერს აცლისო. დაკეცა, ილლიაში ამოიჩარა და სადარბაზოში შევიდა. ხელი დასაკაკუნებლად ასწია თუ არა, სახლის კარი გაიღო.

— დავი, საყვარელო, ფანჯრიდან მოგკარი თვალი, სკამიდან რომ წამოდექი და...

— რამდენჯერ გითხარი, ნუ მითვალთვალე! ნუ მიღებ კარს, ვიდრე დაგაკაკუნებდე!

— მაპატიე, დავი. მაპატიე, საყვარელო...

უჩრდილო დავითამ უხეშად გასწია გვერდზე ესმა. საძინებელში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

ესმას ტირილი მოუნდა. რამდენი ხანი იყო, არ ეტირა. განა მიზეზი არ ჰქონდა?.. უბრალოდ, ასე ეგონა, ერთხელაც თუ გაბედავდა და იტირებდა, ამდენი ხნის ნაგროვებს ერთბაშად, ხმამაღლა თუ იღრიალებდა, წკეპლა შემორტყმული მატყლივით აიპენტებოდნენ მისი, საგულდაგულოდ ჩატკეპნილ-მიყურებული დარდები. გაიჩქებოდნენ, გაფუფვდებოდნენ, გაჯირჯვლდებოდნენ და ერთ მტკაველ თავისუფალ ადგილსაც აღარ დაუტოვებდნენ სასუთქად.

უჩრდილო დავითამ გაჩენამ მისი ცარიელი ცხოვრება ამოავსო. ისე ამოავსო, რომ ერთადერთი მეგობრის, ლანკასთვისაც აღარ დატოვა ადგილი. ესმა ბედნიერი იყო, ლანკა — ორმაგად უბედური. ჯერ ერთი, ბერნი წარმოსახვა აღმოაჩნდა, კაცი ვერ გააჩინა... მეორეც — ერთადერთი ხმის გამცემი, ესმაც დაკარგა.

ბოლო დროს უჩრდილო დავითა ძალიან შეიცვალა. მოფერებას ვინ ჩივის, აღარც უღიმოდა ესმას. მისი ნებისმიერი ქცევა თუ სიტყვა საშინლად აღიზიანებდა.

„განა ახლაც ბედნიერი არა ვარ? ვარ.“ — თავს იმშვიდებდა ესმა. — „განა მე უკეთესი დავითა არ მყავს? რასა ჰგავდა ისა?.. როგორ დააჩანჩაკა იმ ბოზმა? ეგრე უნდა, ღირსია! ჩემკენ გამოხედვას არ კადრულობდა ვაჟბატონი... დახედა თუ არა ჩემმა დავითამ ზემოდან?! ეგრე უნდა, ღირსია!“

სამზარეულოში შევიდა, ფანჯარაში გაიხედა. გული დაუძიმდა: „რასა ჰგავდა... მაგრამ... მაგრამ ის ნამდვილი იყო. ჩემთვის არასდროს უკოცნია ნამდვილ დავითას. ღმერთმა დასწყევლოს ეველინა!“

ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა. ოთახისკენ წავიდა. ცოტა ხანს კართან იდგა, ბოლოს გაბედა და შევიდა.

— დავი, უნდა ვილაპარაკოთ...

— რატომ შემოსხვიდი დაუკაკუნებლად?! რამდენჯერ გითხრა? სანამ არ დაგაკაკუნებ, ნუ ალებ და სანამ არ დააკაკუნებ, ნუ შემოდისარ!.. რაზე უნდა გელაპარაკო? მე სიმპათი-

ური, განათლებული, ტემპერამენტიანი მამაკაცი ვარ. მშურს, როცა ვხედავ, რომ ჩემი შესაფერისებით სავსეა ქალაქი, მე კი შენს გვერდით ვარ. შენი არსებობით განწყობას მიშხამავ, „საყვარელო.“

ესმა ჩაიკეცა, პირზე ხელაფარებული აღრიალდა. მატყლივით აიპენტნენ მისი ფიქრები, გაიჩქნენ, გაჯირჯვლდნენ, ყელში გაეჩხირნენ.

— განა ოდესმე შენთვის რამე დამიშავებია, დავი? — ამოიხავლა. — იქნებ უშნოც ვარ, მაგრამ შენთვის არასდროს არაფერი მიწყენინებია. არ დამიმსახურებია ასეთი... ასეთი...

— სიძულვილი. დაუმსახურებელი სიძულვილი. — სიტყვა მშვიდად შეაშველა უჩრდილო დავითამ. — ცხოვრება მისტიკაა, საყვარელო, ცხოვრება ბუმერანგია. ლამაზებსაც კი უხვად უგზავნიან დაუმსახურებელ სიძულვილს, არათუ უშროებს... და ზოგჯერ უშნოები თავისგან გატყორცნილ, უკან მობრუნებულ სიძულვილს უმანკოდ უფახულებენ გაქუცულ ნაწნამებს.

ესმამ ტირილი მომენტალურად შეწყვიტა. უჩრდილო დავითას ამჯერად მისი მოსულიერება აზრადაც არ მოსვლია.

შაკო სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა. დაღლილი, დამძიმებული. ტელეფონით ძმაცაცს ესაუბრებოდა:

— ბიჭო, ხო ამდენი არიან, არა?.. აი, უუუუუ! ძან მაგრები. მაგრამ მაინც იმ დედაფეთქებული ეველინას მულაში მაქვს. არადა, ზუსტად ეგეთი კარს იქით წელოდება... ეგ ხო, იასნია, ჩრდილს მაინც არ ჟიმავე, მაგრამ ნაღდი მაინც სხვაა, რაა. აი, როგორც ადრე სილიკონიანი და ნატურალნი იყო შესადარებელი, ეგეთი რამეა, რაა...

— მალე მორჩები? — თათა თავის წელს ზემოთ შიშველ ბიჭებთან ერთად კარებთან იდგა. ამაყად იდგა, თავდაჯერებულად. შაკოს იმაზე ტანადი მოეჩვენა, ვიდრე ახსოვდა. ცოტა არ იყოს, გული დასწყდა. თათას ხმა გაიგონეს თუ არა, შაკოს გოგოებიც გამოიშალნენ საძინებელიდან. ერთი კი ირონიულად ახედ-დახედეს დოინჯუმორტყმულ თათას, მერე შაკოს მიაჩერდნენ. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოესმინათ მისგან.

„ჯამში რამდენი წყვილი ძუძუა ნეტავ? — გაიფიქრა შაკომ და ტელეფონი გათიშა. — ანუ რამდენი თვალიც მიყურებს, ძუძუც მაგდენია, იასნია. — ქალებს გადახედა. თვალანთებულები მისჩერებოდნენ გოგოები. — ვაა... ამდენი, ტო?! თან ყველა ჩემია...“ მარჯვნიდან წამოყვა, სათითაოდ შეათვალერა. მარცხნივ, ბოლოში თათა იდგა, გულგრილად უყურებდა ქმარყოფილს.

„ყველას მინუს ორი.“ — გული დაწყდა შაკოს.

— ერთ თამაშს გთავაზობ, იდეა ჩემმა ბიჭებმა მომანოდეს... — თქვა თათამ, ერთ-ერთი ბიჭის დაკუნთულ მკერდს ხელი ნაზად ჩამოუსვა მუცლამდე. პრესის „კუბიკებს“ თითის წვერი გადაატარა.

— თქვი. — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა შაკომ. ნავარჯიშევი სხეული არასდროს ჰქონია.

— შევეჯიბროთ. თუ შენ და ეს ძალითნაშები უფრო მეტხანს გაქაჩავთ, ვიდრე მე და ჩემი ბიჭები — სახლდან წავალთ. და თუ გინდა გადმოაბარე შენი ბებერი ნაშა. ამის ორიგინალი... — თითი დამცინავად გაიშვირა ეველინას ორეულისკენ. სიბრაზისაგან ლურჯი თვალები შავად ჩაუმუქდა, „ასლს.“ — თუ ჩვენ გაჯობებთ, მოხვეტავ შენს ქალებს და ნახვალთ. მორჩა, აქ ყველა ერთად ველარ დავეტყვით. — შაკოს ძმაცაცის სახიანმა უჩრდილომ თანხმობის ნიშნად თავი რამდენჯერმე დააქნია, შაკოს სიძულვილით გახედა და საჩვენებელი თითი ნიკაპქვეშ გამოისვა.

შაკოს მუქარის შესტისთვის ყურადღება არ მიუქცევია. უყურებდა, მაგრამ არ დაუნახავს. თათას სიტყვებმა მხედველობა, სმენა, ყნოსვა... ყველაფრის შეგრძნება დაუკარგეს. მი-

სებრ მორალთან მწყურალად მყოფი ადამიანისთვისაც კი მიუღებელი, აბსოლუტურად წარმოუდგენელი შემოთავაზება იყო: საკუთარი ცოლი სექს-მარათონში ჩაბმისკენ მოუწოდებდა. უცებ ნამობტა, პურის საჭრელ დანას ეცა, მაგრამ უჩრდილო, ქუთუთოებზე უხვად ჩრდილნათხაპნილმა ქალებმა არ დაანებეს, საძინებელში გაიყვანეს. თათას ბიჭებმა მეორე ოთახიდან საწოლი შემოიტანეს, შაკოს საწოლის მოშორებით დადგეს.

სამი, ორი, ერთი... წავიდა!

„ხოლო ვინც სიძვასა და მრუშობას მისდევს, საკუთარ სხეულს დებს ეშმაკის სამსხვერპლოზე...“ — მიხურული ფანჯრის მინაზე ფეხი უსხლტებოდათ ბერის სიტყვებს.

...ცოტა ხანში შაკოს სუნთქვა შეეკრა, გული შეეკუმშა. შეეშინდა. უნდოდა დაეყვირა, უნდოდა ჰაერი ღრმად ჩაესუნთქა, უნდოდა წამომხტარიყო და გაქცეულიყო, მაგრამ ვერაფერს აკეთებდა, ზედ სამფენად ეწვინებოდა ქალები, განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ. სასონარკვეთილმა მუდარის თვალთ გახედა თათას, მაგრამ ვერ დაინახა, კაცების ხროვიდან მხოლოდ მისი კვნესა ისმოდა. ძელი სათქმელია, სიამოვნებისა თუ ტკივილის...

შაკომ თვალეები დახუჭა, სხეული დაჭიმა. თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა და წონასწორობის დაცვა უჭირდა.

სიკვდილისკენ უფრო დაღმართი იყო...

დავითა საკუთარ ორეულთან შეხვედრის მერე გულდამძიმებული, დაბნეული მიდიოდა შინისკენ. გულიდან დარდის გასანაივებლად გასული, დარდდამატებული ბრუნდებოდა.

„საკუთარ თავს ვერსად გაექცევი. — როგორც იქნა, მარტივი ანალიტიკური ფრაზისთვის თავის მობმა გამოუვიდა. — უსახურ დავითას გავექცი, სიმპათიურმა დავითამ არ მიმიღო, მაგრამ მე მაინც მე ვარ. საკუთარ თავს ვერსად გაექცევი.“

უჩრდილო ეველინა ცივად შეხვდა. ადრე თვალეებში შესცივნიებდა, ეხვეოდა, კოცნიდა. ახლა კი...

— ხანდახან სარკეში მაინც ჩაიხედე ხოლმე „ბატონო დავით.“ — ამრეზილმა შეათვალა იერა ზღურბლზე გადმობიჯებული დავითა. ვერ ჩანდა გუნებაზე.

სარკე იქვე ეკიდა, მაგრამ იქითკენ არცერთს არ გაუხედავს. უყურებდნენ თუ არა, სარკე თავის საქმეს ყოველთვის პირნათლად აკეთებდა. ახლაც დავითას დალილ, შემჭკნარ სახეს და ცრემლში ჩაყურყურელავებულ თვალეებს ირეკლავდა. უჩრდილო ეველინას არეკლავდა არ გამოსდიოდა. ძველი სარკე იყო, თანამედროვე სიახლეებისა არაფერი გაეგებოდა...

ერთმანეთს გაერიდნენ: უჩრდილო ეველინა სამზარეულოსკენ წავიდა, ჩრდილიანი დავითა — ოთახისკენ.

დავითას ოთახში ძმაო სიგარეტს აბოლებდა. კვამლის სქელი ღრუბელი ტივტივებდა ძმაოს თავიდან ჭერამდე.

— დღემდე არასდროს მოგიწვია... ფანჯარა მაინც გამოგელო. — ფანჯრის გამოლება დააპირა დავითამ.

— ხელი არ ახლო! — უბრძანა ძმაომ. — იმ წვერიანის სისულელეების მოსმენას აღარ ვაპირებ. მონევას რაც შეეხება, ვერაფერს დამიშლის. რატომ ჩამოგატორის სიფათი?

სიგარეტი, ბრძანება, „სიფათი“... — ძმაო ადრინდელს აღარ ჰგავდა. დავითას ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს დილით სხვა სახლიდან გავიდა და ახლა სულ სხვა სახლში დაბრუნდა.

— რა გჭირს, ძმაო? ან იმას რა დაემართა? დღეს ყველა ჩემს დამცირებას ცდილობთ...

— მე ვიცი რაშიცაა საშველი. — ძმაომ თვალი მოჭუტა, ღრმა ნაფაზი დაარტყა. კვამლის წვრილმა გველებმა ალყა შემოარტყეს დავითას. — დალიე. სიმთვრალე ყველა შეუ-

რაცხყოფას დაგავიწყებს. თრობა ნებისმიერ ტკივილს დაგიყუჩებს...

არა, ეს ძველი ძმაო აღარ იყო. რალაც ხდებოდა. დავითასა და ძმაოს ერთმანეთთან დამაკავშირებელი უხილავი ძაფი გამწყდარიყო. ახლანდელი ძმაო სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტი იყო. თვითონ წყვეტდა დავითასთან მეგობრობა-არ მეგობრობის, მისი დამშვიდება-ალევეების, ფანჯრის გაღება-მიხურვის საკითხებს. ძველი განწყობის, ურთიერთგაგების, ხმის ტემბრის ნასახიც არ შერჩენოდა.

დავითა თვალგაშტერებული იჯდა, ვერაფერს ხედავდა. სიგარეტის სურნელოვანი ნისლიდან ნელ-ნელა არყის ბოთლი გამოიკვეთა.

— დალიე საყვარელო. დალიე და შენი გავხდები... — ეს უჩრდილო ეველინა იყო. მისმა ძველებურად დათაფლულმა ხმამ, უღმერთო სილამაზემ, ცხელი ხელების შეხებამ უცებ მოთენთა დავითა. ბოთლი წამოიყუდა.

— კიდევ, კიდევ... — ესმოდა ახალ-ახალ ბოთლიყოფებულს. თვალეებს ველარ ახელდა. ოფლად იღვრებოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ სვამდა, არ ჩერდებოდა. უცებ მკერდქვეშ ტკივილი იგრძნო, თითქოს გულზე ხელი ნაუჭირესო...

ეველინა სამსახურიდან გამოვიდა, ეზოში შემოსასვლელ ჭიშკართან მივიდა, საათს დახედა და წარბები შეკრა. ლოდინს ისედაც ვერ იტანდა, დღეს — მითუმეტეს. ის იყო, ჭირვეულმა იუბილარმა წასვლა დააპირა, რომ მისგან რამდენიმე მეტრში ნაცნობი სილუეტი გამოჩნდა. ჰოლივუდის ყველაზე სიმპათიური მამაკაცი ღიმილით მოდიოდა მისკენ. მსუბუქად მოდიოდა, უჩრდილოდ.

— შენთვის სიურპრიზი მაქვს, დედოფალო. — უთხრა და ხელი მაღლა ასწია. წითელ ბაბთაგამობმული გასალები მზეზე ააპრილა. — შენ ხომ ჯიპზე ოცნებობდი... გილოცავ!

ამხელა საჩუქარს არ მოელოდა ეველინა. ჯიპის გასაღების გადმოცემას მხოლოდ ძილის წინა ოცნებაში თუ წარმოიდგენდა. აი, იმაში, ცხვრების თვალს რომ ანაცვლებდა ხოლმე უძილობისას...

— ჩემი პრინცი ხაარ! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა და ბიჭს კისერზე ჩამოეკიდა.

ბიჭი ირიბად იღიმოდა. უთეთრეს კბილებს აჩენდა. ასეთი ბიჭები ყოველთვის ირიბად იღიმიან და უთეთრესი კბილები აქვთ.

— შენ ეს დაიმსახურე, პრინცესა. განა შენისთანა მზეთუნახავს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ეკადრებოდა?

„მარშრუტებში ჯაყყაყი მართლა არ შემეფერებოდა, მაგრამ რატომღაც დღემდე ცხოვრებისგან ყოველთვის იმაზე ნაკლებს ვიღებდი, ვიდრე ვიმსახურებდი. მორჩა, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. როგორც იქნა, ჩემი დროც მოვიდა! — გაიფიქრა აფიტირებულმა ეველინამ. — გვერდით ზუსტად ისეთი მამაკაცი მყავს, როგორსაც ვიმსახურებ და ისეთი მანქანა მყავს, როგორიც შემეფერება.“

მანქანა შავად ლაპლაპებდა, ბიჭს თეთრი კბილები ჰქონდა (ჯიბეში — ბლომად „მწვანეები“), გასალებს წითელი ბაფთა ეკეთა... ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ბედნიერებისთვისაა საჭიროა. ერთადერთი, უმნიშვნელო პრობლემა ის გახლდათ, რომ ეველინამ მანქანის ტარება კარგად არ იცოდა.

— შენ ყველაფერი გამოგივა. შენისთანა ქალებს ყველაფერი გამოსდით. — შეაგულიანა უჩრდილომ და მანქანის კარი თეატრალური ჟესტით გამოუღო. — მეც მოგიჯდე? აჰ, არა, საყვარელო, რალაც პატარა საქმე მაქვს... ვიდრე შენ ახალი ამპლუით დატკებები, მეც გავთავისუფლდები და მერე სადმე ვივანშმობთ. ნუ გეშინია, მანქანის ტარებაში დახმარება არ გჭირდება. მსოფლიოში ერთადერთი ქალი ხარ, ვინც არა მხო-

ლოდ უზადოდ ლამაზი, არამედ უზომოდ ნიჭიერიცაა. მაჩვენე, რა შეგიძლია! თამამად, თამამად მიაჭირე გაზს!

ვევლინას სიამოვნებისგან თავბრუ დაესხა. კომპლიმენტები, ტემპერამენტის თაყვანისმცემელი, ახალთახალი მანქანა... აი, ის — ბედნიერება! აღარც პაპის ფეხების ბანვანზე ლეგენდების გახსენებაა საჭირო, არც ქმრის ფინჯანში კოვზის რახარუხი, არც აფერისტი უცნობების სულელური მსჯელობების ატანა, არც საღამოობით საკუთარი სახლიდან გაპარვა — დაჭრილი, ხმელი პურების ქურდულად გატანა-გადაყრისათვის... ნამდვილი ბედნიერება ფერადია, მზამზარეულად მოგდის და სანაცვლოდ არაფერს გთხოვს.

ვევლინამ ფანჯრიდან თავი გამოყო, გულუხვ თაყვანისმცემელს გულუხვად მიუყარა კოცნები დახვეწილნაკეთებიან სახეზე და გასაღები ამყად გადაატრიალა.

„შვიილებო...“

ირამაც კი მიხურა მუდამ გამოღებული ფანჯარა. ამ ქალაქში ბოლო დროს ხმაური ძალიან აღიზიანებდათ. ფანჯრის მინას შემსკდარი, ძირს ჩაცვენილი სიტყვები არ შეუმჩნევიან ირას, სამაგიეროდ, ახალთახალი ჯიპის საჭესთან მჯდარ ვევილინას მოჰკრა თვალი. შუქნიშანი წითლად ელვარებდა. ვევილინამ მექანიკურად ააყოლა თვალი უახლოეს კორპუსს. ფანჯარასთან მდგარ ირას თვალებში შეხედა, მაგრამ ირადანაც ისევე გულგრილად გადაიტანა მზერა, როგორც სხვა, ცარიელი ფანჯრებიდან.

„იცოდე, თუ დაგინახე და არ გაგიღიმე, ესე იგი, განა ვერ გიცანი, უბრალოდ ჩემს ღირსად არ ჩაგთვალე.“ — გაახსენდა ევევილინასგან მიღებული წერილი.

ახლა, როცა საბოლოოდ ამოიგლიჯა მეხსიერებიდან ის, რაც ყოველთვის ეხედმეტებოდა: ბავშვობა, დედა, მამა... ახლა, როცა თითქოს საკუთარი თავი იპოვა, ისეთი, როგორიც უნდოდა... სწორედ ახლა ჩასძახოდა ირას ახალ სხეულთან ერთად შემოსახლებული ახალი „მე“:

— მიდი, მიდი! დროა! აქ აღარაფერი გესაქმება!

სანოლის ქვეშიდან თოკის გორგალი გამოიღო, გარეთ გავარდა.

— ვაი მე! — ყურებზე ხელი იტაცა ლანკამ. ხმა იყო საზარელი. მის ზურგს უკან ახალთახალი ჯიპი დიდ ხეს შეასკდა.

შემინებული ლანკა გაიქცა. ის ხე რომ არა, ლანკას უსულო სხეული ახლა სისხლის ტბაში ეგდებოდა. ამის წარმოდგენამ შოკში ჩააგდო. გარბოდა, გარბოდა... ბოლოს დალილი ფეხები გაჯიუტდნენ, გაჩერდნენ. იქვე სკამზე ჩამოჯდა ლანკა, თვალები დახუჭა. ის ხე რომ არა, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა ლანკა. ნუთუ სულ ესაა ცხოვრება? რისთვის აგროვებ ყოველ კაპიკს? რისთვის იკლებდა ყველაფერს? რომ ასე უცებ მომკვდარიყო ქალაქისა და ცხოვრების შუა გზაზე? ლანკას ყოველთვის მიაჩნდა, რომ მთელი ცხოვრება წინაა. მისი ანმყო იმ „მთელი ცხოვრებისთვის“ მზადება იყო. ახლა კი მიხვდა, რომ „მთელი ცხოვრება“ უმალ წარსულია, ვიდრე მომავალი. ცხოვრება ყოველდღიურობაა. არ ღირს თავის მოტყუება, რომ შენი წილი საუკეთესო ამბები სადღაც მომავალში გელოდება.

— შვილო...

ლანკამ თვალები აახილა. მზეზე ნისკარტი უბრჭყვიალებდა მტრედს.

— შენ გჩუქნი, შვილო. გაუფრთხილდი. — გვერდით ეჯდა ბერი.

გამოართვა, გრილ ფრთაზე გაოფლილი ხელისგული გადაუსვა.

— არ გენანებათ?

— მოყვასისთვის არაფერი უნდა დაგინანოთ, შვილო. — თბილი, თბილი, მზისფერ-თაფლისფერი თვალები ჰქონდა

ბერს. — სიძუნწე, ვერცხლომყოფარობა, ანგარება — დიდი ცოდვია. შვილო... უნდა მოვიზიანოთ, ჩვენს ცოდვებს უნდა ვაჯობოთ. გახსოვდეს, ერთი მართალიც რომ დარჩეს, ღმერთი არ გადააშენებს ადამიანის მოდგმას... ნაიყვანე, გაუფრთხილდი.

ლანკამ მტრედი გულში ჩაიხუტა. ადგა, გზა განაგრძო. შინ ისევე ფეხით მიდიოდა, მგზავრობისას ზოგავდა.

— შეგიძლიათ თქვენი მტრედი მათხოვოთ? — წინ სიმპათიური ბიჭი გადაუდგა, ვნებიანად ახედ-დახედა, სხეული შეუთვალევდა.

ლანკამ უცნობს თვალი მოარიდა, მხოლოდ ფეხებთან დახედა. ჩრდილი არ ჰქონდა ბიჭს.

— ეს მტრედი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ვერ გათხოვებთ. — ჩაილულულა ლანკამ.

— რატომ გგონია, რომ ჩემთვის უფრო ძვირფასი არაა? — ისედაც ვინრო თვალები კიდევ უფრო დაინვრილა ბიჭმა. — ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად მაგ მობუზულ მტრედში ძვირ ფასს ვთავაზობ. მომიყიდე.

„ჩვენს ცოდვებს უნდა ვაჯობოთ.“

— არა, — თქვა ლანკამ. — ისე... მაინც რამდენს გადამიხდით? — დაამატა.

— ოცდაათ ცალ ასდოლარიანს. პლუს ჩემს მოკრძალებულ სახლში გაპატიჟებ რომანტიკულ სადილზე. აქვე ვცხოვრობ.

ლანკა ყოყმანობდა. მერე წარმოიდგინა, როგორ თვლის ფულს, თან ასდოლარიანებს. მანამდე კი სანთლის შუქზე სიმპათიურ ბიჭთან ერთად გემრიელად სადილობს.

— კარგი. — თქვა ბოლოს.

ბიჭმა მტრედი პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩატენა, ლანკას ხელი გადახვია, გვერდულად ჩაიღიმია.

სკამზე მოკუნტული იჯდა, მინას ჩასცქეროდა და ცრემლებით ასველებდა მინაზე გაკრულ საკუთარ ჩრდილს — ბერი.

4.

— მოქალაქეო! ქალაქის მაცხოვრებელთა რიცხვი თითქმის გაუთანაბრდა ეპიდემიის წინ არსებულ მაჩვენებელს! — საზეიმო ტონით განაცხადა მერმა. ეამაყებოდა, — მის ქალაქში ყველაფერი იდეალურად იყო. თითქმის ყველაფერი და თითქმის იდეალურად.

როგორც არსაიდან გაჩნდნენ, ისე უკვალოდ გაქრნენ ადამიანები.

— ეს ქალაქი ჩვენი! გილოცავთ, მეგობრებო! ამ ქალაქის არავისთან გაყოფა აღარ მოგინევთ! მე, თქვენმა მერმა, ყველაფერი ვიღონე ამისთვის! ახლა ყველამ ხელები ჩავკიდოთ ერთმანეთს. საზეიმო მსვლელობა ღამის ქალაქში!

ვევლინამ შაკოს ჩაკიდა ხელი, შაკომ — დავითას, დავითამ — თათას, თათამ — ეველინას... ბერმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე ჩააბეს უგრძელეს, ცოცხალ ჯაჭვში და ვინრო ქუჩაზე გააქანეს. გახარებული ხალხი ყიჟინას სცემდა, მიხტოდა, მირბოდა, ზღვის შმაგი ტალღასავით ზვირთდებოდა. მიარბენინებდნენ მდუმარე ბერსაც. პირველივე შემხვედრი კორპუსის მთელ სიმაღლეზე აინელა ბერის ჩრდილი. ბერმა ახედა და თვალი აღარც მოუცილებია. სხვას ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. უყურებდა, როგორ მზრუნველად გადასცემდნენ შერთბები მის ჩრდილს ერთმანეთს. იხუტებდნენ, დაბზარულ მკერდზე იკრავდნენ, ჰორიზონტალურად გადაიტარებდნენ ფასადის მთელ სიგანეზე, მდუმარედ, ფანჯრებმოკუმულად და ფრთხილად აწვდიდნენ გვერდზე მდგომ სახლებს.

ხალხი შეუჩერებლად ტრიალებდა წრეზე. არცერთ შენობას არ დაზარებია, ყოველ ჯერზე ხელახლა აეყვანა ბერის ჩრდილი და გვერდითა შენობისთვის ფრთხილად გადაეცა. მხოლოდ ბერისა, სხვებისა არა. სხვა ჩრდილი ამ ქალაქში უკვე აღარ არსებობდა.



თამაზ ბარჯაძე

* * *

ღრუბლები, როგორც თეთრი ჩიტები
ამ ღამეს ჩემთან ერთად ათევენ...
მაოცებს ქარი და ამინდები
და აღმომხდება ლექსი სატივე, —
რატომ დავუთმე სინედლე დილას,
ცხოვრება რისთვის გავიმარტივე?!
ცერზე შემდგარა ჩემი იაზო,
მე მაინც მშვიდი ქარები მსპობენ
და ის სანთლები სანამ კიაფობს,
ტაძარში ლოცვად რომ მომიხმობენ.
ნავკისის გაღმა, იის უბეში
ცრემლებს ვიპოვი ცვარში გარეულს
და ცას შეყინულ ჩუმ სინანულში
დავაფინყდები ღამეს მთვარეულს...
მე კი, თეთრ ჩიტებს და თეთრ ღამეებს
ვერანაირი ვუთხარ შენდობა,
ამ ღამეს ისევ ერთად გავათევეთ
მე, ღრუბელი და უიმედობა!..

ამ კაკალს ფოთლები გასცვენია

ამ კაკალს ფოთლები გასცვენია,
ო, რა საბრალოა შესახედად,
ქარს ხმაში სიცივე დასტყობია
შენი ეზო-კარის შესახვევთან!

ფოთლის გიშრებს ვეღარ ეფერება,
იმათ სინორჩეს და სიმწვანეს.
რატომღაც გუნება შემეცვალა —
ყველაფრის დასასრული ვინამე!

ცას თეთრი ღრუბლები დაფარავენ,
როგორც ძვირფას კუბოს ზენარი,
მერე ატირდება შემოდგომა
ატირდება და ეგ არი...

წამოვა ნისლების ქარავანი
ქარი ისევ ცივად იქროლებს,
და გაინაბება არემარე,
თითქოს მიწა სიკვდილს იგონებს!

ჩაუვული შესახვევს და გზას ვაგრძელებ
ფიქრები ფოთოლივით მამჩატებს,
ო, რა გემრიელად ვიტყვები
ქუდი მეხუროს და არ ვჩანდი!

შენ შორს ხარ ახლა...

შენ შორს ხარ ახლა,
როგორც ჩემი ყოველი ნატვრა
და ჩემზე ფიქრი არ განუხებს,
ვიცი, სრულიად,
იქნება ახლა ანგელოზთა
ღამაზ ფრთებს ხატავ.
ფრთებს, ურომლისოდ ცა
კაცთათვის დაკარგულია!
იქნება ახლა მხრებზე ფიფქი
გეპნევა თეთრი,
თბილისურ ქარში დაგახრჩობენ
ღულამბარები,
ან იქნებ ახლა შეკრთი,
როგორც შეკრთება მტრედი
და ფაქიზ მხრებზე გასხდებიან
ზამთრის ქარები,
შენ შორს ხარ ახლა...
და მე ამ ლექსს ქალაღზე ვღამბავ,
კუნძულებივით
ამოსულან ნისლებში მთები,
შენ შორს ხარ ახლა...
მე გიყვები საოცარ ამბავს,
შენ კი კვლავ ხატავ ანგელოზებს
გაშლილი ფრთებით...

სტკივა

აქ ყრიან ნაგავს,
ოი, ღმერთო, შენს წილ ალაგზე,
აქ ყორნებს უყვართ
დაჩხავლება შემადრწუნები!
კრწანისის ველზე
თვალს შევასწრებ სამას არაგველს,
ქარაშოტივით
ჩამივლიან საუკუნენი,
აქ ყრიან ნაგავს...
მტკვარი მოდის ისეთი მშვიდი,
თითქოს ამდენი
წლის სიმძიმე ჩემს მხრებზე იწვა
და როგორც სევდა,
ანდა რალაც სევდაზე დიდი
სტკივა ამ ცოდვილ,
დადუმებულ, ღვთისნიერ მიწას!..

საღამოსას

კაკუჭელა ჯოხი მოვდე ზეცას,
მოვინე ერთი ტოტი ღრუბლის,
მფრინავი მზე მთის წვერს შეელენა —
დაისის ჟამს გადიხეთქა შუბლი...
მთვარე, ალბათ, თუ სწავლობდა ცეკვას
მზით დამწვარ მკლავს ყოფდა ღრუბლის გარეთ,
კაკუჭელა ჯოხი მოვდე ზეცას,
აკვანივით გადაირწა მთვარე.
მთვარე იყო თუ კაკუჭი ჯოხის
ნამსხვრევივით შერჩენილი ღრუბელს,
გაზაფხული იდგა თეთრი ჩოხით
და ლექსებით სავსე ჰქონდა უბე.

ხათუნას

მე უხსოვარი დროიდან მახსოვს,
შენი თვალების გაელვარება,
მარადიულო კეთილო ბავშვო,
შენ დრო და სივრცე ვერ გეკარება!
ამაღლებულო, დედობით ცამდე,
სიყვარულისთვის მუდამ მლოცველო,
აპრილი ისე ლამაზად ბარდნის
ვედერი: ცოლ-შვილი დამიკოცნეო!..
და ჩვენს ოთახში შერჩენილ სუნთქვის,
ჩემი და შენი, ჩვენი და ბავშვის,
გულში ჩაკვრა და ალერსი მსურდა,
მაგრამ გიჟივით დავდივარ სახლში,
გარეთაც, ალბათ, დავალ გიჟივით,
რომ ყვავილების ჩავენვდე ფორიაქს,
როგორ მნადია თქვენი ჟიჟივი,
ჩვენი შეხვედრის ეიფორია...
ეგ თბილი გული სამყაროს იტევს,
ალბათ ამიტომ არის პანია...
შენ ქარიშხალი ღამეებს გითევს,
დედამინა რომ გადაარნია...
მე უხსოვარი დროიდან მახსოვს,
შენი თვალების გაელვარება,
მარადიულო კეთილო ბავშვო,
შენ დრო და სივრცე ვერ გეკარება...

თავდორა

ცაზე აენტო მთვარე,
თითქოს საგანგაშო კოცონია
ცვარით დაიღობს თვალებს,
ბოლმა და ჯავრი მოსწოლია.

ხეობებს ავსებს მტერი
ქუხილი ფარავს ყიჟინას...
სხვა გზას უჩვენებს ბერი —
სამშობლო გადამირჩინა!!!

მივემგზავრები თანდათანობით

მივემგზავრები თანდათანობით
ყურში ჩამესმის ხმები ქარების...
თავისშექცევა მხიბლავს გალობით
და ჩუმად, სადღაც მივექანები...

ციხის ნაშალი მომდევნე ქვები
და სცვივით ხავსი, როგორც ვარდები,
ეს მერამდენე სიკვდილით ვკვდები,
ეს მერამდენედ მე ვიბადები...

და ვუჭვრეტ ქადრის ფოთოლთა სიცილს, —
შეყვარებული გულების ფართხალს...
და შემოდგომის კოცონზე იწვის
ჩემი ლექსები სამოთხის ბალთან...
მიდის ზამთარი — სევდისთვალება,
ცივი, უტყვი და სანდო ყველაზე
მომიკაკუნეს კარზე ვალეშმა
და შემაცვიდა სიტყვა ენაზე...
და ლექსი, როგორც წინილა კვერცხში

ბორგავს და ნისკარტს შეამსხვრევს სივრცეს...
წყვილი ხარი და მეურმე ხენეშით
მიწასთან ჭიდილს სიმღერით იწყებს
და იბადება ხნულში მარცვალი,
სულში ლექსი და კვერცხში წინილა,
და გენიოსებს უხმობს ნაცარი,
ბუხრის კვამლში რომ გამოიძინა...

სხვითორიდან სავანემდე

მოხუცი აკაკის მონატრება

სხვითორიდან სავანემდე
გზა მოკლეა, გზა გრძელია
დათოვლილი რაჭის მთები
დიდი მგოსნის თმა-წვერია
„ჩემი ხატია სამშობლო“
გულის გულზე აწერია.

მარტო მოდის... „ცა ფირუზი“
მხრებით მოაქვს მთისხელათი,
„დამეხსენი...“ მაგრამ რუსი
კვლავ ბობოქრობს იმ ღალატით,
„ფურთხის ღირსო საქართველოვ!“ —
შეძახილით იმხელათი!!!

ხელის გულზე ღრუბელს ადნობს,
ცვარი რომ არ დაილიოს.
საიდუმლოს რასმე მანდობს, —
ნიავსაც კი რომ არ ესმის,
საქართველოს მიწას ნატრობს
საქართველოს დიდი მწყემსი.

სხვითორიდან სავანემდე
რა სავალი მანძილია,
სულ იებით მოფენილი,
გზა ფართოა, გზა წვრილია,
„ჩემი ხატია სამშობლო...“
გულის გულზე აწერია!!!

ყვავილები გაბთელავენ

ყვავილები გაბთელავენ,
როგორც უცხოს, სევდის ბაღში.
ცისარტყელას სატევარით
ნახვიდოდი დაზვერვაში.

ენძელებით მოქარგავდი
მეომარის უნიფორმას...
ფიფქებისგან კიბეს წნავდი,
ნისლებისგან კრავდი ბორანს.

მოხდენილი სახით მკაცრით
გაცურავდი სივრცეს წამში
და ყვავილებს ღრუბლის კაცი
გაგიცვლიდა სატევარში...

დაიპყრობდი ღრუბელთ ბატონს, —
მხოლოდშობილს მზის და მთვარის
და ზეცაში დარჩით მარტო
შენ და შენი პატიმარი...



ირაკლი კაკაბაძე

* * *

ასეთი ვარ.
ასეთი დამტოვებ.
ასეთი გზებები.
თითქოს ამოჭრილი ძველი ფოტოდან.
თითქოს გაფერადებული შავ-თეთრი ფოტო.
ასეთი ვარ.
გაცივებული.
თითქოს მშრალი ყინულის ნატყეხებიდან ამოყვანილი.
სიჩუმის საიდუმლოს მიახლებული.
ფერმკრთალი ღიმილით.
გაქვავებული მზერით.
ასეთი ვარ.
თითქოს ახლობლის დასანახად სახეზე სუდარა ნაძრობილი.
თითქოს ვინმესთან შესახვედრად გამამზადეს, გამალამაზეს.
ასეთი ვარ და
შენც ასეთი გიყვარდე.
ასეთი გზებები.
ასეთი ვარ.

* * *

როგორც ექიმის კაბინეტის წინ, გრძელ რიგში მდგომნი,
ჩამწკრივებულან სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე,
გაზაფხულის მომლოდინე ალვის ხეები...

* * *

ტრიალ მინდორზე
მის მხარზე იწვე,
გადაიფრენდეს ცაზე წეროთა მწკრივი...

* * *

რომ ამაოა, რასაცა ვწერთ,
თქვენ რასაც მღერით...
რომ ყოველივე
იღვენებება,
ფერმკრთალდება,
იხრნება,
ქრება...
რომ ერთადერთი
მთავარ სათქმელს შენ ამბობ მხოლოდ,
კედლის საათში შეყუყულო
პატარა ჩიტო...

* * *

იყავი ჩემი ცა,
იქუხე, მოიღრუბლე, იწვიმე,
ოლონდ ადვილი იყოს მოწვდომა შენამდე...

ქართლში

მოეჭიდეთ მიწას ფესვებით,
ავი ქარია თებერვლისა,
ატმის ხეებო...

* * *

ასე ხშირად რატომ იხსენებს ბავშვობას
ჩემი მოხუცი დედა,
ნუთუ კართან სიკვდილი გვიდგას?..

ბასლანი

რა გული გიძლებთ,
დადუმებულო ჭადრის ხეებო,
ჩამწკრივებულხართ დახვრეტილი ბავშვების გზაზე...

* * *

თუნდაც, ერთი საფეხური
ვიყო შენთვის —
მაგ ტაძრისკენ მიმავალი კიბისა...

* * *

რალასლა ვტირი,
თავად არ მსურდა
ჩემი გული სხვის ხელში მენახა?..

* * *

სიკვდილის
გაუხუნარი ნილაბი —
სიყვარული...

* * *

რარიგ რთულია,
კოცნიდე ქვიშას,
ისე რომ მისი ნაკვალევი არ ნაიშალოს...

* * *

თეთრი ღრუბლების სამყოფელში,
რა ავის ნიშნად შეპარულხარ,
ღამის შავნისლო?..

* * *

გაგახსენდება შემოდგომის საღამოებზე
და შენს თვალებზე
უმორცხვესი გაკრთება ცრემლი...

* * *

ქარივით ვუყვარდი —
ამინდების მიხედვით
ქროდა...

* * *

შემოდგომის გაცრეცილ ჩრდილში
ჩვენი ქრილობის
სხვადასხვა მხარეს
გამიშვლებული ხეებივით
უსიტყვოდ ვდგავართ.
მოპირდაპირე ნაპირებზე
გაქვავებულებს,
უსისხლოებს,
უსიცოცხლოებს
გვემშვიდობება გაზაფხული
ჯვარცმული ხელით...

* * *

ახალა მივხვდი,
წინა გაზაფხულს,
რად მაჩუქე
ცარიელი ჩიტის გალია...

* * *

თუ ამ შადრევანმა დაგაბრკოლა,
ოლონდ დაბრუნდი —
ვირაკრაკებ ნაკადულივით...

* * *

ო, რა მკაცრია ჩემი სატრფო,
არ მიშვებს არსად,
ტუსალივით ჭაობისფერ თვალბში გამომამწყვდია...

* * *

ო, რა შორსა ვარ
ჩვენი სოფლის გაზაფხულიდან...
ო, როგორ დუმან ჩვენი ღელის ბუბუბულა ბაყაყები...

* * *

სიბნელეში ჩაკარგულ ხეზე
ღამეს ათენებს
ბებერი ქოტი...

* * *

ამ სანაპიროზე,
ერთი წლის უკან,
ზღვის პირისპირ ვიდექით ორნი...

* * *

ვუცქერ მეგობარს,
როგორც შემოდგომის ქარს
ათრთოლებული ნეკერჩხლის ფოთოლი...

* * *

ზამთრის სიშიშვლეში
გაზაფხულის ელჩებად დგანან
მწვანე ფიჭვები...

გაზაფხული. პრაღა

ტრამვაიც,
ქარიც,
უფოთლებო,
მტკრიანი ხეების მზერაცა და
ძველი საათების ისრებიც
იქით მიემართებიან,
სადაც წვიმა დგას ქალაქის თვალბში...

* * *

ლექსების გარდა, რომ არაფერი არ მაბადია,
რითი შეგმოსოთ ფოთოლცვენისას განძარცვულო,
ხეებო ჭადრის?...

* * *

სამოთხე აქვეა,
კარის უკან,
შვილების ტიკტიკში...

* * *

ჯერ მიწა არ ჩანს,
მხოლოდ თოვლს ვუმზერ,
უხმოდ, უსიტყვოდ კუბოს ფიცარს როგორ ეცემა...

* * *

გაზაფხულია,
მთვარის შუქზე ველარ გაარჩევ
სად ვარსკვლავია, სად კი ტყემლის ყვავილი...

* * *

ჩვენს ნაკვალევს თოვლზე,
თურმე თოვლივე შლიდა...

* * *

რა მაქვს თვალბში?
გაკაფული სათიბების ახედვა ცისკენ...

* * *

შვილების მკაცრი ბრალმდებელი -
მიტოვებული მშობლების სახლი...

* * *

მეგობრის ქვადქცულ გულზე
აღესილი სიკვდილის ცელი...

ბოლო ჰაიკუ

ჩვენ
სიყვარულში
გადავეშვით...

„როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახური აცხადებს, ხიდიდან
გადახტომისას თოკი განყდა, რის შედეგადაც 23 წლის მარიამ
ყანდაშვილი და 25 წლის გოგა გოლეთიანი დაიღუპნენ.“

ახალი ამბების სააგენტო.

ნიკა თევზაძე

ბრემ ბრინი და მისი დეტექტიური პროზა

— ჟურნალისტები ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ ვწერ დეტექტივებს. ჩემი პასუხი მოკლე და ლაკონიურია: აბა სხვაგვარად როგორ შეიძლება, დღეს ხომ თვით ცხოვრება გადაიქცა დეტექტივად, — წერდა გრემ გრინი „ტაიმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიამ.

თავის ნაწარმოებებს გრინი ორ ნაწილად „სერიოზულ-ბად“ და „გასართობ“ ბელეტრისტიკად ჰყოფდა. დაყოფა პირობითია. ორივე დეტექტიურ ქარგაშია გახვეული და ორივეში მწერალმა პოლიტიკური, ფილოსოფიური ზნეობრივი პრობლემები წამოჭრა.

სხვაგვარად მოაზროვნე

— დისიდენტი სხვაგვარად მოაზროვნეს ნიშნავს. სსრკ-ში ასე უწოდებდნენ მათ, ვინც გაბატონებული იდეოლოგიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ინგლისში გაბატონებული იდეოლოგია არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ისე არ ვაზროვნებდი, როგორც ჩემ თანამემამულეთა უმრავლესობა, — ამბობს მწერალი ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას.

გრემ გრინი (1904-1991) სკოლის დირექტორის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მეოთხე ბავშვი იყო და პატარაობიდანვე განსხვავებული ხასიათით გამოირჩეოდა.

— თუკი ისეთი არა ხარ, როგორც ყველა, კონფლიქტები გარდუვალია, — წერდა შემდგომ გრინი.

ჯერ კიდევ სკოლაში თანაკლასელებთან გამუდმებით ჰქონდა შეხლა-შემოხლა. განსხვავებული ხასიათის გამო დასცინოდნენ. მომავალი მწერალი ამას მწარედ განიცდიდა. რამდენჯერმე თვითმკვლელობის პირასაც იყო. უმაღლესი განათლება ოქსფორდში მიიღო. ამ დროს მისი ახირებული ხასიათი კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდა.

— დადებით იდეალს ვეძებდი, რაც გარშემომყოფთ არ ესმოდათ, — განუცხადებს მწერალი ბი-ბი-სის კორესპონდენტს.

ამ ძიებამ გრინს კათოლიკობისკენ უბიძგა. შემდგომ ამბობდა, ამ ამბავმა ჩემი მშობლები პანიკაში ჩააგდო. მართლაც ინგლისში კათოლიკებს ამრეზით უყურებენ. საზოგადოებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კათოლიკე სრულფასოვანი ბრიტანელი პატრიოტი ვერასდროს გახდება. ახლობლებიც არწმუნებდნენ გრინს, რომ თავის განზრახვაზე უარი ეთქვა, მაგრამ შეგონებებმა არ გაჭრა. გრინი კათოლიკედ მოინათლა.

— ჩემი ოჯახის წევრები გაოგნებულნი იყვნენ, ეს არ მიკვირდა. უკვე მრავალი წელია, რაც პრინციპულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა. გაცილებით მტიკივ-ნეული იყო ის, რომ ჩემი აზრების გამო მოძღვარიც ლამის შოკში ვარდებოდა, — იგონებს გრინი.

მოძღვარს გრინმა განუცხადა: ღმერთისა მწამს, მაგრამ სატანის არსებობისა და ჯოჯოხეთისა კი არა მჯერაო. მართალია ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ რიგ დოგმებში ეჭვი ეპარებოდა. ამის თაობაზე თავის მოძღვარს პირდაპირ ეუბნებოდა და აოგნებდა.

— ნამდვილი ურწმუნო თომა ხარ, — უთხრა გაბრაზებული მოძღვარმა.

გრინი დაეთანხმა. როდესაც ჰკითხეს, ნათლობის სახელად რა შეგირჩითო, მიუგო: ტომასი.

— აკი ურწმუნო თომა ვარ! ეს მართლაც ასეა! ეკლესიურმა ცხოვრებამ ხელი არ შეუშალა მემარცხენეებს დაახლოვებოდა. შემდგომში ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ამტკიცებდა, გრინი კომპარტიის წევრიც გახდაო. მწერალი ამას კატეგორიულად უარყოფდა:

— კომპარტიის წევრი არ გავმხდარვარ, თუმცა მიმარჩნია, რომ კომუნისტები იდეალისტები არიან, რომელთაც მინიერი სამოთხის შექმნა სურთ. მათი მისწრაფება უდავოდ კეთილშობილურია.

ამ „მსოფლმხედველობიდან“ გამომდინარე გრინმა მცდარი პოლიტიკური პოზიცია აირჩია. სიჭაბუკეში მიარჩნდა, რომ სსრკ-ში „სტალინის ხელმძღვანელობით გრანდიოზული ექსპერიმენტი მიმდინარეობს, რომლის მიზანიც იდეალური სახელმწიფოს აშენებაა“.

— ამრიგად თავში ნამდვილი დომხალი ჰქონდა, — წერს მიხეილ ლიუბიმოვი, — მსგავსი აზრების პატრონს სუკში არასდროს მიიღებდნენ. გრინი კი ინგლისის დაზვერვაში მიიღეს, თუმცა ის ამკარად ედგა ოპოზიციამ არსებულ წყობას, მეგობრობდა კომუნისტებთან და ა.შ.

მეორე მსოფლიო ომის დროს გრინი დაზვერვაში მსახურობდა. იგი პორტუგალიაში იმყოფებოდა, მისი უშუალო შეფი კი კიმ ფილბი გახლდათ. ბუნებრივია, გრინმა მაშინ არ იცოდა, რომ ფილბი რუსების აგენტი იყო.

— ჩემთვის ის ინტელიგენტი და განათლებული ახალგაზრდა იყო. ჩვენც ვმეგობრობდით, — იგონებს გრინი.

ომის შემდეგ გრინმა დაზვერვაში სამსახური მიატოვა. მისი ძირითადი პროფესია კვლავ ლიტერატურა გახდა. გადიოდა წლები. გრინის ჭაბუკური ილუზიების დიდი ნაწილი გაქარწყალდა. ახლა სსრკ კავშირს სხვანაირად აღიქვამდა:

— ცნობები სტალინური ტერორის შესახებ უხვად იყო. მეც ნელ-ნელა დავრწმუნდი, რომ სტალინი ბოროტმოქმედი, — წერს გრინი, — და რომ მან რუსეთი ვეებერთელა საკონცენტრაციო ბანაკად გადააქცია. ჩემი ბავშვური აღფრთოვანებაც სიძულვილმა შეცვალა.

ხრუშჩოვისეულ „გალობას“ მწერალი სიხარულით შეხვდა. გულუბრყვილოდ იმედოვნებდა, რომ რუსეთი ნორმალურ გზაზე დგება. გრინს ახალი იმედგაცრუება ელოდა. მალე სსრკ-ში დააპატიმრეს მწერლები სინიავესკი და დანიელი. ბრალად წაუყენეს, რომ თავიანთ წიგნებში „საბჭოთა სინამდვილეს ცილს სწამებდნენ“.

— ჩემთვის წარმოდგენილი იყო: როგორ შეიძლება ადამიანი მის მიერ დაწერილი წიგნის გამო ციხეში ჩასვა?! ასე ხომ ნაცისტები იქცეოდნენ?! — წერს გრინი.

მან ღია წერილი მისწერა ხრუშჩოვს, სადაც სთხოვდა: ჩემი რუსულად თარგმნილი რომანებისათვის განკუთვნილი ჰონორარი სინიავესკისა და დანიელის ოჯახის წევრებს გადაურიცხეთ. ჩემი, როგორც მწერლის, ვალაა უსამართლოდ დევნილ თანამოკალმეთ დავებმაროო. წერილი დასავლურ პრესაში გამოქვეყნდა. ხრუშჩოვის გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ამის შემდეგ გრინის რომანებს რუსულად აღარ თარგმნიდნენ, — წერს ფრიდა ვიგდოროვა.

მიუხედავად ამისა გრინი ანტიკომუნისტი მაინც არ გამხდარა.

— კომუნისტებმა უზარმაზარი დანაშაულებანი ჩაიდინეს. ისინი ყელამდე სისხლში დგანან. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ კომუნისტებს ამოდრავებთ კეთილშობილი იდეალები და მათი უყოყმანოდ სწამთ. ამიტომ კომუნისტი მირჩენია თანამედროვე გაქსუებულ ევროპელ ობივატელს. სჯობს ადამიანს ხელები სისხლში ჰქონდეს, ვიდრე პილატესავით ხელები დაიბანოს, — წერს გრინი.

სწორი მსოფლმხედველობის გამოუმუშავება მან ახლაც ვერ შეძლო. და შედეგად არაერთი მცდარი ნაბიჯი გადადგა. როდესაც ინგლისის კონტრდაზვერვამ კიმ ფილბი ამხილა, ხოლო თვით ფილბი კი მოსკოვში გაიქცა, გრინმა იგი გაამართლა:

— ფილბი რუსებს არა ფულის, არამედ იდეის გამო შეეკრა. ის კომუნისტი იყო და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა, — განუცხადა ბი-ბი-სის კორესპონდენტს.

— მაგრამ ფილბიმ თავის სამშობლოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა! — შეედავა ჟურნალისტი.

— კომუნიზმი ზოგადსაკაცობრიო იდეალია, ამიტომ „სამშობლოს“ ცნებაზე მალლა დგას, — მიუგო გრინმა.

გამომდინარე აქედან გასაგები ხდება მწერლის შემდგომი ნაბიჯებიც. ის ალტაცებული იყო ისეთი მოღვაწეებით, როგორებიც გახლდნენ პატარის ლუმუმბა, აუგუსტინიო ნეტო და ა.შ.

— ისინი თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, — წერდა გრინი.

მწერალი მიესალმა კუბაზე ფიდელ კასტროს დიქტატურის დამყარებას, აგრეთვე სანდინისტურ რევოლუციას ნიკარაგუაში. ის საგანგებოდ ჩავიდა მანაგუაში, რათა დანიელ ორტეგასათვის სოლიდარობა გამოეცხადებინა.

— კასტრო განაგრძობს იმ დიად საქმეს, რაც ბოლივარმა და ხოსე მარტიმ დაიწყეს, — წერს გრინი, — რევოლუცია ნიკარაგუაში კი ნათლად მიგვითითებს: ბოლივარისა და მარტის იდეალები ცოცხალია!

ამერიკის შეერთებულ შტატებს გრინი „მსოფლიო რეაქციის“ ციტადელს უწოდებდა. კასტრო, ორტეგა, აგოსტინიო ნეტო, ლუმუმბა და მსგავსი ყაიდის პოლიტიკოსები კი კეთილშობილ იდეალისტებად ეჩვენება. ალექსანდრე სოლჟენიცინი ამას ასე აფასებდა:

— რანდელმა რომანებმა აზნაურ კიხადოს გონება დაუბნელა. მას ქარის ნისქვილები დევნებდა ეჩვენებოდა. მარქსისტულმა ლიტერატურამ კათოლიკე გრინზე მსგავსი ეფექტი იქონია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გრინი დემოკრატებს რეაქციონერებად აღიქვამდა, სისხლიან დიქტატორებს კი — იდეალისტებად.

ანტიამერიკანიზმმა დიდად განაპირობა ის, რომ სსრკ-ში გრინის წიგნები არ აკრძალულა. მართალია ახალ ნაწარმოებებს აღარ თარგმნიდნენ, მაგრამ ადრე თარგმნილი „წყნარი ამერიკელი“ თუ სხვა რომანები დიდი ტირაჟით გამოდიოდა. ისინი საუნივერსიტეტო პროგრამებშიც შეიტანეს.

სსრკ-ში „პერესტროიკის“ დაწყებას გრინი აღფრთოვანებით შეხვდა. მოსკოვში ჩამოსული მწერალი თვით მიხეილ გორბაჩოვმა მიიღო. გრინმა მას განუცხადა:

— თქვენი წყალობით რუსეთი ქრისტიანულ ფასეულობებს უბრუნდება. თქვენი რეფორმები ისეთივე გრანდიოზულია, როგორც პეტრე დიდისა!

აღნიშნული მოსაზრება გრინმა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისასაც გაიმეორა. დამსწრეთაგან ბევრი ვერ იკავებდა ღიმილს. აკადემიკოსი სახაროვმა კი დაწერა:

— მწერლები ჩვეულებრივ პოლიტიკაში ცუდად ერკვევიან. გრემ გრინი ამისი ნათელი დადასტურებაა.

ამრიგად, გრინი მართლაც სხვაგვარად მოაზროვნე გახლდათ. ამიტომაც მცდარი პოლიტიკური პოზიცია დაიკავა. მიუხედავად ამისა, მან ნამდვილი ლიტერატურული შედეგები შექმნა, რომელთა უმრავლესობაც დეტექტიურ ქარგამია გახვეული.

აღრუხი ნაწარმოებები

ოქსფორდის დამთავრების შემდეგ გრინი ერთხანს ჟურნალისტად მუშაობდა. ამან საშუალება მისცა მოეარა მთელი ევროპა, აფრიკა და ლათინური ამერიკა. მალე რომანის დაწერის სურვილიც გაუჩნდა.

— მოგზაურობებით მიღებული შთაბეჭდილება უზარმაზარი იყო, — წერდა შემდგომში გრინი, — ამაზე წერა უფრო მიაღვილებოდა, ვიდრე სიტყვებით გადმოცემა. მეც გადავწყვიტე ბედი ლიტერატურაში მეცადა.

ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა. მისი საყვარელი მწერალი დოსტოვესკი გახლდათ.

— ადამიანის სული ეს ერთგვარი იატაკქვეშეთია, — წერდა გრინი, — დოსტოვესკიმ მასში შელწევა და ურთულეს ნიუანსებში გარკვევა შეძლო. მეც რალაც მსგავსი მსურდა.

თავისი განზრახვა გრინმა დას გაუზიარა. დამ ჩანაფიქრი მოუწონა, თუმცა ურჩია, თავიდანვე სერიოზული ნაწარმოებების შექმნას ნუ დაიწყებ, ჯერ გასართობი მოთხრობა დაწერე, პოპულარობა მოიპოვე, „სერიოზულს“ კი შემდეგ ჩაუჯექიო. გრინს რჩევა ჭკუაში დაუჯდა:

— სათავგადასავლო ლიტერატურა მუდამ მიზიდავდა. დოსტოვესკის გარდა ჩემი საყვარელი მწერლები ჰაგართი და ჯოზეფ კონრადი იყვნენ. ამიტომაც გადავწყვიტე ბედი სწორედ ამ ჟანრში მეცადა. მალე გამოდის რომანები „ადამიანი შიგნიდან“ და „სტამბოლის ექსპრესი“, რამაც გრინს წარმატება მოუტანა.

— ესაა დეტექტიურ ქარგაში გახვეული ფილოსოფიური რომანები, — წერს უოლტერ ალენი, — ავტორმა გაბედულად დასვა პოლიტიკური, მორალური, ზნეობრივი პრობლემები. მძაფრმა დინამიურმა სიუჟეტმა მათი პოპულარობა განაპირობა და ახალგაზრდა გრინიც ცნობილი მწერალი გახდა.

თვითონ გრინი „ადამიანს შიგნიდან“ ე.წ. „სერიოზულ რომანებს“ მიაკუთვნებდა. „სტამბოლის ექსპრესს“ კი გასართობ ბელეტრისტიკას. ორივე რომანი დეტექტიურ ქარგამია გახვეული და ამავე დროს ორივეგან სერიოზული პრობლემებია დასმული.

— ადამიანი ექსტრემალურ ვითარებაში შეიცნობა. მისი სული ანუ იატაკქვეშეთი ამ დროს ხელისგულივით ჩანს, — წერდა შემდგომში გრინი.

ავტორიც დაუნდობლად ადებებს თავის გმირებს ასეთ ვითარებებში. ისინი ბობოქარი მოვლენების ეპიცენტრში ექცევიან და თვითვე ხდებიან „ნადირობის“ ობიექტები. „სტამბოლის ექსპრესში“ მოქმედება უნგრელი კომუნისტის ცინარის დევნის ფონზე ვითარდება.

— ჩემთვის დამნაშავე მუდამ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დანაშაული, — წერდა მოგვიანებით გრინი, — ცოდვილი ხომ ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ცოდვა.

აღნიშნული მოსაზრება დომინირებს „ბრაიტონის კლდეში“. ჩადენილია მკვლელობა, მიმდინარეობს გამოძიება. თუმცა გრინისათვის თვით მკვლელის სულის კვლევა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მკვლელობის ფაქტი. მთავარი აქცენტიც დამნაშავის სულში ჩანვდომაზეა გადატანილი. „დაქირავებული მკვლელის“ გმირი კი პროფესიონალი ქილერია. გარემოებათა გამო იგი თავად ხდება ნადირობის ობიექტი და იძულებულთა მაძებრის ფუნქციები აიღოს.

— ეს რომანი თრილერის ჟანრთანაა ახლოს, — წერს სერგეი ბავინი, — აქ უხვადაა დევნა, სროლა და ა. შ. ასეთი ფონი ადამიანის სულში ჩანვდომის საუკეთესო საშუალებაა. გრინიც ამას უდიდესი ოსტატობით აკეთებს. ამას გარდა მას უკანასკნელ წუთამდე მკითხველი დაძაბული ჰყავს. აღნიშნულმა ნაწარმოებმა მიიზიდა მკითხველთა ფართო წრე, ისინიც, ვინც ლიტერატურაში გასართობს ეძებს და ისინიც, ვისაც სერიოზული პრობლემები იზიდავს.

„საიდუმლო აგენტი“ გარკვეულწილად „ჯაშუშურ რომანს“ განეკუთვნება. მისი გმირი ერთ-ერთი პატარა ქვეყნის შვილია, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის. ის არც ახალგაზრდაა და არც ჯანმრთელობით გამოირჩევა. ლონდონში ეს პიროვნება განსაკუთრებული მისიით მიავლინეს: მან თავისი ქვეყნისათვის ქვანახშირის მინოდებას უნდა მიაღწიოს. ამ კონტრაქტის დადება ბევრს ხელს არ აძლევს. ემისიონად ბობოქარ მოვლენათა ეპიცენტრში მოექცევა. ის ღირსეულად გაუძღვება განსაცდელს და სამშობლოს წინაშე ვალს პირნათლად მოიხდის.

— დეტექტიური ქარგის ქვეშ გრინმა სერიოზული პრობლემები წამოჭრა, — წერს პროფესორი ივანევა, — ადამიანი და ცოდვა, ადამიანი თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეებით, აღმასვლებითა და დაღმასვლებით. უკვე ადრინდელ რომანებში მან ეს საკითხები ვირტუოზულად გააშუქა.

დეტექტიურმა სიუჟეტმა ხელი შეუწყო ამ ნაწარმოებთა პოპულარობას. გრემ გრინი ცნობილი მწერალი გახდა.

შიშის უწყების წინააღმდეგ...

— დარვინი ამბობდა, შრომამ მაიმუნი ადამიანად აქციაო. მე კი ვამტკიცებ, შიში ადამიანს მაიმუნად გადააქცევს. — ეს სიტყვები სს-ის რაიხსფიურერ ჰაინრიხ ჰიმლერს ეკუთვნის.

ადამიანი მოაზროვნე, მაძიებელი ბუნებისაა. მისი მოთვინიერებაც შეუძლებელია. საამისოდ ის მაიმუნად უნდა გადააქციო. ეს კი შიშის გარეშე არ გამოვა. შიში ჩაკლავს ადამიანში კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზის უნარს. მას მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები უნარჩუნდება, მორჩილ, თვინიერ შემსრულებლად გადაიქცევა.

— ამიტომაც ყველა ტოტალიტარული რეჟიმი საყოველთაო შიშის დანერგვას ცდილობდა. ნებისმიერი დიქტატურის განუყრელი ატრიბუტი ტერორის მანქანა ანუ შიშის უწყებაა, — წერდა ალექსანდრე სოლჟენიცინი.

ასეთი შიშის უწყება ნაცისტებსაც ჰქონდათ. ის არა მხოლოდ გერმანიაში, მის ფარგლებს გარეთაც აქტიურად მოქმედებდა. ინგლისში ჰიტლერელთა ფართოდ განშტოებული აგენტურა არსებობდა. ის ენეოდა ტერორს, ახორციელებდა დივერსიებს, ავრცელებდა ყალბ ხმებს. სწორედ ამ მონსტრთან ბრძოლა აღწერილი გრინის რომანში „შიშის უწყება“. მისი მოქმედება ინგლისში, მეორე მსოფლიო ომის დროს ხდება.

რომანის გმირია დაკომპლექსებული და ხელმოცარული ბერბიჭა როუ. მას გარდაეცვალა ცოლი. რატომღაც აეკვიატა იდეა-ფიქსი, რომ ეს მან მოკლა მეუღლე. როუც საგიჟეთში მოათავსეს. იქიდან გამოსვლის შემდეგ დრო მისთვის თითქოს გაჩერდა. როუ ბავშვობაში გადავარდა. მიმდინარეობს მსოფლიო ომი. ნაცისტური ავიაცია დაუნდობლად ბომბავს ლონდონს. როუ კი ყველაფერს ბავშვური თვალთახედვიდან ჭვრეტს. კითხულობს ბავშვობისდროინდელ წიგნებს, დადის საქველმოქმედო ბაზრობებზე, პატარასავით უხარია, როცა კექსის ნონას გამოიცნობს, ან ვიღაცას ასიამოვნებს. როუს ხელში საიდუმლო მიკრო-ფირები აღმოჩნდება. ამიტომაც მასზე ჰიტლერული დაზვერვა იწყებს ნადირობას. ამრიგად ერთმანეთს უპირისპირდება ორი მორალი, ორი მსოფლმხედველობა. ერთი მხრივ ტეგტონი, „ზეადამიანი“, დარწმუნებული თავის რასობრივ უპირატესობაში, და როუ, რომელიც ბავშვური გულწრფელობის, სიკეთის განსახიერებაა. მართალია ამ „ზეადამიანის“ ვინაობას მხოლოდ რომანის ფინალში ვიგებთ, მაგრამ მის არსებობას პირველივე ფურცლებიდან ვგრძნობთ. ამიტომაც დაძაბული ვადევნებთ თვალს მისი და როუს შერკინებას, რაც არსებითად ტოტალიტარული შეგნებისა და ქრისტიანული მორალის დაპირისპირებას წარმოადგენს.

კრიტიკოსები, რომლებიც „შიშის უწყების“ შესახებ წერდნენ, სამართლიანად მიუთითებდნენ დოსტოევსკის გავლენაზე. როუს კი დოსტოევსკის დადებით გმირებს ადარებდნენ.

— დოსტოევსკის მსგავსად გრინმაც ტოტალიტარულ შეგნებას ქრისტიანული მორალი დაუპირისპირა, როუც ძალზე მოგვაგონებს თავად მიშკინს, თუმცა. მიშკინს არ ძალუძს წინ აღუდგეს ბოროტებას. როუ კი ყველა განსაცდელს ღირსეულად გაუძლებს. იგი იმარჯვებს როგორც მორალურად, ისე ფიზიკურადაც, — წერს უოლტერ ალენი.

როუს მართლაც უდიდეს დაბრკოლებათა გადალახვა უწევს. იგი ნაცისტთა მიერ დაგებული ხაფანგში ხვდება. შემდეგ მტრები მას საგიჟეთში ათავსებენ. აქ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რათა როუ დაკარგოს მეხსიერება, ადამიანურობა, გადაიქცეს ცოცხალ ლეშად. გრინი შთამბეჭდავად აღწერს ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ბოროტმოქმედ ექიმ-ფსიქიატრ ფორესტერს, მის დამქაშ პულს. მათი ამოცანაა როუ მაიმუნად გადააქციონ. მიშკინისეული მორალი „ბოროტებას წინ არ აღუდგე“ როუს არ გამოადგება. ამ შემთხვევაში მას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიკვდილი ელის. როუც იწყებს ბრძოლას. ეს ადამიანურობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაა. როუმ მოახერხა საავადმყოფოდან გაქცევა და პოლიციამდე მისვლა, რათა „შიშის უწყება“ ემხილებინა.

— გრინი შთამბეჭდავად აგვიწერს, თუ როგორ იღვიძებს როუში ღირსების გრძნობა, როგორ აღსდგება მასში სრულფასოვანი მამაკაცი, რომელსაც საკუთარი თავის, თავისი ქვეყნის დაცვა შეუძლია, — წერს ალენი.

როუმ დაამარცხა „შიშის უწყება“. ის სრულფასოვანი მამაკაცი გახდა. მან კვლავ შეისისხლხორცა ისეთი ცნებანი, როგორცაა „სამშობლო“, „ღირსება“. ამიტომაც ნამდვილი სიყვარულიც მოიპოვა. ეს არაა ნაძალადევი ჰეფი-ენდი. ნამდვილი მამაკაცი ნამდვილ სიყვარულს იმსახურებს. საყვარელ ქალსაც (რომელიც მთავარი დამნაშავეს დაა) როუ უნდა აერჩია, რაც მოხდა კიდევ.

რომანი „შიშის უწყება“ 1943 წელს გამოქვეყნდა. წარმატება გრანდიოზული იყო. რომანი მაშინვე რამოდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა. ის მხოლოდ სსრკ-ში დაიწუნეს:



გრემ გრინი

— ფაღვევმა პირდაპირ მითხრა: წიგნი კარგია, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინტერესები. აქედან გამომდინარე „შიშის უწყების“ თარგმნა არ შეიძლება. ეს ჩვენი სახელმწიფოსათვის საზიანოა, — წერს ილია ერენბურგი.

გრინმა (სურდა ეს თუ არა) არა მხოლოდ ანტინაცისტური, არამედ ანტიტოტალიტარული ნაწარმოები შექმნა. შიშის უწყება ხომ არა მხოლოდ ჰიტლერულ გერმანიაში, სსრკ-შიც აქტიურად მოქმედებდა. დასძლიე შიში, ნუ გადაიქცევი მაიმუნად, დაიბრუნე ღირსება და დაამარცხე ტირანი, — ეს სტალინელ და ჰიტლერულ ფუნქციონერთათვის ერთნაირად მიუღებელი იყო. რომანიც აიკრძალა. ის სსრ კავშირში მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოსცეს.

— ჩვენი კრიტიკოსები ხაზს უსვამდნენ რომანის ანტი-ნაცისტურ მიმართულებას და სდუმდნენ მის ანტი-ტოტალიტარულ არსზე, — წერს მიხეილ ლიუბიმოვი.

გრინის რომანი ყოფილი სსრკ-ს მთელს ტერიტორიაზე დღესაც პოპულარობით სარგებლობს. ალბათ იმიტომ, რომ კვლავაც აქტუალურია.

„ცივი ომი“ და ადამიანთა ტრაგედია

ნაციზმის განადგურებამ მსოფლიოს მშვიდობა არ მოუტანა. დაიწყო ახალი დაპირისპირება: ერთი მხრივ სსრკ და მისი სატელიტი ქვეყნები, მეორე მხრივ აშშ, რომელიც დემოკრატიული სამყაროს ლიდერი გახდა.

— ამრიგად, მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა, — წერდა უკრაინელი მწერალი-ემიგრანტი ვასილი ბარკა, — ვინ ვის? ეს კითხვა მთელი სიმწვავეთ დადგა. ატომური იარაღი რომ არა, ალბათ მესამე მსოფლიო ომი გაჩაღდებოდა. ამი-

ტომაც აქცენტი საიდუმლო ოპერაციებსა და პროპაგანდაზე გადავიდა. სწორედ ამას უწოდეს „ცივი ომი.“

გრემ გრინმა (ისევე როგორც სხვა გამოჩენილმა მწერლებმა) თავის ნაწარმოებებში შთამბეჭდავად აღწერა „ცივი ომი“ და მასთან დაკავშირებულ ადამიანთა ტრაგედია.

— გრინის ყურადღების ცენტრში კვლავაც ადამიანი იყო, — წერს პროფესორი ივანევა, — ადამიანი და ცოდვა, ეს საკითხი ახალი დაპირისპირების ფონზე გაშუქდა.

რომანში „მესამე“ გრინმა ომის შემდგომი ვენა გააცოცხლა. ქალაქი სხვადასხვა საოკუპაციო ზონებადაა დაყოფილი. ირგვლივ ნანგრევები, შიმშილი და სიღატაკეა. „დაყოფილია ვენა, დაყოფილია ბერლინი, ასე დაიყოფა მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო“, — ამბობს მთავარი გმირი ჟურნალისტი მარტენსი. ვენაში იგი თავის კოლეგა ლაიმუსთან ჩამოვიდა. ლაიმუ მკვდარი დახვდა. „უბედური შემთხვევა“, — ასეთია ადგილობრივი პოლიციის ვერსია. მარტენს ამისა არ სჯერა. ის კერძო ძიებას იწყებს. მალე მასთან ორი უცნობი მივა. ისინი თავს ინგლისის დაზვერვის თანამშრომლებად გაცნობენ. მარტენსის შეკითხვაზე, რა გნებავთო, პასუხობენ: ლაიმუს სიკვდილის გამოძიებას შეეშვიო. მარტენსი უარზეა და გამოძიებას განაგრძობს.

ამრიგად, რომანში „მკაცრი დეტექტივისათვის“ დამახასიათებელი სქემა გვაქვს. მარტენსელა გმირი, რომელიც არ ერიდება „ამა ქვეყნის ძლიერებთან“ შერკინებას.

— მოყვარულ-მაძებარს პროფესიონალთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფალია, ამიტომ შეუძლია არასაჭირო ჭეშმარიტებანიც უხვად გადმოაფრქვიოს და ყველაზე ფანტასტიკური თეორიები წამოაყენოს, — ასეთ კომენტარს დაურთავს გრინი თავისი გმირის მოქმედებას.

მარტენსის გამოძიებამ გამოაგნებელი და დრამატული შედეგები იქონია. ფინალი მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა. მალე „მესამე“ ეკრანიზირებულ იქნა. ფილმი ბრიტანული კინემატოგრაფიის კლასიკადაა აღიარებული.

კრიტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ „მესამეში“ სხვა რომანებისაგან განსხვავებით „დეტექტიური მუხტი ბევრად სჭარბობს ფილოსოფიურს“. პროფესორი ივანევა „მესამეს“ მხოლოდ დეტექტიურ თხზულებად მიიჩნევდა. შესაძლოა ეს ასეცაა, თუმცა რომანში აშკარად წარმოჩინდა ავტორის ანტი-ამერიკანიზმი. ეს უფრო ნათლად გამოსჭვივის რომანში „წყნარი ამერიკელი“. მისი მოქმედება ვიეტნამში ხდება. დეტექტიური ინტრიგის ფონზე გრინმა ერთმანეთს ორი პიროვნება დაუპირისპირა: პირველი ინგლისელი ჟურნალისტი ფაულერი, მეორე კი ამერიკელი დიპლომატი პაილი. ფაულერი ცხოვრებაზე გულგატეხილი და სულიერად დაცლილი კაცია, პაილს კი სწამს ამერიკის სულიერი მისიისა, იმისა, რომ ახლა აშშ-მ უნდა იკისროს დემოკრატიის დამცველის როლი. გრინი ცდილობს პაილი კარიკატურულ ფერებში დაგვიხატოს. „წყნარი ამერიკელი“, — ასე უწოდებს მას ირონიით გრინი. ავტორს სურს დაარწმუნოს მკითხველი პაილის რეაქციულობაში, იმაში, რომ ფასეულობანი, რომელსაც ეს კაცი იცავს, ყალბია.

— გრინს ვერ მოაქვს თუნდაც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტი, — წერდა აკადემიკოსი სახაროვი, — პრაქტიკულად მისი განზრახვა, შეექმნა ანტი-ამერიკული პამფლეტი, ჩაიშალა. რომანი მხოლოდ მხატვრული ძალით გვხიბლავს. აქ მართლაც ვორტუოზულადაა ჩატარებული ადამიანის სულის კვლევა.

„წყნარმა ამერიკელმა“ სსრკ-ში ფრიალ საინტერესო გზა განვლო. ორთოდოქსული საბჭოთა კრიტიკა მას მტრულად შეხვდა:

— ამერიკელ აგრესორ პაილს უპირისპირდება არა კომუნისტი, ან ვიეტნამელი პატრიოტი, არამედ სულიერად დაცლილი ფაულერი. ამრიგად, ავტორი შორს დგას სოციალისტური იდეალებისაგან, მას არ გააჩნია ალტერნატივა, რაც პაილისა და მის მსგავსთა „ფასეულობებს“ ჩაანაცვლებდა, — წერდა ვსევოლოდ კოჩეტკოვი.

დისკუსია თემაზე, გამოვცეთ თუ არა რუსულად „წყნარი ამერიკელი“, ძალზე მწვავე იყო. ყველაფერი ხრუმოვის სიტყვამ გადაწყვიტა. ნიკიტა ხრუმოვის ძალზე მოეწონა გრინის მკვეთრი ანტი-ამერიკანიზმი.

— გრემ გრინის შეხედულებანი, რასაკვირველია, ჩვენსას არ ემთხვევა, მაგრამ ის პატიოსანი და გულწრფელი კაცია, სურს სიმართლეს თვალეში შეხედოს, მისი წიგნები ჩვენი მკითხველისათვის აუცილებელიცაა და სასარგებლოც, — განაცხადებს ხრუმოვი საბჭოთა მწერლებთან შეხვედრისას.

„წყნარი ამერიკელიც“ რუსულ ენაზე გამოიცა. ანტი-ამერიკანიზმის გამო გრინს სინიავსკისა და დანიელის დაცვა აპატიეს. „წყნარი ამერიკელიც“ სსრკ-ში არაერთხელ, თანაც დიდი ტირაჟებით გამოიცა.

„ცივი ომი“ მთავარი თემაა რომანისა „ჩვენი კაცი ჰავანაში“. მისი მოქმედება ბატისტას დროინდელ კუბაზე ხდება.

— ესაა სატირული ნაწარმოები, — წერდა შემდგომ გრინი, — მასში არა მხოლოდ ჯაშუშომანისა და ვიცინი. მსურდა მეჩვენებინა „ცივი ომის“ მთელი აბსურდულობა. „ჩვენი კაცი ჰავანაში“ სატირიაა ჯაშუშურ რომანზე, მათზე, ვინც ასეთ წიგნებს წერს, მათზეც, ვისაც ასეთი „ლიტერატურა“ მოსწონს.

რომანის მთავარი გმირია უკვე შუახანს მიღწეული ინგლისელი ობივანტელი უორმოლდი. ის ქვრივია, ქალიშვილ მილისთან ერთად შორეულ ჰავანაში ცხოვრობს და მტვერსასრუტებით ვაჭრობს. უორმოლდს არ ეთქმის მდიდარი, თუმცა არც ღარიბია. ესაა საშუალო კლასის ტიპური წარმომადგენელი, კაცი, რომელიც შორს დგას პოლიტიკისგან, რელიგიისაგან, რომელსაც ჰყავს მეგობრების ვინრო წრე და ძალიან უყვარს ერთადერთი ქალიშვილი. უორმოლდი თავის მიკრო-სამყაროში ბედნიერია. ცხოვრებაც დუნედ, უინტერესოდ მიედინება. ალბათ სიკვდილამდეც ასე გაგრძელდებოდა, რომ არა ინგლისელი აგენტი ჰოტორნი. ის უორმოლდს „ინტელიჯენს სერვისთან“ თანამშრომლობაზე დაითანხმებს. ფილმებში ხომ ჯაშუშთა ცხოვრება რომანტიკულ ფერებშია დახატული, ფეშენებელური ვილები, მდიდრული ავტომობილები, ლამაზი ქალები. უორმოლდსაც სურს ასეთი ცხოვრება. თუმცა სინამდვილე სულ სხვაა. დაზვერვაში ფულს მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის ცნობისათვის იძლევიან. უორმოლდიც შეითხზის ცნობას, რომ კუბის მთებში უცნობი დანადგარებია შემწეული. ის აგზავნის ამ დანადგართა ნახაზსაც. სინამდვილეში ნახაზზე ჩვეულებრივი მტვერსასრუტია გამოსახული, მტვერსასრუტი, რომლის მსგავსიც უორმოლდის მალაზიაში უხვადაა. ინფორმაციას ლონდონში აღფრთოვანებით შეხვდებიან. კუბაზე „უცნობ დანადგართა“ გამოჩენა ხომ შესწავლას საჭიროებს! ამას კი დამატებით დაფინანსება სჭირდება. ამიტომაც უორმოლდის ცნობამ ალტაცებაში მოიყვანა ჰოტორნიცა და ინგლისის დაზვერვის შეიქც. მალე უორმოლდს დაფინანსებას უზრდინა. დასახმარებლად მას აგენტი-ქალს ბეატრისას უგზავნიან. მალე მასა და უორმოლდს შორის რომანიც იწყება.

— გრინმა საგანგებოდ გააცოცხლა „ჯაშუშური რომანის“ ტიპური სქემა: აგენტი-მამაკაცი, რომელსაც გვერდს ლამაზი აგენტი-ქალი უმშვენებს, თავბრუდამხვევი ფათურაკები, რომელთაც ორივე ღირსეულად გადალახავს. ყველაფერი ეს მძაფრ სატირულ ფერებშია დახატული, — წერს უოლტერ ალენი.

რომანში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიციის კაპიტანი სეგურა. ესაა კოლორიტული და საოცრად ცოცხალი ტიპაჟი. გრინი მისწრაფოდა ბატისტას დროინდელი კუბის ტიპური პოლიციელი დაეხატა. ჩანაფიქრი გაცილებით ღრმა გამოვიდა:

— არსებითად სეგურა არა მხოლოდ კუბის, არამედ საერთოდ ლათინური ამერიკის ქვეყნების ტიპური პოლიციელია. წერდა უოლტერ ალენი-სეგურები უხვად გვხვდებიან კასტროს დროინდელ კუბაზეც, ჩილეშიც, არგენტინაშიც, ბრაზილიაშიც.

უორმოლდი და ბეატრისა უამრავ კომიკურ სიტუაციაში მოხვდებიან. ბოლობოლო ყველაფერი კარგად მთავრდება. უორმოლდმა მართლაც შესძლო მნიშვნელოვანი ცნობების მოპოვება. ის მიკროსკოპში საგულდაგულოდ შეინახეს და ინგ-

ლისში გადააგზავნეს. შემდეგ უორმოლდმა მილისა და ბეატრისასთან ერთად კუბა დატოვა. იგი გამარჯვებული ბრუნდება ინგლისში. მას გვერდით ახლავს ბეატრისაც, რომელიც თანახმაა ცოლად გაჰყვეს. ამრიგად, ფინალი თითქოს ისეთი უნდა იყოს, როგორც ეს „ჯაშუშური რომანებისათვისა“ დამახასიათებელი: ჩვეულებრივი ობივაციული ამარცხებს პროფესიონალებს, ყველა ხაფანგს თავს აღწევს და თავის ერთგულ ლამაზ ქალზე ქორწინდება, ვაჟკაცურად გვერდში რომ რომ ედგა.

გრინის რომანის ფინალი სულ სხვაა. ინგლისში დაბრუნებული უორმოლდი იგებს, რომ მისი ტყუილი გამოაშკარავდა. ატყდა სკანდალი. შედეგად ბეატრისას შორეულ ჯაკარტაში გაგზავნა ელის. არასახარბიელოა ჰოტორნის ბედიც. სკანდალის ჩასაქრობად უორმოლდს ორდენი და მზვერავთა სკოლაში თანამდებობა უბოძეს. აკი „ინტელიჯენს სერვისის“ ხელმძღვანელობა მთავრობას არწმუნებდა: უორმოლდი გმირია, წლების მანძილზე სიცოცხლის რისკით მოიპოვებდა უმნიშვნელოვანეს ცნობებს.

— ეჭვი მეპარება, რომ ახალ თანამდებობაზე დიდხანს დარჩეთ, — ეუბნება უორმოლდს ბეატრისა.

უორმოლდი ინტერესდება: ჩემი უკანასკნელი შეტყობინების ბედი როგორია, ის ხომ მართლაც სიცოცხლის რისკით მოვიპოვეო. ბეატრისა დაუფარავი ირონიით პასუხობს: მიკროსკოპში ისე გულდასმით ჩატყნეთ, რომ მისი გამოღება სპეციალისტებმაც კი ვერ მოახერხესო. უორმოლდი მწარედ იღიმება. გამოგონილი ცნობისათვის ორდენი მიიღო, ნამდვილმა ინფორმაციამ კი ადრესატამდე ვერ მიაღწია. უორმოლდი არ აპირებს ახალ თანამდებობაზე მუშაობას. ის კვლავ ცოლობას სთხოვს ბეატრისას. ქალი თანხმდება, თუმცა ეკითხება, როგორ ვიცხოვრებთო. მართლაც, ახლა ხომ ისინი უმუშევრები არიან, თანაც უორმოლდის ქალიშვილიც ახლავთ. ასე მთავრდება რომანი.

„ჩვენი კაცი ჰავანაში“ სატირული ნაწარმოებია. აქ გრინი ყველასა და ყველაფერს დასცინის. დრამატიზმითაა აღსავსე რომანი „ადამიანური ფაქტორი“. მისი მთავარი თემა „ცივი ომი“ და ადამიანთა ტრაგედიაა. რომანის მოქმედება სამხრეთ აფრიკაში ხდება. მთავარი გმირი ინგლისელი მზვერავი კასლი კი უნებურად საშინელ ინტრიგაში გაეხვევა. კასლს ადგილობრივი შავკანიანი გოგონა შეუყვარდება. ამასთან მას სძულს აპარტიდი. ყველაფერი ეს უბიძგებს ადგილობრივ კომუნისტებს დაეხმაროს. კომუნისტების უკან კი სუკი დგას.

რომანში მწვავედაა დასმული აპარტიდის პრობლემა, ნაჩვენებია სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ორი სამყარო. კასლის ტრაგედიაც ამ ფონზე ვითარდება. ის ბინძური თამაშების ეპიცენტრში მოექცევა. ბოლობოლო იძულებული ხდება თავს გაქცევიტ უშველოს. ამით კასლი ციხეს გადაურჩება, მაგრამ სამუდამოდ მოსწყდება ცოლ-შვილს, სამყაროს, რომლის სისხლ-ხორციული ნაწილიც თვითონაა. რომანის ყველაზე ძლიერი ნაწილია კასლსა და მის ძალღს ბუღერს შორის მომხდარი სცენა. კასლს ძალღი არსდროს ყვარება. ბუღერი ხომ მეზობლის ძალღებს ერჩოდა, რის გამოც მეზობლებთან ხშირად ჰქონდა უსიამოვნებანი. სამაგიეროდ ბუღერს მისი ვაჟი აღმერთებდა. კასლიც შვილის ხათრით იტანდა ნავაზს. ცხოველმა ყველაზე ადრე იგრძნო, რომ კასლი გაქცევას აპირებდა, ამიტომ ჭიშკართან ჩანვა. არ ყფედა, არ ინძრეოდა, მხოლოდ მდუმარედ შესცქეროდა პატრონს. არსებობდა ძალი ვახდა სიმბოლო იმ პატარა სამოთხისა, რაც ჰქონდა კასლს, ის ხომ ცოლ-შვილსა და ძალღთან ერთად თავის მყუდრო სახლში ბედნიერად ცხოვრობდა. ბუღერის თვალღბით მას სწორედ ეს სამყარო შესცქეროდა და ემუდარებოდა, არ წასულიყო. სსრკ-ში გაქცევა ხომ სამუდამო განშორებას ნიშნავდა. ბუღერი ადგილიდან არ იძვროდა. შინ მისი და კასლის გარდა არავინ იყო. კასლმაც მოიმარჯვა იარაღი, შეაყენა ჩახმაზი. თუკი ბუღერს არ მოკლავს, შინიდან ვერ გავა. მაგრამ როგორ უნდა ესროლოს ძალღს, რომელიც მისი ბიჭუნას მეგობარია? კასლიც რამდენჯერმე შემართავს იარაღს. ბოლოს

გაკეთებს არჩევანს და ჩახმაზს თითს გამოჰკრავს. ამით კასლმა იმ სამყაროს ესროლა, რომელშიც ბედნიერი იყო. ის ჩქარი ნაბიჯით გამოდის სახლიდან, სადაც ბუღერის გასისხლიანებული გვამი რჩება. ამ სამყაროსთან კასლს აღარაფერი აკავშირებს. ის სხვა ქვეყანაში, სხვა სამყაროში მიდის, სადაც სულ სხვა ფასეულობანი და ცხოვრების წესია. რომანის ფინალში ის თავისიანებს მოსკოვიდან უკავშირდება. ჩემი საქმეები კარგადაა, — ეუბნება ცოლს, თუმცა ხმა უთრთის და მკითხველიც ხვდება, რომ ის სულაც არაა ბედნიერი.

„ადამიანური ფაქტორი“ უდიდესი ნარმატება ხვდა. რომანი რამდენიმე ენაზე ითარგმნა და ეკრანიზირებულ იქნა, თუმცა სსრკ კავშირში დაიწუნეს.

— გრინმა გაამათრახა აპარტიდი, გვიჩვენა იმპერიალისტური დაზვერავთა ჭუჭყიანი სამზარეულო, მაგრამ ვერ გვიჩვენა ძალები, ვინც აპარტიდსა და იმპერიალიზმს ებრძვის. რომანის გმირია არა კომუნისტი ან პროგრესული ინტელიგენტი, არამედ ორმაგი აგენტი, რომელიც მისივე პატრონთა თამაშების მსხვერპლი გახდა, — წერდა „ლიტერატურნაია გაზეტი“.

„ადამიანური ფაქტორი“ რუსულად მხოლოდ პერესტროიკის დროს ითარგმნა. პირველად ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, 1991 წელს კი ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

— გრინმა არნახული ძალით გვიჩვენა „ცივი ომი“, თუმცა მისი ყურადღების ცენტრში კვლავ ადამიანი რჩება. აქედანაა რომანის სათაურიც, — წერდა ვიტალი კოროტიჩი.

„ბი-ბი-სის“ კორესპონდენტთან საუბარში გრინმა ხაზგასმით აღნიშნა: შემთხვევითი არაა, რომ ჩემი რომანების უმეტესობის მოქმედება „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ხდებაო.

„ტაიმსი“ აღნიშნავდა, რომ „ადამიანური ფაქტორი“ მართლაც შექსპირული სიღრმითაა ნაჩვენები ადამიანის ტრაგედია.

— რასაკვირველია, მისტერ გრინის პოლიტიკურ პოზიციას ვერ გავიზიარებთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ: ადამიანის ტრაგედიას ის მართლაც ოსტატურად გვიჩვენებს. ამ მხრივ რომანი „ადამიანური ფაქტორი“ ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოა, — წერდა გაზეთი.

ნარდგანილია ნოზელის პრემიაზე

ბრიტანული კრიტიკა გრინის საუკეთესო ნაწარმოებად რომან „კომედიანტებს“ მიიჩნევს. უოლტერ ალენის ცნობით, ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ გრინი პირველად ნარადგინეს ნოზელის პრემიაზე.

— ჩემი აზრით, „კომედიანტები“ წლის საუკეთესო რომანი იყო და გრინი ნოზელის პრემიას ნამდვილად იმსახურებდა, — წერს ალენი.

ამას ბევრი კრიტიკოსი არ დაეთანხმა. გრინისათვის ნოზელის პრემიის მინიჭებას მტკიცედ აღუდგა წინ ცნობილი შვედი პოეტი, რომანისტი და აკადემიკოსი არტურ ლუნდკვისტი.

— ის აქტიურად თანამშრომლობდა მემარცხენეებთან, — წერს ალენი, — ლუნდკვისტს, როგორც ცნობილია, რუსებმა ლენინური პრემიაც მიანიჭეს. დასავლეთში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ლენინური პრემიის მინიჭება სუკის რეკომენდაციით ხდება, რომ ყველა ლაურეატი სუკის კრეატურას წარმოადგენს და მის დაკვეთებს ასრულებს. დასავლურ პრესაშიც გაჩნდა პუბლიკაციები, რომ ლუნდკვისტის უკან სუკი იდგა. რუსები სამაგიეროს უხდიდნენ გრინს სინიავსკისა და დანიელის დაცვისათვის.

„ლუნდკვისტის უკან სუკი დგას! რუსებმა გრინს დისიდენტების დაცვა არ აპატიეს!“ — ასეთი პუბლიკაციები ჩნდება გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და შვედურ პრესაში. მაღე ისინი თვით ცხოვრებამ გააბათილა. ლუნდკვისტმა დაგმო საბჭოთა ინტერვენცია ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.). ლენინური პრემიის მიუხედავად იგი დამოუკიდებელ პოზიციას ინარჩუნებდა. როგორც ცნობილია, ლუნდკვისტმა ავღანეთში საბჭოთა ინ-

ტერვენციაც დაგმო. ასეთი კაცი სუკის აგენტი ნამდვილად ვერ იქნებოდა. ლუნდკვისტი ხომ მუდამ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და არა იმას, რისი მოსმენაც მისგან სხვას სურდა.

— გრინისათვის ნობელის პრემია გაუმართლებლად მიმაჩნია არა იმიტომ, რომ დისიდენტები დაიცვა. სინიავსკის, დანიელისა და სხვების დასაცავად მეც არაერთხელ ამიმაღლებია ხმა, — განაცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ლუნდკვისტი, — უბრალოდ მიმაჩნია, რომ ნობელის ჯილდო საუკეთესოს უნდა ერგოს. გრინი ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალია, მაგრამ ნამდვილად არაა საუკეთესო.

უოლტერ ალენის ცნობით, ლუნდკვისტის წინააღმდეგობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. შვედს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მისმა სიტყვამ ყველაფერი გადაწყვიტა. გრინი აშკარად გულგატეხილი იყო, თუმცა მცირეოდენი შესვენების შემდეგ ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო. ერთიმეორის მიყოლებით გამოდის დეტექტიურ ქარგაში გახვეული შედეგები: „მეათე“, „მახე მკვლელისათვის“, „ჟენეველი დოქტორი ფიშერი, ანუ ვახშამი ბომბის თანხლებით“ და ა.შ. წარმატება გრანდიოზული იყო. გრინი კვლავაც წარადგინეს ნობელის პრემიაზე. კვლავ გადაჭრით აღუდგა წინ შვედი რომანისტი და აკადემიკოსი ლუნდკვისტი.

— სანამ ცოცხალი ვარ, გრემ გრინი ნობელის პრემიას ვერ ეღირსება, — განაცხადა ლუნდკვისტმა გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტთან საუბარში.

გრინი კიდევ არაერთგზის წარადგინეს ნობელის პრემიაზე. განსაკუთრებული აუიოტაჟი მოჰყვა მის რომანს „მონსენიორ კიხოტი“. ის გრინის „სერიოზულ“ რომანებს განეკუთვნება. კვლავ გამოითქვა აზრი, რომ გრინი ნობელის უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს. კვლავაც ამის წინააღმდეგ ბევრი კრიტიკოსი წავიდა, თუმცა ახლაც გადამწყვეტი არტურ ლუნდკვისტის პოზიცია აღმოჩნდა. გრინმაც ნობელის პრემია ვერც ამჯერად მიიღო.

აპილოზი

— გრინი როგორც პოლიტიკოსი უბრალოდ ღიმილს იწვევს. ის ხომ ქრისტიანობისა და კომუნისტების სინთეზისაკენ მიისწრაფოდა. მას გულუბრყვილოდ სწამდა, რომ ამით კაცობრიობისათვის ახალი იდეალი შეიქმნებოდა. ჩვენთვის, საბჭოთა მოქალაქეთათვის, რომლებმაც საკუთარ ტყავზე ვინწინეთ კომუნისტების „მშვენიერებანი“, ასეთი პოზიციის აბსურდულობა ცხადია. გრინმა-პოლიტიკოსმაც კაცობრიობას ვერაფერი შესძინა. სამაგიეროდ, გრინმა-მწერალმა შექმნა ნამდვილი შედეგები, თანამედროვე დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ოქროს ფონდში რომ შევიდა, — წერდა ცნობილი რუსი დისიდენტი და მოაზროვნე ალექსანდრე მენი.

გრინის მიერ შექმნილ შედეგთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ ნაწარმოებებს, რომლებიც დეტექტიურ ქარგაშია გახვეული.

ძვირფასო ბატონო როსტომ!

ქრისტე აღდგა! მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ბ.ნო როსტომ! სტატიას, რომელსაც გიგზავნით, ფილოსოფიურ-ისტორიული შინაარსი აქვს. იგი მოკლედ აღწერს იმ ცხარე ბრძოლებს. რაც ქართველ ფილოსოფოსებს (მ. ნუცუბიძეს, დ. უზნაძეს, კ. ბაქრაძეს, ს. ნერეთელს და სხვ. — მათ შორის მეც) კომუნისტური იდეოლოგიის შემოტევისაგან თავს გადახდა.

სტატიაში აღნიშნულია, თუ როგორ აღიმალა ხმა მაშინ ჩვენს დასაცავად ბატონმა ოთარ ჩხეიძემ.

თუ მოგეწონებათ, დაბეჭდეთ; ალბათ, ერთ ნომერში არ მოთავსდება; შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო ნომერში.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებ ჩემი თარგმანების დაბეჭდვისათვის (ბალადის დაბეჭდვას კი თქვენ შემპირდით). მე ვფიქრობ, რომ ამ სტატიას მოწონებით შესვდება როგორც ძველი, ისე ახალი ქართველი ინტელიგენცია.

სერგი ავალიანი

XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან

წინასწარი შენიშვნები

უწინარეს ყოვლისა, მკითხველის საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ სტატიაში ლაპარაკია არა ფილოსოფიურ, თუნდაც ძალიან მწვავე კამათებზე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეგობართა შორისაც, არამედ ისეთ კამათებზე (თუ შეიძლება მათ „კამათი“ ვუწოდოთ), რომლის მიზანსაც ჭეშმარიტების დადგენა კი არ წარმოადგენს, არამედ მოპირისპირე მხარის დამარცხება, თვით მის ფიზიკურ განადგურებამდეც კი. ასეთი იყო ის იდეოლოგიური ბრძოლები გასული საუკუნის ფილოსოფოსთა შორის, რომელსაც ორთოდოქსი მარქსისტები აწარმოებდნენ ორიგინალურად მოაზროვნე მეცნიერთა წინააღმდეგ, რაც ხშირად სამუხარუო შედეგით მთავრდებოდა.

ამ სამარცხვინო და საზარელ ბატალიებს, როგორც წესი, ორი — არსებითად იგივეობრივი — საფუძველი ჰქონდა; ერთი მხრივ მარქსისტულ-ფუნდამენტალისტური, რომელიც მარქსისტული იდეებიდან თუნდაც ოდნავ გადახვევას მომაკვიდნებელ ცოდვად მიიჩნევდა, ხოლო, მეორე მხრივ, წმინდა სუბიექტური მოტივები: შური, პირადი სიძულვილი ან სხვა მსგავსი ქვენა გრძნობები. პირველ შემთხვევაში ორთოდოქს მარქსისტს შეეძლო საკუთარი ძმა, მეგობარი ან სხვა საყვარელი ადამიანი გაეჩინა, თუ იგი მარქსისტულ იდეებს უპირისპირდებოდა. მეორე შემთხვევაში კი შურიანსა და გაბოროტებულ კაცს მარქსიზმის ბედი სრულიადაც არ ადარდებდა; მაგრამ მისთვის არასასურველი პიროვნების განადგურების ყველაზე ეფექტურ საშუალებას სწორედ მარქსისტული იდეოლოგიური ბრძოლები წარმოადგენდა. საბოლოოდ კი ბრძოლის ეს ორი მოტივი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა. ამ მეთოდოლოგიური პოზიციებიდან იქნება ჩვენს სტატიაში განხილული გასული საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა შორის არსებული ბატალიები.

მკითხველს ისიც მინდა შევპირდე, რომ სტატიის წერისას მკაცრად იქნება დაცული ობიექტურობის პრინციპი. მოგონებებს ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი ობიექტურ ვითარებას აღწერს. ობიექტურობის პრინციპი იმასაც მიკარნახებს, რომ მკითხველს არ დაუშვებო მათი გვარები, ვინც ამ ბატალიების სუბიექტები ან ობიექტები იყვნენ. ახლა ეს ყველაფერი ისტორიას ეკუთვნის და რაიმეს შენიღბვა-შელამაზებას არავითარი აზრი არა აქვს.

დასასრულად აღვნიშნავთ, რომ ამ ბატალიების რამდენიმე ეპიზოდი გარკვეული კუთხით გადმოცემულია ჩემს წიგნში „სავლე წერეთელი“ (თბ., 1973), აგრეთვე ფილოსოფიის ინსტიტუტის საიუბილეო კრებულში „ფილოსოფიის ინსტიტუტი“ (ბათუმი, 2007).

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განსაკუთრებული აღმავლობა გასული საუკუნის პირველი ათეული წლებიდან დაიწყო. მისი ბაირახტარი იყო შალვა ნუცუბიძე, რომელმაც ჩეხი ფილოსოფოსის ბ.ბოლცანოს ფილოსოფიის საფუძველზე შეიმუშავა ე.წ. „ალეთოლოგიის თეორია“, რომლის ჩამოყალიბებაც კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას დაემთხვა. დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა ამ „იდეალისტური“ თეორიის წინააღმდეგ. ალეთოლოგიის თეორიის ავტორი ფიზიკური განადგურების საფრთხის წი-

ნაშე აღმოჩნდა. მაშინ ბატონმა შალვამ ფორმალურად უარი თქვა ამ თეორიაზე და თავისი მეცნიერული მუშაობა ქართული ფილოსოფიის ისტორიის სფეროში განაგრძო, თუმცა ალეთოლოგიაზე ფიქრი არასოდეს მიუტოვებია.


შალვა ნუცუბიძის გადასვლა ქართული ფილოსოფიის ისტორიის სფეროში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, თუმცა ლიტერატურული მტრები არც აქ აკლდა. ასეთია ბედი ყველა ორიგინალური მოაზროვნისა, რომელთა ბოლომდე ამოშლასაც ისტორიიდან მათი მტრები ვერ ახერხებენ.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური იდეოლოგია უზომოდ აღზევდა. მოიცვა რა ადამიანის ცნობიერების ყველა სფერო, ის მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, კულტურის უანდარმი გახდა. სასტიკად იკრძალებოდა დაშტამპული მარქსისტული იდეოლოგიიდან თუნდაც ოდნავ გადახრა, შემოქმედებითი აზროვნება. მარქსისტულმა ფუნდამენტალიზმმა მოაზროვნე ადამიანებისათვის სულიშემშუთავი გარემო შექმნა. ჭეშმარიტების ერთადერთ საზომად მარქსიზმის კლასიკოსთა გამონათქვამები ითვლებოდა, რომელთა ციტირებაც აზროვნების წესად იქცა. ამის საილუსტრაციოდ ერთ კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ: ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფილოსოფიის ცოდნით არ გამოირჩეოდა; სამაგიეროდ მარქსისტული ციტატები ზედმინევენით იცოდა. კამათი უყვარდა, მაგრამ კამათობდა თავისებურად. ორ ერთმანეთისაგან დაშორებულ სკამზე დასვა გაბამდა, რომელზეც სარეცხივით ჩამოკიდებდა პატარ-პატარა ფურცლებს. თითოეულზე ეწერა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ფილოსოფიური გამონათქვამები. თუ შეეკამათებოდი, პასუხს კი არ გაგცემდა, არამედ ძაფიდან ჩამოხსნიდა ციტატებიან ფურცლებს, მოგანვდიდა და გამარჯვებულის ღიმილით შეგეკითხებოდა: „ამას რას ეტყვი?“ მეტი გზა არ იყო, ან უნდა დათანხმებულიყავ და ან ხმა არ უნდა ამოგეღო. ციტატის კრიტიკა ხომ შეუძლებელი იყო! ასეთ ვითარებაში გახშირდა იმათი დევნა, დაპატიმრებები, ვინც ციტატებით აზროვნებდა ვერ ეგუებოდა.

მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ჩვენში ამ საქმის თაოსანი იყო პეტრე შარია — „წითელი პროფესორი“; მთავრობა ძველ მეცნიერულ კადრებს აღარ ენდობოდა, ამიტომ მათ შესაცვლელად შეიქმნა ე.წ. „წითელი პროფესორა“, რომელიც სახელდახელოდ ამზადებდა მარქსისტულ კადრებს. მათ მთავარ მიზანს მეცნიერების, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის სფეროში მარქსისტული მსოფლმხედველობის „სადარაჯოზე“ ყოფნა წარმოადგენდა. ისინი ამ ამოცანას „წარმატებით“ ასრულებდნენ.

პეტრე შარია უთოვლი ნიჭითანი კაცი იყო და ბევრი რაიმე კარგის გაკეთებაც შეეძლო კომუნისტური იდეოლოგიის ერთგული ჯარისკაცი რომ არ ყოფილიყო. იგი ოცდაათიანი წლებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო იდეოლოგიის დარგში, რომელიც უზარმაზარ ძალაუფლებას ფლობდა. იგი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ.ბერიას მეგობარი და იდეოლოგიის დარგში მისი ერთგული მრჩეველი. 1944 წელს პეტრე შარია, შალვა ნუცუბიძესთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს, თუმცა მას მეცნიერული ნაშრომები არ ჰქონდა. იგი მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში ებრძოდა შალვა ნუცუბიძეს, კოტე ბაქრაძესა და ყველას, ვინც „ჭეშმარიტი“ მარქსისტი არ იყო. მას თანამოაზრენიც ბლომად ჰყავდა: ალ.ქუთელია, კაქბარდია და ბევრი, ბევრი სხვაც. როგორც პიროვნება იგი იყო დაბალი, სიმპათიური შესახედაობის მამაკაცი; დადიოდა სწრაფად, მოკლე ნაბიჯებით, ზამთარში ატარებდა კრაველის (ბოხოს) ქუდს, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ იგი, როგორც ამბობდნენ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გენერალი იყო.

1936 წელს კოტე ბაქრაძემ გამოაქვეყნა წიგნი „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, რომელშიც ჩამოაყალიბა ჰეგელის ფილოსოფიის სისტემისა და მეთოდის ურთიერთობის ისეთი გაგება, რომელიც მარქსისტული გაგებისაგან განსხვავდებოდა. წიგნი წარდგენილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. პეტრე შარია ამ წიგნის რედაქტორიც იყო და დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტიც. მან თავის რეცენზიაში იდეოლოგიური ხასიათის შენიშვნები წარმოადგინა, რის გამოც დისერტანტმა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ვერ მიიღო.



გასული საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული დისკუსიის საგანი იყო შალვა ნუცუბიძის ახალი წიგნი «*Руставели и Восточный ренессанс*» (თბ. 1947). წიგნის განხილვა შედგა 1948 წელს „იმელის“ საკონფერენციო დარბაზში. სხდომას, როგორც მოსალოდნელი იყო, პეტრე შარია თავმჯდომარეობდა. პ.შარიამ და მისმა თანამოაზრეებმა (ა.ქუთელია, ა.თავაძე, ვ.ტალახაძე, რომელსაც შალვა ნუცუბიძე „გრიანოვს“ უწოდებდა და სხვ.) წიგნზე იდეოლოგიური ხასიათის ბრალდებები გამოთქვეს. როდესაც შალვა ნუცუბიძე ამ ბრალდებებისაგან თავს იცავდა პეტრე შარია ნერვიულობდა, მაგიდას მუშტს ურტყამდა და სხდომის დახურვით იმუქრებოდა. მეცნიერთა უმრავლესობა შალვა ნუცუბიძის მხარეზე იყო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. განხილვის შედეგად წიგნი უარყოფითად შეაფასა პარტიულმა ჟურნალმა „ბოლშევიკი“, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ქართული კულტურის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ“. გაზეთში კი დაიბეჭდა სარედაქციო წერილი: „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“. პეტრე შარიას შალვა ნუცუბიძის წინააღმდეგ შური ამოძრავებდა. შალვა ნუცუბიძეს კი ის იფარავდა, რომ იგი სტალინმა შეაქო „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის გამო, ციხიდან გაათავისუფლა და, როგორც შალვა ნუცუბიძე ამბობდა, სტალინმა მას შუბლზე აკოცა.

ამის შემდეგ პეტრე შარიას ცხოვრება სულ უფრო და უფრო უკან წავიდა; იგი თანამდებობიდან მოხსნეს იმის გამო, რომ შვილის სიკვდილით გულდამწვარმა მამამ მისტიკური ხასიათის პოემა დაწერა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, პეტრე შარიაზე განაწყენებული მოსკოველი პროფესორის ილია ფანცხავას გზით ჯერ ჟდანოვს, ხოლო შემდეგ სტალინს გადასცეს. სტალინმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს დაურეკა და გაბრაზებულმა ჰკითხა: „თქვენს ცკ-ში მდივნად მღვდელი გყავთ?“ ეს საკმარისი აღმოჩნდა პეტრე შარიას მოსახსნელად.

ამრიგად, გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს პეტრე შარია უკვე ჩამოცილებული იყო პარტიულ საქმიანობას (ერთხანს კიდევ დააპატიმრეს „მეგრელთა საქმის“

გამო), მაგრამ ამჯერად მის ფუნქციას დოც. ალექსანდრე ქუთელია ასრულებდა, რომელიც საველე წერეთლის თაობისა და მისი პირადი მტერი იყო.

ალექსანდრე ქუთელია, როგორც ორთოდოქსი მარქსისტი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის „სადარაჯოზე“ იდგა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მას პატივს სცემდნენ, როგორც მარქსისტული იდეების ერთგულ დამცველს. საერთოდ, იგი ნიჭიერი კაცი იყო და, პეტრე შარიას მსგავსად, ბევრი რაიმეს გაკეთება შეეძლო, რომ მისი გონება მარქსისტული იდეებით არ ყოფილიყო დაბნელებული. მან ფილოსოფია მხოლოდ იმდენად იცოდა, რამდენადაც მარქსიზმის დამცველს ესაჭიროებოდა სხვა მეცნიერთა სათვალთვლოდ და შესაფასებლად. იმხანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე გახლდათ. ალ. ქუთელია იყო დაბალი, ჩქარა მოძრავი და ასევე ჩქარა მოლაპარაკე, თუმცა დიქცია არ უვარგოდა, ყველა სიტყვას სრულად ვერ წარმოსთქვამდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართული აზროვნების ისტორიის პატრიოტი იყო. სტუდენტებს ხშირად დიდი გატაცებით გველაპარაკებოდა სულხან-საბა ორბელიანზე, ვაჟა-ფშაველასა. ვაჟა-ფშაველას შესახებ წიგნიც კი დაწერა; მაგრამ მას ეს ხელს არ უშლიდა, რომ სასტიკი და დაუნდობელი ყოფილიყო ორიგინალური და შემოქმედებითი აზროვნების წინააღმდეგ.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მარქსისტული რისხვის საგანი გახდა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. ამ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა ფიზიოლოგმა დ.გედევანიშვილმა დაიწყო, რომელიც აგრეთვე „იდეოლოგიურ შეცდომებზე“ ლაპარაკობდა. ამ დროს დიმიტრი უზნაძე გარდაცვლილი იყო. დ.გედევანიშვილის იდეოლოგიურ ბრალდებებს მხარი დაუჭირა ალ.ქუთელიამ, რომელმაც დ.უზნაძის განწყობის თეორიას მარქსისტული იდეები დაუპირისპირა. წიგნის განხილვა შედგა ფურცელაძის ქუჩაზე მასწავლებელთა სახლში. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის დასაცავად გამოვიდნენ კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ანგია ბოჭორიშვილი და სხვები. როცა ალ.ქუთელიამ შეატყო, რომ „ბრძოლა წააგო“, დ. უზნაძის წიგნი სკამზე დადო და ზედ დააჯდა.

კიდევ უფრო ფართომასშტაბიან იდეოლოგიურ ბრძოლას ჰქონდა ადგილი გასული საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ლოგიკოსის საველე წერეთლის წინააღმდეგ. საველე წერეთელმა 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც ნათლად ჩანდა ახალგაზრდა დისერტანტის ორიგინალური კვლევა-ძიების უნარი. იგი აკრიტიკებდა ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას და მოითხოვდა „ახალი ლოგიკის“ შექმნას, რომელიც დიალექტიკურ წინააღმდეგობაზე იქნებოდა აგებული.

1941-1945 წლებში საველე წერეთელი არმიაში იმყოფებოდა; 1946 წლის თებერვალში თბილისში დაბრუნდა და მაშინვე დანიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად, ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგედ, ხოლო 1948 წელს, როდესაც პეტრე შარია ზემოაღნიშნული ბრალდების გამო ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ამ თანამდებობაზე საველე წერეთელი დანიშნეს. მაშინ ფილოსოფიის ინსტიტუტი სულ რაღაც ორი წლის წინათ (1946) იყო დაარსებული და სათანადოდ ჯერ კიდევ არ მოწესრიგებულიყო.

საველე წერეთელი გახლდათ არამარტო დიდი ერუდიტი, ფილოსოფიის ისტორიის და, საერთოდ, ფილოსოფიური პრობლემების ღრმა მცოდნე, არამედ არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანიც. მან ფილოსოფიის ინსტიტუტი ჩამოაყალიბა, ახალი კადრებით შეავსო და ფილოსოფიური კვლევა-ძიების ცენტ-

რად აქცია. დაიწყო ინტენსიური ფილოსოფიური მუშაობა; სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, ტომებად ქვეყნდებოდა ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომები (პირველი ტომი დაიბეჭდა 1949 წელს).

თავის მხრივ საველე წერეთელმა ინტენსიურად განაგრძო საკანდიდატო დისერტაციაში დაწყებული ახალი ლოგიკური თეორიის ძიება. 1947 წელს ჯარიდან ახალდაბრუნებულს უკვე შემუშავებული ჰქონდა ახალი დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის ძირითადი პრინციპები, ამჟამად ცნობილი რომ არის „უსასრულო დასკვნის თეორიის“ სახელწოდებით.

საველე წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიის პირველი ვარიანტი დაიბეჭდა 1952 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ მეოთხე ტომში. მაშინ სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც თავის მოვალეობას „პირნათლად“ ასრულებდა. მარქსისტული იდეებიდან თუნდაც ოდნავ გადახვევასაც კი ცენზურა არავის აპატიებდა. მხედველობაში ჰქონდა რა ეს გარემოება, საველე წერეთელმა თავის წიგნს (მისი მეგობრის პარმენ გუჯავაძის რჩევით) უწოდა „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“. წიგნი აჭრელებული იყო მარქსის, ენგელსის, ლენინისა და, განსაკუთრებით, სტალინის ციტატებით, თუმცა არცერთი არ ესაჭიროებოდა. მაშინ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო შმაგი და დაუნდობელი ადამიანი აკაკი მგელაძე; კიდევ უფრო უარესი იყო თბილისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ ბალავაძე. ერთიც და მეორეც თავიანთ თავს დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად და მარქსისტული იდეოლოგიის ერთგულ დამცველებად მიიჩნევდნენ.

საველე წერეთლის მიერ დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის შემუშავების პარალელურად ლოგიკის ახალ ვარიანტს ამუშავებდა გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი პროფესორი ლევან გოკიელი, რომლის ლოგიკური თეორია ცნობილია „ძირეული დასკვნის თეორიის“ სახელწოდებით. ლოგიკის ახალ ვარიანტებზე მუშაობამ მათი ავტორები დაამეგობრა. ლევან გოკიელის ლოგიკური თეორია გადმოცემულია წიგნში: «О природе логического» (თბ.1958). საველე წერეთლისა და ლევან გოკიელის თეორიების თუნდაც ზოგადი მიმოხილვა შორს წაგოყვანდა. ეტიკეტი მხოლოდ, რომ მათ შორის ბევრი საერთო და ასევე ბევრი განსხვავება. ეს საკითხი ვრცლად გაანალიზებულია ჩვენს წიგნში: „საველე წერეთელი“. საველე წერეთელი თავის წიგნში ხშირად იმონებდა ლევან გოკიელის აზრებს.

1952 წლის შემოდგომაზე საველე წერეთელმა თავისი წიგნი „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოში წარადგინა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოპონენტებად დანიშნეს შალვა ნუცუბიძე, ლევან გოკიელი, კოტე ბაქრაძე და გიორგი შუშანაშვილი. პირველი ორი ოპონენტი მალე შეფასებას აძლევდა სადისერტაციო ნაშრომს, ეს ორი კი თუმცა დისერტანტს მწვავედ ეკამათებოდნენ, მაგრამ კამათი მეცნიერული იყო და საბოლოოდ მხარს უჭერდნენ დისერტანტისათვის საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოპოვებას.

დისერტაციის დაცვა დანიშნული იყო 25 ნოემბრისათვის. დისერტანტი ენერგიულად ემზადებოდა როგორც საჯარო პაექრობისათვის, ასევე საბანკეტოდ, ვინაიდან ოპონენტთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოპოვების გარანტიას იძლეოდა; საბანკეტოდ იყიდა კახური ღვინოც და სურსათიც. მაგრამ დაცვამდე სამი დღით ადრე ალ. ქუთელიას თაოსნობით დაიწყო აღვირახსნილი კამპანია საველე წერეთლის წინააღმდეგ. დისერტანტს აბრალებდნენ მარქსიზმის ლალატს, მარქსიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით სტალინის იდეების განზრახ დამახინჯებას. მაშინ სტალინი ჯერ კი-

დევე ცოცხალი იყო და ასეთი ბრალდებანი უკიდურესად საშიში გახლდათ. პირველ ხანებში მეტროპოლითა რიგებში ალ. ქუთელია არ ჩანდა; სამაგიეროდ ბობოქრობდა თბილისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ვ.ბალავაძე, რომელსაც ფილოსოფიაში საერთოდ არაფერი გაეგებოდა, არც კი იცოდა ვის ან რას აკრიტიკებდა. მაგრამ მისი კონსულტანტი ალ.ქუთელია გახლდათ. გაზეთები გაივსო ს.წერეთლის კრიტიკით; იქვე ახსენებდნენ ლევან გოკიელსაც, როგორც სავლენ წერეთლის მეგობარსა და თანამოაზრეს. დისერტაციის დაცვა, ცხადია, ჩაიშალა. სავლენ წერეთელი მოხსენის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან და გარიცხეს პარტიიდან, რაც დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურების წინაპირობა იყო. ამ ბრძოლაში ალ. ქუთელია, ცხადია, მარტო არ ყოფილა; მის გუნდში შედიოდნენ დოც.კირილე აქბარდია, დოც. ამბროსი თავაძე და ნაწილობრივ დოც. დიმიტრი კალანდაძე.

ბუნებრივია, რომ სავლენ წერეთელი უზომოდ დათრგუნვილი იყო. სხდომებზე, სადაც მას აკრიტიკებდნენ, თავჩაქინდრული იჯდა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ზედინედ ცვლიდნენ მარქსისტი „ორატორები“. სავლენ წერეთელი კი თავდაცვას ვერ ბედავდა; აუცილებლობის შემთხვევაში იძულებული იყო თავის „შეცდომებზე“ ელაპარაკა. იგი დღედღეზე დაპატიმრებას ელოდა; ფიქრობდა არა იმდენად თავის თავზე, რამდენადაც ვერ კიდევ მცირეწლოვანი შვილების ბედზე. მის დასაცავად ხმას ვერ იღებდნენ თვით მისი უახლოესი მოწაფეებიც. პირიქით, სავლენ წერეთელი დაჟინებით გვთხოვდა, რომ იგი გაგვეკრიტიკებინა: იქნებ თქვენ მაინც გადარჩეთო. სამწუხაროდ, მას ვერც ვიცავდით და არც ვაკრიტიკებდით. თუმცა იყო ერთი გამონაკლისი; ერთმა ახალგაზრდამ სავლენ წერეთლის ასპირანტობაზე უარი თქვა და ალ. ქუთელიას ასპირანტობა არჩია. მე არ ვერიდებოდი ჩემს დიდ მასწავლებელთან არც შეხვედრას და არც საუბარს. მეტიც, სისტემატურად დავდიოდი მის ბინაში ფალიაშვილის ქ.17-ში, სადაც მას და მის ოჯახს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. ვიდრე სავლენ წერეთლის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდნენ, მის სამუშაო მაგიდასთან კედელზე ორი სურათი ეკიდა: მარცხნივ პლატონი, მარჯვნივ კი არისტოტელე; ხოლო როდესაც სამსახურიდან მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს, საღამოს სანუგეშოდ ბინაში ვენიხ და ვნახე, რომ მაგიდის მარცხნივ მარქსის სურათია, მარჯვნივ კი ლენინისა. შუაში რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი იყო კედელზე გაკრული; კრემლის კიბეზე ჩამოდიან სტალინი, ბერია, მოლოტოვი და სხვ.

ქართული კომუნისტური იდეოლოგიის „თავკაცები“ ებრძოდნენ არა მხოლოდ სავლენ წერეთელს, არამედ ისეთ გამოჩენილ მეცნიერებსაც, როგორც იყვნენ შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი და ყველას, ვინც ორიგინალურად აზროვნებდა და მეცნიერებას ემსახურებოდა. ქართული ინტელიგენცია ერთნიშნად გამოხდა ამ უზნებობას, მაგრამ ხმას ვერავინ იღებდა; ტერორი უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი. მაგრამ მაინც იყო ერთი გამონაკლისი შემთხვევა: ხმა გავრცელდა, რომ ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ თავის რომანში (ალბათ იგულისხმებოდა „ბურუსი“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა) გაბედულად და მკაცრად დაგმო ქართული მეცნიერების წინააღმდეგ აღვირახსნილი ბრძოლა და დევნილ მეცნიერთა მხარეზე დადგაო. სამწუხაროდ, ეს წიგნი ჩვენ მაშინ ვერ მოვიპოვეთ.

სავლენ წერეთელმა მოახერხა პარტიის ცკ-ს პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან შეხვედრა, მაგრამ რესპუბლიკის თავკაცი მას მართლაც მგელურად შეხვდა. როგორც მოგვიანებით სავლენ წერეთელმა გვიამბო, აკ. მგელაძემ მას საერთოდ არ მოუსმინა, მაჯაში ხელი ჩაავლო და უთხრა: „ინტელიგენცია უნდა გაგანადგუროთ“. როცა მან სავლენ წერეთელს ფაშისტი უწოდა, სავლემ უთხრა: „მე ხუთი წელი ფაშისმს ვებრძოდი“. ხოლო როდესაც მგელაძემ ბრძოლა შემოიგინა, იგონებდა სავლენ წერეთელი, სახეში მუშტის გარტყმა დავაპირე, მაგრამ მომაგონდა, რომ მე დამხვერტდნენ, ხოლო ჩემს ცოლ-შვილს ააწიოკებდნენ; ამიტომ თავი შევიკავეო.

საბედნიეროდ ვითარება მალე განიმუხტა; 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა. ამის შემდეგ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით იდეოლოგიური ბრძოლები შენელდა. მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს მგელაძეც და ბალავაძეც. სავლენ წერეთელი ქირქილებდა. იმ დროს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი იყო წყნარი, ფუნჩულა კაცი სეთ ლარცულიანი. მართალია, მან ფილოსოფია არ იცოდა, მაგრამ დადებითი პიროვნება იყო. მან პირველმა, როგორც პარტიის ცკ-ს წევრმა, ხმა აღიმალა სავლენ წერეთლის დასაცავად. სავლენ წერეთელი შეხვდა პარტიის ცკ-ას ახალ პირველ მდივანს ვასილ მყავანაძეს. მართალია, ამ შეხვედრას ერთბაშად შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ სავლენ წერეთლის სარეაბილიტაციოდ ნიადაგი თანდათან მზადდებოდა.

სავლენ წერეთელმა ხელახლა გადაამუშავა თავისი წიგნი, კიდევ უფრო დაასაბუთა უსასრულო დასკვნის თეორია და დისერტაცია მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში გაგზავნა (დისერტაცია მოსკოვში მე ჩავიტანე). დაცვა შედგა 1957 წლის 6 მარტს. დისერტანტს მიანიჭეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ცოტა ხნის შემდეგ მიენიჭა პროფესორისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც. სავლენ წერეთელი კვლავ დაუბრუნდა ფილოსოფიის ინსტიტუტს, როგორც დირექტორი. მისი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც სრულყოფილად წარმოდგენილია უსასრულო დასკვნის თეორია, არის „დიალექტიკური ლოგიკა“, რომელიც 1965 წელს ჩემი რედაქციით დაიბეჭდა. სავლენ წერეთელი გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გასული საუკუნის სამოციან წლებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს თაოსნობით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის შემოწმება. მართალია, ამ შემთხვევაში იდეოლოგიურ შეცდომებზე არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ სადღაც ქვეტექსტში ესეც იგულისხმებოდა. შემოწმება ფილოსოფიის ინსტიტუტს, კერძოდ, მის დირექტორს სავლენ წერეთელს მიანდეს, თუმცა კომისიის თავმჯდომარე იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეცნიერების განყოფილების გამგე, მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება როსტომ შადური. კომისიის წევრთა შემადგენლობაში ახალგაზრდა თაობიდან ვიყავით მე და ოთარ ბაკურაძე. ჩვენი კომისია ორი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა და სათითოდ ინვევდა ფილოსოფიის ფაკულტეტის თანამშრომლებს, უსმენდა მათ აზრს ფაკულტეტის მუშაობის შესახებ. კომისიას კონსპირაციული ხასიათი ჰქონდა; ამიტომ დაკითხვაზე მოსული ფაკულტეტის თანამშრომლები გულწრფელად, დაუფარავად ლაპარაკობდნენ. გამოკითხვები მეგობრულ, მაგრამ საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. იდეოლოგიური ბრალდებები არ ყოფილა; თუმცა ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა: გურამ თევზაძე ახალგაზრდობის წლებში ოქროს ბეჭედს ატარებდა, რაც იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. დაკითხვაზე მოსულმა დოცენტმა (შემდეგ პროფესორმა) შალვა ბინაძემ გვითხრა: „გურამ თევზაძე ლექციებზე ბეჭდით შედისო“. მაშინ ბატონმა როსტომმა უთხრა: „რა მოხდა, ბატონო შალვა, თუ ახალგაზრდა ბეჭედს ატარებს, თუკი ის ცოლ-ქმრულ ერთგულებას მოაგონებსო“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის შემსწავლელი კომისია დადებითი შედეგებით დამთავრდა; თუმცა იყო საქმიანი, მაგრამ უწყინარი შენიშვნებიც.

სავლენ წერეთლის გარდაცვალების (1966) შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტი ვაკანტური გახდა. ნეისამებრ ეს ადგილი დირექტორის მოადგილეს ნიკო ჭავჭავაძე

ძეს უნდა დაეჭირა. მაგრამ ინსტიტუტში ზოგიერთი თანამშრომელი, მათ შორის პირველ რიგში ანგია ბოჭორიშვილი, წინააღმდეგნი იყვნენ. ნიკო ჭავჭავაძე ნიჭიერი ფილოსოფოსი და დადებითი პიროვნება გახლდათ. ჩვენ ერთად დავამთავრეთ ფილოსოფიის ფაკულტეტი და ერთად დავინწყეთ ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობა. მე და ნიკოს ერთმანეთთან ისიც გვაახლოებდა, რომ ორივე საველე წერეთლის უახლოესი მოწაფეები ვიყავით. როცა ჩემი პირველი შვილი დაიბადა, ნიკო ჩემთან მოვიდა მის პატარა გოგონასთან — ტატასთან (ამჟამად ნინო ჭავჭავაძე) ერთად, მომილოცა და საჩუქრად თოჯინა მოიტანა.

როდესაც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე საკითხი დაისვა, განაწყენებულმა ნიკომ დირექტორობაზე უარი თქვა. ეს უარი გულწრფელი არ ყოფილა. ვიცოდით რა ეს, მისი მეგობრები, მათ შორის მეც, თანხმობას ვთხოვდით. ისარგებლა რა ამ შემთხვევით, ბატონი ანგია ბოჭორიშვილი მოგველაპარაკა რამდენიმე თანამშრომელს, ვისაც ინსტიტუტის საქმე ეკითხებოდა, და ჯგუფი — შალვა ხიდაშელი, ოთარ ბაკურაძე, მე და გენო ცინცაძე (ინსტიტუტის პარტიკომის მდივანი) პარტიის ცკ-ში წავიყვანა. მიგვილოცეს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში დევი სტურუამ. ბატონმა ანგიამ უკიდურესად უარყოფითად დაახასიათა ნიკო ჭავჭავაძე. სტურუამ უპასუხოდ გამოგვისტუმრა. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს მოეთათბირა და საკითხის გადაწყვეტაც მას მიანდო. ცოტა გვიან იმავე შემადგენლობით პრეზიდენტს შევხვდით. იმხანად ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი გვყავდა ნავარაუდები, მათ შორის ახალგაზრდებიც (ო.ბაკურაძე). ჩემი კანდიდატი ოთარ ბაკურაძე იყო. ჩვენ ერთად დავამთავრეთ უნივერსიტეტი და თითქმის ერთდროულად დავიცავით სადოქტორო დისერტაცია. ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა თავაზიანად მიგვილოცა, თუმცა ვიცოდით, რომ მას ანგია ბოჭორიშვილი არ უყვარდა (ამბობდნენ, იგი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან სწორედ ამიტომ გაათავისუფლეს). ბატონმა ანგიამ პრეზიდენტს მოახსენა, რომ მას არ სურს ინსტიტუტის დირექტორობა, მაგრამ ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები აიძულებენ, რომ დათანხმდეს. მძიმე სიტუაცია შეიქმნა; პრეზიდენტს ეტყობოდა, რომ საგონებელში ჩავარდა; მას არასგზობით არ აძლევდა ხელს ანგია ბოჭორიშვილის დირექტორობა, მაგრამ არც ინსტიტუტის თანამშრომელთა მოთხოვნის უგულვებელყოფა იყო იოლი. პრეზიდენტი ერთხანს ჩაფიქრდა. მაშინ მე სიტყვა ვითხოვე და მოვახსენე, რომ თუ პრეზიდენტს ეს კანდიდატი ასაკის გამო არ ეჭაშნიკება, მაშინ ჩვენ სხვა — ახალგაზრდა კანდიდატებიც გვყავს-მეთქი. ბ-ნმა პრეზიდენტმა ამოისუნთქა; მიხვდა, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი ერთხმად როდი უჭერდა მხარს ანგია ბოჭორიშვილის კანდიდატურას. ამკარა ვახდა, რომ ეს კანდიდატურა მოიხსნა. ბ-ნ ანგიას მაშინ ჩემთვის საყვედურიც კი არ უთქვამს, თუმცა ვიცოდი, რომ სასტიკად წაწყენი დარჩა, ხოლო იგი წყენას ასე იოლად არავის აპატიებდა. ასე გაჩნდა „უფსკრული“ ჩემსა და ბატონ ანგიას შორის.

ბ-ნ ანგიას კანდიდატურის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვასო ფრანგიშვილი. ბ-ნი ანგიას კანდიდატურა გამოირიცხა, რითაც ნ.ჭავჭავაძეს გზა გაეხსნა. მიუხედავად ამისა, არამარტო ბ-ნი ანგია, არამედ ნიკო ჭავჭავაძეც ჩემზე უაღრესად ნაწყენი, შეიძლება ითქვას, გაბრაზებულიებიც კი დარჩნენ. ერთხელ ნიკომ ასეთი საყვედური მიიხრია: „ოჯახი მე არა მაქვს, სახლი არა მაქვს და არც ინსტიტუტის დირექტორი უნდა ვიყო?“ მართალია, მე ნიკოს დირექტორობის წინააღმდეგ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვინაიდან ბატონ ანგიას ცკ-სა და აკადემიის პრეზიდენტთან ვახლდი, თავისი მტრების ბანაკში ჩამრიცხა და ბოლომდე ამრეზით მიყურებდა.

ზემოთ ვთქვი, რომ ნიკო ჭავჭავაძე ნიჭიერი და დადებითი პიროვნება იყო. თავის მეგობრებს ყოველთვის წყალობდა, მაგრამ ვინც არ მოსწონდა, მათ მიმართ ზიზღს ვერა ფარავდა. ერთი სიტყვით, იგი ბივალენტური პიროვნება გახლდათ.

რაც შეეხება ანგია ბოჭორიშვილს, იგი წლების მანძილზე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) პრორექტორი, მაგრამ ფაქტობრივად რექტორი იყო. ამბობენ, იმდენად მკაცრი იყო, რომ მისი ყველას ეშინოდაო. როცა თბილისში გადმოვიდა, მაშინ ერთპიროვნული მმართველობის ასპარეზი აღარ ჰქონდა, მაგრამ ხისტი და პატივმოყვარე ხასიათი მაინც შერჩა. ვერ ფარავდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. ერთმა უნივერსიტეტელმა ფსიქოლოგიის პროფესორმა აკაკი ბაინდურაშვილმა მითხრა: „ანგია ბოჭორიშვილი ფსიქოლოგების სიძულვილმა ფსიქოლოგიის სიძულვილამდე მიიყვანაო“. იგი უთუოდ სწავლული და ღრმად მოაზროვნე მეცნიერი იყო, თუმცა მარქსისტული მსოფლმხედველობის დაძლევა ვერ მოახერხა.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად საველე წერეთლის შემდეგ ნიკო ჭავჭავაძე დაინიშნა. მე კი ორივესათვის *persona non grata* გავხდი.

საველე წერეთელი გარდაცვლილი იყო, როდესაც დაიწყო კამათი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სახელწოდების შესახებ. საბჭოთა კავშირში სახელწოდებას „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ ტაბუ ჰქონდა დადებული, ვინაიდან დასავლეთში ამ სახელწოდებით არსებობდა ფილოსოფიური მოძღვრება (შელერი, პლესნერი), ადამიანის შესახებ, რომელიც, ცხადია, მარქსისტული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ ის, რაც ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმებოდა, კერძოდ, ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის რაობის შესახებ, ნებადართული გახლდათ. მაგალითად, არსებობდა მოსკოველი ავტორის ოდრობნიცკის წიგნი, რომელიც ადამიანის არსს იკვლევდა, მაგრამ მას ფილოსოფიური ანთროპოლოგია არ ერქვა. ჩვენშიც ზურაბ კაკაბაძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „Человек, как предмет философии“, რომელიც შინაარსის მიხედვით ფილოსოფიური ანთროპოლოგია იყო. ქართველი ფილოსოფოსები (ანგია ბოჭორიშვილი მისი მოწაფეებითურთ და ნ. ჭავჭავაძე) მტკიცედ იცავდნენ ამ სახელწოდებას, ხოლო მოსკოველი ფილოსოფოსები ბრაზობდნენ; ქართველ ფილოსოფოსებს მარქსისტული ფილოსოფიიდან გადახრას აბრალებდნენ. ბოლოს და ბოლოს ქართველმა ფილოსოფოსებმა თავისი გაიტანეს და ტერმინი „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ შეინარჩუნეს. ამ სახელწოდების დაცვა რუს მარქსისტთა შემოტევებისაგან, ცხადია, იოლი არ ყოფილა, მაგრამ ამ დისკუსიის დრამატიზება მაინც არ შეიძლება, ვინაიდან საქმე ეხებოდა ადამიანის რაობის შემსწავლელი ფილოსოფიური მეცნიერების სახელწოდებას და არა მის შინაარსს.

დაახლოებით ამავე სიძიძისა იყო მეორე შემოტევა ონტოლოგიასთან დაკავშირებით. 1973 წელს ჩემი თაოსნობით და რედაქციით რუსულ ენაზე დაიბეჭდა კრებული: »О предмете философии«, რომელშიც გამოქვეყნდა ჩემი სტატია: „Предмет марксистской онтологии«. კრებულის ყველა ავტორი (ო.ჯუღელი, თ. ბუაჩიძე, გ.ცინცაძე, გ.მარჩიაძე, გ.ბაჩულაშვილი, ა. ბეგიაშვილი) სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ ფილოსოფიის საგანს, მაგრამ ყველა აღიარებდა ონტოლოგიური კვლევის აუცილებლობას. მარქსისტული ფილოსოფოსები კი ონტოლოგიის სახელწოდებას უარყოფდნენ, რადგან მასში იდეალიზმს ხედავდნენ; ამიტომ მას ფვლიდნენ ფილოსოფიის საგნის შესახებ მოძღვრებით (იხ. თუნდაც ნ.მოტროვილოვას სტატია რუსული ფილოსოფიური ენციკლოპედიის (მოსკოვი, 1967) მეოთხე ტომში „ონტოლოგია“). ცენტრალურმა ფილოსოფიურმა ჟურნალმა „Вопросы философии“ ჩვენს კრებულზე რეცენზია გამოაქვეყნა, რომელიც, მართალია, დადებითი იყო, მაგრამ გამოდგენ ტერმინს „ონტოლოგია“ და გვსაყვედურობდნენ „ონტოლოგიურ ხეტიალს“ (Онтологическое блуждание), რომელიც, ცხადია, ჩვენ — ავტორებს —

გვეხებოდა, განსაკუთრებით კი მე, რაკი მონინავე სტატიაში მარქსისტულ ონტოლოგიაზე ვლაპარაკობდი.

მიუხედავად ამისა, ონტოლოგიური პრობლემების კვლევა არამარტო არ შეგინევეტია, არამედ ჩემი შემდგომი ორი ნიგნი: „Абсолютное и относительное» (თბ.1980) და მონოგრაფია „მეცნიერული ონტოლოგია“ (თბ.1994) სწორედ ონტოლოგიის პრობლემებზეა დაწერილი. ერთ-ერთმა რუსმა ავტორმა მ.ვ.ჟელნოვმა თავის სტელტანიან ნიგნში: «Предмет философии в истории философии» (მოსკოვი,1981) ჩემს ონტოლოგიურ თვალსაზრისს „ონტოლოგიურ-ატრიბუტული კონცეფცია“ უწოდა.

* * *

მწვავე იდეოლოგიური ბატალიები გაიმართა ჩემს ნიგნზე: „ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია“ (თბ. 1974), რომელიც სამ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ნიგნში მოცემული იყო ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის მთელ რიგ პრობლემათა ორიგინალური გააზრების ცდა. ეს ნიგნი დაბეჭდვამდე გამოჩნებულმა ქართველმა ფიზიკოსმა აკადემიკოსმა მათე მირიანაშვილმა ასე შეაფასა: „უნდა გარკვევით ითქვას, რომ ნიგნი წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც დეტალურად და ღრმა ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე განხილულია თანამედროვე ფიზიკის ყველა პრინციპული საკითხი. ეს საესებით მოსალოდნელი იყო, ვინაიდან პროფესორი სერგი ავალიანი ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარია; იგი კარგად არის დაუფლებული თანამედროვე ფიზიკის ორ ძირითად თეორიას: ფარდობითობისა და კვანტურ თეორიებს და ეს აძლევს მას საშუალებას თავისი ღრმა ფილოსოფიური ერუდიციის დახმარებით სრულად წარმოგვიდგინოს ამ თეორიების ფილოსოფიური მხარე“.

მაგრამ ამ მალალმა შეფასებამ გააღიზიანა ჩემი მონინალმდეგნი, რომელთაც ძირითადად შური ან პირადი წყენა ამოძრავებდათ. ერთხელ პროფ. გელა ბანძელაძემ მითხრა: „მარქსის „კაპიტალის“ ტოლი ნიგნი რომ დაწერე, ნუთუ არ იცოდი, რომ არ გაპატიებდნენო?“ დიდ როლს თამაშობდა პირადი წყენაც, რის გამოც ამ ბრძოლას რევანსისტული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, შალვა კაკულიამ, რომელსაც ინტრიგების კარგი გამოცდილება ჰქონდა, თავისი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობა მთხოვა და თან დაუმატა: „ცხადია, ამ ნიგნს 25 მანეთად (ოპონენტს ოფიციალურად 25 მანეთს აძლევდნენ) არავინ წაიკითხავს, მაგრამ დანარჩენი ჩემზე იყოსო“. ეს უკვე ქრთამს ნიშნავდა; მე გაგზარაზდი, უარი ვუთხარი და ქრთამის შემთავაზება ვამხილე. განაწყენებულმა შ. კაკულიამ ჩემს ნიგნზე თექვსმეტგვერდიანი „რეცენზია“ დაწერა; როგორც მითხრეს, ამ „რეცენზიის“ ორი გვერდი იუგოსლავიელ რევიზიონისტებს ეხებოდა, ხოლო თითხმეტ გვერდზე მე ვიყავი დახასიათებული, როგორც მარქსიზმის რევიზიონისტი და მისი მტერი, თუმცა ჩემს ნიგნში რევიზიონიზმის ხსენებაც კი არ ყოფილა. როცა ამ საჩივართან დაკავშირებით პარტიის ცკ-ში მეცნიერების განყოფილების გამგემ ე.სენიაშვილმა გამომიძახა, მითხრა: „ჩვენს რესპუბლიკაში ამხელა რევიზიონისტის არსებობა არც ჩვენ გვაძლევს ხელსო“.

ჩემი მეორე „ბრალმდებელი“ იყო დოც. ნ.მილორავა, რომლის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტად მე ვიყავი დანიშნული. დაცვის პროცესში მან ვერცერთ ჩემს შენიშვნას დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცა, რის გამოც უარი თქვი მისთვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე. დისერტაცია ჩავარდა. მან კი მეორე დღესვე თერთმეტგვერდიანი საჩივარი დაწერა ჩემს ნინალმდეგ, რომელშიც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები იყო გამოთქმული. მაგალითად, მბრალებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასთა ბრძოლის უარყოფას, მარქსიზმის დამახინჯებას, იდეალიზმს და ა.შ. ეს ე.წ. „რეცენზია“ ჩემს ნიგნზე საკავშირო კომპარტიის მიმდინარე ყრილობას გაუგზავნა. იქიდან კი საჩივარი ჩვენი რესპუბლიკის პარტიის ცკ-ის მდივანს ვ. სირაძეს გამოუგზავნეს კონტროლზე ასაყვანად. მე ვ.სირაძესთან მივედი, ჩემი

სტელტანიანი ნიგნი საჩუქრად გადავეცი. მან მითხრა, რომ ნიგნს წაიკითხავს და პასუხს მეტყვის. მე გამიკვირდა; ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიაზე დაწერილ და თანაც ასე სტელტანიან ნიგნს არასპეციალისტი როგორ წაიკითხავს და ან როგორ გაიგებს-მეთქი; ცხადია, მას ნიგნი, ალბათ, არც გადაუთვალეერებია. სამაგიეროდ თავის მოხსენებაში გაახმაურა ნ.მილორავას საჩივრის შინაარსი და იქვე დასძინა, ს. ავალიანმა ნ. მილორავას დისერტაცია ჩავადო, რასაც დისერტანტის გაბრაზება მოჰყვაო. ვ.სირაძეს არავითარი იდეოლოგიური ბრალდება არ გამოუთქვამს. ეტყობა, მიხვდა, რომ ამ იდეოლოგიურ ბრალდებებს ნიგნში არავითარი საფუძველი არ ჰქონდა.

მესამე „კრიტიკოსი“ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დოცენტი ბ.კარტოზია, რომელსაც სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობაზე უარი ვუთხარი. მან კი ბოლმა გულში ჩაიდო და ჩემი ნიგნის განხილვაზე, რომელიც უნივერსიტეტის დიდ და ხალხმრავალ აუდიტორიაში ჩატარდა, სხვა „კრიტიკოსებს“ ისიც მიემტობა და ტრიბუნისაგან ასე მომმართა: „სერგი ავალიანო, თქვენ ლენინის ეპოქაში გაიზარდეთ და რატომ ებრძვით ლენინსო“. ამ სიტყვების გაგონებაზე თამაზ ბუაჩიძე სკამიდან წამოხტა და მიამძახა: „თქვენ მხვრეტელები ხართ“ — და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. დარბაზი დატოვეს პროფ. ე.კოდუამ და მიხილ ბეჟანიშვილმაც. ეს ბრალდება იმ დროს მართლაც მძიმე იყო. სტალინის დროს ამ ბრალდებით შეიძლებოდა ადამიანი დაეხვრიტათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ლ.ბრეჟნევის ეპოქა იყო და პოლიტიკური დევნაც ძველებურად აღარ წარმოებდა.

იყვნენ სხვა ბრალმდებლებიც, რომელთაგან ზოგი პარტიის ცკ-ში მიჩიოდა, ზოგი კი უშიშროების კომიტეტში. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ ვილაც უცნობმა ქუჩაში მიმავალი მანქანაში მიმიპატიჟა, ჩამსვა და სადღაც წამიყვანა. მანქანა ქალაქის მყუდრო ადგილზე გააჩერა და მითხრა; „თქვენზე ამბობენ, რომ უარყოფთ დიალექტიკურ მატერიალიზმს, რუსებს აუგად იხსენიებთ და ინსტიტუტის თანამშრომლებს აფრთხილებთ, ინსტიტუტში უშიშროების კომიტეტის ჯამში იქნებო“. ვიდრე მე პასუხს გაცემდი, ჩემს „მასპინძელს“ ხელი მანქანის უკან ჰქონდა განედლი და რალაც წკარუნი გავიგონე; შემდეგ მივხვდი, რომ მავნებლოფონი ჩართეს. მე ვუთხარი, რომ ვარ დიალექტიკური მატერიალიზმის განყოფილების გამგე; ცხადია, არ შეიძლება იმას უარყოფდე, რისი გამგეც ვარ; მე მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში ბევრი პროფესორი-მეგობარი მყავს, რომელთაც ხშირად თბილისში ვეპატიჟები ან ისინი მინევენ მასპინძლობას, როცა მოსკოვსა და ლენინგრადში ჩავდივარ-მეთქი. ამიტომ იმის თქმა, მე თითქოს რუს ფილოსოფოსებს აუგად ვახსენებ, ცილისწამებაა. რაც შეეხება ჯამშიშების არსებობას, ბავშვი არა ვარ, რომ ასეთი რაიმე საჯაროდ განცხადებო-მეთქი. ჩემი „მასპინძელი“, როგორც ჩანს, დავარწმუნე და იმ ადგილზე დამაბრუნა საიდანაც წამომიყვანა.

ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა ამ სამარცხვინო ბრძოლაში ანგია ბოჭორიშვილი ჩაერთო. მას კარგად ახსოვდა თუ რა გავლენა მოახდინა ჩემმა რეპლიკამ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტზე, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის დანიშვნის საკითხი წყდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ როდესაც გამოსაცემად ვამზადებდი კრებულს «О предмете философии», მან დასაბეჭდად მომიტანა სტატია ფილოსოფიის საგნის შესახებ. მე, როგორც რედაქტორმა, სტატია წაიკითხე და ვნახე, რომ სუსტი იყო და გადაამუშავებას საჭიროებდა. ეს არც გამკვირვებია, ვინაიდან მისი ავტორი ფსიქოლოგი იყო და არა ფილოსოფოსი. მაგრამ ვიცოდი რა მისი ფიციხი ხასიათი, ერთბაშად უარის თქმას მოვერიდე, თუმცა სტატის ამ სახით დაბეჭდვა შეუძლებლად მიმაჩნდა. საკითხის გადასაწყვეტად სტატია ინსტიტუტის დირექტორს ნიკო ჭავჭავაძეს გადავეცი. ნიკომ წაიკითხა და უკან დამიბრუნა: იმდენად სუსტია, რომ მისი დაბეჭდვა შეუძლებელიაო. არც დაბეჭდილა. მართალია, მაშინ ბატონ ანგიას საყვედური არ

უთქვამს, მაგრამ ვიცოდი, რომ სასტიკად ნაწყენი დარჩა. იგი ხომ მიჩვეული არ იყო მის წინადადებაზე უარის თქმას!

ბატონი ანგიას ჩართვას ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში რევანშის ხასიათი ჰქონდა. მანაც, ისევე როგორც სხვებმა, კარგად იცოდა, რომ არასასურველი ადამიანისათვის ანგარიშსწორების საუკეთესო საშუალება იდეოლოგიური ბრალდებები იყო. პირველ ხანებში იგი იდეოლოგიური ბრალდებებისაგან თავს იკავებდა და რაღაც «შეცდომების» გამო მაკრიტიკებდა; ასე იყო, მაგალითად, ფილოსოფიური საზოგადოების სხდომაზე მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. ბატონი ანგია საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ რამდენადაც მასსოვს, ერთხელაც არ ჩაუტარებია ქართველ ფილოსოფოსთა სხდომა ფილოსოფიური პრობლემების განხილვის მიზნით; არადა ფილოსოფიურ საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა, ეს ევალებოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემი წიგნის შესახებ აღვირახსნილი იდეოლოგიური კამპანია მიმდინარეობდა, მან მოიწვია მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ფილოსოფიური საზოგადოების შეკრება. დარბაზში ხალხით იყო სავსე. აქ მან გააკეთა საკმაოდ გრძელი მოხსენება მთლიანად ჩემს წინააღმდეგ. ბრალდებები კი უხვად იყო გამოთქმული, თუმცა აშკარა გახლდათ, რომ წიგნი ნაკითხული არ ჰქონდა. მომხსენებელი მის თანამოაზრეებთან ერთად მოითხოვდნენ ჩემთვის ხარისხებისა და ნოდებების ჩამორთმევას. მან ისიც კი მოითხოვა, რომ ჰონორარი, რომელიც გამომცემლობამ მომცა, უკან დამებრუნებინა. მე მყავდა «წონიანი» მხარდამჭერებიც: პროფ. გენო ცინცაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კარტოგრაფი პროფ. ალ. ასლანიკაშვილი, დოც. ა. გონაშვილი და სხვ. ხმები იყოფოდა; მაშინ კომისიის თავმჯდომარეს ბიძინა ლუტიძეს შემომწმების შედეგების გამოცხადება სთხოვეს. მან ჩვეული ორჭოფული და გაურკვეველი აზრი გამოთქვა. მე არაფერი მითქვამს, მითუმეტეს მაშინ, როცა იმავე დღეს გაზეთმა «თბილისი» პროფ. ვ. ქვანახიას დაჟინებული მოთხოვნით ჩემს წინააღმდეგ უარყოფითი სარედაქციო სტატია გამოაქვეყნა.

პროფ. ვ. ქვანახია — ჩემი უნივერსიტეტელი თანაკურსელი — უთუოდ ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ეს ნიჭი სათანადოდ ვერ გამოიყენა; კონფლიქტური პიროვნება გახლდათ. ცხარე კამათი უყვარდა, რომლის დროსაც ჭეშმარიტებას არ დადიდებდა. იგი ებრძოდა კ.ბაქრაძეს, ს.წერეთელს, ნ.ჭავჭავაძეს და თვით შევარდნაძესაც კი. მებრძოდა მეც. გაზეთ «თბილისი» უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა ჩემი წიგნის შესახებ, რომელიც სავსე იყო ფაქტობრივი შეცდომებით იმიტომ, რომ ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია არ იცოდა; ეტყობოდა, რომ მას არც წიგნი ჰქონდა ნაკითხული. ერთი თვის შემდეგ იმავე გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პასუხი, რომელშიც მხილებული იყო რეცენზიაში არსებული შეცდომები და ის, რომ ჩემი წიგნი ნაკითხული არ ჰქონდა. მაგრამ მის სასახელად უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიურ ბრალდებებს არასოდეს არ მიმართავდა. მან „თბილისის“ რედაქცია აიძულა, რომ სარედაქციო წერილი დაებეჭდა ჩემს წინააღმდეგ, რომელიც იმ დღეს გამოქვეყნდა, როდესაც მეცნიერებათა აკადემიაში სხდომა მიმდინარეობდა.

მაგრამ ბატონმა ანგიამ ეს არ იკმარა. მან შეკრიბა თანამოაზრენი: ცნობილი კონფლიქტური პიროვნება, დოც. ნიკა პოლიევქტოვ-ნიკოლაძე, რომელიც ადრეც მებრძოდა (იგი ებრძოდა თვით მისი კათედრის გამგეს, ცნობილი ფიზიკოსს აკად. მათე მირიანაშვილსაც) და ბიოლოგი დ. ჯოხაძე. მათ ჩემს წიგნზე დაწერეს რეცენზიები და დასაბეჭდად მიიტანეს პარტიულ ორგანოში „საქართველოს კომუნისტი“, რომელშიც გამოქვეყნებული სტატიები პარტიის ცკ-ს აზრად ითვლებოდა და მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო. სტატიების დაბეჭდვამდე რამდენჯერმე შევხვდი პარტიის ცკ-ს მდივანს ვ.სირაძეს, მეცნიერების განყოფილების გამგეს ე.სენიაშვილს (შევარდნაძესთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, წიგნი კი ვაუფუგავნე). მოვიტოვდი, რომ გაცენოთ ჩემთვის რეცენზია, მოესმინათ ჩემი პასუხი და შემდეგ გადაეწყვიტათ მისი გამოქვეყნების საკითხი. ე.სენიაშ-

ვილისათვის ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა, მაგრამ ანგია ბოჭორიშვილმა უარი თქვა ამ ვარიანტზე. შემდეგ იმავე ე.სენიაშვილს შეეთავაზე ახალი ვარიანტი: რეცენზიები დაებეჭდათ არა პარტიულ ორგანოში, არამედ ფილოსოფიურ ჟურნალში „მატნე“, რაც შესაძლებლობას მომცემდა, რომ პასუხი გამეცა. ე.სენიაშვილს ეს აზრიც მოეწონა, მაგრამ ანგია ბოჭორიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა. რეცენზიები დაიბეჭდა „საქართველოს კომუნისტი“, რომელთაც წინ უძღოდა სარედაქციო წერილი, შედარებით რბილი ტონით დანერგილი და არც იდეოლოგიურ ბრალდებებს შეიცავდა. პირიქით, სარედაქციო წერილში ლაპარაკი იყო ჩემი ორიგინალური აზროვნების შესახებ და თითქოს კიდევ მაქებდა. მაგრამ სულ სხვაგვარი იყო ანგია ბოჭორიშვილის რეცენზია — სავსე იდეოლოგიური ბრალდებებით: „სერგი ავალიანის მიზანია შეირყეს, დაიშალა ერთიანი, მთლიანი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია“. „სერგი ავალიანმა დაიწუნა დიალექტიკური მატერიალიზმის სახელწოდება“. ს. ავალიანი იყენებს ტერმინს „ონტოლოგია“, მაშინ, როცა „მარქსსა და ენგელსს ტერმინი ონტოლოგია არ გამოუყენებიათ“. ს. ავალიანი „ძარცვავს დიალექტიკურ მატერიალიზმს“ და აშენებს ახალ ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიას. ს. ავალიანმა „დიალექტიკურ მატერიალიზმს შინაარსი გამოაცალა“. ასეთი შენიშვნებით იყო სავსე ეს რეცენზია.

ნ. პოლიევქტოვ-ნიკოლაძე ლაპარაკობდა ჩემს იდეალიზმზე, არამარქსისტულ პოზიციებზე და ა.შ., რაც შეეხება დ.ჯოხაძის რეცენზიას, როგორც თვითონ მითხრა, შინაარსი და მიმართულება შეუცვალეს და ის დანერგეს, რაც თვითონ სურდათ. მიუხედავად ამისა, იდეოლოგიურ ბრალდებებზე მის რეცენზიაში არაფერი იყო ნათქვამი.

იყვნენ „წვრილფეხა“ კრიტიკოსებიც: დოც. გილდა სიხარულიძე, დოც. ბენო ბაშალიევილი და სხვ. ბ. ბაშალიევილი, რომელსაც ასევე პირადი წყენა ამოძრავებდა, რაიხენბახიდან პლაგიატობაში მდებდა ბრალს, თუმცა რაიხენბახი ნაკითხული არ ჰქონდა გერმანული ენის უცოდინარობის გამო. კრიტიკისას სარგებლობდა ჩემი წიგნით „ჰანს რაიხენბახის ფილოსოფია“, რომელიც 1961 წელს დაიბეჭდა. მისი „არგუმენტები“ ჩემს წინააღმდეგ იმდენად უსუსური იყო, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს.

დოც. გ. სიხარულიძე იმის გამო იყო ნაწყენი, რომ მრავალი წლის მანძილზე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მე ვკითხულობდი ლექციებს ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიაში, რისი პრეტენზიაც მას ჰქონდა, ვინაიდან ფიზიკის ფაკულტეტიდან იყო მოსული.

რამდენიმე წლის შემდეგ ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბჭომ მისი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობა დამავალა. ფაქტობრივად სადოქტორო დისერტაცია არც ყოფილა წარმოდგენილი. ეს იყო ორი თხელი წიგნი ასპირანტების სახელმძღვანელოდ; არავითარი გამოკვლევა, არავითარი ორიგინალურობა.

სხდომა შედგა ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, რომელიც სავსე იყო ფილოსოფოსებითა და ფიზიკოსებით. აქ იყვნენ აკადემიკოსები: თეიმურაზ კოპალეიშვილი, თენგიზ სანაძე, პროფ. ანზორ ხელაშვილი და სხვ. ჩემს რეცენზიაში გამოვლენილი იყო მრავალი ფაქტობრივი და აზრობრივი შეცდომა; არავითარი სიახლე, არავითარი კვლევა. ერთი სიტყვით, ჩემი რეცენზია უარყოფითი იყო და დისერტაცია ჩავარდა.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა; მაგრამ ვფიცავ ჩემს სინდისსა და ადამიანობას, რომ ჩემი უარყოფითი დასკვნა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის ერთობ დაბალი დონით და არავითარ შემთხვევაში სხვა — პირადი — დამოკიდებულებით. პირიქით, იგი ძალიან შემეცოდა, როცა დისერტაცია ჩავარდა. თავს მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი.

მთელ ამ ბატალიებში ნეიტრალური პოზიცია ეჭირა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს ნიკო ჭავჭავაძეს. მას საჯაროდ არავითარი აზრი არ გამოუთქვამს არც ჩემს წინააღმდეგ და

არც დასაცავად. მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ არ იზიარებდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიურ მეთოდებს. იგი ხომ არამართო სწავლული და ჭკვიანი კაცი იყო, არამედ ბევრათვის კეთილი და დემოკრატი ადამიანიც. ნიკო ჭავჭავაძე, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანი, კომუნისტური პარტიის ბილეთს ატარებდა და პარტიის ცკ-შიც ხშირად იჯდა, მაგრამ სულის სიღრმეში მისთვის კომუნისტური იდეოლოგია მიუღებელი იყო. ისიც კარგად იცოდა, რომ იდეოლოგიურ ბრალდებათა მთელ ამ კორიანტელს არავითარი მეცნიერული მიზანი არ ჰქონდა, საქმის ინტერესებს არ ემსახურებოდა. ერთხელ თავის კაბინეტში მითხრა: „აბა, გაბედონ და ცკ-დან დამირეკონ სამსახურიდან შენი გათავისუფლების შესახებ და ნახავენ, რა პასუხს გავცემო“. ბ-ნი ნიკო ვაჟაკი იყო, რასაც ბევრზე ვერ ვიტყვით. მაგრამ, მეორე მხრივ, ნიკოს კარგად ახსოვდა ძველი წყენა, რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნვასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ჩემს მიმართ არამართო კეთილგანწყობილი არ ყოფილა, არამედ ჩვენს შორის დაძაბულ ურთიერთობასაც ვერ ფარავდა. ერთი სიტყვით, მე არ ვიყავი „მისი გუნდის“ წევრი. ამით იყო განპირობებული მისი თავმჯდომეობა, ნეიტრალური პოზიცია ჩემს წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ვითარება ძირითადად ჩაცხრა, მე მოვიხდომე პასუხი გამეცა პარტიულ ჟურნალში ჩამოყალიბებულ ბრალდებებზე. საკმაოდ ვრცელი პასუხი დავწერე და ბატონ ნიკოს გადავეცი სამეცნიერო ჟურნალში „მაცნე“ დასაბეჭდად, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო. მან სტატია წაიკითხა და თითქოს კიდევ მოეწონა და მითხრა: „ნადი ცკ-ში და სთხოვე, რომ ეს წერილი იმავე პარტიულ ჟურნალში დაგიბეჭდონ“. ცხა-

დია, მან კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მე მაინც მივედი პარტიის ცკ-ს მეცნიერების განყოფილების გამგესთან ბ-ნ ემილ სენიაშვილთან და სტატის დაბეჭდვა ვთხოვე იმავე პარტიულ ჟურნალში. როგორც მოსალოდნელი იყო, უარი მითხრა და დაუმატა: „ნიკომ დაგიბეჭდოს „მაცნეში“, რომლის რედაქტორიც თვითონ არისო“. გამომშვიდობებისას კი მითხრა: „როცა ა.ბოჭორიშვილის, პოლიექტოვ-ნიკოლაძისა და ჯოხაძის სტატიების დაბეჭდვის საკითხი წყდებოდა, მაშინ ნიკო აქ იჯდა და თუნდაც ერთი სიტყვა რომ ეთქვა ჩვენი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაშინ არ დაიბეჭდებოდაო“. ჩვენი შეხვედრას ესწრებოდა ე. სენიაშვილის მოადგილე ბ-ნი ვაჟა კეშელავა.

აშკარა იყო, რომ ამ ბატალიებში ბ-ნი ნიკოს ორჭოფული პოზიცია ეჭირა და ამით იყო განპირობებული მისი ნეიტრალურობა.

ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ დამთრგუნველი გავლენა შეეძლო მოხდინა ჩემზე ამ უსაფუძვლო ბრალდებებს, რომელიც სამ წელზე მეტხანს გავგრძელდა და რომლისთვისაც პასუხის გაცემა ახლა უკვე აღარ ღირს. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მამხნევებდნენ, მხარში მიდგნენ, მაგრამ საჯაროდ ჩემს დაცვას ვერავინ ბედავდა. ერთმა კაცმა (დოც. ვ.კერძევაძე) მითხრა: „ბატონო სერგი, ნუ ლელავთ, ნათქვამია: ქარი მალალ ხეებს არხევს, ბუჩქებს კი არაო“.

სტატის მკითხველს პატივებს ვთხოვ, თუ თავი მოვაბეზრე ჩემი თავგადასავლის თხრობით. ეს ბატალიები გაცილებით მძიმე და აღმამფოთებელი იყო, ვიდრე ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. მაგრამ ეს სამარცხვინო ფაქტები ისტორიას ჩაბარდა; ვისურვებდი, რომ ჩვენს სინამდვილეში მსგავსი რამ აღარ განმეორებულყოფილიყო.

ეკატერინე ტუკვაძე

რატომ დაავინყდა მურატ ილდირიმს... ქართული ფესვები?!

28 აპრილს საქართველოს ცნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი საქველმოქმედო მიზნით სტუმრობდა. იგი ჩვენს ქვეყანაში დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის მონვევით იმყოფებოდა. ფონდი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად შეიქმნა. თურქული სერიალების ვარსკვლავიც საქართველოს სწორედ ლეიკემიითა და სოლიდურო სიმსივნეებით დაავადებული ბავშვების მხარდასაჭერად ეწვია. მურატ ილდირიმი თავდაპირველად სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა. თითოეულთან ღიმილიანი მისალმების შემდეგ მსახიობმა აღნიშნა, რომ მართალია, ძალიან დაკავებულია, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, საკუთარ ქვეყანაში მსგავსად დაავადებულ ბავშვებს აკითხავს.

„მხოლოდ შინ ჯდომით ვერაფერს გავხდებით. ეს პატარები რომ გვეცოდებოდნენ, არაფერს ნიშნავს. მათ დასახმარებლად უნდა ვიმოქმედოთ. მარტონი ვერას გავხდებით, მაგრამ თუ ერთად დავდგებით, მათ ამ მდგომარეობას შევუმსუბუქებთ და ამით ძალიან ბედნიერები ვიქნებით. მადლობას გიხდით, რომ ასეთ კეთილ საქმეს ემსახურებით. თურქეთი საქართველოდან შორს არ არის, მაგრამ შორსაც რომ იყოს, მაინც ჩამოვალ და ამ ბავშვებს მხარში დავუდგები“, — მიმართა ჟურნალისტებს მურატ ილდირიმი.

მისივე მოსაზრებით, დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად სახელმწიფოს ძალისხმევა აუცილებელია, მაგრამ მასთან ერთად, კერძო პირების ქველმოქმედებაც მეტად მნიშვნელოვანია.

„სახელმწიფოს გადაწყვეტილების გარეშე კერძო ფონდები ვერაფერს გახდებიან. ასე მუშაობა გაგიჭირდებათ“, — აღნიშნა მსახიობმა და სურვილი გამოთქვა, რომ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად ნებისმიერ პროექტში მიიღოს მონაწილეობა.

„შეიძლება ეს დასაწყისი იყოს და ამის შემდეგ კიდევ შევიკრიბოთ და ამ საკითხზე ვიმსჯელოთ. თქვენ პროექტი წამოიწყეთ და მასში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ. შეგვიძლია ამ საქმეში ყველა ის ადამიანი ჩავრთოთ, ვინც ჩემს ფილმებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც უყურებს“, — ურჩია მურატ ილდირიმმა ქართველებს.

როგორც დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის დამფუძნებელმა და დირექტორმა კახა ჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ფონდი საქართველოში ცნობილი ადამიანთა ჩამოყვანაზე, მათი მონაწილეობით საქველმოქმედო აქციების გამართვასა და ბავშვების სამკურნალოდ თანხის თავმოყრაზე მუდმივად ზრუნავს.

„ხელოვნების მოღვაწეების მხრივ ჩვენს გვერდში დგომა ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან, ამ ბავშვების გადასარჩენად ყველაფერი იღონონ“, — აღნიშნა კახა ჯანაშვილმა.

მურატ ილდირიმს შეკითხვით თვითონაც მივმართე. სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე კი მთელი პრესკონფერენციის მსვლელობისას მურატ ილდირიმის ის სიტყვები ჩამესმოდა, ქართველი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში რომ ასხენა — შეიძლება ქართველი წინაპარი მყავდა კიდევ, მაგრამ არ ვიციო... და როგორც კი საქართველოში სტუმრობის კეთილშობილურ მიზანზე საუბარი დაასრულა, დრო ვიხელთე და ვკითხე, ქართულ ფესვებზე ის სიტყვები რამ წარმოათქმევინა. ჩემდა გასაოცრად, მსახიობს თავისი ნათქვამი პრესკონფერენციაზე აღარ გაახსენდა. ჩემი შეკითხვა თარჯიმანს დანერვილებით გადაათარგმნინა, მერე მხრები აიჩჩა და მხოლოდ ის მიპასუხა, მსგავს სიტყვებს ვერ ვიხსენებო.



სოფიო კიკვაძე, ეკატერინე ტუცვაძე, მურატ ილდირიმი (სავაშ ბაღდადი) და ნინელი ფუტყარაძე

მურატ ილდირიმი პრესკონფერენციიდან იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაინაცვლა, სადაც 30 ბავშვი მკურნალობს. პატარა პაციენტებმა მსახიობს გულთბილი დახვედრა მოუწყვეს. როგორც მათმა მშობლებმა აღნიშნეს, საღამოობით, როცა ეთერში მისი მონაწილეობით გადაღებული სერიალი გადიოდა, საავადმყოფოს დერეფნებში საოცარი სიმშვიდე ისადაგურებდა. იმ დროს ყველა ტელეეკრანთან ირინდებოდა. სტუმართან შესახვედრად იმ დღესაც განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. პატარების გარემოცვაში მყოფმა მსახიობმა უამრავი სამახსოვრო ფოტო გადაიღო. კადრებს მისი აცრემლებული თვალებიც შემორჩა. „საქართველოში თქვენი გულსთვის ჩამოვედი“, — ეფერებოდა პატარებს.

„ამ საყვარელ ბავშვებს ჩვენგან სითბო და სიყვარული სჭირდებათ. აი, აქ ვარ და ძალიან მიხარია. მოხიბლული ვარ თქვენი ისტორიით. მიხარია, რომ ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან ასეთი კარგი ურთიერთობა აქვთ. მიხარია, თქვენი ქვეყნის ახლოს გაცნობის საშუალება რომ მომეცა. აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ პოპულარული ვიყავი, მაგრამ ასეთ დახვედრას მაინც არ ველოდი. ძალიან დამუხტული წავალ. ემოციებით სავსე ვარ“, — ჟურნალისტებთან საუბარი საავადმყოფოშიც გაგრძელდა.

მსახიობმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ბავშვებმა ყველაზე კარგად საავადმყოფოში უნდა იმკურნალონ.

„კარგი იქნებოდა, თუ ბავშვები უფრო კარგ საავადმყოფოში იმკურნალებენ. მათ დასახმარებლად ყველაფერს ვიღონებ, მაგრამ ამაში სახელმწიფომ და ბიზნესექტორმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. თავიდანვე მითხრეს, რომ საქართველოში ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სამკურნალო კლინიკა ცალკე არ არსებობს. ამ პატარების თვალში სიკოცხლის წყურვილს ვხედავ. მათ თურქეთში სამკურნალოდ გამგზავრებაში დავეხმარები“, — აღნიშნა მურატ ილდირიმმა.

როგორც მსახიობმა მოგვიანებით გაამხილა, ყველაზე ლამაზი გოგონა საავადმყოფოში ნახა.

„მართალია, ავადა, მაგრამ ყველაზე ლამაზია, ვინც საქართველოში მინახავს“, — შენიშნა მსახიობმა.

მან კომენტარის გაკეთება არც იმ ასაკოვან მანდილოსნებზე დაიზარა, რომლებიც მას სასტუმროსთან გადიდებული ფოტოსურათებითა და განსაკუთრებული ოვაციებით დახვდნენ.

„ისინი საკუთარი შვილივით მეფერებოდნენ. არ შეიძლება ამან ადამიანზე არ იმოქმედოს. ეს დღეები არასდროს დამავიწყდება. როგორც წესი, ასე ხდება — მსახიობი მაყურებელს მისი გმირიდან გამომდინარე უყვარდება. მომწონს, რომ ასეთი სიხარული საყვარელი გმირის გამო გამოხატეს. სავაშ ბაღდადის პერსონაჟი ცოტათი მგავს. ასე რომ არ იყოს, მისი როლის შესრულება ცოტა გამიჭირდებოდა. ძნელია ისეთი პერსონაჟის განსახიერება, რომელსაც შენთან არანაირი კავშირი არ გააჩნია. სავაშს იმით ვგავარ, რომ ჩემი ოჯახის კეთილდღეობისათვის მეც ყველაფერს გავაკეთებ“, — აღნიშნა მურატ ილდირიმმა.

საქართველოში თურქი მსახიობის ვიზიტი საქველმოქმედო ვაშმით დასრულდა, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდში გადაირიცხა. მურატ ილდირიმმა მათ დასახმარებლად საზოგადოებას დამტკრეული ქართული მოუწოდება: „დარეკეთ და დაეხმარეთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს“.

„საქსოფონი ჩემთვის ჯიუტ ქალთან ასოცირდება“

(მაკა ჯივლაძის ესაუბრა რეზო კიკნაძე)

რეზო კიკნაძე — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. კომპოზიტორი და შემსრულებელი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი; მონაწილეობს ჯაზის, ახალი მუსიკის, თავისუფალი იმპროვიზაციის, ელექტროაკუსტიკური მუსიკის სხვადასხვა ანსამბლებს კონცერტებში; ატარებს ლექციებს და მასტერკლასებს ელექტროაკუსტიკურ მუსიკაში.

1977 წელს დაამთავრა თბილისის 151-ე საშუალო სკოლა. მანამდე 3 წლით ადრე დაამთავრა მე-9 მუსიკალური სკოლის შვიდნაწილი საფორტეპიანო განყოფილება. 1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა. ამ დროისათვის უკვე უკრავდა საქსოფონზე კონსერვატორიის ჯაზ-კვინტეტებში, საქართველოს ბიგ-ბენდში. მონაწილეობდა თბილისის, ვილნიუსისა და ტალინის ჯაზ-ფესტივალებში.

1986-90 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკულტეტზე სწავლობდა. კომპოზიციას შესანიშნავ პედაგოგ მიხეილ შულღიაშვილთან დაეუფლა. გარკვეულ ხანს ანჩისხატის მაგალობელიც გახლდათ.

— ბატონო რეზო, გავაცანით საკუთარი თავი, მუსიკის სწავლა როგორ დაიწყო?

— მუსიკა ბავშვობიდანვე მიყვარდა. ოჯახში მუსიკის სიყვარული იყო გამეფებული. მშობლებმაც გავლენა იქონიეს. ჩემი პირველი მოგონებები ვიზუალურზე უფრო აკუსტიკურია. მამამ, ზურაბ კიკნაძემ, ბევრი რამ მასწავლა, მათ შორის ენებიც. მუსიკა და ენები ერთდროულად ვისწავლე, რამაც ჩემს ცხოვრებაში გარკვეული როლი შეასრულა. მამა ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. კომპოზიტორობა რომ გადავწყვიტე, ორი-სამი ტაქტის შემდეგ ვჩერდებოდი და ვეღარ ვწერდი, მაგრამ მაინც ეს საქმე მაინტერესებდა. ეს ამბავი ჩემს მეგობარს გავუმხილე, რომელმაც სამეცადინოდ მამამისთან, მიშო შულღიაშვილთან, წამიყვანა. შემდეგ ჩავაბარე კონსერვატორიაში, ამ დროისთვის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგია უკვე დამთავრებული მქონდა. ჯაზსაც ვუკრავდი. მეოთხე კურსიდან გერმანიაში წავიქცე, სადაც ათი წელი ვისწავლე, შემდეგ დაახლოებით ათი წელიც ვასწავლე და ბოლოს საქართველოში დავბრუნდი. აქ ყოველ ჩამოსვლაზე საინტერესო მოვლენები ხდებოდა და გული აქეთ მომიწევდა. ცხოვრების პირველი 30 წელი აქ მაქვს გატარებული. მეგობრები და ახლობლები აქ მყავს. ცოტა ვინმე მეგულებს, უკან მოუხედავად წავიდე და სამშობლოს დაშორდეს. უკვე შეიძირვა წელი აქეთ მოვიწევდი. შემდეგ დედა გარდაემეცვალა და ამან საბოლოოდ გადამანყვეტინა დაბრუნება. მე ჩამოვედი, ჩემი შვილი კი იქ დავტოვე.

— მოგიყვებით თქვენს გიორგიზე?

— გიორგი 31 წლისაა, კარგი კონტრაბასისტი და კარგი ადამიანი. საკმაოდ მშობლად მშობელი ვიყავი და ახლაც ასეთი ვარ, თუმცა 31 წლისაა.

— თქვენმა მუსიკის სიყვარულმა მოახდინა მასზე გავლენა?

— ვფიქრობ, გარკვეულწილად მოახდინა. თუმცა ეს გავლენა შეგნებულ არ ყოფილა. რაც მუსიკას ეხებოდა, უარს არაფერზე ვეუბნებოდი. რომელ ინსტრუმენტსაც ხელს ადებდა, ყველაფერს ვყიდულობდი ან ვთხოვლობდი. ბოლოს იპოვა თავისი ინსტრუმენტი. ბევრ ინსტრუმენტზე უკრავს, მაგრამ კონტრაბასი მისთვის მთავარია.

— თქვენი მეუღლე გაგვაცანით.

— ჩემი მეუღლე ნატო მირზაშვილია, რომელსაც ტოტოს ვეძახით. იგი ცნობილი მხატვრის თენგიზ მირზაშვილის ქალიშვილია. ჩუფჩიკასთვის რომ გეკითხათ, ნატო ყველაზე ნიჭიერი მხატვარია. კალმით და ტუშით ხატავს. საკუთარ თავს მხატვრად არ მიიჩნევს.

— ბატონი რეზო, იყო ჩუფჩიკას სიძე, გარკვეულ ჯილდოსაც ნიშნავს. მას თბილისი სითბოთი და ნოსტალგიით იხსენებს. ვიცი, რომ დიდ პატივს სცემდით ერთმანეთს.

— ჩუფჩიკა ყველათვის და ჩემთვისაც განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ — ადამიანური ოსტატობით, იუმორით, ინტელექტუალიზმით, ხანდახან უნმანურობაც ახასიათებდა, მაგრამ სალაღობო და საინტერესო. მთავარი, რასაც მისგან ვგრძნობდი, უშრეტო სიყვარულია. გამოხატავდა, არ გამოხატავდა, მაგრამ ვგრძნობდი და სხვებისგანაც ვიცოდი. ხელოვნებასთან დამოკიდებულებაში როგორც სხვებისგან, ისე მისგანაც ბევრი ვისწავლე. მიმიძიმს მასზე საუბარი.

— თქვენ კომპოზიტორი ბრძანდებით, გაქვთ ისეთი შემთხვევები, როდესაც რაიმე საგანი, ბუნების პეიზაჟი ან გარკვეული მოვლენა აგაფეთქებთ და მუსიკას განერივნებთ?

— თავებლობაში თუ არ ჩამოვართმევთ, სულ ასეთ მუსიკას ვწერ, ოღონდ არ უღერს ისე, როგორც თქვენს წარმოდგენაში შეიძლება უღერდეს, მაგალითად, მალერის მუსიკის მსგავსად, რომლის მოსმენისას ის ასოციაცია გექმნება, რაც თქვენ თქვით. ყველაფერმა შეიძლება უცებ მუსიკა დაგანერინოს: ქუჩაში ობიექტების განლაგებამ სივრცესა და სიბრტყეში, შემთხვევითობებმა, რომელიმე ფორმის ან ნივთის განზომილებებმა. კამერული მუსიკა ბევრი მაქვს დანერილი, სამი საორკესტრო, ბევრი ელექტრო-აკუსტიკური მუსიკა. იდეა ჯერ ჩნდება, შემდეგ ფუნქციონირებას ვთმობ და მერე იბადება. სამუშაო ფაზები ხანმოკლე და ინტენსიური მაქვს, არცთუ ისე ხშირი, რადგანაც მეცადინეობა და ჯაზის დაკვრა ბევრ დროს მოითხოვს. ახლა, რაც რექტორი ვარ, კომპოზიციას ვეღარ ვახერხებ დროის უქონლობის გამო. ვიცი, ვერცერთ ნაწარმოებს ვერ დავამთავრებ. ერთხელ დავთანხმდი ფილმის მუსიკაზე და ვერ დავამთავრე, შვეიცრიაში, ახლა მეორეზე დავთანხმდი, მაგრამ ამაზე შერცხვენა აღარ შეიძლება. ან მოვკვდები, ან დავასრულებ.

— ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში ცოტა ხნის წინათ თემურ ჩხეიძესთან საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გაიმართა, მან თქვა: ჩემი ყველა სპექტაკლი ტკივილმა დამადგმევინაო, თუ არ მტკივა სხვანაირად ვერ ვდგამო. თქვენ გაქვთ მსგავსი შეგრძნება მუსიკის წერისას?

— მუსიკის დანერას ტკივილთან არ ვაიგივებ, შეიძლება სიხარულმაც და გაცეცხამაც დაგანერინოს ნაწარმოები. საკმაოდ ემოციური ვარ, ჩემზე საქართველოში მიმდინარე ყველა წვრილმანი ძალიან მოქმედებს. მეგობრის, ახლობლის ცუდად ყოფნას განვიცდი და ალბათ კომპოზიტორად ეს მამყოფებს.

იყო დრო, ერთი ნაწარმოები დიდხანს ვერ დავასრულე და, ჩუფჩიკას ბოლო დღეებს რომ ვუყურე, ერთ თვეში დავამთავრე, თავისთავად რალაცამ დაძრა, მაგრამ ალბათ ტკივილს ვერ დავაბრალებ. ტკივილი არ არის ჩემთვის სერიოზული ემოციური იმპულსი. ტკივილი და მსგავსი შეგრძნებანი არ მიყვარს. აი, ახლა ხელი მტკივა და გუნებას მიფუჭებს, მაგრამ მუსიკას არ მანერინებს. მუსიკა ყველაფერში შეიძლება იპოვო. ერთი ამოსუნთქვით და ნერვილი ნაწარმოებები არ მაქვს. ყველაფერი წვალეობით და მეცადინეობით მოდის. ხანდახან მეზარება, მაგრამ დასაწერია და ვწერ და შეიძლება ასეთი ნაწარმოები უფრო მიყვარდეს, ვიდრე აღმაფრენით რომ დავწერე. უნდა გამოვტყდე, ვინმემ რომ მითხრას, რაც გინდა, ის დანერეო, მაშინაც ვინატი-



მაკა ჯიბლაძე და რეზო კიკნაძე

რებ, ნეტავი შეეკვთა მქონდეს-მეთქი. ცარიელი ფურცელი ყველაზე დიდი სატანჯველია. ვიღებ მელოდიურ მასალას, მეორე მხრივ სტრუქტურულს ან რიტმულს, რომელიც მთელ ნაწარმოებს ისე ალაგებს, რომ ჩონჩხს ვაგებ. შემდეგ ჯერ ერთ ნოტს შევებამ ბაფთას, იქ ხორცს შევასხამ, შევვებავ, იქ ცარიელს დავტოვებ. ამგვარად შექმნილი ნაწარმოები ყოველთვის ისეთი გამოდის რაც ყველაზე მეტად შეესატყვისება მუსიკასთან დამოკიდებულებასა და კომპოზიციას. მუსიკა შემიძლია ბევრი სხვადასხვა სახით განვიცადო, ჯაზის დაკვრა იქნება თუ გალობა, მაგრამ კომპოზიციამ ისეთ რამეს ვეძებ, რასაც სხვა ტიპის მუზიკირების დროს არ ვაკეთებ. ჯაზში რაც უნდა ბანალური სიტუაცია იყოს, თუ კარგი შემადგენლობა ვართ, ყველაფერი დასაშვებია. კომპოზიციამ ყველაფერზე პასუხისმგებელი ხარ, ამომწურავად ყველაფრის ახსნა უნდა შემეძლოს.

— საქსოფონი რა ფერია თქვენივის?

— დაკვრის დროს რა ფერსაც მივცემ, ის ფერი. უფრო მრავალფერია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ფერი.

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი საქსოფონი ასოცირდება იმპრესიონისტებთან, რომანტიკასთან, ზღვასთან, ბუნებასთან, თავად რას აღარებთ ამ ინსტრუმენტს?

— ვინაიდან საქსოფონი ჩემი ცხოვრების ნაწილია, ბევრ სხვა რამესთან მაქვს ასოციაცია. ეს არის ყოველდღე თავისებური მდებარეობითი სქესის ადამიანი, საკუთარი კაპრიზებით. მასთან ურთიერთობა მზადყოფნასა და მობილიზაციას ითხოვს. რაც შეეხება იმპრესიონისტებს, სამართლიანად შეიძლება მათთან ასოციაცია მოვუძებნოთ, თითქმის ერთ დროს წარმოიშვნენ და ხასიათითაც შვევანან. სხვათაშორის ძალიან იმპრესიონისტული ინსტრუმენტია. რასაც მომიხდება, იმას ვერ ვაკეთებინებ, მაგრამ სწორედ ეგ არის საინტერესო, არასდროს მოსაწყენი არ არის და სულ რალაცის მოლოდინში ხარ.

— დილა როგორ იწყება, განწყობას საქსოფონზე დაკვრით ხომ არ იქმნით?

— დილა იწყება ფორმალური გაღვიძებით, ან იდეა მომივა, ან ელდა მეცემა, მერე კომპიუტერს ვხსნი, წერილებს ვწერ. საქსოფონზე დილით არ ვუკრავ.

— თქვენი ცხოვრების რიტმი მაჟორულია თუ მინორული?

— არცერთი, ტონალობაში ნეიტრალურია.

— ვფიქრობ, შემოქმედი ადამიანის ცხოვრება მაჟორულია, იგი სულ რალაცის ძიებაშია, მუდმივად აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს.

— ამ კუთხით თუ შევხედავთ, თავისთავად ასე გამოდის.

— აბსურდის სამყაროში გიყვართ მოგზაურობა?

— ბევრი რამ, რაც ნორმალურ ადამიანს აბსურდად ეჩვენება, ჩემთვის სრულიად ჩვეული და ბუნებრივი გარემოა. ვილაცას შეიძლება ჩვენი საუბარიც აბსურდად მოეჩვენოს, ეს ყველაფერი რაკურსის და ასპექტის საქმეა.

— ალბათ იმიტომ, რომ ხელოვანი ხართ.

— არა, ხელოვანი შეიძლება იმიტომ ვარ, რომ...

— ზამთარი გინდათ ზაფხულით რომ შეცვალოთ, ან პირიქით ზაფხული ზამთრით, ჩქარობთ ხოლმე? გამახსენდა მონე, ზამთრის პეიზაჟის შესაქმნელად ხე ფოთლებისგან რომ გააშიშვლა?

— სულ მინდა შევცვალო, ზაფხული მალე მოვიდეს. ზამთარი იმ განსაკუთრებულ სიტუაციებში მიყვარს, რომელშიც იშვიათად ვხვდები, და ჩუფჩუკას ნახატებთან.

— როგორც ყველა ჩვენგანს, ალბათ ბავშვობა თქვენც გენატრება?

— რა თქმა უნდა. ძლიერი განცდაა. რომელიმე მუსიკალურმა ფრაზამ, რომელიმე სუნმა ან საგანმა შეიძლება ბავშვობაში გადაგიყვანოს. საკმაოდ ხშირად მაქვს ეს განცდა. შეიძლება ველოსიპედმა, რომელიც საერთოდ არც ფორმით და არც ფერით არა ჰგავს ჩემი ბავშვობის ველოსიპედს, იმ სიტუაციაში სემანტიკური კავშირით გადაგიყვანოს.

— როგორი ხასიათის ლექსები გიყვართ?

— ჩემთვის ის პოეზია მისაღები, რომელიც კომპაქტურია თავისი გამომსახველობით, უფრო მუსიკალურად აბსტრაქტულია, ერთმნიშვნელოვანი არ არის და ცოტა რომ არ მესმის. მაგალითად ჯონ ქიტის ლექსები, ქრისტიან მორგენშტენი, რომელიც გაუგებარია თავისი ბანალური სიტყვის თამაშით, იუმორისტულ-გროტესკული. პროზიდან კორტასარი მიყვარს, მარკესით ცოტა ხნით ვიყავი გატაცებული. ზაფხულში ლიტვაში, როდესაც ჩემს მომავალ მეუღლესთან დავმეგობრდი, მაშინ ვკითხულობდი „მარტოობის ას ნელს“, ამიტომ ზოგი მწერალი ჩემი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს უკავშირდება.

— ლიტვაში გაიცანით ტოტო?

— არა, აქ გავიცანი და მეორე დღეს წავედი ლიტვაში. დედამ პირველად წამიყვანა ლიტვაში, თვითონ ყოველ წელს დადიოდა. წამოიყვანა მისი მეგობრის შვილი ლელა პატარიძე, რომელიც სხვადასხვა მხრიდან ბავშვობის მეგობარი იყო როგორც ჩემი, ისე ტოტოსი. იქ საქსოფონი მქონდა და ეს წიგნი, განვმარტოვებოდი ჩემთვის, ისინი დასეირნობდნენ.

— ნაწარმოები მიგიძღვნიათ მეუღლისთვის?

— ერთი საორკესტრო ნაწარმოები მიუძღვენი. ღამე დავინწყე, რვა საათი მოუწინა, ტოტო გვერდით მეჯდა. მუშაობის პროცესში ჩემს გვერდით ყოფნა დიდი სიამოვნება არ არის.

— სრულყოფილების პორიზონტზე როგორ შეიძლება აღმოჩნდე?

— ამისკენ მოძრაობა სასურველია, პერმანენტული უნდა იყოს შეძლებისდაგვარად, ყველა პროცესს დასასრული აქვს, მაგალითად, ნაწარმოებს დაწერ, რომელიც კონცერტით მთავრდება. სრულყოფილება ალბათ საშინელებაა, ყველაფერი დაამთავრე და ერთ მშვენიერ დღეს სადღაც ორმოში ჩავარდნილმა გაიღვიძე და არ იცი, რა გააკეთო?! ეს საშინელებაა. სრულყოფილებასთან მიახლოების ხანმოკლე ილუზია შეიძლება არსებობდეს, უფრო ალბათ წინსვლის.

P.S.

რეზო კვიციანი მისი საქსოფონით მრავალფეროვანი და მასშტაბური იყო. მუსიკოსის ოთახი სივრცობრივ კომპოზიციას, მხატვრობას, ფერებს, მუსიკალურ ფრაზებსა და საინტერესო გარემოს წარმოადგენს. იგი რეალისტურ სამყაროში ცხოვრობს. მისი მუსიკალური პორტრეტი ახლო ხედით შთაბეჭდილებებით სავსეა. კომპოზიცია, საქსოფონი, გალობა, სამივე განსაკუთრებული მისთვის მშობლიურია.

საქსოფონი ხვედრდოვანი ტემპრითა და ფერებით უყვარს, მასში ეს ინსტრუმენტი ქალის ასოციაციას იწვევს, ქალივით უვლის, ეფერება, ისიც თბილი ბგერებითა და ფრაზებით ეალერსება. უკვე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს, ხანდახან ეჯიუტება და მუსიკოსი ამ წინააღმდეგობით მოხიბლული აგრძელებს მის მორჯულებას, ფერებსა და ხასიათს ურჩევს. მუსიკალური სივრცის ჰაეროვნება ორივეს ერთ ენაზე ესმის და ტონალობაში შერწყმულნი მუშაობენ. მისი საუბრიდან გამომდინარე, რომანტიკოსი არ არის, თუმცა, ვფიქრობ, მუსიკოსის შინაგანი დინამიკა სხვადასხვა ინტერპრეტაციას განიცდის.

საკმაოდ თავმდაბალი პიროვნებაა, ჩვენი საუბრისას გადამაჯინყდა კონსერვატორიის რექტორთან რომ ვიმყოფებოდი და არც თვითონ მოუნოვნებია ამ რეგალით თავი, უფრო კომპოზიტორობაზე იყო აქცენტი. რექტორობა რაც შეეხება სურს, რომ ამ დროში ბევრი სასიკეთო და კონსერვატორიისთვის აუცილებელი საქმეები მოასწროს.

ამ შეხვედრას ევროპულ ქართველ ხელოვანთან სტუმრობას დავარქმევდი, რომელსაც რომანტიული ელფერით გარკვეული სინთეზირება ახასიათებდა. ბატონი რეზო საუბარში საქსოფონთან მეგობრობის სურვილი გამოჩინა, თუმცა არ დავიმაღავთ ცოტა დაფორთხი, არ მეგონა ასეთი თბილი ბგერების გამომსახველი ინსტრუმენტი ჯიუტობა თუ ახასიათებდა, ალბათ არც ეს არის გასაკვირი რადგანაც ხელოვნება კომპოზიციური ნყოფით უკიდევანოა...

კონსტანტინე გამსახურდია

„იქალეს, მარია, მგლისფერმა თვალებმა“

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო მეგობრებო!

ზვიად გამსახურდიას შესახებ ბევრი მოსაზრება მსმენია. ერთი მოსაზრება, რომელიც ჩემთვის ანგარიშგასაწევია, არის შემდეგი: „დღემდე საქართველოში პოლიტიკას. როგორც გააზრების, ისე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, ერთადერთი ადამიანი აკეთებდა: ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია. სხვები ამა თუ იმ პროექტების მენეჯერები ან ფოსტალიონები იყვნენ.“

ჩვენ სხვადასხვა პროექტის წარმატების თუ წარუმატებლობათა მომსწრნი ვავხდით, უფრო სწორად, პროექტი-ექსპერიმენტებისა. ეს, ცხადია, არ გამოირიცხავს, რომ თვით ამ პროექტებიდან გარკვეული სარგებელი მიეღო როგორც ხალხს, ისე ჩვენს სახელმწიფოებრიობას. ასე მაგალითად, 2003 წლიდან საქართველოში დაიწყო განხორციელება ვაშინგტონის ნეოკონსერვატორთა დანერღვა ამერიკულმა პროექტმა, ცხადია, რუსეთთან შეთანხმებულმა. ეს გულსისხმობა ქართული სახელმწიფოს მოდერნიზაციას ზოგიერთი აღმოსავლეთე-როპული ქვეყნის, ასევე თურქეთის გამოცდილებით მოჭრილ თარგზე. 1992-2003 წლებში კი გვაქვს ასევე ამერიკულ სპეციალისტთა „რუსული“ (და რუსეთისთვის შედგენილი) პროექტი. ამ პროექტების ევოლუცია ასევე გულსისხმობს რაღაც ეტაპზე მრავალპარტიული სისტემიდან ორპარტიულობაზე გადასვლას. დანარჩენი სივრცე კი არასამთავრობო სექტორს უნდა წააღებინონ.

ზვიად გამსახურდია, როგორც მოღვაწე და პოლიტიკოსი, სწორედაც რომ თეზაა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრიობის გამომხატველი, მაგრამ იმავდროულად სრული ანტითეზაა იმისა, რაც ხდება მის ხელისუფლებაში მოსვლამდე, ასევე იმისა, რაც გრძელდება ხელისუფლებიდან მისი ძალადობრივი განდევნის შემდგომ.

საბჭოთა კავშირში ჩვენ, ქართველები ნამდვილად პრივილეგირებული ხალხი ვიყავით. უყვარდათ ჩვენი კულტურა, ფოლკლორი, წეს-ჩვეულებანი, კულინარია, პოეტურობა, მაგრამ არ უყვარდათ და არც ახლა უყვართ ქართული სახელმწიფოებრიობა. ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას კარგად ესმოდა. 1991-92 წლების მიჯნაზე იგი დამარცხდა არამარტო შეიარაღებულ კრიმინალებთან, არამარტო რევანშისტ კომუნისტებთან, არამარტო რუსეთიდან მართულ კულტურის მუშაკებთან, არამედ დამარცხდა ეროვნული უმცირესობის, ანუ დიდი იმპერიის „ნაცმენის“ ცნობიერებასთან.

* ზვიად გამსახურდიას 75 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილზე წარმოქმნილი სიტყვა (თბილისი. რუსთაველის თეატრი, 31.03.2014)

50-იან წლებში 16 წლის ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამებრძოლებმა გაბედეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა და მოუწოდეს კომუნისტური ჯალათების გასამართლებისკენ. ამ ყოველივეს ფონი იყო დიდი გამოსვლები თბილისში დესტალინიზაციისადმი პროტესტის ნიშნად. აქ, ცხადია, დგება საკითხი თვით იოსებ სტალინის რთული და წინააღმდეგობრივი პერსონისადმი დამოკიდებულებისა. მომხრე ვარ, ამ ადამიანის როგორც ღვაწლის, ისე დანაშაულობათა აკრიბული და ობიექტური, მეცნიერული შესწავლისა პოლიტიკური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ბოლშევიზმმა 1921 წლიდან მოყოლებული სრულიად თავდაყირა დააყენა ქართული და ქრისტიანული ფასეულობათა სისტემა. იძულებითი კოლექტივიზაციით, რეპრესიებით, სარწმუნოების მარგინალიზაციით მივიღეთ ქრისტიანობის შეტრიალებული ხატი თავისი სამეხობა და წინასწარმეტყველებით: პარტია — იგივე ეკლესია, რომელიც არასოდეს ცდება. ბოლშევიზმთან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის გაყალბებაც. ზვიად გამსახურდიამ სრულიად მომზადებული იყო იმ მისიისთვის, რაც გულისხმობდა ღირებულებათა სისტემის კვლავ დაღვრებას: გარდა იმისა, რომ იგი მტყვევებდა ეპოქის ინტელექტუალურ ენაზე, ფლობდა როგორც პოლიტიკურ, ისე საკითხების ღრმა კულტუროლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტებს. შედეგად თვალსაჩინოა: 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად გამოსული, ასევე 1989 წლის 9 აპრილს ტანკებისა და უხეში ძალის წინაშე მდგარი ქართველობა ამას ისეთივე შთაგონებით, ისეთივე სიხარულითა და ენთუზიაზმით აკეთებდა, როგორც 1956 წლის გამოსვლებისას სტალინის დასაცავად. ზვიად გამსახურდიამ მოკლული ისტორია დააბრუნა მისივე კვლევის ხელდასხმულთან: ილიასთან, ივანე ჯავახიშვილთან, ნიკო მართან, გიორგი ჩუბინაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, სიმონ ჯანაშიასთან.

სტალინიზმი, როგორც ძალა, 1953 წლიდან დღემდე ანგარიშგასანევი ფაქტორია ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე. ზვიადიზმზე ვერ ვიტყვი იმავეს. იგი ცალკე პოლიტიკურ ძალად გაფორმებული დიდი ხანია აღარ არის ხელისუფლებაში. მას დღეს უფრო კულტურული დატვირთვა აქვს. აქ მახსენდება ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსისა და კულტურის მინისტრის ანდრე მალროს გამოთქვამი პრეზიდენტ დე გოლთან დაკავშირებით, გოლიზმი თვითონ დე გოლის გარეშე აბსურდიაო. შეიძლება თუ არა იგივე ითქვას ზვიადთან და ზვიადიზმთან დაკავშირებით? ძალიან არ გვსურს, რომ ასე იყოს. ამიტომაც ბევრი ჩვენგანი დიდი ნოსტალგიითა და მონატრებითა განსმქვალული იმ დროის მიმართ, როდესაც ქვეყანაში ადამიანური სახის მქონე ნამდვილი პოლიტიკოსები მოღვაწეობდნენ.

რამდენადაც ზვიად გამსახურდია კარგად იცნობდა მსოფლიო პოლიტიკის ძირითად ფაქტორებს და მამოძრავებელ ძალებს, იგი არასოდეს საუბრობდა საქართველოს იზოლაციონისტურ დამოუკიდებლობაზე, არამედ ქმედით, მსოფლიო თანამშრომლობის პროცესებში ჩართულ ქვეყანაზე. იგი დასავლეთს, აშშ-ს და ევროპის ქვეყნებს მოიაზრებდა პარტნიორებად, თუმცა მათი გაკრიტიკება სრულიად დასაშვებად მიაჩნდა. რუსეთთან ანუ კრემლთან იგი ასევე პარტნიორული ურთიერთობის განვითარებას ემხრობოდა, თუკი კრემლი ხელს აიღებდა საქართველოს ტერორიზმის მიტაცებასა და ქვეყნის ანექსიის გეგმებზე. ამის დასტურია ყაზბეგის ხელშეკრულება 1991 წლის მარტში, დადებული პრეზიდენტ ელცინთან. რაც შეეხება რუს ხალხს და კულტურას, ზვიად გამსახურდია მათი უდიდესი ჭირისუფალი იყო, მიიჩნევდა, რომ რუსეთს საქართველოზე არანაკლები უბედურება დაატყდა თავს ბოლშევიზმისგან.

ენ. მონანიება 1978 წელს, რომელმაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, იყო ჭკვიანურად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა მერაბ კოსტავასთან ერთად, რათა იგი გადარჩენოდა საზღვარგარეთ გაქცევას — მას უბრუნდნენ გაცვლას ჩილელ კომუნისტთა ლიდერში — ლუის კორვალანში. ამავე დროს მისი ვადაზე ადრე ჩამოსვლით გადასახლებიდან შე-

საძლებელი გახდა მუშაობის დაწყება, რათა ნახევრად ლეგალური, მცირერიცხოვანი ეროვნული მოძრაობა მასობრივ, სახალხო მოძრაობად ქცეულიყო, რაც 1988 წლიდან შესაძლებელი გახდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ 1988 წლის ნოემბერში და 1989 წლის აპრილის აქციებზე რუბიკონი გადალახა, მაგრამ ძალიან მალე მერაბ კოსტავას დაღუპვით უდიდესი ზიანი მიადგა ზვიად გამსახურდიას და მთელი ამ მოძრაობის საქმეს. შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური რომანტიზმი — აი, რა შეიძლება გვენოებინა იმ სულისთვის, რომელიც ამ ორ ადამიანს ამოძრავებდა და მთელი საქართველო მოიცავდა. მერაბის გარდაცვალებით დასრულდა ემოციური, ამაღლებულ გრძნობებზე დამყარებული ხანა ეროვნული მოძრაობის თუნდაც ფორმალური, ზედაპირული ერთიანობისა. დამანგრეველი ძალით აიშენენ მანამდე მეტ-ნაკლებად კონტროლირებადი შიდა კონფლიქტები, მტერმაც კლანჭები გამოაჩინა, ბორითის ცოდვიანი, დაცერებულ მოსახვევიდან თითქოს ჯიხაშკარი-ხიბულას ტრაგედია ცამოილანდა შორეულად... ამის შემდეგ ვინ იცის, როდის განხორციელდება ის სანატრელი ეროვნული ერთიანობა. მანამდე კი ბედსწერა და თანანადებნი იტყვიან თავის საზარელ განაჩენს — როგორც ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ ლექსშია: „იძალეს, მარია, მგლისფერმა თვალებმა, სანუთროს ვალებმა მტერი მოგვარია“.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო: 1. შიდა წინააღმდეგობის ფრონტმა შევარდნაძის მეთაურობით. 2. გაუტანლობამ დასავლეთის მხრიდან 3. გაუტანლობამ რუსეთის ფედერაციის მხრიდან 4. სუსტმა საკადრო პოლიტიკამ, განსაკუთრებით ძალოვან სექტორში და ეს პუტინისას ყველაზე თვალნათლივ გამოჩნდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, საკადრო პოლიტიკა არც ზვიად გამსახურდიას შემდეგ ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლი.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებს, დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში, რომელიც ცალკე ნიგნად ახლახან გამოვიდა, შესწავლილია ზვიად გამსახურდიას საქმე და თვითმკვლელობის თეზა, გამომდინარე მონემთა მონაცემების ურთიერთშეჯერებიდან, ასევე კრიმინალისტიკური ასპექტებიდან უარყოფილია, თუმცა არც მკვლელობის ნარატივი დადებული. როგორც ირკვევა, ზვიად გამსახურდიას 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში შს-ს და უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ჯგუფები ვეხდავებ სდევდნენ.

მკვლელობის თეზა ლოგიკურად 2 ვერსიაზე ჩერდება: 1. მკვლელობა მოხდა 27 დეკემბერს ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულასკენ მიმავალ გზაზე 2. მკვლელობა მოხდა 30 დეკემბერს, ღამით, სოფელ ძველ ხიბულაში, ლუდმილა და კარლო ლურნკაიების სახლში.

როგორც ცოცხალ ზვიადს მკვლელთა ჯგუფი, ზუსტად ასევე სდევდნენ მის საქმეს და მემკვიდრეობას სხვა ტიპის მკვლელები — უცხო და მტრული პოლიტიკური სისტემის, ჯგუფების, ორგანიზაციების, სამსახურების, პარტიების, კრიმინალური სინდიკატების სახით.

ბოლოს კიდევ ერთხელ რეტროსპექტულად გადავავლებ თვალს ისტორიას. წარსულში ვხედავთ ზვიად გამსახურდიას “მონანიებას” როგორც მაკიაველური პრაგმატიზმით ნაკარნახევ ნაბიჯს, როგორც ერთგვარ საჭადრაკო სვლას. ამით იგი რეალურ პოლიტიკაში შემოდის.

მეორე მხრივ, ამისი სრული ანტიპოზია დაბრუნება სამეგრელოში 1993 წლის 24 სექტემბერს. არა, ეს მისი მხრიდან შეცდომა არ ყოფილა; ეს უფრო არჩევანი იყო. იგი არც ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე მოქმედებდა. მითუმეტეს, ჯოხარ დუდაევმა გამოფრენის წინ ურჩია, არ ღირს ახლა დაბრუნება, ინფორმაცია მაქვს, რუსეთი შენს სანინაღმდეგოდ ჩაერევიაო.

სამწუხაროდ, ამ თავგანწირული ნაბიჯის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ვერც სოხუმის და აფხაზეთის გადარჩენა, ვერც კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. მაგრამ ამ ნაბიჯით, რომელიც გადადგა, და იმით, რაც ამას მოჰყვა, იგი თითქოს გავიდა რეალური პოლიტიკიდან და იმავდროულად დარჩა პოლიტიკაში და ადამიანთა გულებშიც.

მამუკა მალულარია

კაცი, რომელსაც როკ-ნ-როლი კლიერ უყვარდა



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ წინა საღამოს უფროსის დაბადების დღეზე, დალევაც ცოტა ზედმეტი მომივიდა, სწორედ იმდენი, რომ მეორე დღეს სამსახურის გაცდენის ნებართვა დავიმსახურე. პოდა, მეორე დღისით შინიდან გამოვედი, სეირნობით დაფუყევი ქუჩას და თან ვიტრინების თვალიერებით ვიქცევდი თავს. წიგნის მაღაზიასთან შეეჩერდი, სიგარეტი გადავაგდე და შიგ შევედი. მუსიკასა და კინოზე უცხოური გამოცემების თვალიერება მიყვარდა. მიყვარდა იმიტომ, რომ ჩემი ჯამაგირით ამათ ყიდვაზე ოცნებაც კი არ მიხდებოდა. უცებ მთელ ამ ბრწყინვალე, სამნიშნა-ფასიან შედეგებს შორის მოკრძალებული ზომის, ზაფრანისფერი, ქართულენოვანი წიგნი შევნიშნე, რომელზეც ფასი არ იყო მითითებული. წიგნი ხელში ავიღე და

მეორე ხელი ინსტინქტურად ჯიბეში ჩავაცურე. მაგრამ... საბოლოოდ სწორედ მაშინ გამოვეფიხილდი, როცა გამყიდველმა გოგონამ გამომიცხადა: „უფასოა, ოღონდ მხოლოდ ერთი ცალი აიღეთო“. ასეც მოვიქეცი, გარეთ გამოვედი და წიგნი გადავფურცლე...

საერთოდ იმდენს არ ვსვამ, რომ ნაბახუსევის სინდრომი და მითუმეტეს ჰალუცინაციები დამემართოს. თუ ნელან ყურებს, ახლა თვალებს არ ვუფხვრებდი: ყდაზე, ერთ-ერთი ჩემი ყველაზე საყვარელი ფირფიტის გაფორმება იყო გამოყენებული. შიგნით კი, ეტყობა, ავტორის წარწერა უნდა ყოფილიყო, მელნისფერი კალმით გაკეთებული: „.....-ს, პატივისცემით. კლიმენტი“ — ალბათ, ნერტილების მაგიერ მფლობელს თავისი სახელი რომ ჩაენერა, იმავე მელნისფერი კალამით. სხვა გზა არ იყო, ავდექი და ისევ შინ დავბრუნდი...

გამოვტყდები, ცოტა დაბნეული ვიყავი. ეს ყოველივე თავიდან თარგმანი მეგონა, მაგრამ პირველივე გვერდიდან თხრობა თბილისიდან რომ დაიწყო, ტელეფონი გამოვრთე და ფეხები სკამის ქვეშ შევიკეციე. ბოლოში ისე გავიდი, თვალის არ დამიხამხამებია, თან იმას ვფიქრობდი: როგორ მოთავსდა 100-ფურცელი მოთხრობაში როკ-ნ-როლის მთელი ისტორია — ელვის პრესლიდან ქეთი მელუაამდე-მეთქი. საქმეც ისაა, რომ თან ეს ყველაფერი ნოველაში იყო ჩანწული, რომლის სიუჟეტიც რომელიღაც, სულ სხვა, ძალიან ნაცნობ მოთხრობას მაგონებდა. მისტიფიკაციისთვის თავის დაღწევისა და შთაბეჭდილებათა დაცხრომის შემდეგ სავსებით ლოგიკური აზრი გამიჩნდა: წიგნის ავტორი, მედიასა და სოციალურ ქსელებში მომექებნა. ბოლოს როგორც იქნა ჩვენთან ყველაზე პოპულარულ ინტერნეტ პორტალზეც გადავანყე და შევეხმინე...

კლიმ მარი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. ასე 38 წლისა თუ იქნებოდა, მსუქნულად გაჭაღარავებული და მხრებში ოდნავ მოხრილი. ლუდზე დავპატიჟე, დრო ბევრი არ გვქონდა. რათქმაუნდა მუსიკაზე საუბრით დავინყე. ჩვენი გემოვნება მაქსიმალურად დავითხვავებთ ერთმანეთისას. მერე ლიტერატურაზე გადავედი. **„მთელი ეს როკ-ენ-როლი“** მისი პირველი მცდელობა აღმოჩნდა. საქებარ სიტყვებს არ ვიშურებდი, ის კი ირონიულად იგერიებდა კომპლიმენტებს. იქვე წიგნის კიდევ ორი ვეზემპლარი გადმომცა ჩემი მეგობრებისთვის. მერე სიგარეტი გავაბოლეთ და ვეუბნები: არ ვიცოდი, ამ თემაზე ქართულად რამე თუ არსებობდა-მეთქი. პოდა, ჩემი მოტივიც ზუსტად ეგ იყო — მიპასუხა — და კიდევ ის, რომ ძალიან მიყვარს მუსიკა... ამ დროს კლიმს ვიღაც ნაცნობი მიესალმა, სულ ნახევარი წუთი ისაუბრეს. უცნაური ის იყო, რომ მეგობარი მას სხვა სახელით მიმართავდა. მთელი ჩვენი შეხვედრის განმავლობაში არ მტოვებდა აკვიატებული შეგრძნება, რომ ეს კაცი საღიდანაც მეცნობოდა, მაგრამ ამ ამოცანას მაინც ვერ გავართობი თავი... ბოლოს ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და დავიშალეთ. აი, სულ ეს იყო...

ამ ამბიდან ასე ნახევარი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ საღამოს ტელევიზორთან მოკალათებული, როცა უმოწყალოდ ვანვალედი პულტს, მოულოდნელად ჩემი ზავშობისდროინდელ სატელევიზიო სპექტაკლს გადავანყედი, თან სწორედ იმ მომენტს, სადაც ეროსი მანჯაგალაძის გმირი ეუბნება თავის ასისტენტს: „აბა, კლიმ, ახლა ის დიდი მწერლები ვუბოძოთ, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან“. კლიმის გაგონებაზე ისევ „მთელი ეს როკ-ენ-როლი“ გამახსენდა და თითქოს გონებაც გამინათდა. ტელეფონი ავიღე და ჩემს უცნაურ ნაცნობს შევეხმინე, მაგრამ ნომერი გაუქმებული აღმოჩნდა. ცოტათი ავლელიდი. მერე ინტერნეტი გადავატრიალე, მაგრამ აქაც უშედეგოდ. თვალის უნებურად წიგნის თაროსკენ გამექცა. „მთელი ეს როკ-ენ-როლი“ ადვილზე იდო. ის-ის იყო წიგნი ავიღე და სავარძელში მოწყვეტილი ჩავემვი, რომ სპექტაკლიც დამთავრდა და ფინალში დომენიკო ჩიმაროზას ჰობოსის კონცერტის შესავალიც გაისმა...

ნათელა არველაძე

გონიერსა მწვრთნელი უყვარს

(თეატრმცოდნის რამდენიმე რჩევა
ახალგაზრდა რეჟისორს)

ამას წინათ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლს, შექსპირის „მაკბეტის“ სასცენო ადაპტაციას, დავესწარი, თავად რეჟისორის მინვეციით. გრიბოდუვის თეატრის დარბაზი, უმეტესად, თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა შეავსეს. ისინი ძალზე აქტიურად რეაგირებდნენ და მოწონების ნიშნად მცხუნვარე ოვაციით აჯილდოებდნენ მსახიობებს, მხატვარს, განათებისა თუ მუსიკალური გაფორმების ოსტატს, განსაკუთრებით დამდგმელს... როგორც იტყვიან, თბილისელებმა კარგად მიიღეს ქუთათურთა დადგმა.

სადღეისოდ სხვა საშუალება არა მაქვს, რომ შემოქმედებით გუნდს, ან რეჟისორს გავუზიარო ჩემი მოსაზრებები. რეცენზიის სანაცვლოდ, „ცხელ გულზე“, მხოლოდ რამდენიმე რჩევას გამოვთქვამ, იმედია თეატრი ამას მიიღებს ისე, როგორც მოკეთის პოზიციას, დიდაქტიკისა და მენტორული ტონის გარეშე. ხშირად მითქვამს და ამჯერადაც გავიმოურებ: კრიტიკოსის მოსაზრება არ არის უმალურსი ინსტანცია, შემოქმედი თავისი უფალია არჩევანში, ის ან გაიზიარებს შენიშვნებს, ან არ მიიღებს თეატრმცოდნის მოსაზრებებს (ჯერ არ შევსწრებოვარ, რეჟისორს ან მსახიობებს ქება-დიდება არ მიელოთ. ხშირად გადაჭარბებულ ქებასაც კი შეირგებენ და კრიტიკოსს „დამსახურებული“ მოწონებით აჯილდოებენ კიდევც!). თავისთავად ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა რეჟისორი შექსპირის ტრაგედიას ირჩევს დასადგმელად, უკვე მნიშვნელოვანი მგონია და, თუნდაც ამიტომ უყურადღებოდ ვერ დავტოვებ ამ წარმოდგენას.

სანახაობას ამკარად ეტყობა, რომ იგი რეჟისორის ქმნილებაა, რომელსაც ძალუძს სასცენო კომპონენტთა ურთიერთშემოქმედებისა და შინაგანი გამიზნული თანამშრომლობით შექმნას ახალი მთლიანობა — სპექტაკლი, გამოკვეთოს სათქმელი, პოზიცია, ტენდენცია; წარმოაჩინოს ინდივიდუალური მსოფლალქმა, სცენაზე წარმოქმნას დაპირისპირებული ბრძოლის კარდოგრაფა, კონფლიქტური დაძაბული ვითარება აქციოს მაყურებელზე შემოქმედების ეფექტურ საშუალებად. სადადგმო ტექნიკის ამ ასპექტს უდავოდ ფლობს რეჟისორი და ეს მომენტი ძალზე საგულსხმია, ამიტომაც ვფიქრობ, რომ მასთან დიალოგის გამართვა შესაძლებელია. რამდენიმე რჩევა კი, გვგონებ, სასიკეთოდ წაადგება ახალგაზრდა შემოქმედს:

1. რეჟისორის პროფესიაზე — როგორც ცნობილია, რეჟისორის პროფესიის არსია ავტორის სიტყვის სივრცობრივ განზომილებაში ტრანსფორმაციის ოსტატობა, ადეკვატურ საქციელთა ლოგიკური სისტემის აწყობის უნარი. როცა ლედი მაკბეტი საკუთარ სქესს აუჯანყდა და მისგან გაუცხოება მოინდომა, ამის შემდგომ ქალმა მამაკაცურად მტკიცე, ტლანქი, ფართე ნაბიჯებით გადასერა ფიცარნაგი. ჩემი აზრით, ეს მიგნებაა, თანაც ამ მოვლენისათვის ლოგიკური, ზუსტი, სახიერი. ამ ერთი „დეტალით“ სასცენო მოქმედების მოტივაციაც გამჟღავნდა და ხასიათის ნიშანიც წარმოისახა. მაგრამ როდესაც გრძელი მაგიდის ზოგჯერ უთავბოლო სრიალით რიტმის გამძაფრება ხდება, თავისთავად საინტერესო ეს სვლა, სწორი გამოყენების დროს, მექანიკური მოძრაობის შთაბეჭდილებას ახდენს სასცენო ქმედების მექანიკური მოძრაობით ჩანაცვლება კი, ზემოქმედების ეფექტს ასუსტებს, ყურადღების კონცენტრირება ვერ ხდება მოვლენის არსზე.

2. ინტერპრეტაციის თაობაზე — სცენოგრაფია რელიეფურად ავლენს სანახაობის მხატვრული გადაწყვეტის პრინციპს. ჩამუქებულმა გარემომ, ციხე-კოშკების „მოძრაობამ“, განათების ეფექტმა გვაგრძობინა არამარტო გადაწყვეტის სახეობა, არამედ რეჟისორის ამჟამინდელი მსოფლმხედველობითი პრინციპიც. წარმოდგენის დამდგმელი სამყაროს აღიქვამს, როგორც პირქუშ, მიუსაფარ, კუმჭ რეალობას, რომლის ხვეულებში ჩაკარგულია ადამიანი თავისი წრფელი განცდებით, მისწრაფებებით, რთული ურთიერთობებით. დეკორაცია მკაცრი და სუსხიანი ენით „საუბრობს“ მაყურებელთან. მხოლოდ ესაა, უმეტესად იმდენად ჩამუქებულია სცენა, რომ იკარგება მსახიობის ესოდენ მნიშვნელოვანი გამოსახვის საშუალება — თვალები, მიმიკა.

დამდგმელი დაჟინებით ცდილობს ჩაულრმავდეს, ახსნას და გამოსახოს გაბატონებული ავრესიის მოტივაცია. გაიაზრა რა დუნკანის ოჯახის, ამდენად — სასახლის კარის, ყოფა და ურთიერთობის ფორმა, მოუძებნა ახსნა — მექვიდროებით შეძენილ-გადმოცემული ზნე-ჩვეულებანი, ფსიქიკური გადახრები, თუ ფიზიკური სისუსტენი (ხეიბარი მამა, კუტი — შვილი); ასევე ცდილობს გაათამაშოს შუა საუკუნეების ეპოქისათვის ნიშანდობლივი ალქიმისკოსთა ძიებანი; ასევე მიუთითებს მაკბეტის მისწრაფებას ნარკოტიკებისადმი (რეჟისორმა, უთუოდ, ხარკი გაიღო და მიანიშნა თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის ამ მტკივნეულ პრობლემას, ისევე, როგორც ორი შაოსანი მამაკაცის ფიზიკური ლტოლვის მინიშნებით, წარმოაჩინა სოციუმის დღევანდელი აქტუალური საკითხი). თითოეული ეს თემა ძალზე საგულსხმოდ დამუშავებას და სასცენო გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ტრაგედიის გათამაშებისათვის მათ მარგინალური დინების ადგილი ხვდათ ნილად, რადგანაც შექსპირმა თავისი დროისა და სამარადუაშო პრობლემები გამოკვეთა ტექსტით. ძალაუფლებისადმი ლტოლვა, სისხლიანი გზა ტახტისაკენ (ხელისუფლებისაკენ!) ამჟამინდელი სამყაროსთვისაც მეტად აქტუალური მგონია და ამ ამბის გათამაშება ინტერპრეტაციის სიზუსტეს მოითხოვს.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ყოველი ძიება, ჩალრმავება ავტორისეულ ტექსტსა თუ თანამედროვე ცხოვრების დრამატულ დინებაში, უმჯობესია მიმართული აღმოჩნდეს ცინცხალი და ორიგინალური გამოსახვის ფორმათა მიგნებისაკენ. უკვე შტამბადაა ქცეული სინჯარების, აბაზანების, მინის ტოლერების, ალქიმისკოსთა ლაბორატორიული აქსესუარების გამოყენება, თუნდაც მათი გამიზნულად გათამაშება. ვურჩევდი რეჟისორს ამ მხრივ გადასინჯოს საკუთარი მიგნებები.

გასაგებია რეჟისორის სურვილი — მოქუფრული გარემო კიდევ უფრო „დაამძიმოს“ და გამოკვეთოს სისხლის მოტივი ნატურალისტური საშუალებებით, რასაც კი შეეხება ლედი მაკბეტი, თვით წყალიც კი, სისხლად მეყვსეულად გადაიქ-



სცენა ქუთაისის თეატრის სპექტაკლიდან „მაკბეტი“

ცევა, როგორც აღვნიშნე, სისხლიანი კარიერა თავად შექსპირის ნებით არის წარმოჩენილი ტრაგედიაში, მაგრამ... ზომიერების გრძობა ხომ გემოვნების ნიშანიცაა!..

3. საქციელთა სისტემის თაობაზე — სცენაზე გათამაშება ხომ ბევრადღა დამოკიდებული ფიზიკური პარტიტურის, საქციელთა სისტემის ლოგიკურ განვითარებაზე, პერსონაჟთა ცალკეული საქციელი, რაგინდ სახიერი და ფასეული არ უნდა იყოს იგი, სასურველ ეფექტს ვერ აღწევს, თუ არ არის დაზუსტებული მოტივაცია და არ არის ნაჩვენები ამ საქციელით რა შეიცვალა პერსონაჟის ან პერსონაჟთა ჯგუფის ყოფაში. საინტერესოადაა გადაწყვეტილი მაკბეტისა და მისი მეუღლის შეხვედრის ეპიზოდი, მათი შმაგი ლტოლვის ჩვენება, მაგრამ... მხოლოდ ის კი არ არის მთავარი, სად და როგორ კოცნის ცოლი ქმარს, ან ქმარი ცოლს. უმთავრესია ასე ლიად წარმოჩენილი ფიზიკური ურთიერთობის შემდეგ, რა ხდება ლედი მაკბეტისა და მაკბეტის დამოკიდებულებაში. სასურველია, რომ ტრფობის მასშტაბი, მხურვალეობა, ან ქალისა და მამაკაცის ურთიერთგაუცხოების სიმწვავე, მთელი ძალით, სახიერად, ხელშესახებად გამოისახოს სცენაზე. რაც შეეხება ქალისა და მამაკაცის ინტიმურ ურთიერთობათა სიშიშვლეს, საერთოდ ადამიანის „კულისებს მიღმა“ ყოფნის დემონსტრაციულად ნატურალისტური საქციელით წარმოსახვას (მაგალითად, ლედი მაკბეტის მიერ საცვლის გახდა) და თანამედროვე სასცენო ყოფის პრიორიტეტულ ასპექტად ქცევას — ესეც ერთგვარი დროებითი ხარკის გაღება მგონია, მოდად აღიქვამ და ველი როდის დაღვინდებიან ახალგაზრდები...

ისიც უნდა აღვნიშნოს: ამდენი წელი ტაბუირებული იყო ჩვენში ამგვარი ეპიზოდების გათამაშება, ახლა კი „რეაბილიტაციის“ შემდეგ, ახალგაზრდა რეჟისორები, თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრებიან სკაბრეზული ეპიზოდების ლიად წარმოსახვაში. ნატურალისტური ფორმა, სიშიშვლე, გახსნილობა უმეტესად თვითმიზანია და არა რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისათვის გამიზნული სვლა. მართალია ეს საშიშროება ამ სპექტაკლში ნაკლებად შეინიშნება, მაგრამ სიმპტომები ვიგრძენი და ამიტომაც აღვნიშნე. და კიდევ — ამგვარი სვლა უფრო ფსევდოსითამამეა და არა ჭეშმარიტად კონცეპტუალური რეჟისურის ნიშანი.

სამწუხაროდ, ამის აღნიშვნა ხშირად მიხდება, რადგანაც არ მინდა გაუფასურდეს ჭეშმარიტი ფასეულობები. რადგანაც თავად დრომ მოიტანა ღირებულებათა რევიზია, უფრო მეტიც, არაერთი მათგანის მიმართ ნიჰილიზმის დემონსტრაცია ახლა კარგ ტონად ითვლება, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანი მგონია სცენიდან ვიქადაგოთ, დავიცვათ ჭეშმარიტი ფასეულობები დევალვაციისაგან. მაგალითად ისეთი, რომელიც ამოვიკითხე

სალომე კაპანაძე

სულიერი ხედვის ალბომითი

(ეკატერინე ტოგონიძის „წმინდა შესაძლებლობა“)

ამ სანახაობაში: ცნებათა აღრევის, ფასეულობათა დე-ვალვაციის, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების, უგონო სისასტიკის, ძალაუფლების გაფუტიშების, მმართველი ელიტის დაუსჯელობის სინდრომის, მმართველთა მორალის დეფიციტის წარმოჩენა, როგორც საზოგადოების ზნეობრივი დაცემის მოტივაციათა სათავის მითითება. მთელ სანახაობას რეფრენივით გასდევს მრავალგზის გამეორებული ფრაზა (ბოროტებაში არის სიკეთე და სიკეთეშიც არის ბოროტება). იგი დომინირებს პერსონაჟის ლექსიკაში და შემდგომ ხდება მისი სასცენო ქმედებით დამონება. როცა ჩვენს ყოფაში აღრეულია ცნებათა არსი, შევეჩვიეთ ორმაგი მორალთი ცხოვრებას, გაუფასურებულია სიცოცხლე, ადამიანი, თავისუფლება, მექრთამისაგან ვითმენთ დიდაქტიკას და მკვლელი კანონის „სადარაჯოზე“ გვიდგას, ცრემლისა და სისხლის გუბებზე ვიმკით თვინიერების სანაცვლოდ. ამაზეც დამაფიქრა სანახაობამ.

4. სასცენო მეტყველების თაობაზე — თანამედროვე თეატრმა (პოსტდრამატული ეპოქის სცენამ) აქცენტი გადაიტანა სათეატრო ხელოვნების არქეტიპული სამყაროს გამოსახვის ფორმათა აღორძინებაზე. განსაკუთრებით კი, რიტუალური სახეობის გააზრებაზე. სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას (ანტიკური ეპოქის ბერძნულმა თეატრმა ეს საკითხი წარმატებით გადაჭრა!) ჩაენაცვლა ფიზიკური პარტიტურის დომინანტი. ინტენსიური ძიება გრძელდება სასცენო გამოსახვის ფორმათა სიზუსტისა და სახიერების მიკვლევისათვის, უმეტესად რიტუალურ-საკრალური პლასტიკური პარტიტურის მიგნებისათვის. ამაში მკრეხელური არაფერია. მაგრამ როცა სასცენო მეტყველების კულტურა შეენირა ამ ძიებებს (ამჯერად ერთ-ერთ მიზეზს მივუთითებ), ეს უკვე საგანგაშოა. ჩვენში სასცენო მეტყველების კულტურა იმდენად დაეცა, რომ იგი საერთოდ ქართული თეატრის უპირველეს პრობლემად იქცა. სამწუხაროდ, ვერც ეს სანახაობა გადაურჩა ამ საერთო ტენდენციას. სპექტაკლის მსვლელობის დროს რამდენჯერმე გამიელვა აზრმა — კიდევ კარგი ტრაგედია წაკითხული მაქვს, თორემ... მეტყველების კულტურის უპირველესი ნიშანი, როგორც ცნობილია, ის არის, რომ ტექსტი უნდა ისმოდეს სცენიდან, თანაც მკაფიოდ და გამიზნულად. სიტყვა (დილოგები, რეპლიკები) სანახევროდ არ ისმოდა სცენიდან. ამას მხოლოდ ტექნიკური მიზეზით ვერ ავხსნით. ქვეტექსტის მიმანიშნებელი ფერადოვნება გაქრა, გაუფასურდა სადღეისოდ! ეს ქართული სცენის „აქილევსის ქუსლია“. ამას საგანგებოდ აღვნიშნავ იმიტომ, რომ ივანე ხუციშვილი სათეატრო უმაღლესი სასწავლებლის დოქტორანტია, თანაც რეჟისორ-პედაგოგის ასისტენტი და თუნდაც ამიტომ ევალუება ზრუნვა ოსტატობის კვალდაკვალ, მომავალი მსახიობების სასცენო მეტყველების კულტურის ამაღლებაზე.

კიდევ ერთი რამ მსურს ვურჩიო თეატრს (საერთოდ ქართულ თეატრს) — იქნებ შევეჩვიოთ (და შევაჩვიოთ მაყურებელიც!) სპექტაკლის მითითებულ დროზე დაწყებას. წარმოდგენის 25 წუთის დაგვიანებით დაწყება, უბრალოდ, მაყურებლის უპატივცემულობაა, მით უფრო, როცა მიზეზს არ უმხელენ...

სხვა არაერთი მოსაზრების გაზიარებაა შესაძლებელი. ამჯერად, ჩემი ფიქრით, უმთავრესზე შევაჩერე ყურადღება. ამ ბოლო ხანს თეატრი, განსაკუთრებით თვით-ტკობის ბანგით შეპყრობილი მმართველები, რეჟისორები და სამხატვრო ხელმძღვანელები, ძალზე მტკივნეულად განიცდიან კრიტიკოსის შენიშვნებს, უგონოდ გაცხარდებიან ხოლმე. არა მგონია ივანე ხუციშვილი გაცხარდეს, რადგანაც „გონიერსა მწვრთნელი უყვარს...“

ადამიანებმა დავკარგეთ სულიერი ხედვის შესაძლებლობა. ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობის „წმინდა შესაძლებლობა“ კითხვისას სწორედ ეს განცდა ამეკვიცა. არადა, მხოლოდ ადამიანს შეუძლია გასცდეს სხეულს და გახდეს მის ინსტინქტებზე აღმატებული. გლობალიზაციის არტახტებში მომწყვდეული ადამის შთამომავლებისათვის ეს არასოდეს ყოფილა ადვილი. ოსვალდ შპენგლერი ბოლომდე უნდობლად უყურებდა ცივილიზაციისა და კულტურის თანაარსებობის შესაძლებლობას და ჰუმანიზმის დეკადანსს წინასწარმეტყველებდა. არ არის შემთხვევითი, რომ „წმინდა შესაძლებლობის“ გმირებიც სწორედ იმ სივრცეში იხსნებიან, სადაც ამ საფრთხეებისგან ადამიანი მეტ-ნაკლებად დაცულია. მათი გამოჩენისთანავე აქ იმ სამყაროს სურნელი იგრძნობა, რომელიც ცივილიზაციის უღმობელი რიტმით, გაუცხოებითა და მარტოსულობით ჯერაც არ არის გადაფარული.

ეკატერინე ტოგონიძემ დღიურის ფორმით აკინძულ მოთხრობაში შეძლო მკითხველისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, სამყარო მხოლოდ იმ თვალთ არ შეიგრძნობა, რომელსაც მხედველობის ორგანოს ვუწოდებთ. ამ მოთხრობის სასიყვარულო სამკუთხედი — ბაია, კახაბერი და ცოტნე — ამ დაფიქრებისათვის შობილი პერსონაჟებია. კახაბერი — „კაცი, რომელიც წავიდა“. მაგრამ ის არასოდეს წავიდა, რომ არა „ქალი, რომელიც უყვარდათ“. ნარინჯისფერ უსასრულობაში გაჩენილი „ციცინათელების მწყემსი, მზეთუნახავი, ღამის გოგო“, რომელიც კახაბერისთვის ერთადერთია და მის ფიქრებშია ჩასახლებული. ბაია მისი წმინდა შესაძლებლობის სათავეა. კახაბერი გარბის მისგან, მაგრამ უიმისოდ ვერასოდეს მოიპოვებდა თავისუფლებას. და ეს არ არის ბარიკადებზე, სისხლიან რევოლუციებზე და ბრძოლის ყიფინაში მოპოვებული თავისუფლება, ეს არის მიწიერი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარჯზე, სულიერი განსაცდელისათვის იმანენტური პატივი. კახაბერი ამ გზაზე შემდგარი პერსონაჟია. საკუთარი ძმის ცოლზე გამიჯნურებული სათავის ეს გრძნობა განსაცდელია, რომელიც უნდა გადალახოს. უცნაური სწორედ ის არის, რომ მკითხველი იმთავითვე გრძნობს მის სულიერ ენერგიას, იცის, რომ კახაბერს ეყოფა ძალისხმევა ამ გამარჯვებისათვის. მან უნდა გადალახოს ბაიას იმ ჭდალი, ჩამომოლიო თმის ხიბლი, რომელიც „კარალიოკით უზინდავს მზეზე“, უნდა ამოიციოს ოქროს ძენკვზე, რომელიც „ლაკინის ძელებს შორის ეშვებოდა, ოდნავ ამობურცულ პატარა ხალს ეხებოდა და სავსე უბეში იკარგებოდა“, ეკიდა თუ არა ჯვარი-სიმბოლო ადამიანის სულიერი ამაღლებისა. ნარინჯისფერი შემთხვევით არ ჩნდება მოთხრობაში. არც ბაიას თმის ფერი და არც კარალიოკი არ ტოვებს ტრივიალური მხატვრული მეტაფორის ასოციაციას — კაცობრიობის რელიგიურ კულტურაში პირველი კოსმოგონიური ღვთაება — მზე — ოქროსფერ, ნარინჯისფერ ფერებში იღვრება. სულიერი ამაღლების ჟამს მზეს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული დატვირთვა. მოთხრობის სათაური „წმინდა შესაძლებლობა“ იმთავითვე ასეთი გააზრებისათვის განგანწყობს. ეს არ არის ნარატივი, რომელმაც მხოლოდ კითხვაზე: რა მოხდა? — უნდა უპასუხოს. მოთხრობის ყოველი პასაჟიდან გამოსჭვივის იმ ჭკუმატიტების განცდის სურვილი, რომელიც ჯემალ ქარჩხაძისა არ იყოს ტანჯვის უნარზე დგას. ეკატერინე ტოგონიძის ამ შესანიშნავი მოთხრობის ყველა პერსონაჟი თავისი განსაცდელით მიემართება სუ-

ლიერი თავისუფლებისაკენ - ცოტენე, ბაია და კახაბერი ამ ჭიდილში იძენენ სულიერ გამოცდილებას, რომლის იდეალებით მონუსხული რჩები.

ბაია და დათო ზღვიდან შემოუვლიან ხოლმე კახაბერს სოფელში, სულ რამდენიმე დღით. „ის სამოცდაათი ან ცოტა მეტი საათი მთელი ნელი იყო ჩემთვის — უწყვეტი დრო ბაიადან ბაიამდე- მოლოდინის, ნახვის, მწველი მზის, კარალიოკის კურკისფერი ხალის, ზედ ნამოდებული ოქროს ძეგლის და ნამოგებული ფიქრის: ჯვარია თუ არა? ჯვარია თუ არა?“ — ამბობს კახაბერი და ამ ფონზე არ გტოვებს სწორედ იმ ლოგიკური დასასრულის უჩვეულო განცდა, რომელსაც ფინალში ვხედავთ. თვალმდათხრილი, ბრმა, მაგრამ სულიერი ხედვის უნარით დაჯილდოებული და ხორცის ტკივილზე გამარჯვებული კახაბერი თვალების გარეშე ხედავს იმას, რისი დანახვაც თვალხილულს არ შეეძლო. „თვალის გარეშე მარტო იმის დანახვა კი არ შეეძლო, რომ ჩემ წინ მდგარ გაფითრებულ ქალს ორი ყდაგაცვეთილი წიგნი გულზე მიეკრო, იმისაც, რაც მერე იქნებოდა...“ სწორედ კახაბერს არ სჯეროდა, რომ ბაია არ ფეხმძიმდებოდა არც პირველი და არც მეორე ქმრისგან, მისი ძმის — დათოსგან — და თავის სიზმრებში ბაიას მისი ჩვილით ხელში ხედავს.

ბაია ფატალური ქალია კახაბერის ცხოვრებაში, მისი სიყვარულია ყველაზე დიდ ჭეშმარიტებას — საკუთარ თავში გამოტანჯულ ღმერთს რომ აპოვინებს კახაბერს. „ახალგაღვიძებულმა ვიცოდი, რომ თვალდახუჭულმა ისევ ბაია ვნახე. ზამთარში, როცა ნაკვერჩხალი მისი თმისფრად ღვიოდა, მაშინაც ვგრძნობდი, რომ ბუხარს კი არა, ბაიას ვუყურებდი“. ის გარბის ბაიასგან, რომ კვლავ დაიბრუნოს იგი იმ ფეხმძიმე ღვთისმშობლის ხატში, რომლის წინაშეც ლოცულობდა და რომელსაც მონასტერში წმინდანის სანახავად ამოსულ ბაიას უკან გამოატანს. ხალხი კახაბერს წმინდანს ეძახის, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის. „რა უმეცრე-ბაა, ყველა თვითონ შევლის საკუთარ თავს და დაჯერება უჭირთ“. ამ ჭეშმარიტებას შესაცნობად კახაბერმა გოლგოთის გზა გაიარა.

დათო და ბაია ველარ ცნობენ მონასტერში მყოფ კახაბერს. მათ იგი ტრაგიკულად დაღუპული ჰგონიათ, თუმცა ბაიას მინც არ ტოვებს შეგრძნება, რომ „კახაბერი ცოცხალია და სადღაც არის...“ ეს უცნაური წინათგრძნობაა, რომელიც ამ მოთხრობაში სულიერ ხედვას ამძაფრებს და მის ყველა პერსონაჟს აერთიანებს. მათ შორის ცოტენესაც, ბაიას ერთადერთ სიყვარულს, რომელიც მას ეფიცებოდა: თაფლივით ტკბილი ხარო — მაგრამ „შოკოლადისფერ მანეკენებთან“ ღალატობდა. ცოტენეს დიამეტრულად თვალისჩინი ნაართვა და სწორედ აქედან იწყება მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი. იგი სწავლობს, როგორ იცხოვროს შეზღუდული შესაძლებლობებით და უკვე სრულფასოვნად შეიგრძნობს იმას, რასაც თვალხილული ველარ აცნობიერებდა. „ბაიას ძუძუებს ბოლოს სრულიად უსინათლო შეეხე და ყველაზე უკეთ მაშინ შევიგრძენი. თითის ბალიშები უკვე გავარჯიშებული მქონდა. მგრძნობელი — გამძაფრებული, ცოლი დაკარგული, ვნება დაბრუნებული“ — ამბობს იგი.

„მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენ განსაკუთრებული კავშირი გვაქვს“ — ამ კავშირის შედეგია, რომ ბაია შვილს სწორედ უსინათლო ცოტენესგან ელოდება. ფეხმძიმე ბაიამ იცის, რომ ბავშვს მამის მგრძნობელობა გამოყვება. „მკერდი გამიმკვრივდა. ასეა მოწყობილია სხეული, ყველა უჯრედი ემზადება ახალი სიცოცხლისათვის. კუნთები დამირბილდა და კანი ალაგ-ალაგ დამისკდა. არ მენანება... პირიქით, ბედნიერების ნაპრალებივითაა...იცი, თმაც გამიმუქდა, ჩამიქრა! აღარავის ვიზიდავ. მამაკაცები ახლა მხოლოდ ადგილს მითმობენ ისეთივე უვნებო მზრუნველობით, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანს.

უნდა ვაღიარო, ეს პასაჟი ეკა ტოგონიძის ამ მოთხრობის მხატვრულ ღირსებათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ფეხმძიმე ქალის ასეთი პორტრეტული სახე მის ფიზიკურ და სულიერ მთლიანობაში იშვიათად შემხვედრია. ბაიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს მის სხეულში მფეთქავი სიცოცხლის წინაშე. ქვეყნად მოვლინების ფასთან ერთად ბრაილის შრიფტიც უნდა შეასწავლოს პატარას. ცოტენემ და ბაიამ უკვე შეისწავლეს ის. ბრაილის შრიფტი მოთხრობაში კათარზისის, სულიერი ხედვის სიმბოლოა, უმისოდ ადამიანები სიცოცხლეს ვერ „გზნებენ“ (გრეგორე რობაქიძე).

მოთხრობაში სიმბოლური დატვირთვა აქვს ხატთან მლოცველი დედის სახეს, მის ნარიჩხისფერ თავსაფარს. „წლები გადიდა და დედა მხოლოდ ლოცვის დროს იყო უცვლელი“ — იგონებს კახაბერი. მწერლის ჩანაფიქრი ცხადია, ეკატერინე ტოგონიძე კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს ლოც-



თამარ მინაშვილი
ილუსტრაცია ეკატერინე ტოგონიძის
მოთხრობისა „წმინდა შესაძლებლობა“

ვის ძალას, მასში გარინდებულ დროს, რომელსაც ორგანულად ერწყმის მარადიულობის კიდევ ერთი შეუცვლელი სუბსტანტი - დედაშვილური სიყვარული. კახაბერი სწორედ დედის დანატოვარ ხატთან შეიგრძნობს, რომ „გულმოდგინედ ნაშენებ ლოცვის კედელზე სარეველა ბალახებივით ამოძვრნენ უადგილო კითხვები“ და წმინდა ნარინჯისფერში ბაიას სახე აირეკლა. მონასტრიდან მონაზვნები კახაბერს პურს გამოატანენ, რომლიც ვერ ნაყრდება, პირიქით, უფრო უმძაფრდება შიმშილის გრძნობა. ეს სულიერი შიმშილია, რომელსაც ნაყოფანებით ვერასოდეს გადაფარავ. აღმოჩნდა, რომ ბაიას იმ იდეალურ ძეგლზე ჯვარი ეკიდა. მერძევე ქალის ჩაბნელებული ოთახიდან კი საბოლოოდ გამოჩნდა კახაბერის „გზა ხსნისა“.

მოთხრობის სამივე პერსონაჟი იმ უშეღავათო ბრძოლაში იმარჯვებს, რომლის ღირებულებრივი ორიენტირების განადგურება ადამიანებისათვის უცხო არ არის. „უფალი ხომ სულია და სადაც არის სული უფლისა, იქ თავისუფლებაა“ — ამბობს პავლე მოციქული. „წმინდა შესაძლებლობა“ არის ამ სულის გადასარჩენად მხატვრულ ქსოვილში ჩაღვრილი ენერგია. მის გმირებთან ერთად საკუთარ თავთან ჭიდილში მკითხველიც მალდება. მოთხრობის ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვაყენა ცოცხალ-მადლის შეცნობის დრამატულ გზაზე. მეც მათთან ერთად ვიარე და გულწრფელად გამოვხატე ალტაცება, რომელიც მწერლობაში ამ მოთხრობის ნიჭიერი ავტორის — ეკატერინე ტოგონიძის — ყოფნას ახლავს.

იგი უკვე ამშვენებს ამ ქართულ პარნასს.

ქარდა ქარდუხი

„პრკალპიტა და ცახცახით“

(როგორ ჩაიშალა პავლე ინგოროყვას არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში)

პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 120 წლის იუბილზეა და რა თქმა უნდა „ბედი კაცისა ინგოროყვასი“ გამახსენდა, როსტომ ჩხეიძის დიდებული ბიოგრაფიული რომანი. ბრწყინვალე ძეგლად რომ აღუშარათა უიშვიათეს პიროვნებას, მწერალსა და ეროვნულ გმირს. ვინძლო დავვიანებთ მაინც მივაგოთ პატივი დიდებულ მებრძოლს საქართველოსათვის.

ეს წიგნი გამახსენდა და თითქოს რაღაც განგების ნებით საარქივო მასალებში შემხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომის ოქმები, სადაც პავლე ინგოროყვაზე იყო საუბარი. როსტომის მონოგრაფიიდან მახსოვდა ეს ეპიზოდი (აკადემიკოსად წარდგინების). ამიტომაც პირველწყაროს ნახვამ გამახსარა და გადავწყვიტე პატარა წერილი დამეწერა საარქივო მასალებზე დაყრდნობით, თან ბატონი როსტომის წიგნიდან მომეხმო ციტატები, წიგნიდან, ლამის რომ მივიწყეს მისი გმირივით.

სხდომის ოქმების კითხვისას აშკარად სიამაყით გვესება გული, როდესაც ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას წაანყვიანებენ პავლე ინგოროყვაზე, მეცნიერებათა აკადემიის რომ მიმართავენ — მიიღეთ წევრად. გრძნობ, რომ ტიტანები შუამდგომლობენ ტიტანს, ოლიმპოზე აღსასაყდრებლად, რათა გვერდით მოისვან როგორც ტოლი და სწორი, ან იქნებ მათზე აღმშენებელიც, მაგრამ იგრძნობა, რომ არა აქვს ამ წამს მნიშვნელობა, ვინ ვისზე მეტია; იგრძნობა მოთხოვნის სიღიადე და შენც ვიხარია, როდესაც შენი გმირები, საოცნებო გმირები, — თითქოსდა რომ გსმენია, ჩაგრავენ იმ კაცსო, — წამოწევენ და ღირსი პატივის მიგებას რომ უპირებენ; როგორ გაბედავს მეცნიერებათა აკადემია ოთხი გიგანტის წინადადების მიუღებლობას?

„მოისმინეს;

ოთხი აკადემიკოსი მწერლის: გ.ლეონიძის, კ.გამსახურდიას, გ.ტაბიძისა და ი.გრიშაშვილის განცხადება მეცნიერებათა აკადემიის წევრთა არჩევნებისათვის კანდიდატურის წაყენების შესახებ.

გ. ლეონიძე — კითხულობს ოთხი აკადემიკოსი მწერლის: გ.ლეონიძის, კ.გამსახურდიას, გ.ტაბიძისა და ი.გრიშაშვილის განცხადებას საქართველოს აკადემიის წევრთა არჩევნებისათვის მწერალ პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების შესახებ. /თან ერთვის/

კ. გამსახურდია. ამბობს ვრცელ სიტყვას, რომლითაც იგი მხარს უჭერს ამხ. პავლე ინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის.”

როსტომ ჩხეიძე წერს თავის წიგნში: „თავისი ხელით წაუღია კოსტანტინე გამსახურდიას განცხადება აკადემიაში“ — წარმოგვიდგენია, რა ძლიერად სურდათ მისი არჩევა აკადემიკოსად. გავაგრძელოთ ოქმის კითხვა:

„გ. ტაბიძე — სრული შეგნებითა და პასუხისგებით მოვანერე ხელი ჩვენს საერთო განცხადებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად ჩვენი ცნობილი მწერლისა და მკვლევარის პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების თაობაზე.

ლ. ქიაჩელი — მწერალ პავლე ინგოროყვას ვიცნობ მისი ლიტერატურული მუშაობის დანაყების დღიდან. იგი არის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. გაცუებას იწვევს, რომ ერთმა კაცმა ამდენი შესანიშნავი შრომის შექმ-

ნა შეძლო. მისი ახლახან გამოქვეყნებული დიდი შრომა „გიორგი მერჩულე“ სხვა მრავალ საყურადღებო ნაშრომთან ერთად სრულ უფლებას გვაძლევს მისი კანდიდატურა წავაყენოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის ქართული მწერლობის ისტორიის დარგში, პრეზიდენტის, დარწმუნებული ვარ, ერთხმად დაუჭერს მხარს ამხ. პავლე ინგოროყვას კანდიდატურას.

გრ. აბაშიძე — ყოველი ჩვენგანი სიხარულით დაუჭერს მხარს პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წამოყენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. ეს არის აუცილებელი კანდიდატი. ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის შემდეგ ფილოლოგიაში მომუშავეებს რომ გადავხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ პავლე ინგოროყვა ამ დარგის ბრწყინვალე მუშაკია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო არჩეული.

კ. კალაძე — ყველა, ვინც კი იცნობს პავლე ინგოროყვას შრომებს ქართული ლიტერატურის შესახებ, იტყვის, რომ იგი არის თავდადებული მკვლევარი, შესანიშნავი მწერალი და სტილისტი. როგორც ადამიანი გამოირჩევა იშვიათი კეთილშობილებით. პ.ინგოროყვას კანდიდატურა აუცილებლად უნდა წავაყენოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის და ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ იგი არჩეულ იქნას“.

აქამდე ვისი სიტყვაც მოვიყვანეთ ყველა გასაგებია, მათი დამოკიდებულება ინგოროყვასთან და მთლიანად ქართულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობასთანაც გასაგებია. გასაკვირი ალბათ უფრო ბესარიონ ჟღენცისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის თანხმობა უნდა იყოს:

„ბ. ჟღენტი — პ.ინგოროყვა ყველასათვის ცნობილია, როგორც ჩვენი ლიტერატურის წარსულის სერიოზული მკვლევარი. მისი კანდიდატურის წაყენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის დიდი კმაყოფილებით შეხვდება, როგორც მწერლობა, ისე ხალხი. დაუშვებელია რომ ასეთი ღრმა ერუდიციის მკვლევარი, როგორც პ. ინგოროყვა, არ მუშაობდეს მეცნიერებათა აკადემიაში. გარდა იმ მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა, რომელიც მას გამოქვეყნებული აქვს, თქვენ იცით, რომ ავტორია იმ მოხსენებებისა, რომელიც გაკეთებულ იქნა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე. მას ეკუთვნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მრავალრიცხოვან კლასიკურ მწერლობას ეხება. ამ მოხსენებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მთელი მსოფლიო ამ მოხსენებით გაეცნო ჩვენს მდიდარ ლიტერატურას. ჩვენ შევასრულეთ საბჭოთა მოქალაქის, მწერლისა და პატრიოტის მოვალეობას, თუ ხელს შევუწყობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნას ისეთი დიდი მკვლევარი და მწერალი, როგორც პ. ინგოროყვა. მე მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ.

კ. ლორთქიფანიძე — მე არ ვარ ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ ვარ პ.ინგოროყვას მკითხველი და შემძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ იგი არის შესანიშნავი მწერალი. მისი გამოკვლევების კითხვა ყოველთვის უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს. პ.ინგოროყვას „მერჩულე“ ისეთი სიამოვნებით იკითხება, როგორც უსპენსკის ბიზანტიის ისტორია. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ერთხმად დაუჭერს მხარს პ.ინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის.

ს. ჩიქოვანი — ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას პ.ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არ-

ჩვეისათვის, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრებმა ერთსულ-ლოვნად უნდა დაუჭიროთ მხარი. პავლე ინგოროყვა არის ნამდვილი მეცნიერი, პატრიოტი, მის ნიგნებში ჩანს მისი დიდი ხასიათი. იგი თავ-განწირული ადამიანია ჩვენი ლიტერატურისა და კულტურისათვის, დიდი მცოდნეა ჩვენი წარსული ლიტერატურისა, მაგრამ ამასთანავე იგი ასევე დიდი მცოდნეა თანამედროვე საბჭოთა მწერლობისა. პავლე ინგოროყვა დიდი ერუდიციის მქონეა, რაც ყოველ მის ნაშრომს ატყ-ვიან. იგი ყოველ საქმეს ერთუზიანებით ეკიდება. პავლე ინგოროყვა უეჭ-ველად ღირსია, რომ არჩეულ იქნას მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, როგორც ქვემარტივი მეცნიერი და კულტურის მოამაგე.

ი. აბაშიძე — მე მხარს ვუჭერ ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხა-დებებს იმის თაობაზე, რომ პავლე ინგოროყვას კანდიდატურა წაყენებულ იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევი-სათვის ქართული მწერლობის ისტორიის დარგში. პავლე ინგოროყვა არის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი და მწერალი. მან თავისი მრავალრიცხოვანი შრომით უეჭველად დაიმსახურა, რათა იგი არ-ჩეულ იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

დაადგინეს: ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადების საფუძველ-ზე წარდგენილ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტის მიერ პავლე ინგოროყვას კანდიდატურა საქარ-თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათ-ვის ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში.

თავმჯდომარე: /ირ. აბაშიძე/
მდივანი: /ირ. ქავჭავაძე/


(აჭარის საარქივო სამმართველო. ფ. რ-982; ა.-1; ს.-115; გვ. 38)

აღბათ სიმბოლური იყო რომ სწორედ მწერალთა კავშირმა წარად-გინა პავლე ინგოროყვა. გარდა იმ მასშტაბური კვლევებისა რაც მან ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა აღსანიშნავია ასევე ის რომ მწე-რალთა კავშირის შექმნაში მას უდიდესი წვლილი მიუძღოდა: „ნიკა აგაიშვილი იმასაც წერს, პავლე არამარტო მონაწილე, ერთ-ერთი თაოსანი და ინიციატორი იყო მწერალთა კავშირის შექმნისა და მი-სი წინადადებით აირჩიეს კავშირის თავმჯდომარედ ცნობილი პოე-ტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი“ (როსტომ ჩხეიძე „ბედი პავლე ინგოროყვასი“. გვ. 252)

მართლაცდა როგორ გაბედავს მეცნიერებათა აკადემია, ოთხი გი-განტი მწერლის წინადადების მიუღებლობას?

მაგრამ რომ არ უნდა მიიღოს წევრად? „ზემოდან“ რომ არაა ნება?! „აფხაზობა“ რომ შფოთავს რუსის დავალებით თუ რუსებ-აფხაზები ერ-თად შფოთავენ, ჩვენი გადაგვარება უნდა ინგოროყვას, აფხაზი ხალხის გადაგვარება უნდა ინგოროყვას, მინა-წყალს გვართმევს ინგოროყვაო? (ეს პერიპეტეიები შესანიშნავად აქვს აღწერილი და გადმოცემული როს-ტომ ჩხეიძეს ამ ბიოგრაფიულ რომანში — „ბედი პავლე ინგოროყვასი“, რომელსაც ასე ხშირად ვიმონუმებთ). ჰოდა უნდოდეს მენს აკადემიკოს მწერლებს, ის კი არადა თელ საქართველოს უნდოდეს თუ გინდა, მარ-თლა დემოკრატია კი არაა. კია წნ წელი მაგრამ, ეს დემოკრატობანია ხომ უბრალოდ ქართველთმოძულე ბელადის დასასამარებლად წამო-ინყო ქართველთმოძულე ნიკიტამ, მხოლოდ? მაშ რა უნდა მოხდეს, ხუმ-რობა კი არაა ოთხი პოეტი აკადემიკოსი ითხოვს, მიიღეთ წევრად პავლე ინგოროყვა, ამის დამსახურება აუნონავია ჩვენს მეცნიერებაში და არა-ვინ გვივის უკეთესი ჯერ არმიღებულეზშიო?! აკადემიკოსები აკადემი-კოსებად, და გარდა მაგისა ხომ ვნახეთ, ბესო ჟღენტციკ კი მხარს უჭერს, კომუნისტების ხელფასიანი ჯალათი, და სხვებიც. თუმცა სხვები კიდევ ჰო და ამ ჟღენტს მაინც რა დაემართა, არ იცოდა საბჭოეთის დამოკიდე-ბულება პავლესადმი? არა, ეტყობა ერთი პირი მდინარესაც კი ჩაეძინება; გინა ერთხელ ჯალათსაც მოუცრემლიანდება თვალები. ხო, მოკლევით ვითარება ცხადზე უცხადესია, არ უნდა მიიღონ ინგოროყვა აკადემიის ნამდვილ წევრად (როგორც მასსოვს უკვე მეორედ. ქ.ქ.). ეს იცის ხელი-სუფლებამ, ეს იცის კრემლმა, ეს იცის ყველამ. მაშ ამ მწერლებს რა ჭირი ეტაკათ, არ იცოდნენ? საბჭოთა მწერლებმა მაინც არ იცოდნენ?

„... სრულიად მოულოდნელად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პავ-ლე ინგოროყვას აკადემიის არჩევაში მონაწილეობის უფლებასაც აღარ მისცემდნენ. ეს მეტად არაჯანსაღი აჟიოტაჟი „გიორგი მერჩუ-



პავლე ინგოროყვა

ლეს“ ირგვლივ განსაკუთრებით აფხაზეთში შე-ექმნათ; და ტენდენციურად განწყობილ, გარუსე-ბულ აფხაზ მეცნიერებსა და პარტიულ წრეებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აეყოლები-ნათ, თავიანთ აზრებს პავლე ინგოროყვას მია-წერდნენ და ხალხს ჩააგონებდნენ, ჩვენი აყრა და აქედან გასახლება გადაუწყვეტიათ და „გიორგი მერჩულე“ ამის იდეურ საფუძვლებს ამზადებ-სო“ (როსტომ ჩხეიძე „ბედი პავლე ინგოროყვასი“).

საკმაოდ მარჯვედ იყო მიყენებული დარტყმა.

ახლა იტყვის მკითხველი, არ მიელოთ მერე, თუ ასე ძაან არ უნდოდა მთავრობას, თან არც აფხაზების განაწყენება თუ არ უნდოდათ, არ მიეცათ ხმაო.

არა, ამაზე ადვილი რა იყო, ვინ გაბედავდა მთავრობის გამჟღავნებული ნების წინააღმდეგ წასვლას, მაგრამ იყო ერთი ნიუანსი: რომ შემოვი-და შუამდგომლობა ამხელა მწერალთა კავშირი-დან? თანაც ვისი ინიციატივით?

ვერ იტყოდა უარს აკადემია, საბჭოთა „დე-მოკრატული“ სისტემის ამკარა, თვალნათელი მარცხი გამოვიდოდა!

მაშ რა ექნათ, მართლა ხომ არ მიიღებდნენ პავლე ინგოროყვას, ქართული საზღვრების შემ-ნარჩუნებელს, შენარჩუნებულის კვლავ შესანარ-ჩუნებლად მებრძოლს, „გიორგი მერჩულესა“ და სხვათა ავტორს?

ვერ მიიღებდნენ! სწორედაც რომ „გიორგი მერჩულეს“ გამო ვერ მიიღებდნენ. გამოდის, პირ-ველს სწორედ პავლეს მოსწევია აფხაზთა რუსული სეპარატიზმის სულხი. ის კი არადა გამოცემული ტომების დანვას ითხოვდნენ აფხაზები და ლამის ინგოროყვას ჯვარცმაც მოეთხოვათ, უბრალოდ კომუნიზმისაკენ მიმქროლი სოციალიზმი ბოპოქ-რობდა და ჯვარცმაზე ვერ დადებდნენ თავს.

რა დაუპირისპირა საქართველოს მაშინდელმა კომპრადორულმა მთავრობამ, რუსული შოვინიზ-მის სეპარატიზმში გამოვლენილ აგრესიას?

„კრძალვა და ცახცახი“.

ალარ გაამართლა ამ პოლიტიკამ სეპარატიზმთან ბრძოლაში. „სიმართლითა და სიყვარულით“ სჯობდა, ნამდვილი თანაგრძობითა და ურთიერთობათა თუნდაც იურიდიული გარკვევით, რომელიც პავლე ინგოროყვასავით ტიტანი მეცნიერების ღვაწლს დაეფუძნებოდა. მაგრამ ვერ გათვალა მაშინ ქართულმა ისტებლიშმენტმა, ან სად გვეყავდა? კრემლს დამორჩილებული ხროვა, უფრო სწორად, კრემლის სულიერი თანამეწილეთა ჯგუფი მართავდა ქვეყანას ხომ? როგორ შეენინაალმდეგებოდნენ რუსთა ნებას, სეპარატიზმის ამ უაზრო მოთხოვნას?

გზაც გარკვეული იყო — მომთხოვნებს უნდა გამოეთხოვიათ თავიანთი მოთხოვნა.

ოთხ პოეტ აკადემიკოსს უარი უნდა ეთქვა საკუთარ წინადადებაზე!

და თითქოსდა ვმშვიდდებით ყველა, რა თქმა უნდა ისინი უარს არ იტყოდნენ, ჩვენი დროის მედროვეები კი არ იყვნენ, გაუტანლები და უღირსებოები საკუთარი სკამისა და პატივისა და დიდების გამო უნიჭიერესი ტალანტის კაცი გაეწირათ და უარი ეთქვათ ინგოროყვას მიღებაზე მეცნიერებათა აკადემიაში! ჩვენ სასიქადულო ტიტანთაგან რომელი ერთი იკადრებდა ამას? ახლანდელი ზოგიერთი მედროვე შემოქმედებით ხომ არ მოიქცეოდა? კიდევ კარგი, რომ მათზე იყო სიტყვა.

მამ მოისმინეთ ეს სიტყვაც:

„მოისმინეს: ამხ. გ. ლეონიძის ინფორმაცია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის წაყენებული კანდიდატურის შესახებ /ი. ოქმი სსმკ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომისა 14 1955 წლის 30 ივნისი/.

გიორგი ლეონიძე — როგორც მოგეხსენებათ, ამას წინადადებდა ჩვენს მიერ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთხი ნამდვილი წევრის მიერ — წაყენებულ იქნა ამხ.პ.ინგოროყვას კანდიდატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომავალი არჩევნებისათვის. ჩვენმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ ვერც კიდევ სათანადოდ შესწავლილი პ.ინგოროყვას ნიგნი „გიორგი მერჩულე“, რომლის გამო უმთავრესად მისი ავტორი წაყენებულ იქნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობის კანდიდატად. ამ ნაშრომში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება სერიოზულ შეცდომას შეიცავს. ჩვენ, რომლებმაც გავაკეთეთ ეს წარდგინება, ახლა დავრწმუნდით, რომ ავჩქარებულვართ, აქვე უნდა განვაცხადო, რომ ნიგნი ჩვენ საფუძვლიანად არ ვიცნობთ. შემოვდევარ პრეზიდიუმის წინაშე წინადადებით მოვხსნით და გამოვითხოვთ საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიიდან ჩვენი წარდგინება ამხ.პ.ინგოროყვას აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ.

გ. ტაბიძე — მართლაც, რომ ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. პ.ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ საფუძვლიანად შესწავლილი არ გვექონია, როცა მისი კანდიდატურა წაყენებულ მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისათვის. მე პირადად დღესაც არა მაქვს ეს ნიგნი ნაკითხული ბოლომდე. მხარს ვუჭერ ამხ.გ.ლეონიძის წინადადებას — გამოვითხოვთ პრეზიდიუმის წარდგინება პ.ინგოროყვას მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის შესახებ.

კ. კალაძე მხარს უჭერს გ. ლეონიძისა და გ. ტაბიძის განცხადებებს და ამბობს: ჩვენ საკუთარ თავს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ საქმეში ავჩქარდით და მხარი დავუჭირეთ პ.ინგოროყვას კანდიდატურას მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისთვის.

გ.აბაშიძე — მხარს ვუჭერ გამოსული ამხანაგების წინადადებასა და აცხადებ, რომ პრეზიდიუმმა თავი უნდა შეიკავოს პ.ინგოროყვას კანდიდატურის წაყენებისაგან

მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისთვის, სანამ საფუძვლად, მეცნიერულად არ იქნება შესწავლილი, შეფასებული პ. ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე“.

ამხ. გ. ლეონიძისა და გ. ტაბიძის წინადადებასა და მოსაზრებებს აგრეთვე მხარი დაუჭირეს პრეზიდიუმის წევრებმა: ბ. ჟღენტმა, ა. მირცხულავამ, გ. ნატროშვილმა, ს.ჭილაიამ და ირ. აბაშიძემ.

დაადგინეს: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში, რომ პ.ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე“ ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი, შეფასებული ჩვენი მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკების მიერ, ხოლო ამ წაყენებაში, როგორც მწერალი აკადემიკოსები თავიანთ წერილობით წარდგინებაში აღნიშნავდნენ, ცენტრალური ადგილი უჭირავს ამ ნაშრომს, ერთხმად ადგენს: გამოითხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან პრეზიდიუმის წარდგინება პ. ინგოროყვას აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის“.

მართლა მოგიკვდება გული კაცს. მე ამ ოქმის ნაკითხვის შემდეგ აჭარის რადიოს ოქროს ფონდში შემონახული გალაკტიონის ხმა ჩამესმა, მართლაც ათრთოლებული რომ კითხულობს „მთანმინდის მთვარეს“, მერე ოლია ოკუჯავა გამახსენდა, სადღაც გადასახლებაში რომ გადაუკარგეს გენიოსს, მერე ლეონიძის საოცარი ხმით ნაკითხული „... ისევ აღვსდები მუხრანის ბოლოს...“ და თვალზე ცრემლი მომანვა.

ეს ძალმომრეობა რომ შეუტყვია, გალაკტიონს ისე დაწყევტია გული, რომ მაშინვე საგანგებოდ ჩაუნიშნავს (1955 წლის 8 სექტემბრის ჩანაწერი): ჩვენ რომ აკადემიის წევრობის კანდიდატად პავლე ინგოროყვა წარვადგინეთ (მწერალთა კავშირმა). ეს არ მოსწონებათ მაღლა. დაუბარებიათ სამივე მდივანი და უბრძანებიათ უკანვე წაიღეთ თქვენი წარმოდგენაო (როსტომ ჩხეიძე „ბედი პავლე ინგოროყვასი“, გვ 525)

ოქმიც 1955 წლის 8 სექტემბრითაა დათარიღებული. წარმოგვიდგენია ალბათ რა საზიზღარ განწყობაზე იქნებოდა დიდებული გალაკტიონი ამ წარდგინების უკან გამოწვევით, სხდომის დამთავრებისთანავე რომ გაუნდვია დარდი უბის წიგნაკისთვის.

ეტყობა ყოველთვის გმირი ვერ იქნება ადამიანი. არა, გამოიწვევ და გამოიწვევ, მაგრამ: „ნიგნს ჩვენ საფუძვლიანად არ ვიცნობთ“ -ო, ეს მაინც რაღა იყო ... თუმცა აბა სხვა რა ეთქვათ, ნავიკითხეთ და არ მოგვეწონათ?

1980 წლის 22 ნოემბერს აკაკი ბაქრაძეს განუცხადებია პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ საღამოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: „ჩვენ რომ თავის დროზე პავლე ინგოროყვას უზარმაზარი ნიგნისათვის „გიორგი მერჩულე“ სათანადო ყურადღება მიგვექცია და ღრმად დავეკვირვებოდით, დღეს არ იარსებებდა აფხაზეთის ანექლოტური პრობლემაო“ (როსტომ ჩხეიძე „ბედი პავლე ინგოროყვასი“).

ეს მაშინ იყო ანექლოტური, რაც დღეს კატასტროფულად გვექცა.

იქნებ სწორედ მაშინ დავიწყეთ აფხაზეთში დამარცხების პროცესი, როდესაც იმპერიის შიშით პავლე ინგოროყვა აკერძალეთ, სეპარატისტ, ცრუმეცნიერთა შიშით კი არც შემდგომ შევუშვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში? ყველა ბრძოლა მოიგო უნდა, არ არსებობს უმნიშვნელო ბრძოლა.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ქალაქზე წავაგეთ ომი, და შემდეგ კი ბრძოლის ველზე.

კრძალვითა და ცახცახით ჯერ არავის შეუქმნია სახელმწიფო.

ეკა ბუჯიაშვილი

დრო — 48 საათი

(როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის განხილვა)

— როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების მნიშვნელობა კარგად იცით ჩვენს მწერლობაში. დღეს მის მე-14 ბიოგრაფიულ რომანს წარმოგიდგინებ „**მითა სიზმარი ღამისა (რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)**“, უკვე გამოვიდა რომანი ვახტანგ ჭელიძის შესახებ „სადა ვახტანგური“ და გამოსაცემად მზადდება რომანი ვაჟა-ფშაველასზე „დევეების სტუმარი“.

ამგვარად, მკითხველის წინაშე გადაიშლება ერთმანეთზე გადაჯაჭვული 16 უჩვეულო სამყარო, ჩვენს სულიერებას, ჩვენს ეპოქას რომ ამდიდრებს, — ასე წარუდგინა **ინგა მილორაშვილი** როსტომ ჩხეიძის ახალი რომანი ყურნალ „**ჩვენი მწერლობის**“ სალონში შეკრებილებს და აღნიშნა, რომ ავტორი წიგნს ქართულ ემიგრანტს, პეტრა სპიქელიძეს უძღვნის.

სწორედ მას სწერდა წერილებს თავისი ცხოვრების შესახებ რევაზ გაბაშვილი, ერთგვარ აღსარებადაც რომ წარმოადგება და საფუძვლადაც იქცევა ამ რომანისა, რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი დრო-სივრცული ლოკალის აღწერის, გააზრების, მხატვრული წარმოდგენის მნიშვნელოვან ნიმუშად დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორიას.

უფრო ვრცლად კი რომანის შესახებ მომხსენებელმა **რუსუდან ნიშნიანიძემ** ისაუბრა.

„ამ“ საქართველოს თავგადასავალი

— ჩვენ დღეს ხელთ საინტერესო წიგნი გვიჭირავს, - თქვა ქალბატონმა რუსუდანმა, წიგნი, რომელიც არაერთი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. მშვიდად ვერ მოისმენ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი რევაზ გაბაშვილის განცხადებას. 87 წლის ხანდაზმული ქართველი სამ შემთხვევას გაიხსენებს, როცა ცრემლი წასკდა. გახარების იყო ის თუ ტკივილის, ფაქტი ერთია, თითქმის საუკუნეს მითანებულ კაცს სამგზის მომხდარი ახსენდება მხოლოდ: „ერთი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, მეორე — ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და მესამე კი — უცხოეთის მიწაში ჩანოლის ახლო მოლოდინში.“

„ერთა სიზმარი ღამისა“, — ასეა დასათაურებული როსტომ ჩხეიძის ეს ახალი ბიოგრაფიული რომანი, რომელიც პეტრე ხვედელიძეს ეძღვნება. ყველაფერი აქვს დასასრული; რევაზ გაბაშვილის ბოლოქარი და უჩვეულო თავგადასავალიც მთავრდება, მაგრამ მთელი მისი ბიოგრაფიის გაცნობისას აქ დარჩენილ და საქართველოდან წასულ იმ ადამიანებსაც ვეცნობით, რომელთაც მოგვიანებით ქართველი ემიგრანტები დაერქმევათ სახელად.

რუსუდან ნიშნიანიძემ ვრცლად ისაუბრა ბიოგრაფიულ ყანრზე, ევროპულ (*მტეფან ცვაიგი, ირვინგ სტოუნი, ანდრე მორუა...*) და ქართველ ავტორებზე (*იონა მეუნარგია, არჩილ ჯორჯაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჩხეიძე, რეზო ჭეიშვილი, ელგუჯა თავბერიძე...*), მათ ლიტერატურულ ტექსტებზე; განსაკუთრებით გაუსვა ხაზი როსტომ ჩხეიძის დამსახურებას ამ სფეროში. ის 14 ბიოგრაფიული რომანის ავტორია. მისი მთავარი პერსონაჟები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პავლე ინგოროყვა, შიო არაგვისპირელი, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ოთარ ჩხეიძე, მიხეილ წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი...

რუსუდან ნიშნიანიძემ ხაზი გაუსვა იმ განსხვავებასაც, რომლის წინაშეც დგება ავტორი მხატვრული თუ ბიოგრაფიუ-

ლი რომანის წერისას. ბიოგრაფიული ტექსტის დაწერისას ავტორი გარკვეული „აუცილებელი მოდელი“ წინაშე დგება; ის ვერ იტყვის იმაზე მეტს, რაც მის პერსონაჟს არ გაუკეთებია, თვით გეოგრაფიული სივრცითაც სრულიად განსაზღვრულია.

ამის საილუსტრაციოდ მომხსენებელმა დაასახელა როსტომ ჩხეიძის ორი რომანის მაგალითი: სხვაა შიო არაგვისპირელის ისტორიული გარემო და მისი კონკრეტული ლიტერატურული მემკვიდრეობა და სრულიად განსხვავებულია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის გარემოცვა თუ საქმიანობის მასშტაბები. ამდენად, ბიოგრაფიული რომანის დაწერამდე ავტორი ეცნობა ოფიციალურ დოკუმენტებს, საქმიან ქალაქებს, სპორტივო მასალას, ჩანაწერებს, ეპისტოლურ მემკვიდრეობას, პირად მიმონერას, რომელსაც მეცნიერული ალლო და მიხვედრა სჭირდება. როსტომ ჩხეიძის შემთხვევაში ეს ორი საწყისი — მეცნიერისა და მწერლის — წარმატებით გაერთიანდა. ამიტომაცაა მისი ბიოგრაფიული რომანები არაერთი საინტერესო თავგადასავლით სავსე და ექსპრესიული.

რუსუდან ნიშნიანიძემ რომანის დასაწყისს, მის წარდგინებასაც მიაქცია ყურადღება. მან ის ამონარიდი წაუკითხა დარბაზს, რომლითაც იწყება ნაწარმოები და რომელიც, იმავდროულად, ბატონი პეტრე ხვედელიძის ზუსტი დახასიათებაცაა.

სწორედ მის მიმართ გაგზავნილი რევაზ გაბაშვილის ბარათები გახდა პირველი ბიძგი როსტომ ჩხეიძისათვის ეს რომანი დაეწერა. მინდა მხოლოდ დავადასტურო, ბატონი პეტრე სწორედ ასეთი ქართველი გახლდათ, და მიუხედავად იმისა, რომ პირად საუბარში, რასაკვირველია, მადლობა ვუთხარი როსტომს, ახლა საჯაროდ კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მადლობა იმ ჩვენი დიალოგის, ჩანართი-ნიგნაკის გამოცემისთვის, იმ სიხარულისთვის, რომელიც ჩვენ მაშინ ბატონ პეტრეს მივანიჭეთ — მოვასწარით და სიცოცხლეშივე ვუთხარით მას, რომ დიდებული, ლეგენდარული ქართველი იყო.

მომხსენებელმა რომანის არაერთ ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება. „ეროვნული ვინაობა“ — სიტყვები, რომლებიც ერთ მკვეთრ ხაზად გასდევს მთელ ტექსტს. რა თემაზეც უნდა წერდეს, რომელ ადამიანურ ურთიერთობასაც უნდა აღწერდეს, მისი დახატული ისტორიები სწორედ ამ ფარგლებში მოიაზრება: იქნება ეს დოლო ამილახვართან თავგადასახდენილი ტრაგიკული და დრამატული სიყვარულის ისტორია თუ იაკობ ნიკოლაძესთან შეხვედრის სახალისო ამბავი; ეკატერინე გაბაშვილის — ამ დარბაისელი, ცნობილი მწერლის ბიოგრაფიული ეპიზოდები თუ საუკუნის დასაწყისის ქართველობის ჩვენება...

მომხსენებელი შესაბამის, კონკრეტულ მაგალითებს უამბობდა დარბაზში მყოფთ და, იმავდროულად, ამ რომანის მხატვრულ ღირსებებს უსვამდა ხაზს.

მეცნიერის ალლო და განათლების ფართო თვალსაწიერი იმ მონაკვეთებში გამოვლინდა, როცა მწერალი რევაზ გაბაშვილის მიერ გამოცემულ წიგნებს და დასტამბულ პუბლიკაციებს ეხება. რომანის ბოლო, მეთვრამეტე თავია: „ქართული მოდგმა და მსოფლიო ცივილიზაცია.“ ეს ის თემაა, რომელზეც ლამის მთელი ცხოვრება ფიქრობდა ბატონი რეზო, თუმცა, როგორც ცხადად ჩანს, მწერლისთვის, როსტომ ჩხეიძისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს სერიოზული სათქმელი წიგნში სახალისო ფრაზები იწყება:

„ერთი ქართველი ძვირფასი რამ არის, ორი ქართველი — პარტია; სამი ქართველი — ხათაბალა.“

მკითხველი „ამ“ საქართველოს თავგადასავალს წაიკითხავს — თავისი დიდი ღირსებითა და ფასეულობებით, თავისი შეცდომებითაც.

— ისლა დამრჩენია, რომ ცოდნით, განათლებით, აზროვნების ფართო მასშტაბით და მხატვრული ოსტატობით გამორჩეული ამ რანგის წიგნის გამოცემა მხოლოდ მივულოცო ავტორს, — თქვა თავისი გამოსვლის დასასრულს რუსუდან ნიშნიანიძემ.

„საქართველოს გადარჩენის მანიფესტი“

„რა გვიხსნის ასეთი უნიჭო მდგომარეობისაგან?“

წავიდა ის დრო, როცა იარაღით წყვეტდა საქართველო თავის ბედ-იღბალს. ჩვენ გვგონია, უნდა წავიდეს ის დროც, როცა კულტურითა და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას. უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ფსიქოლოგიიდან ის შეცდომა, თითქოს მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრსა და სხვა ამგვარებს ჰქონდეს უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში. ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი გარანტირებული უნდა იყოს მისი ეკონომიკური ცხოვრებით“, — რაც გინდა გაგიკვირდეთ, ამას ინტელიგენტურ ოჯახში გაზრდილი კაცი წერს, წერს „სამოთხეში დასახლებული ერის“, ისეთი ქვეყნის შესახებ, XXI საუკუნეშიც საკუთარი კულტურით რომ თავმოწონეობს და ცდილობს დამკვიდრებას მსოფლიო ასპარეზზე.

ამ ციტატას ნონა კუპრეიშვილი გაიხსენებს რევაზ გაბაშვილის შესახებ ჟურნალ „ომეგაში“ დაბეჭდილი წერილიდან, წლების წინათ საკუთარ ვაჟთან ერთად რომ გამოაქვეყნა რუბრიკით: „უკეთეს დღეთათვის“ და როსტომ ჩხეიძის თხოვნით, ყურადღება ამ თემაზე გამახვილდა: „რევაზ გაბაშვილი და კორპორაცია“.

— ეს მართლაც ძალიან უჩვეულოდ ჟღერდა ისეთი ლიტერატურული ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, რადგან ათწლეულები გავიდა მას შემდეგ და კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ ილიასეული მსოფლმხედველობის ეს მხარე — ეკონომიკური ვექტორის გასაღებურება — ასე მნიშვნელოვნად რომ მიიჩნევა რევაზ გაბაშვილიც, ძალზე საგულისხმო და საჭიროა სახელმწიფოდ შედგომისა და განვითარებისათვის.

ქალბატონი ნონა ისაუბრებს რომანის არა მხოლოდ ბელეტრისტულ ღირსებებზე, არამედ ავტორის „ძალზე ღრმა კონცეფციასზე, ფაქიზ, თუ გნებავთ, მამაკაცურ ჩანაფიქრზე“ — სწორედ ასე, სიზმრისეულ ჩვენებასავით რომ უნდა გასრულებულიყო მოღვაწე ადამიანის ცხოვრება და საუბარს ერთი ტელეგადაცემის გახსენებით დაასრულებს, ერთი პოსტ-მოდერნისტი მწერლის სტუმრობით ლევილში:

— იმ მწერალს ჩემი ადვოკატობა ნამდვილად არ სჭირდება, მთელი საქართველოს ადვოკატია თვითონ, და მაინც: თავის რესპონდენტებს, ემიგრანტ ქალბატონებს — თუ არ ვცდები, ერთ-ერთი ნოე ჟორდანიას ნათესავიც გახლდათ — რომ მიმართავს: როდის მიხვდა ქართველი ემიგრაცია, რომ უკვე აღარ ღირდა საქართველოსა და უკან დაბრუნებაზე ფიქრი? ეს სრულიად სათნო და კეთილშობილი ქალბატონი ცოტათი გაღიზიანებული ეტყვის:

— თქვენ დღემდე გეტყობათ საბჭოური აზროვნების კვალი. ბაბუაჩემს არც არასოდეს მიუტოვებია ფიქრი თავისუფალ საქართველოზე.

და აი, ამ წიგნში რევაზ გაბაშვილის შესახებ, ასევე პავლე ინგოროყვასა და არჩილ ჯორჯაძეზე დაწერილ ბიოგრაფიულ რომანებშიც, გადის მართალი ხაზი, სადაც ავტორი მიუკერძოებლად გვიხსნის, სინამდვილეში რა პოზიციაზე იდგნენ ისინი; რომ მათმა ბრმა მიმდევრობამ, დოქტრინულობამ სხვისი, უცხო იდეისადმი ასეთმა თავდადებათ მოიტანა ის საბედისწერო შედეგი, რაც მივიღეთ.

ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის, თუ რა მოხდა მაშინ. ვფიქრობ, სულ მალე კიდევ უფრო გაიზრდება ამ წიგნების მკითხველთა რიცხვი, რადგან შეუძლებელია, თუკი ერს არსებობა და განვითარება სურს, არ უნდოდეს უკან მოხედვა და რეალობისა და ილუზიის ერთმანეთისგან გარჩევა.

სწორედ ამ საკითხს შეეხება ბონდო არველაძეც და უწინარესად იმ დროს გაიხსენებს, 80-იან წლებს, როცა რევაზ გაბაშვილის მემორიალური თხზულების „რაც მახსოვს“ ქსეროასელი ხელიდან ხელში გადადიოდა და ჩუმად ეცნობოდა საბჭოურ სივრცეში მცხოვრები ქართველი მკითხველი.

— ჯერ კიდევ იმ წიგნმა ყველაფერი გადააფასა ქართველი საზოგადოებისათვის. აღმოჩნდა, რომ მენშევიკებმა თურმე გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით გამოაცხადეს თავისუფლება, თორემ თვითონ სოციალ-დემოკრატებს თავიანთ პარტიულ პროგრამაში ეროვნულობა საერთოდ არ ჰქონდათ.

ბატონი ბონდო შეკრებაზე 1911 წელს გამართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კრებასაც გაიხსენებს, რომელსაც საქართველოდან სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და სრულიად აბსურდულად წარმომადგინეს საქართველოს ტერიტორიული დაყოფის საკითხი. ამასაც არ დასჯერდნენ და შესაბამისი კონცეფციით რუკაც გამოსცეს, რასაც თავის დროზეც დიდი ხმაური მოჰყვა და ერთ-ერთი პირველი სწორედ რევაზ გაბაშვილი შეეწინააღმდეგა, თუმცა იმ რუკამ თავისი შედეგი გამოიღო და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არაერთხელ წამოგვაკეცეს ქართველებს „ომში“ ერებმა.

ბატონი ბონდო გამორჩეულად შეეხება ვორონცოვ-დაშკოვის მიერ წამოყენებულ ქისტების საკითხსაც (კავკასიიდან მდინარე მეჯუღამდე ტერიტორიები ქისტებს რომ უნდა მიკუთვნებოდათ, ტირიფონას ველიდან კი 40 000 ქართველი ასახლებულიყო და იქაურობა სამხედრო პოლიგონად ექციათ), რომელსაც ასევე უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა რევაზ გაბაშვილმა, და პირველი მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო, გაციმბირება არ ასცდებოდა.

— ეს ყველაფერი შესანიშნავად არის გაანალიზებული როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში. ჩვენ, მეცნიერებმა, რა თქმა უნდა, ვიცოდით ამის შესახებ, მაგრამ მწერალმა თავისი მაღალმატყვერული ოსტატობით ეს საკითხები რიგით მკითხველამდე ჩინებულად მიიტანა.

და კიდევ: შეიძლება შემეკამათოთ, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ტიპური ბიოგრაფიული რომანი ქართულ მწერლობაში სწორედ როსტომ ჩხეიძემ შემოიტანა და დაამკვიდრა.

მოგვიანებით კიდევ შეეკამათება ბატონი როსტომი, ოღონდ ჯერ მანანა გაბაშვილი იტყვის, რომ ამ რომანით ისიც ცხადდება ქართველობისათვის, თუ რატომ დავმარცხდით, რატომ ვერ გავიმართეთ დღემდე წელში და როგორი ვაფთრებით ვებრძვით ისეთ ქართველებს, რომლებიც საკუთარ თავში საქართველოს ატარებენ.

— სხვათა შორის, რევაზ გაბაშვილის იმ წიგნს დღესაც აღმაცერად უყურებს ზოგიერთი, მათ შორის ისტორიკოსებიც. არადა, თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ცნობიერების გადაფასებაში.

დღეს ხშირად ამბობენ, გარეშე ძალა გვერჩის და „ნატომ“ უნდა დაგვიცვასო.

მაგონ, ჩვენ შინაგანი „ნატო“ გვჭირდება იმ ძალებისგან დასაცავად, საქართველოს რომ ებრძვიან.

მე კი ამ წიგნს პარლამენტში გავავრცელებდი, როგორც საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ დიდ მანიფესტს.

ას იღუპალი პედისწერანი

„საცა უნდა იყვე, საქართველოსა თუ ხიზნობაში გაფანტული, სამშობლოზე იფიქრე, ქართველო, სამშობლოსთვის იღვანე და იზრუნე, იბრძოლე...“ — წერდა რევაზ გაბაშვილი და ამ ფრაზას შეკრებაზე ვახტანგ ბახტაძე რომ მოიხმობს, სამშობლოზე ფიქრთა და ღვნით შარავანდმოსილ წინაპართა დაფასებას დაუმაღლებს როსტომ ჩხეიძეს, ვინც, მისი თქმით, პოლიტიკურ-დოკუმენტური მასალის სიღრმისეული შერჩევითაც გამოირჩევა, ამ ცნობების ლიტერატურულ ტექსტად გარდასახვითაც, განსხვავებული ენობრივი ქსოვილითაც, იმ სიფრთხილითა და ტაქტიკითაც, დედნისეული სურნელის შენარჩუნებისთვის რომ არის საჭირო, ტექსტის ორიგინალური

სტრუქტურითაც, არქიტექტონიკული ხედვის უზადობითაც, მსჯელობის გაშლა-დასაბუთებითაც, შორსმჭვრეტი გააზრებებითა და პოლიტიკური მნიშვნელობის კვანძთა ლიტერატურული ხერხებით გახსნის ოსტატობითაც.

ოღონდ მთავარი მაინც ის შესანიშნავი მწერლური ალღოა, ღვთისგან ბოძებული ნიჭი, წამიერში მარადიულობის განჭვრეტის არაჩვეულებრივი უნარი, დახვეწილი გემოვნებითა და ემოციურ-ექსპრესიული სტილით გაზავებული, რაც არა მხოლოდ დიდ ლიტერატურულ შრომას გულისხმობს, არამედ მწერლის ობიექტურ და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებასაც ამა თუ იმ მოღვაწის შესახებ შემორჩენილი ბიოგრაფიული მასალებისადმი და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენისათვის პატარა ერისათვის.

— არადა, რაოდენ ძნელია, საკუთარი ბედისწერა დაუკავშირო იმაზე მეტს, ვიდრე დღეს თვითონ ადამიანი წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ისეთი ბედისწერის ერს, როგორც ქართველობაა, გამორჩეულად მძიმე ხვედრი რომ ერგუნა, რადგან ეს ის რეალობაა, სადაც ერთი სიცოცხლე არ არის საკმარისი მოღვაწე ადამიანისათვის, — ამას თემურ ქორიძე იტყვის და ნიმუშად თუნდაც ივანე ჯავახიშვილს მოიყვანს: რამდენი კაცის საქმე გააკეთა მან, ვიდრე მივიდოდა დასკვნამდე, რომ დაენერა არცთუ ისე ვრცელი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მანდატი, თუ რა შედეგი მოაქვს ერისთვის მარცხსოვლად.

— ჩვენ პატარ-პატარა უიღბლობათა გადატანაც გვიჭირს და წარმოადგინეთ ცნობიერება ერისა, რომელიც კატასტროფულ, მუდმივ დამარცხებებს განიცდის.

არის ამ გზაზე პატარ-პატარა გამონათებანიც. თუნდაც ხანმოკლე ზეიმები, გაელვებანი — როგორც იყო დამოუკიდებლობის მოპოვება — და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ისტორია სწორედ ასეთ გაელვებებზე დგას. როცა ვკითხულობთ საკუთარი ერისა და ქვეყნის ბედისწერასთან გადაჯაჭვული ადამიანების ცხოვრებას, ვეცნობით არა მხოლოდ ერთი პიროვნების, არამედ მთელი ერის ხვედრს, დანიშნულებას, ეგზისტენციას... — ამასაც ბატონი თემური იტყვის შეხვედრაზე;

იტყვის, რადგან ერსაც თავისი ბედისწერა აქვს.

ძალიან იდუმალი განზომილებანი.

და როდესაც პიროვნებისა და ერის ბედი გადაეჭლება ერთმანეთს, ეს ისეთი მდგომარეობაა, გარემო რომ ირყევა, წისქვილის ქვა იწყებს ტრიალს და ისეთ ორბიტაში ექცევა ადამიანი, რომ არის და აღარც არის საკუთარი ბედის განმსაზღვრელი.

ამის დასტურად და თვალსაჩინო ნიმუშად კი საქართველოს უახლესი ისტორიაც კმარა. თუმცა...

— ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, „რომ არა“...

„რომ არა“... რაც ასე არ უყვარს ისტორიას;

რომ არა ეს საბედისწერო შეხვედრები, წამიერი თუ წუთიერი კავშირები, განმსაზღვრელი ადამიანთა, ზოგჯერ ცივილიზაციათა ბედისწერისაც, რომელიც ალბათ ერთი კაცის ნებით არ ხდება და ხანდახან კაცობრიობის ისტორიასაც ცვლის...

ბოლ ვაქერის უთქვამს:

კლეოპატრას ცხვირი ცოტა სხვაგვარი რომ ყოფილიყო, მსოფლიო რუკაც ცოტა სხვანაირი იქნებოდაო.

...ოღონდ ამ ადამიანებს ამ ქვეყანაში, ამ დროში, ამ ხვედრით ეწერათ დაბადება.

ქვეყანაში, სადაც ერთი სიცოცხლე არ იყო და არ არის საკმარისი მისი ბედისწერის შესაცვლელად;

გავლენის მოსახდენად პატარა ერის, დამარცხებათა სერიამოვლილი ერის ცნობიერებაზე.

აკი თვითონ რევან გაბაშვილიც ამას ჩიოდა წლების წინათ:



როსტომ ჩხეიძე, ინგა მილორავა და რუსუდან ნიშნაიძე

— მეც კი, ყოველ ჟამს ცოცხალსა და აქტიურს, შეიძლება ითქვას, მოუსვენარს, დღემდის, მიუხედავად 85 წლისა, არაფერი გამომდის სრულიად გაგულგრილებულ ქართულ საზოგადოებაზე გავლენისათვის.

სხვისი სულის ქურა და სივრცეები, სადაც ღმერთი არის

— ისტორია რალაცნაირი სხვა ყოფიერებაა, რომელიც საკუთარ ანაბეჭდსაც ატარებს და კიდევ ბევრ სხვა რამესაც, რამდენადაც მასში თავისუფალი ნებაც ფიგურირებს.

ადამიანის ინდივიდუალობაც სწორედ ამ ისტორიაში ვლინდება, როცა მწერალი მისი სულის ქურას გამოივლის და სხვა ფორმად აქცევს ყოფიერებას.

სხვა ფორმად, რადგან როცა ისტორია იწერება, ძირითადად ფაქტები, მოვლენები და მათი ანალიზი ლაგდება.

ისტორია ვერ უღრმავდება ადამიანს, პიროვნების სულს; ვერ ქმნის ფსიქოლოგიურ პორტრეტებს;

ეს მწერლის სივრცეა.

და როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანებიც ის სივრცეებია, სადაც ხდება ზიარება ამ ადამიანების სულებთან.

მართლმადიდებლურ სამყაროში ასეთი ზიარება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იქნეს, რადგან ეს ცივილიზაცია, თავისი კულტურითა და მრწამსით, სწორედ მარადიულთან თანაზიარობას, სულის უკვდავებას ეყრდნობა.

ბატონი როსტომიც 16 ასეთი სივრცის, ასეთი კოსმოსის ავტორია, ოღონდ იმ კოსმოსისა არა, სადაც იური გაგარინი გაფრინდა და თქვა: იქ ღმერთი არ არისო. ეს სხვა კოსმოსური სივრცეებია — იმ სულიერ წესრიგზე დაფუძნებული, დიდი შოთა „მწყობრთა მწყობრს“ რომ უწოდებს, — ეს კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსია, შეკრებაზე კიდევ ერთხელ რომ გაიხსენებს რევან გაბაშვილის ღვანლს და იმასაც იტყვის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის ნაშრომებს ზვიად გამსახურდია, ვისი სიტყვაც, ნათქვამი 1990 წლის 26 მაისს, სწორედაც ქართველი ემიგრანტის გახმაურებულ წიგნს — „რაც მახსოვს“ — ეყრდნობოდა, ალუზიურად სწორედ მას გამოიხმობდა.

ბატონი კონსტანტინე პეტრე ხვედელიძესთან მეგობრობასაც გაიხსენებს და მის სტუმრობასაც საქართველოში:

— ერთად ჩამოვედით თბილისში — მე-14 წლიანი ემიგრაციის შემდეგ, ბატონი პეტრე კი — ლამის ნახევარსაუკუნოვანის.

მახსოვს, დიდუბის ეკლესიაში მივედით. კედელს შეეხო და თქვა:

— ამ ტაძრის ეზოში გავიზარდე.

რამხელა მეჩვენებოდა მაშინ და რა პატარა ყოფილა თურმეო. დიდუბის ეკლესია ჩემთვის თითქოს ხატება საქართველოსი და ბატონი პეტრეს სიტყვებში მისი სულის კაემანი ვიგრძენი ამ დროს.

საოცარი ადამიანი იყო.

მახსოვს, ალექსანდრე სულხანიშვილის გარდაცვალების შესახებ რომ ვუთხარი, ერთხანს დაფიქრდა და თქვა:

— ადამიანის სიკვდილი ძალიან ცუდია, მაგრამ რალაც კარგიც არის მის გარდაცვალებაში, რადგან... დადუმდა. საშინელებებს ლაპარაკობდა ადამიანებზეო.

ემიგრაციას სჩვევია ინტრიგები, რადგან სამშობლოსათვის განკუთვნილი, გარემოებათა გამო დაუხარჯავი ენერჯია ზოგჯერ არასწორი გზით წარიმართება ხოლმე.

და სწორედ ამ გარემოში ღირსების შენარჩუნებაა ძალიან მნიშვნელოვანი, — დასძენს ბატონი კონსტანტინე, რჩევის სახით რომ გაუზიარებს როსტომ ჩხეიძეს — კარგი იქნებოდა, ნიგნს გეოგრაფიული ადგილების რეგისტრი და პირთა ჩამონათვალიც დართოდა, უხვ ფოტომასალასთან ერთად, რადგან ამ რომანს ბევრი რამის გამო არაერთხელ შეიძლება მიუბრუნდეს მკითხველიო.

და კიდევ:

— ჩემთვის სიმბოლურია ისიც, რომ ამ ნიგნის გამოსვლა დაემთხვა 100 წლისთავს იმ დიდი ომის დაწყებიდან, 1914 წლის 20 ივლისს რომ დაატყდა მსოფლიოს და საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა... არა მხოლოდ საქართველოსათვის.

ამ ომმა გამოიწვია რუსეთის იმპერიის მსხვერველი და საქართველოს დამოუკიდებლობა, და მისივე შედეგია ასე ნანატრი დამოუკიდებლობის ესოდენ ტრაგიკული აღსასრულიც.

შეიძლება ითქვას, ეს ომი ერთგვარი ბნელი დერეფანი იყო, რომელმაც მსოფლიო სრულიად გაურკვეველ მომავალში გადაისროლა, საიდანაც გზის გაკვალვასა და გამოლწევას დღესაც ხელისციცებით ცდილობს მსოფლიო.

და არც ეს გადაძახილი გიკვირს წარსულთან.

ისტორია ხომ რალაცნაირი სხვა ყოფიერებაა, რომელშიც ხანდახან სიმბოლოებადაც გამოკიდებულა პიროვნებებისა და ქვეყნების ბედისწერა, რომლებთან მიახლოებაც რჩეულთა ხვედრად ქცეულა.

მათ ხვედრად, სხვისი სულის ქურაში გამოვლა რომ ძალუძთ და სხვა, უფრო მეტყველ ფორმად ქცევა ყოფითი რეალობისა.

სივრცედ, სადაც ღმერთსმოკლებულ რეალობიდან აღმოჩნდები და ღმერთს პოულობ.

მწერლის დრო და ემიგრანტის საათი

— აღსარების გაცემა არ შეიძლება, ეს დაუნერული კანონია. ვიდრე ცოცხალი ვარ, ამას არ გავაკეთებო, — ასე პასუხობდა პეტრე ხვედელიძე სოფიკო ჯერვალდიძეს, ვინც რევაზ გაბაშვილის წერილებს გასცნობოდა, მეგობრისადმი მინერის, და ახლა „ძია პეტრეს“ სთხოვდა, რომ უფლება მიეცა, შეუზღუდავად დაბეჭდილიყო.

— არაჩვეულებრივი წერილებია, ძია პეტრე, არათუ დიდი მოღვაწე და პოლიტიკოსი, დიდი მწერალიც დაგვიკარგავს თურმე. ისინი თავიდან ბოლომდე უნდა გამოქვეყნდესო.

— არაო... ვერაო, — უარობდა და ყოყმანობდა „ძია პეტრე“, ვერ იმეტებდა მეგობრის განდობას გამოსამზეურებლად.

სწორედაც რომ განდობა იყო, — დასძენს ქალბატონი სოფიკო, რაკი წერილებში ავტორი ძალიან დელიკატურ საკითხებსაც ეხება, თუმცა კი სწორედ ამ ინტიმურ დეტალებში იკვეთება რევაზ გაბაშვილის მონუმენტური ფიგურაცა და პიროვნული თვისებებიც.

აკი მიხეილ ანთაძეც იტყვის:

— გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რევაზ გაბაშვილის საოცარმა ურთიერთობამ დოღო ამილახვართან.

ლიტერატურის ისტორიას რომ გადახედოთ, ქალისა და მამაკაცის ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას ალბათ ვერსად აღმოაჩენთ. ეს არის პიროვნების გამარჯვება ადამიანის დაცემულ ბუნებაზე, რასაც მწერალი ბიბლიურ სიმალეებამდე აზიდავს რომანში. ეს კი მხოლოდ დიდ ბელეტრისტს თუ ხელეწიფებო.

ოლონდ ეს მერე იქნება.

მანამდე სოფიკო ჯერვალდიძეს დიდი ძალისხმევა უნდა დასჭირდეს „ძია პეტრეს“ გადასარწმუნებლად, ამ წერილების გამოქვეყნებამ გზა უნდა გაუხსნას როსტომ ჩხეიძეს ბიოგრაფიული რომანის დასაწერად, რევაზ გაბაშვილის პირადი ურთიერთობანი კი გამზადებული ქარგა აღმოჩნდეს ამ ყველაფრისათვის.

— მიძღვნა რომ წავიკითხე რომანისა, ძალიან გამიხარდა, რადგან მინდოდა, ძია პეტრე სიცოცხლეშივე ყოფილიყო დაფასებული და ბატონმა როსტომმა ეს მოახერხა.

მერე წიგნებსაც გაუგზავნის ქალბატონი სოფიკო ოკეანის გალმა, ოლონდ შეფიქრიანებული — ვაითუ ჯანმრთელობა-შერყეულ, ლოგინადჩავარდნილ მოხუცს ვერ ჩაუსწროსო — ტელეფონით წაუკითხავს ავტორისეულ მიძღვნას.

ის... გულაჩუყებული, ცრემლნარევი ხმით:

— რით დავიმსახურე ეს ყველაფერი?!

მე არ ვყოფილვარ იმ რანგის მოღვაწე, მეცნიერი, პოეტი ან პროზაიკოსი, რომ...

— სამაგიეროდ, თქვენ ყველას ხელშემწყობი და ხელის გამმართავი ხართ, ეს ამ რომანიდანაც ჩანს, — უპასუხებენ ნანინანატრი საქართველოდან და „ძია პეტრეც“, კიდევ უფრო გულათრთოლებული:

— ძალიან დიდი მადლობა.

ერთს ვფიქრობ მხოლოდ, გადაამეტებული არ იყოს ეს ყველაფერი... თანაც ისე ცუდად ვარ, არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა წაკითხვას.

გადამეტებულიო...

ამას ამბობს კაცი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არაერთი ქართველი ფიზიკურად რომ ჰყავს გადარჩენილი.

— ისე მაინც რა სულიერი სიმალისა უნდა იყო კაცი, სააღსარებოდ რომ მოგადგენ, შენ კი არც მღვდლის ანაფორა გემოსოს, არც მოძღვრის მანტია და არც მცხოვანებით იყვრობდე ყურადღებას, — როსტომ ჩხეიძე თავის მიძღვნაში მის ამ პიროვნულ ღირსებაზეც გაამახვილებს ყურადღებას.

ქალბატონი სოფიკო კი ბატონ როსტომს მადლობას გადაუხდის იმისათვის, რომ არც პეტრე ხვედელიძის დაფასება დაინწყებია, არც რევაზ გაბაშვილის მოღვაწეობის ყველა კუთხე-კუნჭულის მოხილვა-გაანალიზება და მარი-მადლენ ბარტისთვისაც მიუგია პატივი იმ ამავისთვის, სიმსივნით დაავადებული ფრანგი ქალბატონი რევაზ გაბაშვილის საფლავის მოძებნაშიც აქტიურად რომ იყო ჩართული წელიწად-ნახევრის განმავლობაში.

თვითონ ბატონ პეტრეს, მადლდებების ნიშნად და სიმბოლურად, საათი გამოუგზავნია საჩუქრად როსტომ ჩხეიძისათვის და ეს სიტყვებიც გამოუყოლებია:

— ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ, დღე-ღამეში 24 საათი გვაქვს, როსტომს კი — 48...

და აღარც ეს გიკვირს იმ რეალობაში, სადაც ერთი სიცოცხლე არ არის საკმარისი;

სადაც რამდენიმე კაცის საქმე უნდა აკეთო, შენი პატარა ქვეყნის საკეთებელს რომ გასწვდე;

და დრო და ჟამიც, სივრცეებთან ერთად, შენს განზომილებაში თუ არ მოაქციე...

წუთისოფლის ჟამსაბრუნავს ფეხი თუ არ დაუდე...

და სოფიკო ჯერვალდიძეც შეკრების ბოლოს „ძია პეტრეს“ საჩუქარს რომ გადასცემს ბატონ როსტომს:

— არ ვიცი, თქვენი დროით იმუშავებს თუ არა, მაგრამ 24 საათს ნამდვილად აჩვენებს და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ძია პეტრე კი თქვენს შესახებ ამასაც ხშირად ამბობდა:

— ეს არის მწერალი, რომელსაც ნებისმიერი ევროპული ქვეყანა ინატრებდა.

მემატიანეები ჩრდილში

აკი შეეკამათება კიდეც **როსტომ ჩხეიძე:**

— ბიოგრაფიულ რომანზე ვსაუბრობთ და ამ ჟანრის ისტორიაც ვახსენეთ, რომელიც შორიდან მოდის ქართულ ლიტერატურაში.

ბიოგრაფიული რომანის კლასიკური ნიმუშია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“;

პლატონ იოსელიანის „გიორგი XIII ცხოვრება“ (მართალია, პლატონ იოსელიანი, როგორც პიროვნება, არ მიყვარს, თუმცა ეს რომანი კი — ძალიან);

ანტონ ფურცელაძისა გიორგი სააკაძეზე (არც გიორგი სააკაძე მიყვარს, მაგრამ ეს თხზულება ძალიან მომწონს);

არჩილ ჯორჯაძის რომანი დიმიტრი ყიფიანზე;

ვახტანგ კოტეტიშვილისა ალექსანდრე ყაზბეგზე;

კონსტანტინე გამსახურდიასი — იოჰან ვოლფგანგ გოეთეზე;

პავლე ინგოროყვასი — ნიკოლოზ ბარათაშვილზე;

ნიკა აგიაშვილისა — მიგელ დე სერვანტესზე;

ვახტანგ ჭელიძისა — ივანე მაჩაბელზე;

ოთარ ჩხეიძისა — ვასილ ბარნოვსა და ჯორჯ გორდონ ბაირონზე;

რეზო ჭეიშვილისა — სერგო ორჯონიკიძეზე, სააკაძის სულიერ შთამომავალსა და კიდეც უარესზე;

სოსო სიგუასი — კონსტანტინე გამსახურდიაზე;

ნაირა გელაშვილისა — ფრიდრიხ შოლდერიხზე;

ელგუჯა თავბერიძისა — სოლომონ ამორდიასა და აკაკი წერეთელზე;

როგორ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს იონა მეუნარეას მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებათა მთელი ციკლიც.

მაკა ჯოხაძემ ვერ იქნა და ვერ მიიყვანა ბოლომდე თავისი თხზულება დავით კლდიაშვილზე, და თუ ვინმეს შეუძლია ბიოგრაფიული რომანის ქარგაში მოაქციოს ამ მწერლის ცხოვრების ქრონიკა, სწორედ ქალბატონ მაკას;

იოსებ ჭუმბურიძემ წამოიწყო და მალე გვექნება ბიოგრაფიული რომანი ანა კალანდაძეზე.

მე თვითონ, როგორც მკითხველს, ძალიან მიყვარს ეს ჟანრი და აღმოჩნდა, რომ ის ჩემიც იყო, როგორც მწერლისა.

ქალბატონი **ნანა თარხან-მოურავის** თქმით, ბიოგრაფიულ რომანს ადრეც, ევროპაშიც არ ჰქონდა დაფასება, არადა რამხელა შრომა სჭირდება, რომ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით მკითხველამდე მიიტანო ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია, წარმოსახო მისი პორტრეტი და გააანალიზო მთელი ის ეპოქა.

— მე მთარგმნელი ვარ და როცა რომელიმე ნაწარმოების გადმოქართულებაზე ვმუშაობ, ავტორის სამყაროში შევდივარ და მის ტკივილსა და სიხარულს, მის განცდებს ვიზიარებ, მის მარცხებს ვინვნე და გამარჯვებებს ვზეიმობ... და წარმომიდგენია, როგორი დამჯაფავი იქნება ბიოგრაფიული რომანის ავტორის შრომა.

ამას წინათ მაკა ჯოხაძის „ჩაძირული დღესასწაული“ ნავიკითხე და კიდეც ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქალბატონი მაკაც და ბატონი როსტომიც ჩვენი დროის მათიანეს ქმნიან, ობიექტურს, პირუთენელსა და შეულამაზებელს.

იცით, დღეს ასე ხდება: ერთ-ორ წიგნს ნაიკითხავენ და აღარ იციან, როგორ მოგვახვიონ თავს საკუთარი განათლება, დიდი ადამიანები კი, რაც მეტს კითხულობენ, რაც მეტ ღვანლს სდებენ საკუთარ ერსა და ქვეყანას, მით უფრო უკან იხევენ და ჩრდილში დგომას არჩევენ: არაფერი ვიცით, ისეთი არაფერი გვიკეთებიაო.

დიდი მადლობა ქალბატონ მაკასაც და ბატონ როსტომსაც, რომ ასე თავმდაბლად, ასე უანგაროდ და უანგარიშოდ აკეთებენ ასეთ დიდ საქმეს.

„არა სახელის მოსახვეჭად...“

უილიამ ფოლკნერს თურმე ის სურვილი აწვალებდა, როგორმე ქინძისთავზე მოექცია მთელი სამყარო და იქნებ ამ სურვილში გასიმბოლოებულიყო მწერლისა და, საერთოდ, მწერლობის მიზანიც, ხვედრიცა და სწრაფვაც — ხელისგულზე დაეხედა ქვეყნიერებისათვის და ასე შეეცნო ადამიანად ყოფნის არსიც და იდუმალ სივრცეებთან თანაზიარი ჭეშმარიტებაც.

აი, როსტომ ჩხეიძეს კი „ქინძისთავზე“ XIX-XX საუკუნეები მოექცია და ხელისგულზე ამ ეპოქის საქართველოსა და ამ საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა ბედისწერა გადაეშალა.



თემურ ქორიძე

— რატომღაც ასე მოხდა, ჩემს რომანებში მაინც და მაინც ბოლო ორი საუკუნე მოექცა. ამის იქით ვერ გავდივარ, მიუხედავად იმისა, რომ ევროპისგან განსხვავებით, სადაც ამა თუ იმ მწერლის შესახებ ყველაფერი გამოცემულია და მარტო ისლა დაგრჩენია, ბიოგრაფიული რომანის ქარგაში მოაქციო, აქ მასალების დიდი ნაწილი მოსაპოვებელი მქონდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიწვედა სვლა.

სხვათა შორის, სულხან-საბა ორბელიანზე მინდოდა დამენერა ბიოგრაფიული რომანი. ასე დადგენილი და გამზადებული ბიოგრაფია არავისი ვიცით, როგორც მისია, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე.

ამ წიგნის შთამავლებელი კი ბატონი პეტრე აღმოჩნდა.

რომ არა ის წერილები, რევაზ გაბაშვილის განდობა პეტრე ხვედელიძესთან, ეს რომანი ვერ დაინერებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მანანა გაბაშვილი სულ მაგულიანებდა:

— რუსუდან ნიშნიანიძემ რომ გთხოვა და დაწერე მიხაკო წერეთელზე, ახლა ჩემი თხოვნაც გაითვალისწინეო.

ეს რომანი „მგზავრი თიბათვის მზეში“ თავისებურად მაფერხებდა კიდეც — მიხაკო წერეთლისა და რევაზ გაბაშვილის ბიოგრაფიები ხომ ერთმანეთს არაერთხელ კვეთს; როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი იხატება მიხაკო წერეთლის ცხოვრების ქრონიკაში, პერსონაჟად რევაზ გაბაშვილიც შემოდის თხრობაში და ცალკე რაღა უნდა დამენერა, არ ვიცოდი.

რევაზ გაბაშვილის წერილები რომ ჩამივარდა ხელთ სოფიკო ჯერვალაძის წყალობით, დოდო ამილახვრის სახება უკვე თვითონ გთავაზობდა ბიოგრაფიული რომანის ქარგას და შეგეძლო მასში მოგექცია საქართველოს ბედისწერაც, მაგრამ ბატონი პეტრე თავს იკავებდა მათი გამოქვეყნებისგან, რაც, ცხადია, მეც მაფერხებდა, არადა ეს წერილები ადასტურებდა, თუ რა დიდი ბელეტრისტი გვყავს დაკარგული რევაზ გაბაშვილის სახით — აქ არის პასაჟები, თომას

მანის დონემდე რომ ადის და მკითხველამდე ვერ მივიდოდა, რომ არა დები ჯერვალდიების დიდი თავგამოდება.

„რაც მასსოვს“ კი ჭეშმარიტი გზამკვლევი. ზვიად გამსახურდია ეროვნულ სახელმწიფოს რომ აფუძნებდა, ილია ჭავჭავაძის მიმდევრებს შორის, რომელთა წიგნებსაც ითვალისწინებდა ქვეყნის მონყოლაზე ფიქრისას, იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი და რევაზ გაბაშვილი... და ძალიან გამიხარდა, რომ ეს ჩემი აზრი ბატონმა კონსტანტინემაც დაადასტურა, როცა ნიმუშად მოიყვანა ზვიად გამსახურდიას ის სიტყვა-შედეგრი, წარმოთქმული 1990 წელს.

ის კი, რევაზ გაბაშვილის ცხოვრების აღსაწერად ასე თავისუფლად რომ ვტრიალებ ემიგრანტულ რეალობაში, რუსუდან დაუშვილისა და რუსუდან ნიშნინიძის დამსახურებაა — რომ არა მათი კვლევები, ასეთი სიღრმისეული წარმოდგენა ემიგრაციაზე არ მექნებოდა.

ასე რომ, ემიგრაციაშიც გადამიცდა ფეხიო. ოკეანისგალმა ემიგრაციაში კი კარგა ხანია აფასებდნენ და უფასებდნენ ამ „ფეხის გადაცდომასაც“.

და პეტრე ხვედელიძე იმ რამდენიმე ადამიანის სიას რომ ჩამოწერს, რომელთა წინაშეც მოვალედ ჩათვლის, პირადად მიულოცოს დაბადების დღე, ერთ-ერთი სწორედ როსტომ ჩხეიძეა.

ყოველ პირველ აპრილს სისხამ დილით დარეკილი სატელეფონო ზარიც ოკეანის გაღმიდან რომ მოდიოდა ხოლმე, კარგად იცოდა ბატონმა როსტომმა.

პეტრე ხვედელიძე წელს, მარტში გავიდა ამ წუთისოფლიდან, თუმცა 1 აპრილს, ჩვეულ დროს, კვლავ გაისმა ზარი როსტომ ჩხეიძის ტელეფონზე და გულაკანკალებული რომ უპასუხებს, სოფიკო ჯერვალდიე შერჩება:

— ძია პეტრემ ის სია მე გადმომიცა და ახლა მის მაგივრად მე შეეცხმეიანები ხოლმე თითოეულ მათგანსო.

— გერონტი ქიქოძეს დაუნერია გიორგი ლასხიშვილზე: თითქოს განსაკუთრებული არაფერი — არც დიდი პოლიტიკოსი ყოფილა, არც დიდი ხელოვანი, არც დიდი მწერალი, მაგრამ ყველას ძალიან უყვარდა, რადგან ცხოვრების სამკაული გახლდათო.

ასეთი სამკაული იყო ბატონი პეტრეც; ადამიანი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ქვეყნის მაჯისცემაზე ედო ხელი.

ამგვარ პიროვნებათა გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, — იტყვის ბატონი როსტომი.

როგორც ყველა იმ მოღვაწე ადამიანზე, ერთი სიცოცხლე რომ არ ჰყოფნიდათ საკუთარი ერისა და ქვეყნის სიყვარულსა და სამსახურში, მითუმეტეს, თუ პატარა ერის შვილად ყოფნაც ერგუნებინა ბედისწერას.

...უილიამ ფოლკნერს რა ენაღვლებოდა, დიდ და უზრუნველ ქვეყანაში ცხოვრება ხვდომოდა წილად, თუმცა მაინც აენწრიალებინა იმ სურვილს, თუ ვერ შეცვლიდა, ერთი წამით მაინც შემოებრუნებინა ეს ორიენტირებაკარგული და საყრდენ-მორღვეული ქვეყნიერება და დაეხედა მის „ქინდისთავზე“

დღიურების, ჩანაწერების წერა, ხომ არ არის სინამდვილიდან გაქცევა?! ჩემი აზრით, პირიქით, სინამდვილე „გამორბის“ მწერალი ადამიანისაკენ, რადგანაც მათში სინამდვილე უმეტესწილად განზოგადებული სახითაა მოცემული და ამიტომ ჩანაწერებში „დატყვევებული“ ფიქრები კონკრეტული ადამიანის კერძო პრობლემებს სცილდება, რის გამოც ისინი შესაძლოა სხვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდნენ! ეს ჩანაწერებიც (ჩემი „სულის ფოტოგრაფიები“) ამგვარი მცდელობის მოკრძალებული ნიმუშია.

თეიმურაზ ნადარეშივილი

სულის ფოტოგრაფიები

ზოგჯერ ადამიანმა არ იცის, რომ რაღაც იცის! ეს ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა ალბათ იმით აიხსნება, რომ ეს „რაღაც“ ცოდნა ქვეცნობიერშია „გაჩხერილი“ და ცნობიერში ჯერ არ გადასულა!

ადამიანი არა მარტო იარაღით შეიძლება დაიჭრას, არამედ სიბრძნითაც! რაც უფრო მეტი იქნება „სიბრძნით დაჭრილ“ ადამიანთა რაოდენობა, მით უფრო ძლიერი იქნება საზოგადოება!

ძალიან მომწონს ლევ ტოლსტოის შემდეგი გამონათქვამი: „ჯობს არაფერი აკეთო, ვიდრე აკეთო არაფერი!“ მართლაც, უსარგებლო საქმის (არაფრის!) კეთება მხოლოდ დროს და ენერჯიას აკარგვინებს ადამიანს. ამიტომ მართლაც ჯობს მოიცადო (არაფერი აკეთო!) და ძალები მოიკრიბო ნამდვილი საქმის პოვნამდე!

პოეტს ხელწინაფება ადამიანური ემოციები ლექსებში „დაატყვევოს“!

ყოველთვის არ არის სამართლიანი ცნობილი რომაული გამონათქვამი: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ!“ მართლაც, ზოგჯერ ადგილი აქვს უცნაურ სიმბიოზს — „კარგი“, დადებითი ადამიანი მეგობრობს „ცუდ“, უარყოფით ადამიანთან! რა ფსიქოლოგიური საფუძველი შეიძლება გააჩნდეს ამ მოვლენას?! ერთ-ერთი შესაძლო ახსნა ალბათ ის არის, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს ავსებენ. კერძოდ, „კარგი“ ადამიანს სურვილი აქვს თავი დააღწიოს საკუთარი „სიკარგის რადიუსს“, ნახოს მისი ცოდნისგან განსხვავებული, არაშელამაზებელი, „მთლიანი“ ცხოვრებაც! „ცუდი“ ადამიანს კი სინდისი ქენჯნის, ესმის რომ არასწორად იქცევა და ამიტომ მეგობრისაგან ცდილობს ისეთი რამ შეიძინოს, რაც მას უკეთესს გახდის!

გარიჟრაჟი სანთელს არ ებრძვის! მან არ „იცის“, რომ სანთელიც იძლევა სინათლეს!

თუ სათქმელი შედარებით ცოტა გაქვს, მაშინ უფრო ძნელია თეთრი ლექსის დაწერა, რადგანაც რითმთან ლექსს (გარეგნული „მოკაზმულობის“ ხარჯზე!) დროებით შეუძლია „დაბალოს“ სათქმელის სიმწირე!

ჩვენს ყოფაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაღაც ღირებული გვახსოვს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ არაღირებულის დაეინყვებაც შეგვიძლია!

როდესაც ზოგიერთ ახალწვეულს ვუყურებ, ძალაუნებურად მინდა მას „ჯარისბიჭი“ ვუნოღო, ნაცვლად „ჯარისკაცისა“! ალბათ ამიტომაც ზოგიერთ ქვეყანაში ჯარში გასაწვევი ასაკი 21 წლიდან იწყება, ნაცვლად 18-ისა!

ძალზე „ტევადა“ და ბევრის ახსნა შეუძლია გალაკტიონის ცნობილი ლექსიდან შემდეგ ფრაზას: „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი!“ მართლაც, თითოეულ ადამიანს საკუთარი ოცნება აქვს, რომელიც „მატერიალიზდება“ სხვა ადამიანში, მაგრამ თავად ოცნებამ (ინტერესებმა!) დროში შესაძლოა ცვლილება განიცადოს. ამიტომ ეს სახეცვლილი ოცნება უკვე სხვა ადამიანში ხორციელდება ანუ, მაგალითად, მამაკაცს სხვა მანდილოსანი უყვარდება და ა.შ!

ყოველი რევოლუციის შემდგომ ყველაზე ძნელად ასატანი ის არის, რომ გამარჯვებული, „გაბრაზებული“ ხალხის დამარცხებულებისადმი სამართლიანი თუ ზოგჯერ ნაკლებად სამართლიანი ბოლმა, არამართლზომიერ ქმედებებში გადადის ხოლმე!

ძალზე დამლელია ხალხში ყოფნა, მაგრამ კიდევ უფრო „დამლელია“ მარტოობა!

წარსულს აწმყო მუსრავს, აწმყოს კი მომავალი და ჩვენ ამ დაუნდობელ პროცესს, აუღელვებლად ჟამთასვლას ვუნოდებთ! (აუღელვებლობის მიზეზი კი, ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ არ შეგვიძლია რაიმე შევცვალოთ ამ პროცესში და ამიტომ შეგუებული ვართ ჩვენს უძღურებასთან!)

წამდვილი შემოქმედი ის არის, ვინც ცდება, რადგანაც შეცდომას უმეტესწილად ის უშვებს ვინც „გატკეპნილ გზას“ კი არ მისდევს, არამედ ახალს ქმნის ანუ შემოქმედი!

გენიალურ მხატვარს ნიკო ფიროსმანაშვილს იმაშიც კი არ აღმოაჩნდა ბედი, რომ მის გამოსახულებიანმა ერთლარიანმა დიდხანს ვერ იარსება — იმის გამო, რომ ლარიანი ყველაზე დაბალი ნომინალის ფულია, ის სწრაფად გაცვდა და საჭირო გახდა მისი ლითონით შეცლა. ასე რომ, ნიკალამ კვლავ მუზეუმში გადაინაცვლა, ოღონდ ამჯერად ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში!

ქარი ყოველთვის ქრის, მზე ყოველთვის ათბობს, ლომი ყოველთვის ნადირობს და ხშირად მხოლოდ, ადამიანს „ავინყვდება“ თავისი მოვალეობა! (მაგალითად, მეპურე აღარ აცხობს ხოლმე პურს და ა.შ)

რადიოპიესის მოსმენა გარკვეულწილად ემსგავსება ლიტერატურული წაწარმოების წაკითხვას, რადგანაც ორივე შემთხვევაში ადამიანის ფანტაზია გააქტიურებულია — იგი საკუთარი შეხედულების შესაბამისად წარმოიდგენს ხოლმე ამა თუ იმ პერსონაჟს! ეკრანიზაციისას კი რაღაც უცილობლად უკვალოდ „იკარგება“, რადგანაც მსახიობის მიერ განხორციელებულ სახეს უკვე ვეღარ „გაექცევი“ ანუ იძულებული ხარ „დაემორჩილო“ რეჟისორის ჩანაფიქრს!

P.S. ზემოთ თქმულის ფონზე, მე მგონი, კარგი ტენდენციაა, როდესაც თანამედროვე საბალეტო დადგმებში თითქმის არ გვხვდება დეკორაციები, რადგანაც სცენის „მოკაზმულობა“ აკონკრეტებს იმ გარემოს, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს და ამით მაყურებელი „ზარმაცდება“ — დეკორაციის „ტყვე“ ხდება!

პენსიაზე გასული მინისტრი საკუთარ მეზობლებს ფულს



ურიგებდა ხოლმე, რათა ისინი მას ისეთივე მონივნით მოპყრობოდნენ, როგორც ეს მისი მინისტრობის დროს ხდებოდა! ზოგჯერ ასეთ კომიკურ სიტუაციაში აყენებს ადამიანს „არანორმირებული“ პატივმოყვარეობა!

ჩინელები თავდაუზოგავად მუშაობენ. თუ გავითვალისწინებთ მათ მრავალრიცხოვნებას, აქტუალური ხომ არ ხდება ჰეგელის „შეშფოთებული“ წინასწარმეტყველება: „ყვითელ რასას უფრთხილდით“!

იმოდენა ჩრდილები აქვთ საქართველოს მთებს, მარტო ჩრდილით გასრისხვენ საქართველოს მტრებს!
ტარიელ ჭანტურია

საქართველოს მთიანეთში ყოფნისას ჩვენი მთების გრანდიოზულობით ტკბობისას, ყოველთვის მეტადება განცდა იმისა, რომ ისინი „უხმო ჯარისკაცებია“, რომლებიც საიმედოდ გვიცავენ მრავალრიცხოვანი „კეთილმოსურნეებისაგან“!

საუკუნეების განმავლობაში ბიბლიამ სამშობლოს ფუნქცია „იტვირთა“ სამშობლოდაკარგული ებრაელი ხალხისთვის!

როგორც ნათქვამია, „ბოროტი კეთილის დადგენის საშუალებაა!“ მართლაც, ცხოვრებაში მხოლოდ კეთილის არსებობის შემთხვევაში, ადამიანს ის მალე „მობეზრდებოდა“ და შესაძლოა ვერც კი შეემჩნია! (აკი ჰაერი — ეს უდიდესი სიკეთე, რისი წყალობითაც ვარსებობთ, უხილავია!) და მხოლოდ ბოროტი „შეგვახსენებს“ ხოლმე სიკეთეს, როდესაც მას საფრთხე ემუქრება!

სევდა არ „ცნობს“ გეოგრაფიას! (სევდა სევდაა, ქართული თუ იაპონური!). ამიტომ ბაირონს სწორედ გლობალური „მსოფლიო სევდა“ ანუხებდა და არა ლოკალურ-ბრიტანული!

„თითქმის“ თითქმის სიტყვაა!

რთულია ხელისუფლებაში მოსვლა, მაგრამ კიდევ უფრო

რთულია იცოდეთ, თუ რა აკეთო შემდგომ!
სელინჯარის განდებოლოა

მე მარტო მაშინ ვარ,
როცა ხალხში ვიმყოფები!
მიქელანჯელო

2010 წელს აღესრულა ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯე-რომ სელინჯერი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1965 წლის შემდეგ მას ინტერვიუ არ მიუცია ჟურნალისტებისათვის და მთელი 45 წელი (!) ნებაყოფლობით „შინაპატიმრობაში“ იმყოფებოდა. როგორ შეიძლება აიხსნას ეს „უცნაური“ მოვლენა? ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შესაძლოა სწორედ ეპიგრამად წამძღვრებულ მიქელანჯელოს „პარადოქსულ“ გამონათქვამში იმალებადეს! კერძოდ, უმეტესწილად შემოქმედი ადამიანი თავს მარტო გრძნობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, რადგანაც ისინი მას ხელს უშლიან საკუთარ აზრებთან მარტო დარჩენაში, რაც აუცილებელი მოთხოვნაა რაიმე ღირებულის შექმნისათვის!

ადამიანი უმეტესწილად ხელმოცარულია იმის გამო, რომ არასწორად იცხოვრებს, მაგრამ შესაძლოა ზედმინწევით „სწორად“ ცხოვრებამაც გახადოს იგი ხელმოცარული (უბედურიც კი!). მასხენდება დიდი ფრანგი რეჟისორის ლუი ბუნუელის მექსიკაში გადაღებული ფილმი „იგი“, რომელშიც მხოლოდ ზედმინწევით სამართლიანად ცხოვრებამ მთავარი გმირი სულიერ აშლილობამდე მიიყვანა! ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია: იდეალით ცხოვრება შეუძლებელია (იდეალი სწორედ იმიტომ არის იდეალი, რომ ის მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობს, ჩვენი სურვილია!) და ამიტომ რეალურ ცხოვრებაში (თავისი ადამიანური სისუსტეებით, დაპირისპირებებით, იგივე სხვადასხვა იდეალების „შეჯახებებით“) იგი „იმსხვერვეა“ ხოლმე, რაც შესაძლოა სწორედ შემოილობის მიზეზიც კი გახდეს!

ხშირად ზოგიერთ პოეტზე ამბობენ, რომ მას შეუძლია ლექსის დაწერა ნებისმიერ თემაზე (ყველაფერზე!). ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი ვლადიმერ ფოკი იმდენად სრულყოფილად ფლობდა მათემატიკურ აპარატს, რომ მასზეც გარკვეული ირონიით ამბობდნენ: „ფოკს ფეხსაცმლიდანაც კი შეუძლია „აილოს“ ინტეგრალი!“ ჩემი აზრით, აქ არაფერი არ არის საქილიკო, რადგანაც ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი უბრალო, ყოფით მოვლენებშიც კი დაინახავს ლექსის დაწერის ან „ინტეგრირების“ საფუძველს!

რადგანაც ანდაზები, მაქსიმები და ა.შ. დამტკიცების გარეშე მოცემული მოსაზრებებია (მორალური, დიდაქტიკური თუ სხვა „ჯურის“ პოსტულატებია!), ამიტომ კარგი ტენდენციიაა მათი კრიტიკული გააზრება და საკუთარი გამოცდილებით გამდიდრება! ამ მიმზიდველ პროცესში დიდი ალბათობაა იმისა, რომ ახალი ანდაზა, მაქსიმა და ა.შ. შეიქმნას!

როდესაც ალბერტ აინშტაინმა ფარდობითობის სპეციალური თეორიის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა, სამეცნიერო წრეებში პოპულარული გახდა შემდეგი გამონათქვამი: „აინშტაინმა კატასტროფა ტრიუმფად გადააქცია!“ (იგულისხმება ნიუტონისეული მექანიკის „კატასტროფა“. კერძოდ, ამ თეორიის გადაულახავი წინააღმდეგობები სინათლის სიჩქარესთან მიახლოებულ სიჩქარეებზე მოძრავ სხეულების თვისებების აღწერისას!). მართლაც, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მეცნიერების ამა თუ იმ დარგში არსებული კრიზისი, ახალი თეორიის შექმნით დაავიკრავინოს! მაგრამ ჩვენც, უბრალო მოკვდავთაც, უნ-

და შეგვეძლოს ცხოვრებაში არსებულ კრიტიკულ სიტუაციებს გაუმკლავდეთ და მცირე გამარჯვებები (ტრიუმფები თუ არა!) მოვიპოვოთ — სასარგებლოდ შემოვარუნოთ გარემოს „არაკეთილგანწყობილი“ დამოკიდებულება ჩვენდამი! (აკი ჩვენი დიასახლისები აფხაზეთის ომის და შემდგომ ე.წ. „შოკური თერაპიის“ მიმე წლებში „არაფრისაგან“ კერძების დამზადების ხელოვნებას დაეუფლენ! შეიძლება კიდევ სხვა ანალოგიური „უწყინარი“ მაგალითების მოტანაც)

ქალი უმეტესწილად იძულების გამო „ჰყიდის“ საკუთარ სხეულს, ხოლო მამაკაცი მოხერხებულად სარგებლობს ამ იძულებით!

როდესაც ადამიანი დაუმსახურებლად იკავებს „სხვის“ ადგილს ცხოვრებაში, მაშინ მას ხშირად უჩნდება ჯანსაღი სურვილი ამის შემდგომ მაინც „წესიერად მოიქცეს“ (თუ, რა თქმა უნდა, უკვე გვიან არ არის!). კერძოდ, ქველმოქმედი ხდება, ეკლესიებს ამენებს და ა.შ. ძალზე საინტერესოა ნებაყოფლობითი „გაკეთილშობილების“ ეს „უცნაური“ პროცესი, რომლის ფსიქოლოგიური საფუძველი, ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება ადამიანმა მუდმივად ტყუილში იცხოვროს! კეთილი მართლაც ბოროტის მძლეველია!

ბაკინგამი: „ჩვენ მხოლოდ სახეებს ვიცნობთ და არა გულებს ერთმანეთისა!“
შექსპირი. რიჩარდ III

ძალიან მიყვარს ფოტოგამოფენების დათვალიერება. ამ პროცესში ყოველთვის ამბივალენტური განცდა მიჩნდება. კერძოდ, ერთი მხრივ, ფოტოზე ბევრი ისეთი გარეგნული, „ზედაპირზე მდები“ მხარე ჩანს ამა თუ იმ მოვლენისა თუ პიროვნებისა, რომელსაც ასეთი სისრულით ვერ ვადმოსცემ სიტყვიერი აღწერისას, მაგრამ მეორე მხრივ, ფოტო საშუალებას არ იძლევა უფრო არსებითი, შინაგანი წვდომისა, რაც მხოლოდ სიტყვიერადაა შესაძლებელი! ეპიგრამისა არ იყოს, ჩვენ ფოტოზე მხოლოდ სახეებს ვცნობთ და არა გულებს!

თავისუფლების მოედანი

თბილისელთათვის კარგად ცნობილ, მრავლისმნახველ თავისუფლების მოედანს ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მოედანს რვაჯერ (!) შეეცვალა სახელი (სხვადასხვა დროს, დანიშნულებისა თუ პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ, მოედანს ერქვა შემის, ერევნის, ბერისა, ლენინის და ა.შ.). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორჯერ მოედანს ერთი და იგივე სახელი „თავისუფლება“ მიენიჭა, ოღონდ დიამეტრალურად განსხვავებული მიზეზები ჰქონდა სახელის მინიჭებას. კერძოდ, პირველად მოედანს თავისუფლების ენოდა რევოლუციონერების მიერ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II ტახტიდან გადაყენების აღსანიშნავად, ხოლო მეორედ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ. ამრიგად, პირველ შემთხვევაში საქმე ეხება განთავისუფლებას (ცარიზმისაგან ანუ ერთი იმპერიის შიგნით პოლიტიკური მონყობის შეცვლას, ხოლო მეორე შემთხვევაში ლაპარაკია კოლონიური რეჟიმისაგან განთავისუფლებაზე — ეროვნულ თავისუფლებაზე! რას იზამ, ყველას თავისებურად, „სათავისოდ“ ესმის ეს მართლაც სანატრელი და საგოგამანო სიტყვა!

სიზარმაცემ შესაძლოა პოზიტიური როლი შეიძინოს თუ იგი გაიგივებულია მოცალეობასთან! მართლაც, თუ ადამიანი

ნაყოფიერად შრომობს (არ ზარმაცობს!), მაშინ მას შესაძლოა თავისუფალი დრო დარჩეს (დრო ძალზე „ტევადია“ მშრომელი ადამიანისათვის და ამიტომ იგი ბევრს ასწრებს!) ანუ მოცალეობის უამრ დაუდგეს და მან დასვენების, ახალი სამუშაოსათვის ძალების მოკრეფის მიზნით, საკუთარ თავს სიზარმაცის უფლება მისცეს! (ამ შემთხვევაში დროის „ტევადობას“ სწორედ სიზარმაცე ავსებს და არა ხელოვნური, „გამოგონილი“ ფუსფუსი საქმის კეთებისა!).

ჩვენს კურორტებზე დასვენებისას, გარეგნულად მიმზიდველ საოჯახო სასტუმროებში, ძალაუნებურად გახსენდება ავადსახსენებელი საბჭოთა სამხედრო წესდება, რომლის თანახმადაც ყაზარმაში ერთ ჯარისკაცზე 6 თუ 7 კუბური მეტრი მოცულობა იყო გათვალისწინებული. მართლაც, რაც შეიძლება მეტი მოგების სურვილის გამო, ამ სასტუმროების ნომრები ისეთი მცირე ზომისაა, რომ თავი საბჭოთა ჯარისკაცი ჰგონია ადამიანს! (ზოგ სასტუმროში საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ჯარის ანალოგი ორსართულიანი საწოლებიც კი გვხვდება!)

საჭიროა საჭირო მომენტში თქვა, ის რაც საჭიროა!

ჩვენი ყოფითი ცხოვრების მოუნყობლობის გამო, დიდად არ მახარებს დიდთოვლობა და ყინვა თბილისში, მაგრამ ჩემს უარყოფით განცდას ქუჩაში ბავშვების ჟრიაბული აქარწყლებს ხოლმე. ძალაუნებურად მაგონდება ჰეგელის ცნობილი გამონათქვამი: „ყოველივე არსებული გონიერია, ყოველივე გონიერი არსებულია!“ მართლაც, „არსებული“ — თოვლი და ყინვა ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენაა და ამიტომ „გონიერია“ (ისინი აუცილებელია ჰაერის მავნე მიკრობებისაგან გასაწმენდად, კარგი მოსავლისათვის და ა.შ). ამასთან დაკავშირებით გარკვეული „თეთრი შურის“ გრძნობა აღმედრება ხოლმე, როდესაც ვიგებ, რომ წარმატებულ არაბულ ქვეყნებში დიდ დარბაზებში ზამთარს „იყენებენ“ — საკმაოდ ძვირად ღირებული დანადგარების საშუალებით, გართობის, მიზნით ხელოვნურ თოვლს ქმნიან! ჩვენ კი ზეციდან ბოძებული ბუნებრივი თოვლი გვაღიზიანებს!

ზარმაცთა ქალაქი

ზაფხულობით ჩვენი საკურორტე ქალაქები, ზღაპრებიდან კარგად ნაცნობ ზარმაცთა ქალაქებს ემსგავსება ხოლმე! მართლაც ადამიანები აუჩქარებლად დადიან, ლაპარაკობენ, ცდილობენ დაძაბული არ იყვნენ, ნერვებს გაუფრთხილდნენ და ა.შ. მოკლედ ამ დროს, ყველა ოდნავ არასასურველი ცხოვრებისეული პროცესი („გაუფორმებელი მორატორიუმის“ შესაბამისად), დროებით შენელებული და შეჩერებულიც კი არის! მთელი წელი კი ადამიანი „კაპიკს კაპიკზე ადებს“, ბევრ რამეს იტანს, რომ ცოტა ხნით მაინც მოხვდეს „ზარმაცთა ქალაქში“!

ჩემი აზრით, უძრავი ქონების ცნებას გარკვეული „ბზარი გაუნჩნდა“, — როდესაც ტელევიზორში რომელიმე შემეცნებით არხზე უყურებ, თუ როგორ გადააქვთ, ურთულესი საინჟინრო მექანიზმების გამოყენებით, ერთი ადგილიდან მეორეზე, ესა თუ ის შენობა („ყოფილი“ უძრავი ქონება!). ალბათ დროა იურისტებმაც იფიქრონ თუ, როგორ აისახოს ეს ფაქტი კოდექსში!

სამყაროში ყველაზე დიდი უსამართლობაა ბავშვის და შვილმკვდარი მშობლის ცრემლი!

მან შემეყვარა ჩემთა ჭირთა გამოვლისათვის, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძობისთვის!
**უილიამ შექსპირი. „ოტელო“
(თარგმანი ივანე მაჩაბლისა)**

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები
გეფიცები, ტურფავ, შევიყვარდები!
აკაკი წერეთელი. „მუხამბაზი“

ორივე ამ ნაწყვეტს აკავშირებს მანდილოსნის მიერ მამაკაცის მიძიმე ცხოვრებისადმი თანაგრძობა, რომელიც შემდგომ სიყვარულში გადაიზრდება! თუმცა აკაკის ამ ცნობილ ლექსში უფრო სასიყვარულო, საკეკლუცო მომენტია გამოკვეთილი!

ზედმეტ ფიქრს თავი არ უნდა „შეაჭმევინო“, თორემ ცხოვრებას ვერ ისწავლი, რადგანაც ზოგჯერ ქმედებამ ფიქრს უნდა „აჯობოს“! აკი ჰამლეტსაც თავის ცნობილ „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგში, სწორედ ეს ანუხებს, როდესაც საკუთარ თავს კიცხავს უმოქმედობის გამო: „ასე მხდალსა გვხდის ჩვენ მიძიმე ფიქრი!“ (თარგმანი თემურ ნადარეიშვილის).

ლიტერატურულ საღამოებზე ზოგი გარეგნობით იპყრობს ყურადღებას, ზოგი ქცევით, ზოგიერთი კი ჩაცმულობით თუ ჩაუცმელობით, მაგრამ ყველაზე რთულია გონების ძალით ანუ სიტყვით, „დაიმორჩილო“ აუდიტორია!

კიდევ ერთი პარადოქსი აღმოსავლეთისა: აზიის ქვეყნებში უმრავლესობა მანდილოსნებისა პატიოსანია, მაგრამ იმავდროულად უმრავლესობას მამაკაცებისას საყვარლები ჰყავს!

შექსპირის პიესები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მაგრამ უმრავლეს მათგანში ისეთი „შექსპირული გრძნობები“ ბო-ბოქრობენ, რომ სუნთქვა გეკვრება!

სიკეთის კეთება უფრო რთულია, ვიდრე ბოროტების ჩადენა, ისევე როგორც მონესრიგებულ მდგომარეობაში ყოფნა გაცილებით ძნელია, ვიდრე ქაოტურ, უწესრიგო მდგომარეობაში „გაცნხრომა“!

მეორე მსოფლიო ომის „მთავარ“ ფოტოგრაფს რობერტ კაპას მიაჩნდა, რომ ფოტოხელოვნებაში აუცილებელია შემდეგი ორი პრინციპის დაცვა: ჯერ ერთი, უნდა მიუახლოვდე გადაღების ობიექტს და მეორე, კიდევ უფრო ახლოს უნდა მიხვიდე ამ ობიექტთან! ეს სასარგებლო პრინციპები ცხოვრების სხვა მხარეებზეც შეგვიძლია „უმტკივნეულოდ“ გავავრცელოთ. მართლაც, ნებისმიერი მოვლენის შემეცნების აქტი არ უნდა იყოს ერთჯერადი — მოგვიანებით მას კვლავ უნდა დავუბრუნდეთ (კიდევ უფრო მეტად „მიუახლოვდეთ“) უფრო ღრმად შესწავლის მიზნით!

ზოგჯერ ძალზე მჩატი საგნის აღებისას, ისეთი ილუზორული შთაბეჭდილება ექმნება ადამიანს, თითქოს უფრო მსუბუქად არის, ვიდრე არაფერი ეჭირა ხელში! ასევე ზოგიერთ ადამიანთან იმდენად სასიამოვნო, მსუბუქია ურთიერთობა, რომ კვლავ გეჩვენება თითქოს უფრო თავისუფალი ხარ, ვიდრე ამ ადამიანს გაიცნობდი. თავისთავად ეს კარგი მოვლენაა და ამიტომ ცდილობ თავი დაიტვირთო (ფაქტიურად კი შეიმსუბუქო!) ამგვარი ამაღლებული ურთიერთობებით!

*უფალო ღმერთო, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მოთხოვია?...*

რადგანაც ადამიანი საკუთარი სურვილით არ იბადება, ამიტომ იგი იძულებულია „გაძლოს“ ამ სამყაროში და თუკი ადამიანს საკუთარი ნამდვილი მოწოდება აქვს ნაპოვნი, მაშინ იმ საქმის კეთება, რაც უყვარს, ადამიანს არ „ამჩნევინებს“ არსებობის იძულებას!

პატიოსანი ადამიანი ბუნებრივად იქცევა თავისნაირ ადამიანთან, უპატიოსნოსთან კი ფრთხილობს (ეს უკანასკნელი მის ამ სიფრთხილეს ზემოდან, გარკვეული ირონიით უყურებს!), უპატიოსნო კი ყველასთან ფრთხილად იქცევა, რადგანაც სიმართლე მას „ზურგს ვერ უმაგრებს“!

*მე შემედლო რაფაელივით მეხატა, მაგრამ ჩემი გამარჯვება
იმაში მდგომარეობს, რომ ვისნავლე ბავშვივით ხატვა!
პაბლო პიკასო*

ბავშვი ხალისით ასრულებს მშობლის თუ სხვა მოზრდილის ამა თუ იმ დავალებას, (ასე მაგალითად, ისეთი რუტინული, ყოველდღიური დიასახლისის საქმიანობა, როგორც ჭურჭლის რეცხვა, ჩემს პატარა ქალიშვილ ანკაში დიდ ენთუზიაზმს იწვევს, თუმცა დამატებითი სტიმული აქ წყალთან თამაშიც შეიძლება იყოს!) რადგანაც მას უამრავი ბავშვური, „არასერიოზული“ სათამაშო „ამოცანების“ დაძლევის შემდგომ, ახალი, უფრო სერიოზული (არასათამაშო!) „ამოცანა“ უჩნდება, რომლის „გადაწყვეტა“ შესაძლებლობას აძლევს მოგვბადოს ჩვენ! მოგვიანებით კი, ნელ-ნელა ეს სანყისი „შეურყენელი“ ხალისი უკვალოდ იკარგება მრავალი მსგავსი დავალების შესრულების შემდგომ! ნამდვილი შემოქმედი კი ის არის, ვინც მონიჭებულ ასაკში, ამ ბავშვური შემართებითა და სილალით, საკუთარი საქმის კეთებას შეძლებს!

*თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა!
ჰეგელი*

ზოგჯერ მხოლოდ კალენდარს შეუძლია მოგვიგვაროს ესა თუ ის პრობლემა. მაგალითად, გაზაფხულის დადგომა სიცივისა და გრიბის ვირუსისგან გვიხსნის, ხელფასის აღების დღე ვალებს გვასტუმრებინებს, ცუდი მმართველობის პირობებში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი (თუ იგი სამართლიანად ჩატარდა!) ქვეყანას კრიზისიდან გამოსვლის შანსს აძლევს და ა.შ. ამიტომ აუცილებელია კარგად გავაცნობიეროთ ეს ფაქტი და უნდა გავგაჩნდეს (თავისუფლების მოსაპოვებლად!) გონივრული ლოდინის უნარი!

*მას უნდოდა ცხოვრება შეცვალა
და ცხოვრებამ შეცვალა იგი!
ფედერიკო ფელინი*

მართლაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ხშირად გვინდა ცხოვრების წესის შეცვლა, მაგრამ ცხოვრება ჩვენზე „ჭკვიანია“ და ამიტომ უმეტესწილად, თვითონ ვიცვლებით სინამდვილესთან „შერკინებისას“, რასაც შემდგომ ჩვენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვუნდებთ! თავისთავად ეს არ არის ცუდი მოვლენა, რადგანაც ზოგჯერ ჩვენი „მოუთოკავი“ სურვილები სხვებისათვის საზიანოც კი შეიძლება აღმოჩნდეს და სწორედ ცხოვრება არ გვაძლევს მათი აღწერის საშუალებას — „გვაშოშინებს“ ჩვენი და მანც, მხოლოდ რჩეულითა ხვედრია ნამდვილად შეცვალოს (გააუმჯობესოს!) ცხოვრება ისე, რომ თავად არ „დაზარალებს“!

შენობის დანგრევა ადვილია, უფრო რთულია დანგრეულის ხელახლა აშენება; ქვეყნის გაპარტახებასაც არ სჭირდება დიდი სიბრძნე, მაგრამ კიდევ უფრო რთულია მისი აღორძინება და მხოლოდ ხელყოფილი სიცოცხლის „რესტავრაცია“ შეუძლებელი!

მეორადი ქვეყანა

მეორადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მეორადი მანქანები და ავეჯი, მეორადი წიგნები და ამ „ჯაჭვის“ ლოგიკური დასასრული ის არის, რომ ქვეყანაც მეორადი ხდება!

როდესაც ადამიანს დიდ (მძიმე!) დანაშაულში ამხელენ, მაშინვე მას „პატარ-პატარა“ (მსუბუქი!) დანაშაულებებსაც უხსენებენ ხოლმე! ამ საინტერესო მოვლენის ფსიქოლოგიური საფუძველი ალბათ ის არის, რომ დამნაშავეს „კეთილმოსურნეები“ ამით ხსნიან, თუ როგორ „შეამზადეს“ მცირე დანაშაულებებმა დიდი დანაშაული!

ყოველი ინვალიდი ადამიანი უსახსრობის, დაგვიანებული ან არაკვალიფიციური მკურნალობის ან სულაც იმ პერიოდის მედიცინის „უძლურობის“ გარეგნული გამოხატულებაა!

მარაო, ქოლგა და სხვა „ქალური ატრიბუტები“, ალბათ მაინც ქალის ფიზიკური სისუსტის გამოხატულებაა! (მამაკაცი კი სიცხეს, წვიმას და ა.შ. ამ ატრიბუტების გარეშეც უმკლავდება!)

ზოგჯერ საკუთარ თავს უნდა დაუსახო დიდი მიზანი (რომლისთვისაც შესაძლოა მზად არ ხარ იმ მომენტში, მაგრამ ინტუიციით გრძნობ, რომ ხელგენიფება მისი შესრულება!) და შემდეგ „დაეწიო“ საკუთარ მიზანს!

ძალის ღრენა ჭადრაკში ქიშის გამოცხადების ან პოსტზე მდგომი ჯარისკაცის ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის ანალოგია, ხოლო ყეფა და კბენა კი, შამათის და უკვე დამიზნებით გასროლის ტოლფასია!

უკვე რამდენიმე წელია ეროვნულ მისაღებ გამოცდებზე კურორტორი ვარ. ყველაზე უფრო ძნელი ასატანი (გარდა სიცხისა, ძილის უკმარისობისა, გამოცდებისათვის დამახასიათებელი დაძაბული ვითარებისა და ა.შ), მაინც დროის „ტევადობასთან“ ადამიანის „შერკინებაა!“ მართლაც, ერთ ოთახში რამდენიმე საათი აბიტურიენტებთან გამოცდაზე ზედამხედველობისას, ამკარად გრძნობ დროის უწყვეტ, „დაუსრულებელ“ სრბოლას და ფოლკნერის გახმაურებული რომანის „ხმაური და მრისხანების“ მთავარი გმირის კვენტინის მსგავსად გიჩნდება სურვილი დაამტვრიო გამოცდების მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი ამსახველი „ფიგურა“ — კედლის საათი! შენგან განსხვავებით კი იმავე ოთახში მყოფი აბიტურიენტები სულ სხვანაირად აღიქვამენ დროის ამ „ტევადობას“ — საგამოცდო დავალებების შესრულებით დაკავებულს — პირიქით, დრო არ ჰყოფნით (ეს ტევადობა ეცოტავებათ!), და ამიტომ „ვერ იცლიან“ საათის დასამტვრევად! ეს „უბრალო“ მაგალითი, კიდევ ერთი დადასტურებაა ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი ე.წ. სუბიექტური დროის ცნებისა!

დასასრული შემდეგ ნომერში

უილიამ ბატლერ იეიტსის პიესის „გრაფინია ქეთლინი“ დადგამამ ირლანდიური თეატრის სცენაზე. აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგნი ამტკიცებდნენ, პიესა მკრეხელურიაო (მაგალითად, კრიტიკოსი ჰიუ ო'დონელი, მორის ჯოი და სხვანი). ხოლო სუზან კონოლ ჰარისი თავის წიგნში „გენდერულობა და თანამედროვე ირლანდიური დრამა“, რომელიც 2002 წელს გამოიცა, ამ პიესის განხილვისას წერს, რომ წინააღმდეგობანი, რომელიც ამ დრამამ გამოიწვია, ძირითადად ეფუძნებოდა „მამაკაცთა“ პროტესტს იმის გამო, რომ „წამებული“ ქალი იყო და ამით შეურაცხყოფდა კათოლიციზმს. ზოგიერთმა კრიტიკოსმა ამ პიესაში განჭვრიტა ანტიინგლისური ტენდენციები და მიიჩნია კიდევაც, რომ ეშმაკისეულ სოციალურ იდეოლოგიებში ინგლისელი დიდგვაროვანნი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმზ ჯოისის და უილიამ იეიტსის შეხედულებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ხშირად ჯოისი უკმეხიცი კი იყო იეიტსის მიმართ, პიესის პრემიერის დროს, როდესაც ბევრმა შეიკავა თავი, ჯოისმა პირველმა დაუკრა მქუხარე ტაში. თუმცა ჯოისი დიდად არ ამყლავებდა თავის აღტაცებას, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა იეიტსის სიდიადეს.

„გრაფინია ქეთლინის“ პირველ ვერსიაში იეიტსს შეტანილი ჰქონდა პატარა ლექსი, „ვინ გაჰყვება ფერგასს* ეტლით ახლა?“ რომელიც 1911 წელს მეორე ვერსიიდან რატომღაც ამოიღო. ამ პატარა ლექსს ქეთლინის ძიძა — ოონა — მღეროდა:

ვინ გაჰყვება ფერგასს ეტლით ახლა?
შეიჭრება ტყის მოქსოვილ ჩრდილში?
ვინ იცეკვებს ლაღად ზღვისა პირზე?
ყმანვილებო, წარბნი ასნით მალღა,
ასულეებო, დაივიწყეთ შიში
და იმედით ცას ახედეთ ისევ.
ზურგს ნუ აქცევთ და დაფიქრდით, როცა
მწველი ტრფობა იღუმალად მოდის,
ფერგასს ძალუძს მართოს მძიმე ეტლი,
და ტყეც მართოს, ჩრდილები რომ მოსავს,
ზღვის თეთრ გულმკერდს როცა ბინდი ელტვის
და ვარსკვლავნი ირევიან ზეცად.

ამ ლექსმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჯეიმზ ჯოისზე, რომელიც მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, რომ, როგორც რიჩარდ ელმონი წერს: „ამ ლექსისთვის შექმნა მუსიკა და იმასაც ამბობდა, ასეთი საუკეთესო ლირიკული ნიმუში მთელ მსოფლიოში არ მოიპოვებო. სტანისლაუს ჯოისის თქმით, ჯეიმზი მის მიერ შექმნილ კომპოზიციას უმღეროდა თავის მომავლადე ძმას, თხოუმეტი წლის ჯორჯს — მისივე თხოვნით“.

„ულისეს“ პირველ ეპიზოდში სტივენ დედალუსი მღერის ამ სიმღერის რამდენადმე პაროდულ ვარიანტს. ასევე, „ხელოვანის სიჭაბუკის პორტრეტში“ სტივენ დედალუსი იმეორებს მომავლადე ქეთლინის სიტყვებს:

მომიახლოვებ თქვენი სახეები, ოონა და ალილი,
მე ისე გიმზერ, როგორც მერცხალი უმზერს ცას თავისი ბუდიდან,
ქონგურების ქვემოდან, ვიდრე აღელვებულ წყალს შეეროდეს.

ირლანდიური ლეგენდის მიხედვით, გრაფინია ქეთლინი მსუბუქად და გრაციოზულად ცეკვავს ზეცაში, ზემოზს რა თავის შეწირვას და ხარობს, რომ ღირსეულად მოიქცა სამყაროს გადასარჩენად.

რონალდ შუმარდი წერს: „იეიტსს ყველაზე მწვავედ აკრიტიკებდა ჰიუ ო'დონელი თავის პამფლეტში „ოქროსათვის გაყიდული სულეტი“. იეიტსის დრამას ის არამარტო ანტიკათოლიკურს, არამედ ანტიირლანდიურსაც უწოდებს. კრიტიკოსთა ნაწილმა ვერც კი გაიაზრა, რომ ეს იყო პოეტური ნაწარმოები, რომელიც ადამიანის სულიერ დრამას ეხებოდა — ცენტრალურ კონფლიქტს აბსოლუტურ სიკეთესა და დემონურ ბოროტებას შორის. მაგრამ უმეტესობა მიხვდა, რომ იეიტსის პიესა იყო პირდაპირი, დაუყოვნებელი, თამამი და უნივერსალური მნიშვნელობის დრამა. მწერალს ლეგენდის დრო არ შეუცვლია, შეცვლილია მხოლოდ სახელები და ზოგიერთი დეტალი. თუმცა პიესა დაშორებულია თანამედროვეობას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ პირდაპირ მინიშნებულია ჩვენი მეოხის არსი:

„უფალი მართალს არ დაამშვეს, ხოლო ბოროტეულთა სიხარბეს უკუაგდებს“ და რომ „ჩვენ უნდა ვიტვიტოთ ერთმანეთის ტვირთი“, რომ „ხორცში მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნე სიცოცხლეს“.

ეს პიესა იმასაც გვახსენებს, რომ არ უნდა შევცდეთ, „ღმერთი არ შერცხვება, ვინაიდან რასაც დასთესს კაცი, მასვე მოიმკის“. ჩვენ კი „სიკეთის ქმნისას ნუ მოვდუნდებით, ვინაიდან დროზე მოვიმკით, თუკი არ მოვიქანცეთ. მამ! სანამ დროა კეთილი ვუყოთ ყველას და მითუმეტეს ჩვენს თანამორწმუნეთ“ (გალატელთა 6:5/10).

* ფერგის მაკროი, ალსტერის მეფე, ცოლად ყავდა ნესა. ერთი წლით გადადგა მეფობიდან, თავის გერის კონორმაკენსას გამო (იგივე — კონხობარი), მაგრამ ტახტს აღარ დაბრუნებია.



უილიამ ბატლერ იეიტსი

ბრაფინია ქეთლინი

ედენება მოდ გონს

მომხმედი პირები:

შემუს რუა — გლენი
მერი — მისი ცოლი
ტივიგი — მათი ვაჟი
ალილი — მგოსანი
გრაფინია ქეთლინი
ოონა — გამზრდელი
სოციალურად შენიღბული ორი ეშმაკეული
გლენები, მსახურები, ანგელოზები, სულელები
მოქმედების ადგილი — ძველი დროის ირლანდია

სცენა პირველი

სცენა — ბუხრის ცეცხლით განათებული ოთახი, კარი, რომელიც ღია სივრცეში გადის, საიდანაც ტყე ჩანს, ხეები ოქროსფერი ან მქრქალი ფერებისაა, კედლები მხოლოდ ერთი ფერით უნდა იყოს შეღებილი. სცენას კათოლიკური მხატვრობის ეფექტი ჰქონდეს. მერი, ორმოცამდე წლის ქალი, ხელის საფქვავს ატრიალებს.

მერი: ნეტა რატომ აფართხუნებს ფრთებს ნაცარა ქათამი ასე შემფოთებით? (ტივიგი, თოთხმეტი წლის ბიჭი, შემოდის ტორფით ხელში და კერიასთან დებს)

ტივიგი: ამბობენ, ქვეყანაში ისეთი საშინელი შიმშილობაა, საფლავებიდან მკვდრებიც კი ამოდიანო.

მერი: ალბათ ქათამი სწორედ ამას გრძნობს.

ტივიგი: ეს კიდევ არაფერია. ტაბარ-ვანაში ქალი ყურბეცქვეტილ კაცს შეხვდა და ისინი ღამურებივით ზევით-ქვევით დაქროდნენ.

მერი: ამდენხანს რატომ შეაგვიანდა მამაშენი?

ტივიგი: ორი ღამის წინათ, ქარიკ-ორასის ეკლესიის სასაფლაოზე მენახირე შეხვდა კაცს, რო-

მელსაც არც პირი, არც თვალები და არც ყურები არ გააჩნდა. სახე ხორცის ბრტყელ ნაჭერს მიუგავდა; კაცმა ის ცხადად დაინახა მთვარის შუქზე.

მერი: გაიხედე და მითხარი, მამაშენი ხომ არ მოდის. *(ტეი-გი კართან მიდის)*

ტიეგი: დედა!

მერი: რა მოხდა?

ტიეგი: ბუჩქის იქით ორი ჩიტია, თუმცა ჩიტებსაც ვერ და-არქმევ; ფოთლები ეფარება და წესიერად ვერ ვხედავ. რქიანი ბუს ფორმა და ფერი აქვთ, მაგრამ, მგონი ადამიანის სახე უნ-და ჰქონდეთ.

მერი: ღვთისმშობელო, შენ დაგვიფარე!

ტიეგი: მე მიყურებენ. ლოცვას რა აზრი აქვს? მამა ამ-ბობს, ღმერთმა და ღვთისმშობელმა დაიძინესო. რა ენაღვლე-ბათო, ასე ამბობს, თუნდაც სინდიოფალას კბილებში მოქცე-ული მთელი დედამინა ბაჭიასავით წიოდეს.

მერი: შენი მკრეხელობით ან შენს თავს, ან მე, ან მამაშენს დაატყებ უბედურებას. ღმერთს ვთხოვ შინ მშვიდობით მოიყ-ვანოს. აჰ, აი ისიც. *(შემოდის შემუსი)* რატომ შეგაგვიანდა ტყეში? ხომ იცი, ვიდრე შინ მოხვალ, ათასნაირი უბედური შემთხვევა არ ამომდის თავიდან.

შემუსი: ახლა შენი ყაყანის მოსმენის გუნებაზე არა ვარ. ტყეში ნახევარი დღე მაინც ვიხეტიალე, მაგრამ ვერაფერი მო-ვიხელთე, თითქოს გვალვისაგან ვირთხები, მაჩვეები და ზღარ-ბებიც კი ამოწყდნენ. მზისგან გამომშრალ ფოთლებს ნიავიც კი არ არხევდა.

ტიეგი: მამ სადილისთვის არაფერი მოგიტანია.

შემუსი: მერე გზაჯვარედინზე მათხოვრებს შორისაც კი ვიჯექი და სხვებთან ერთად ხელი მქონდა გაშვერილი.

მერი: რაა, მათხოვრობდი?

შემუსი: ჰო, მაგრამ ვინ მომცა მათხოვრობის შესაძლებ-ლობა, რადგან როცა დამინახეს, ყვირილი ატყებეს ნაწყალო-ბევს არავის გაფუყოფთო, და ჯოხებით და ქვებით გამომე-ღვენენ.

ტიეგი: ხომ თქვი, საჭმელს ან ფულს მოვიტანო.

შემუსი: შინ რა გვაქვს?

ტიეგი: ცოტაოდენი ობმოკიდებული პური.

მერი: საკმაო ფქვილი გვაქვს ერთი თავი პურისთვის.

ტიეგი: მერე რა ვიღონოთ, როცა ეგეც გამოგველევა?

მერი: ერთი ქათამილა დაგვრჩა გალიაში.

შემუსი: ჩემი წყევლა მიუვათ იმ მათხოვრებს, წყეულმაც იყვნენ!

ტიეგი: თანაც უკანასკნელი პენიც დავხარჯეთ.

შემუსი: როცა ქათამი აღარ გვეყოლება, სხვა რა გზა დაგ-ვრჩება, — ცხენისნაბლათი, მჟაუნით და ბაბუანვერით უნდა ვიარსებოთ, ვიდრე პირი გაგვიმწვანდებოდეს?

მერი: ღმერთო, იქნებ ასეთ დროს ვიღიმ მაინც მოგვანო-დოს ლუქმა-პური და ყელის ჩასასველებელი.

შემუსი: ვილის სამზარეულო დაცარიელებულია. დღეს ხუ-თი სახლის კარში მაინც შევიხედე და იქ მხოლოდ მიცვალებუ-ლები დავინახე; ძეხორციელი არ ჩანდა მათი დამტირებელი.

მერი: შესაძლოა, ღმერთმა ჩვენც გაგვწიროს სასიკვდი-ლოდ, რადგან მან იცის, როცა სმენა დახშულია და თვალი დაბრმავებული, თვალი ვეღარ ამჩნევს ბოროტ მზერას და ყუ-რი უგუნურ საუბარს უსმენს.

შემუსი: ეს ვინ ჩაიარა? ვინ გვიგდებს მასხრად იმ მუსი-კით? *(ისმის სიმებიანი საკრავის ხმა)*

ტიეგი: ვილაც ყმანვილი კაცი უკრავს და მასთან ერთად დედაბერი და ქალბატონია.

შემუსი: იმ ქალბატონს რა ენაღვლება ლატაკის ტანჯვა? არაფერი ანაღვლებს, გინდაც ხორცის მაგივრად ცხარე ბო-ლოკის სოუსის მეტი არაფერი გექამოს მთელ დღეს.

მერი: ღმერთმა შეინყალოს მქონენი. მრავალი კარიც რომ შეგველოს და ცვილის სანთლის შუქზე დაგვენახოს კერძები

გაპრიალეზულ ხის მაგიდაზე, გულზე შემოგვეყრებოდა, მაგ-რამ ნემსის ყუნწშიც რომ გაძვრე, მაინც ვერაფერს იზამ.

შემუსი: წყეულმაც იყვნენ მდიდრები.

ტიეგი: აქეთ მოდიან.

შემუსი: მაშინ სწრაფად დაჯექი იმ ტაბურეტზე, დამწუხ-რებული სახე მიიღე, მწარედ აქვითინდი და თავი მუხლებამდე დახარე.

მერი: ნეტავ დრო მქონოდა, რომ აქაურობა მომენსრიგე-ბინა. *(შემოდინა ქეთლინი, ოონა და ალილი)*

ქეთლინი: ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. სადღაც ამ ტყეში ძველი, რუხი სასახლეა ბოსტნეულის ბაღჩით, ვაშლის ხეებითა და ბაღნარით.

მერი: ქალბატონო, ჩვენ ვიცით ეგ სასახლე სადაც არის. ეს გაუვალ კედლებში მოქცეული ადგილია, რომელშიაც თით-ქოს ამა ქვეყნის გასაჭირს ჯერაც ვერ შეუღწევია.

ქეთლინი: ალბათ იმიტომაც გაგვიჭირდა მისი მიგნება. მთელი საათი ვიხეტიალეთ ტყეში, მაგრამ დავიკარგეთ. ახლა მისკენ გზა მაინც უნდა გავიკვლიოთ, რადგან მთელი ბავშვო-ბა იმ სახლში მაქვს გატარებული.

მერი: მამ თქვენ გრაფინია ქეთლინი ხართ?

ქეთლინი: ეს კი ჩემი გამზრდელი ოონაა, რომელსაც ის სახ-ლი უნდა ახსოვდეს, სადაც ჩვენ დიდხანს ბედნიერები ვიყავით.

ოონა: ახლა ბილიკები სწირი ბუჩქნარითაა დაფარული ან-და თვალთახედვა მალაატობს.

ქეთლინი: ამ ყმანვილ კაცს კი უნდა სცოდნოდა ის სახლი, რადგან, როცა შევხვდით, სწორედ იმ ტყის პირას დაეხეტებო-და და მისი სიმღერა ზღვის ტალღების ხმას ჰგავდა. მაგრამ ისეა საშინელი მოლოდინის ხილვებში გახვეული, რომ ჩვენ ვერ დაგვეხმარება.

მერი: გამოსავალი მაინც არსებობს, — მე შემიძლია დაგაყე-ნით იმ გათელილ ბილიკზე, რომელსაც თქვენი მსახურები იყე-ნებენ, როცა ბაზარში მიდიან საყიდლებზე. მაგრამ ჯერ დაბრ-ძანდით და ცოტა დაისვენეთ. ჩვენი წინაპრები, ქალბატონო, თქვენს წინაპრებს იმ უხსოვარი დროიდან ემსახურებოდნენ, რომლებსაც წიგნებიც კი ვერ გადმოსცემენ და უცნაური იქნე-ბოდა თუ თქვენ და თქვენიანებს სიამოვნებით არ მივიღებდით.

ქეთლინი: უცნაური ისიც იქნება თუ მადლიერი არ დაგრ-ჩებით, ასეთი უკეთილი მიღებისათვის, მაგრამ უნდა ნავიდეთ, რადგან უკვე ღამდება კიდევ.

შემუსი: დიდხანია პურისთვის თვალიც კი არ მომიკრავს და არც სახსარი მქონია მის საყიდლად.

ქეთლინი: მამ ამ ტყეში თქვენც შემშილობთ. მე კი მეგონა ყველაფერი ძველებურად დამხვდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა, რადგან სამყაროს ბებერ ჭიას შეუძლია ნებისმიერ ადგილს შეუჩინდეს. *(ქეთლინი შემუსს ფულს აძლევს)*.

ტიეგი: მეც მომიცით რამე, მშვენიერო ქალბატონო. შემო-სასვლელთან ღონეგამოლეული დავეცი და იქ ძალღვივთ ვეგდე.

ქეთლინი: რაც გამაჩნდა, ყველაფერი გავეცი. აი, შეხედე, ჩემი ქისა ცარიელია. მთელი დღე გზადაგზა ნაშიმშილარი კა-ცები და ქალები მხვდებოდნენ და დანარჩენი მათ მივეცი. მაგ-რამ, აი, ეს ქისა აიღე, ვერცხლის შესაკრავები აქვს და შეიძ-ლება ცოტა, მაგრამ მაინც რაიმედ ღირდეს. ისე, თუ ხვალ ჩემს სახლში მოხვალ, ორჯერ მეტ ფულს მოგცემ. *(ალილი დაკრავს ინყებს)*

შემუსი: *(ბუტბუტებს)* ისევ მუსიკა, მუსიკა!

ქეთლინი: აჰ, ნუ უსაყვედურებთ თუ თითებს სიმებზე ათამაშებს. ექიმებმა მირჩიეს უიღბლო დროჟამს გავცლოდი, ფიქრები გამექარებინა, თუ არადა ნალევი სამარეში ჩამი-ტანდა.

შიმუსი: მე არაფერი მითქვამს, ქალბატონო. ნუთუ ჩვენ-ნაირ ხალხს ჩივილის უფლებაც არა აქვს?

ოონა: ყოველთვის ასე ხდება. მხოლოდ წიგნებში თუა აღ-წერილი ასეთი მწუხარება. ყოველივე ეს მის გონებას მძიმედ აწევს, თითქოს ყველას გასაჭირი მისი ტვირთი ყოფილიყო.

(ოონა, მერი და ქეთლინი გადიან. ალილი გამომწვევად შემდეგ შემუსს)

ალილი: (მღერის) დაცხრი, ო, დაცხრი მგზნებარე გულს, ვერასოდეს გამოხატავ მწუხარებით ალვისლ სიყვარულს, მარტოსიც ჰანგით გააქარწყლე მისი ნუხილი, ვისაც ძალუძს, რომ ყოველივე დაუმორჩილოს მის ნებას; ვინც ფერგამკრთალი ვარსკვლავებით და მოხეტიალე მთვარით დაფარა უსასრულობის სამწყსოს კარი. **(ნაბიჯს გადადგამს კარისაკენ და შემდეგ ისევ შემობრუნდება)** დაკეტეთ კარი, ვიდრე ღამე ჩამომდგარა, თორემ, ვინ იცის, ვინ შემოვა ან რა სახის დემონური არსება დაფრინავს ჰაერში. თუმცა ახლა კი რუხრქიანი ორი ბუ დაგვეკვივის თავს.

(ალილი გადის. მისი სიმღერა თანდათან ნელდება. შემოდის მერი. შემუსი ფულს ითვლის)

ტიეგი: ბუ ავი ბედის მომასწავებელია, მაგრამ შესაძლოა თვითონაც დაატყდეთ ავი ბედი.

მერი: ქალბატონისთვის მადლობა არც კი გადაგიხდია.

შემუსი: შვიდი ნახევარპენიანისა და ვერცხლის ნატეხისთვის უნდა გადაიხება მადლობა?

ტიეგი: ან ამ ცარიელი ქისისთვის?

შემუსი: ამაში რაა სამადლობელო ან შეპირებული ორმაგი თანხა რაღა? ადამიანს ყოველდღიური პური, ხორცი და საჭმელი უნდა ჰქონდეს. ამით კი კაცი ვერაფერს გახდება.

მერი: რაც ჰქონდა, ყველაფერი მოგვცა. ქისა ჩვენს თვალწინ გამოაცარიელდა.

შემუსი: (მერის, რომელიც კარის დასაკეტად გაემართა) ეგ კარი ღიად დატოვე.

მერი: ვისაც წიგნები წაუკითხავს და მსოფლიოს შვიდი საოცრება უნახავს, ვისაც შიშს გვრის ის, რაც მიწის ზემოთ და ქვემოთაა, მაშინ სწორედ ის დროა, ღატაკმა კაცმა კარი დარაზოს.

შემუსი: მე დასარაზი არაფერი მაქვს, რადგან არ არსებობს ისეთი რამ, რაც მიწის ზემოთ ან ქვემოთ დაიარება, რომ ამ სახლში არ მივესალმო, გინდ მდიდარი იყოს და გინდ ღარიბი.

ტიეგი: ოღონდ ფული მოგვიტანონ.

შემუსი: მსმენია, რომ არის რაღაც, რაც თეთრი ჩიტებივით გამოჩნდება, მტრედი თუ თოლია, თუ რაღაც ამის მსგავსი, რომელსაც თუ ქვას ან ჯოხს მოარტყამენ, თითბერივით გაიფლარუნებს; და თუ იქ ამოთხრი, სადაც მიწას ფხოჭნიდა, ოქროს ქოთანს იპოვო.

ტიეგი: თუ სამ ღამეს ოქრო დაგეისზმრება, მაშინაც იპოვი ოქროსო.

შემუსი: ვიდრე იმ ოქროს ამოთხრი, შეიძლება სული შიმშილით ამოგძვრეს.

ტიეგი: თუკი მოვუხმობთ, იქნებ მოვიდნენ კიდეც. აბ ბოლო დროს უნახავთ ისინი.

მერი: ეშმაკებს უნდა დაუძახოთ? ეშმაკები ტყიდან უნდა გამოიხმონ და აქ მოიყვანონ?

შემუსი: მას ყოველთვის უნდა მეურნო და მითხრა, რა ან ვინ უნდა შემოვუშვა სახლში? **(ურტყამს)** ახლა ხომ ხედავ, ვინ არის აქ უფროსი!

ტიეგი: დაუძახე, რომ შემოვიდნენ.

მერი: ღმერთო, შენ გვიმღევე!

შემუსი: თუ ლოცვა გინდა, ილოცე, იქ, ზემოთ, მათ დახშულ ყურებს სულაც არ ენალვლებათ შენი სიტყვები; მე კი იმას მოვუხმობ, ვისაც მოვისურვებ.

ტიეგი: ამბობენ, ბევრს ფულიც კი გაუღია.

შემუსი: (კართან) შეგიძლია შემოხვიდე, ვინც ან რაც უნდა იყო, ღამით ტყეში დახვალ თუ საფლავიდან ხარ ამომძვრალი, მოქმედების სრული თავისუფლება მაქვს, ხელგაშლილიც ვარ და მეგობრული საუბარიც მეხერხება. მოგესალმები. შემოდი, დაჯექი ცეცხლის პირას. სულერთია თავი მკლავებქვეშ გექნება თუ ცხენის კუდი გაბია, რომ გავა გაიმართრახო, თმის მაგივრად ბუმბული გაქვს თუ ჩალა. შემოდი, შემოდი, გაიზიარე, რაც სახლში გვაქვს, ჩვენი პური და ხორცი, ფხვის ტერფები

გაჭიმე და ნაცარში გაითბე. დე ამის შემდეგ ყველაფერი საზიარო გვექონდეს, დაე სხვა ყველა წყეულიმც იყოს, შემოდი, შემოდი. რაა, ნუთუ მანდ არავინ არის? **(კარიდან შემობრუნდება)** აბა, რა ვიცი, ამბობენ, ბალახივითაა მოდებულიო, მღვდლის ხელში წიგნზეც კი დაქრიანო **(ტიეგი ნელ-ნელა ასწევს ერთ ხელს, კარზე მიუთითებს და უკან იხევს. შემუსი შემბრუნდება, რაღაცას ხედავს და უკანდახევას იწყებს. მერიც იგივეს აკეთებს. კაცი, რომელიც აღმოსავლელი სოფდაგარითაა ჩაცმული, შემობრუნდება ნოხის ერთ ბოლოში. ასევე ჩაცმული მეორე კაციც შემოდის და ნოხის მეორე ბოლოში ჯდება. ამ ყველაფერს ნელი მოძრაობით და სიფრთხილით აკეთებენ. მერე ფულს იღებენ ქამარზე მიმაგრებულ ამოქარგული ქისიდან და ნოხზე განალაგებენ).**

ტიეგი: შენ დაელაპარაკე.

შემუსი: არა, შენ.

ტიეგი: შენ მოუხმე და შენვე დაელაპარაკე.

შემუსი: (მიუახლოვდება) თუ მომიტყევებთ, გავთამამდები და გკითხავთ, ჩვენი მხრივ რაიმე ხომ არ გნებავთ? თუმცა ღარიბი ხალხი ვართ, მაგრამ ხომ არ არის რაიმე ისეთი, ხომ იცით, ისეთი რაიმე...

პირველი სოფდაგარი: დიდი გზა გამოვიარეთ, რადგან ჩვენ ის სოფდაგრები ვართ, რომელთაც სამყაროს შემოვლა ევალებათ. ახლა ვახშამს, ცეცხლს და უსაფრთხო კუთხეს ვეძებთ, რომ ფული დავთვალოთ.

შემუსი: მე კი ვფიქრობდი, რომ თქვენ იყავით... თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. მე და ჩემს ცოლს შელაპარაკება მოგვივიდა, რადგან ვუთხარი, აქაურობის ბატონ-პატრონი მე ვარ და იმას შემოვიპატიჟებ, რაც და ვინც მესიამოვნება-მეთქი. ასე რომ... მაგრამ ახლა ამას აზრი არა აქვს, რადგან, ცხადია, თქვენ მხოლოდ სოფდაგრები ხართ.

პირველი სოფდაგარი: ჩვენ ყველა სოფდაგრის ბატონისთვის ვმოგზაურობთ.

შემუსი: თქვენ ის არა ხართ, ვინც მეგონა, მაგრამ თქვენც არანაკლები სიამოვნებით მოგესალმებით. ვინც გენებოთ, ის იყავით, მაგრამ ვახშამი საბაზრო ფასად დაგიჯდებათ. ეს ნიშნავს, რომ რაც მხოლოდ ერთ პენად იყიდებოდა, ახლა ორმოცდაათი პენი ღირს. **(სოფდაგრები ფულს დებენ ნოხზე)**

პირველი სოფდაგარი: ჩვენი ბატონი ნებას გვრთავს, ისეთი ხელსაყრელი საფასური გადაუხადოთ იმათ, ვინც ჩვენ გაგვირიგდება, რომ კარგადაც ჭამოს, კარგადაც სვას და დროც მხიარულად გაატაროს.

შემუსი: (მერის) აბა, დატრიალდი, წადი, დაკალი ქათამი და მოიტანე, ვიდრე ტიეგი და მე სუფრაზე ჯამ-ჭურჭელს დავანყობთ და ცეცხლს უფრო გავაღვივებთ.

მერი: შენთვის არაფერსაც არ მოვამზადებ.

შემუსი: არ მომიზადებ?! არ მომიზადებ?! ნუ მიბრაზდები. ჩემთვის სამაგიეროს გადახდა უნდა, რადგან კამათის დროს ხელით შევეხე. მაგრამ გონს მალე მოვა. მას შემდეგ, რაც სიდუხჭირე შემოგვეჩვივა, ერთმანეთთან ერთი განამანია გვაქვს, თითქოს ერთიდაიმავე კალათაში ორი გასალესი დანა ჩაყარესო.

მერი: შენთვის არაფერსაც არ მოვამზადებ, რადგან ვიცი, უბედურების მეტი არაფერი მოგაქვს. ახლა კი გადი გარეთ.

ტიეგი: სულ ასეა, პატივცემულნი, რადგან მამამ მწარე სიტყვები უთხრა და თანაც დედაჩემი იმასაც ფიქრობს, რომ თქვენ ისინი ხართ, რომელთაც თავისი ჩრდილი არა აქვთ.

შემუსი: მე ვთქვი, რომ თვით ტყის ეშმაკეულებსაც მივესალმობოდი, თუკი ჭამა-სმას მოისურვებდნენ, მაგრამ, ცხადია, თქვენ ჩვენნაირი ადამიანები ხართ.

პირველი სოფდაგარი: უცნაურია, რატომ ფიქრობს, რომ ჩვენ ჩრდილს არ ვფენთ, რადგან სამყაროს კიდემდე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, რასაც სოფდაგრები ყიდულობენ და თქვენ მოგყიდიან.

მერი: თუ ეშმაკეულები არა ხართ, მაშინ მიეცით საჭმელი და ფული დამშეულ ღატაკებს. მე ხომ ვხედავ, მანდ რა დიდი სიმდიდრე გაშალეთ.

პირველი სოვდაგარი: რომ ვიცოდეთ, როგორ ვიპოვოთ ის ლატაკი, რომელიც ამას იმსახურებს, მაშინ გავუზიარებდით ჩვენს სიმდიდრეს.

მერი: მამ მოიკრიბეთ მოთმინება და მოძებნეთ ისინი.

პირველი სოვდაგარი: ისიც ვიცით, რა ბოროტება მოაქვს უაზრო გულმონწყალებას.

მერი: სიდუხჭირე რომ არა, ჩვეულებრივ ასეთი ეჭვი შესაძლოა შესაფერისიც იყოს. ვფიქრობდი, როცა ხან წინ გვიბიძგებდნენ და ხან უკან, ეს ყველაფერს თავდაყირა აყენებდა და ყოველგვარ საზღვარს ფეხქვეშ თელავდა...

პირველი სოვდაგარი: ჩვენ უფრო კეთილგონივრული გზა მოვიფიქრეთ.

მეორე სოვდაგარი: თუ თითოეული მოიტანს ცოტაოდენ საქონელს, ისეთ ფასად შევიძენთ, რომ არასოდეს დასიზმრებიათ.

მერი: სად უნდა მოიტანოს მშვიდმა ხალხმა საქონელი?

პირველი სოვდაგარი: ისეთს არაფერს მოვითხოვთ, რაც ყველა ადამიანს არ გააჩნია.

მერი: მთელი ნახირი, ღორები, მინდვრები და იარაღები გაყიდულია და აღარაფერი გააჩნიათ.

პირველი სოვდაგარი: ჯერ ყველაფერი არ გაუყიდათ. არის ერთი ჰაეროვანი რამ, რომელიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და მხოლოდ მყიდველს უნევს რისკის განევა, — მეორე „მე“, რასაც ზღაპრებში უკვდავს უწოდებენ.

შემუსი: ჩვენი სულების საყიდლად მოხვედით?

ტიეგი: მე ჩემს სულს გავყიდდი. რატომ უნდა მოკვდეთ შიმშილით იმისთვის, რაც შესაძლოა არც არაფერს წარმოადგენდეს?

მერი: ტიეგ, შემუს...

შემუსი: არაფრის გარდა სხვა რა უნდა იყოს? შიმშილის გარდა რა გადმოგვიყარა ღმერთმა თავისი ტომრიდან? სატანა კი ფულს იძლევა.

ტიეგი: და თანაც ჭექა-ქუხილიც არ მოსდევს.

პირველი სოვდაგარი: აი თქვენ, ფულის თითო-თითო გროვა. *(შემუსი ფულის ასაღებად მიდის)* არა, ჯერ არა, ჯერ სამუშაო უნდა დაგაკისრო.

შემუსი: ასე რომ, შენც სხვებივით მატყუარა ყოფილხარ და შენი სიტყვები, სულს ვიყიდო, მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. უნდა მცოდნოდა, რადგან თალღითი ადამიანები სწორედ ასე ლაპარაკობენ.

პირველი სოვდაგარი: რაც სამუშაოს შეეხება, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. მაგრამ, ვიდრე სამუშაოს არ შეასრულებ, გასამრჯელოს ვერ მიიღებ.

ტიეგი: მეც იგივე მელის.

მერი: ოჰ, ღმერთო, რას გაჩუმებულხარ?

პირველი სოვდაგარი: თქვენ მხოლოდ ის გვევალბათ, რომ ყველა გზაჯვარედინზე, ყველა სახლის კართან ხმამაღლა იყვიროთ, რომ ჩვენ ადამიანის სულებს ვყიდულობთ და ამის სანაცვლოდ ისეთ კარგ გასამრჯელოს ვიძლევი, რომ ყველას შეუძლია შიმშილობის დასასრულამდე კეთილდღეობაში და მხიარულად იცხოვროს, რადგან ჩვენ ქრისტიანები ვართ.

შემუსი: ნავიდეთ, ნავიდეთ.

ტიეგი: იმდენს ვირბენ, ვიდრე გასამრჯელოს არ დავიმსახურებ.

მეორე სოვდაგარი: *(დგება და ცეცხლისკენ მიდის)* შეჩერდით, თქვენ გულუხვ ბატონს ემორჩილებით, რომელსაც მისთვის ხელსაყრელი ადამიანები ემსახურებიათ. აი, ის, რაც გზას გაგიხალისებთ. *(ტიეგი და შემუსი შეჩერდებიან. ტიეგი იღებს ფულს. ისინი გარეთ გადიან)*

მერი: სულთა წამწყმედნო, ღმერთი თქვენც მალე წაგახდენთ. ბოლოს თქვენც ისე გამოშრებით, როგორც ხმელი ფოთლები და ღვთის კართან ისე დაგკიდებენ, როგორც მკვდარ პარაზიტებს.

მეორე სოვდაგარი: იმდენი ინყევლე, ვიდრე მოგწყინდებოდეს. წმინდანებს ხომ თავიანთი ოცნებები აქვთ.

პირველი სოვდაგარი: თუმც ჩვენ მხოლოდ პარაზიტები ვართ, მაგრამ ჩვენმა ბატონმა სამყაროს მოსავლელად გამოგვგზავნა. ბოლოს ის ნაწილ-ნაწილ დაშლის მთვარის ნექნებს და ღამის მიერ შობილ ვარსკვლავებს ჩააქრობს.

მერი: ღმერთი ყოვლისშემძლეა.

მეორე სოვდაგარი: ილოცე, რადგან სწორედ ღმერთის შეწვევა დაგჭირდება. სანამ დაბალი ზღურბლი კედელივით არ აღიმართებოდეს, მანამდე მთაუნას, ბალახს და ბაბუნავენას შეჭამ, და როცა შენი ხელები შენს სხეულს ველარ ათრევენ *(შეაკავებენ)*, ჩვენ იქვე ახლოს ვიქნებით. *(მერის გული მისდის. პირველი სოვდაგარი ნოხს აკეცავს, მეორე ცეცხლთან გაშლის და ხელებს ითბობს)*

პირველი სოვდაგარი: რადგან გული ნაუვიდა, სახეს ველარ ჩამოგვაჩხაპნის. წადი, ყელი მოუგრინე იმ ქათამს, ფქვილი ძირს მოაბნე და თაროზე პური მოძებნე. ქათამი შამფურზე ასმოაცვი და შეწე. ვჭამოთ მათი შემოთავაზებული ვახშამი. ახლა, როცა შინ სიმშვიდეა, ხობტა შევასხათ ჩვენს ბატონს, ფეხები გავჭიმოთ და ტერფები ნაცარში გავითბოთ.

სცენა მეორე

სცენის წინამხარე. ტყის ერთ მხარეს, შორიდან მოჩანს კომკიანი სახლი, მაგრამ ერთთავად მქრქალ ფერებში, შუქ-ჩრდილის გარეშე ან ოქროსფერ ფონზე. შემოდის ალიილის მკლავზე დაყრდნობილი გრაფინია ქეთლინი. მოსდევთ ოონა.

ქეთლინი: *(ჩერდება)* ამ შეფოთლილ კუთხესთან, სადაც ველური ფუტკრის თაფლის სუნი ტრიალებს, ნამდვილად რაღაც ამბავია დაკავშირებული.

ოონა: აი, ბოლოსდაბოლოს სახლიც გამოჩნდა.

ალიილი: ამბობენ, უჩინარ სულთა დედოფალ მაევის ცხრა საუკუნის წინათ ერთი კაცი უყვარდა და მისმა სიყვარულმა შეინარა. ახლა, როცა სავსე მთვარე მიცურავს ცაზე, მაევე მოცეკვავეებს ტოვებს. ტრიალ ადგილას წვება და სამი დღე ასე განოლილი ოხრავს და ფერმკრთალ ღანვებს ცრემლი უსველებს.

ქეთლინი: მამ ჭეშმარიტად ყვარებია.

ალიილი: არა, ღანვებს ცრემლით იმიტომ ისველებს, რომ მისი სახელი დაავიწყდა.

ქეთლინი: უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ამ მწუხარებას არ აწყვებოდა. თუმც ალბათ ძალიან ძნელი ასატანია მისი სახელის დავიწყება.

ალიილი: მას მალა, დათოვლილ კნოკ-ნა-რეაზე, ძველ ქვაცილზე სძინავს, მაშინ, როდესაც მისი საბრალო ქალები უნდა იწვენ და ირწეოდნენ ტალღებზე, რადგან ისინი წყლის პირმშობი არიან — და, თუ წამოიძახებს მათ სახელებს, ამოცვივდებიან ხმელეთზე და მთვარის შუქზე თავბრუსდახვევამდე ცეკვავენ, ისევე უყვართ, როგორც ადამიანებს და ისეთივე მომთმენნი და შესაბრალისნი არიან. მაგრამ ისეთი მწირი მესხიერება აქვთ, რომ მათ გონებაში არაფერი რჩება, თუმც კი ტირიან იმაზე, რაც ავიწყდებათ, ოჰ, დიახ, სავსე მთვარის ჟამს ტირიან.

ქეთლინი: მოკლე მესხიერება იმიტომ ხომ არა აქვთ, რომ დიდხანს ცხოვრობენ?

ალიილი: რა არის მესხიერება, თუ არა ფერფლი, რომელიც ჩვენს განელეზულ ცეცხლს აქრობს? მათ კი თან ახლავთ თავბრუდამხვევი, მუდმივი ცეცხლი.

ოონა: აი, თქვენი სახლი, ქალბატონო.

ქეთლინი: მართალი ხარ და ისე ჩავუვლიდით, ვერც კი შევამჩნევდით.

ალიილი: წყეულიმც იყოს ეს სახლი. რაღა ამ შუაგზაზე გადაეყარეთ! უფრო შორს რომ ყოფილიყო, მაშინ იმასაც შევითყობდი თუ რას ფიქრობს მაევე, როცა მთვარე ამოიწვერება; და ახლაც, — როგორც ძველ დღეებში, — ნეტა თუ აგრძნობინებდნენ ადამიანებს ხანმოკლე სიყვარულს.



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

ოონა: მკლავზე დამეყრდენი. ქრისტიანის სმენა ყველანა-
ირ ფიქრს ალიქვამს.

ალილი: მე უფრო ახალგაზრდა ვარ, შენ კი დაგამძიმებს.
*(ქეთლინი ალილის მკლავს ეყრდნობა. ალილი ტომრიდან
იღებს თავის ბარბითს. ქეთლინი ოონასკენ შებრუნდება და ალი-
ილს ზურგს აქცევს.)*

ამ ფულურო ყუთს ახსოვს ყოველი ფეხი, რომელიც ამ სამ-
ყაროს დაბალ ბალახზე ცეკვავდა და თუ მათ ჩურჩულით მიე-
მართავ, ყველა საიდუმლოს გაგიმხელენ *(მღერის)*. ეგ თეთრი
მუხლი ზე ასნიე, — ასე მღერიან. იმ ყმანვილ მოცეკვავებებს,
წრეში რომ მგზნებარედ ცეკვავდნენ, ახლა უკვე გულები გას-
ტეხიათ ძველ მეგობრებზე.

ოონა: ახალი მეგობრების ყოლა უფრო ტკბილია.

ალილი: მაგრამ ცეკვა იცვლება. აინიე კაბა, ყველა მწუ-
ხარება ფეხქვეშ გაითილება.

ოონა: უაზრო ენის ტარტარია. ქეთლინი, დამეყრდენი
მკლავზე. იცი, რას გეტყვი, ეს მონათლული მკლავია და თუ
მისი სიტყვების მიხედვით ვიმსჯელებთ, ზოგიერთისას არ
ჰგავს. თუმცა, როგორც გენებოს. დროა დამივიწყო. იქნებ ეს
იმ მკლავად აღარ მიგაჩნია, რომელზეც გეძინა, როცა ჯერ კი-
დეც უმწეო ჭია იყავი.

ალილი: ჩემთან დარჩი შენს სახლთან მისვლამდე.

ქეთლინი: *(ჯდება)* როცა სულს მოვიტყვამ, თქვენი დახმა-
რება არ დამჭირდება.

ალილი: ვფიქრობდი, მოგონებებს გაუქარებებ-მეთქი.
ავი დროების მთელ ათ წუთს გავიყვანდი, მაგრამ ახლა შენ ჩა-
დექი ჩვენ შორის და მთელი შვიდი წუთი გავიდა.

ოონა: განაგრძე ლაქლაქი. რა მნიშვნელობა აქვს რას იტყ-
ვი, შენ ხომ მონათლული არ ყოფილხარ?

ალილი: დედაბერო, დედაბერო, მთელი სამი წუთი წაართვი,
რომ გონების სიმშვიდე მოეპოვებინა და თუმცა ასი წელია, რაც
დედამიწას ამძიმებ, უპოვრებს ფეხებს ჰბან, მოწყალებას გას-
ცემ, ქროავკატრიკზე აღიხარ, შენდობას მაინც ვერ მოიპოვებ.

ოონა: საიდან უნდა იცოდეს მოუნათლავმა კაცმა, ზეცა
შეუნდობს თუ არა?

ალილი: ცოდვილი ქალი ხარ.

ოონა: სულ არ მენალვლება, გინდ შენ გილაპარაკია და
გინდ გოჭს უჭყვიტინია. *(შემოდის ქეთლინის სახლთუხუცესი)*

სახლთუხუცესი: ჩემი ბრალი არ არის, რომ ჭიშკარი ჩაე-
კეტე. მეტყველის ბრალია. აღმოსავლეთ კუთხეში, იქ, სადაც
თელებია, კაცი ამოძვრა.

ქეთლინი: არ მესმის, ვინ ამოძვრა?

სახლთუხუცესი: მადლობა ღმერთს, პირველმა მე გითხა-
რით ეს ამბავი. მეშინოდა, სხვა მსახურები, — თუმც მე მევა-

ლებოდა მეთვალყურეობა, — დამასწრებდნენ და ტყუილსა
და მართალს აურევდნენ, დიდო ქალბატონო.

ქეთლინი: *(ნამოდგება)* რაიმე უბედურება ხომ არ მომხდარა?

სახლთუხუცესი: დიახ, მართლაც ყველაფერში მეტყვევა
დამნაშავე, რადგანაც ტოტები კედელს მიაყრდნო და ის არამ-
ზადა მათი მეშვეობით გადმოძვრა ბაღში.

ქეთლინი: მეგონა, აქ მაინც ავიცილებდით უბედურებას.
ვინმე ხომ არ მოუკლავთ?

სახლთუხუცესი: ოჰ, არა, არ მოუკლავთ, მწვანე კომბოს-
ტოთი ნახევრად დატვირთული ურემი მოიპარეს.

ქეთლინი: ალბათ დამშეულები იყვნენ.

სახლთუხუცესი: ცხადია, არჩევანი არ ჰქონდათ. ან უნდა
ექურდათ ან შიმშილით დახოცილიყვნენ.

ქეთლინი: ამბობენ, თეოლოგებმა დაადგინეს, მშიერ კაცს
იმის აღება ცოდვად არ ეთვლება, რაც მისი სიცოცხლისთვის
აუცილებელიაო.

ოონა: უცოდველისგანაც და ქურდისგანაც თავის დასა-
ცავად კედლის თავზე ბოთლის ნამსხვრევები უნდა ჩაგვეტა-
ნებინა.

ქეთლინი: თუ ადამიანმა რწმენას არ უღალატა, უნებუ-
რად ჩადენილ ცოდვას ღმერთი აუცილებლად მიუტევებს.
სამყაროში ყოველი ადამიანის სული განსხვავებულია, მაგ-
რამ გაუცხოებულს ისე არაფერი აამალვებს ღმერთის
უსაზღვრო სიყვარულამდე, როგორც მონანიება. ამ სამყარო-
ში ადამიანმა ყველაზე უფრო ბინიერი რამეც რომ ჩაიდინოს,
გამოსწორების გზა ყოველთვის არსებობს. *(შემოდის ტიგი
და შემუსი)*

სახლთუხუცესი: საით გარბიხართ? მოიხადეთ ქუდი, ვერ
ხედავთ აქ ვინ არის?

შემუსი: ვერ მოვიცდი. ქვეყანა უნდა შემოვირბინო საუკე-
თესო ახალი ამბით, რომლის მსგავსიც ათასი წელია არ ყოფილა.

სახლთუხუცესი: მაშინ სული მოითქვი და გვითხარი.

შემუსი: ეს ახალი ამბავი რომ იცოდ, შენც ისე ჩქარა გა-
იქცეოდი და სუნთქვა შეგეკვრებოდა.

ტიგი: ისეთი ამბები გვაქვს, ადამიანებმა მხრებზე შესმუ-
ლი უნდა გვატარონ.

შემუსი: არის რაღაც, რასაც ადამიანი მუდამ თან ატა-
რებს, მაგრამ, ქარის ერთ ამოსუნთქვადაც არ მიიჩნევს. ახლა
კი ის ხელსაყრელი გარიგების საგნად იქცა!

ტიგი: ის კი ისეთ უსარგებლო რამედ ჩანდა, როგორც
მოჭრილი ფრჩხილი.

შემუსი: როცა ამაზე ვფიქრობ, სასაცილოდ არ მყოფნის.
ყველა გაიძვრამ, რომელიც ბინძურ ჩალაზე წევს, თუ ამას
გაყიდის, შეიძლება ტახტიც დაიდგას.

ტიფი: (იციან) ორი ჯენტლმენია, ადამიანის სულებს რომ ყიდულობენ.

ქეთლინი: ო, ღმერთო!

ტიფი: შესაძლოა სული არც კი არსებობს.

სახლთუხუცესი: ესენი ან მთვრალეები არიან ან შემლი-ლები.

ტიფი: აი, ნახეთ გასამრჯელოდ რას იძლევიან (ფულს აჩვენებს).

შემუსი: (ფულის დასტას აქეთ-იქით აქნებს). ასე გვითხრეს: „ნადით, და იყვირეთ მთელ დედამიწის ზურგზე: ფული სულის სანაცვლოდ, ბლომად ფული სულის სანაცვლოდ“.

ქეთლინი: ორჯერ ან სამჯერ ან ოცჯერ მეტიც გადაუხადეთ, ოღონდ ისე დაიხსენით თქვენი სულები, ყველაფერს მე გადავიხდი.

შემუსი: ჩვენ არა! ჩვენ არა! სული, არსებობს კი სული? მე ხორცს მივანიჭებ სიხარულს; დათვრები და ვიმხიარულებ.

ტიფი: ნამო, წავიდეთ (გადის).

ქეთლინი: მაგრამ სამყაროს მაინც აქვს მომავალი.

შემუსი: და გინდაც ჰქონდეს, მიჩვენებია თავი იმ ხელებს მივანდო, რომელსაც ფულის გადახდა ძალუძს, ვიდრე იმ ხელებს, რომელიც თავის ტომრიდან მხოლოდ შიმშილს გვაბერტყავს. (გადის და თან მხიარულად მღერის).

„ფული სულის სანაცვლოდ, ტკბილი, ყვითელი ფული, ფული ადამიანის სულისათვის, ბლომად ფული, ფული“.

ქეთლინი: (ალილს) ნადი და უკან მოაბრუნე, ძალით მოიყვანე, სთხოვე, მოქრთამე, რაც გინდა ის ქენი, ოღონდ დააბრუნე (ალილი გადის). შენც გაჰყევი და შენი ლოცვები შეანი (ოონა მიდის და თან ლოცულობს). სახლთუხუცესო, შენ ჩემი სახლის ყველა საიდუმლო იცი. რამდენი ოქრო მაქვს?

სახლთუხუცესი: ასი კასრი ოქრო.

ქეთლინი: და სასახლეებში რამდენი მაქვს?

სახლთუხუცესი: გაცილებით მეტი.

ქეთლინი: საძოვრებში?

სახლთუხუცესი: გაცილებით მეტი.

ქეთლინი: ტყეებში რამდენი გაქვს?

სახლთუხუცესი: გაცილებით მეტი.

ქეთლინი: მხოლოდ ეს სახლი დაიტოვე, დანარჩენი ყველაფერი გაყიდე, ნადი, ივაჭრე, სადაც გენებოს, მაგრამ მსხვილფეხა საქონლითა და სანოვაგით სავსე ხომალდებით დაბრუნდი.

სახლთუხუცესი: ღმერთმა სიკეთე არ მოაკლოს თქვენს ბრწყინვალეებას. თქვენ გადაარჩენთ დედამიწას.

ქეთლინი: ნუ დააყოვნებ.

(სახლთუხუცესი გადის. ალილი და ოონა ბრუნდებიან).

ქეთლინი: არ დაბრუნდნენ? ჩქარა მითხარით.

ალილი: ერთ-ერთმა დანა დააძრო და თქვა, მოვკლავ ნებისმიერ კაცს თუ ქალს, რომელიც გზაზე გადამიდგებაო, და როცა მისი შეჩერება ვცადა, დანა დამისვა. მაგრამ ეს არაფერი.

ქეთლინი: მიხედვა გჭირდება. ამიერიდან ვერ ვიგრძნობ ვერც საკუთარ სიხარულს და ვერც მწუხარებას.

ოონა: თვალები მტაცებელი ფრინველივით უბრწყინვალათ.

ქეთლინი: მოდი წამომყევი, რადგან მიწა ფეხებს მიწვავს, ვიდრე ამ სახლს ისეთ თავშესაფრად გადავაკეთებდე, სადაც ყველა მოხუცი და სნეული, ყველა გულით დაავადებული გაექცევა სიღუბნის ნისკარტს და ბრჭყალებს. ყველა აქ მოვა, ვიდრე კედლები დასკდებოდეს და ჭერი ჩამოიქცეოდეს. დღეიდან საკუთრება არ გამაჩნია (გადის).

ოონა: (ლაპარაკის დროს ალილს ჭრილობას უხვევს). ახლა ქეთლინმა მონახა რაღაც ხელჩასაჭიდი და მე და შენ ისეთი უმნიშვნელონი ვართ, როგორც ზამთრის ბუხები ფანჯრის მიწაზე. (გადიან)

სცენა მისამაშ

სცენა, — გრაფინია ქეთლინის სახლის დარბაზი. მარცხნივ კიბეა, რომელიც სამლოცველოსკენ ადის, მარჯვნივ გობელენაკრული კედელი, სამლოცველოს ფორმას რომ იმეორებს; კედელთან დიდი სკამია. ცენტრში ორი ან მეტი თალია, საიდანაც ბუნდოვნად მოჩანს ბალის ხეები. სამლოცველოში, საკურთხეველის წინ დაჩოქილია ქეთლინი. საკურთხეველის ზემოთ ანთებული ლამპა კიდაია. შემოდის ალილი.

ალილი: მოვედი, რომ ამ სასახლის დატოვება გთხოვო და ამ ტყეებიდან შორს გაქცევა.

ქეთლინი: აქ რამე საშინელება ხდება? აქედან ზღვამდე არაფერია საშიში.

ალილი: ვინც აქ გამოგზავნა, ისინი უჩინრად დადიან.

ქეთლინი: მამ რასაც ადამიანები ამბობდნენ, მართალი ყოფილა. შენ იმას ხედავ, რასაც სხვები ვერ ხედავენ, და ის გესმის, რაც სხვებს არ ესმით.

ალილი: როცა ვინქი და მეძინა, ჩემი სიზმარი ცეცხლად იქცა. იმ ცეცხლში ვილაც შემოვიდა, რომელსაც თავზე ჩიტები ასხდნენ.

ქეთლინი: გამიგია, რომ რომელიღაც ძველი ღმერთი სწორედ ეგრე დადიოდა.

ალილი: შეიძლება ანგელოზიც იყო. ქალბატონო, ის მთხოვს, რომ ამ ტყიდან გაიყვანოთ. მხოლოდ თქვენი გამზრდელი და რამდენიმე მსახური უნდა წაიყვანოთ. გორაკებზე მუსიკის ჰანგებით და წყლის ანარეკლით გარშემორტყმულმა უნდა იცხოვროთ, ვიდრე დუხჭირი დღეები არ ჩაივლიდეს, რადგან აქ საშინელი დასასრული გელით, რაღაც წარმოუდგენელი ბოროტება, იგავებშიც რომ არ დაგესიზმრებათ ისეთი დიდი სიბნელე, ზეცაზე ვერც მზეს და ვერც მთვარეს დაინახავთ.

ქეთლინი: არა, არა, ეს ანგელოზის მოქმედებას ჰგავს.

ალილი: მოგიწევთ სანდო ბერიკაცს მიანდოთ ეს სახლი, მას უნდა სთხოვოთ, ვიდრე სახლში საჭმელი და ადგილი იქნება, ყველა მშვიდი და ყველა ყარბი შეიფაროს.

ქეთლინი: ნუთუ იმას მთხოვს, რომ იქ წავიდე, სადაც არცერთი მოკვდავი არსება არ არის, გარდა გედ დებლესისა, და სადაც შენ დაუკრავ ბარბითს; კარის ირგვლივ კი ხეები მძიმე ჩრდილებს დააფენენ და მოშრილ ლერწმებთან ისაუბრებ, როცა ღამე ფერგამკრთალი და ცრიპი სინათლით განდევნის დალილ მზეს. არა-არა-არა! არ შემიძლია, თუმცა კი ვტირი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცხოვრება უბედნიერესი გახდეს, არა, ამისთვის გამოსავალს ვერ ვპოულობ, ვერც დასასრულს. არც იმისთვის ვტირი, რომ შენი სახის დანახვა მწყუროდა; მხოლოდ იმიტომ ვტირი, ლოცვებში გატარებულმა ღამემ დამქანცა.

ალილი: (მის წინ დაემხობა) დე მან, ვინც შექმნა კაცობრიობა, ანგელოზები, დემონები, სიკვდილი და სხვანი, თვითონვე გამოასწოროს ის, რაც თვითვე შექმნა, რადგან როცა ჩვენ ამაოდ ვირჯებით, ვხედავთ, რომ გული გვიტყდება.

ქეთლინი: საბოლოოდ როგორ უნდა ვპოვოთ სიმშვიდე?

ალილი: აბა როგორ, თუ არ განვიკურნეთ?

ქეთლინი: შენ გინახავს ჩემი ცრემლები და მე კი იატაკზე აცახცახებული შენი ხელები.

ალილი: (ბოძიკით) მე მხოლოდ განკურნებაზე ვფიქრობდი. ის ანგელოზს ჰგავდა.

ქეთლინი: (მისგან შებრუნდება) არა, ანგელოზს არა, მაგრამ ძველ ღმერთთა მსგავსი იყო, რომლებიც სამყაროში ვლიან, რათა გამოაღვიძო მგზნებარე გული, ამაყი გული, — რომ ყველა ანგელოზმა, რომელიც მეცხრე ცას ცარიელს ტოვებს, აკვანი დაგვირწიოს.

(მიდის სამლოცველოს კართან. ალილი ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს მისკენ იწვდის. ნუთით ყოყმანობს და მერე ჩამოუშვებს).

ქეთლინი: ნუ მინვდი მავედრებელ ხელებს. ჩემი გული აღარასოდეს გამოიღვიძებს ამ მიწაზე. მის წინაშე დავიფიცე, რომლის გულიც შვიდმა მწუხარებამ გამსჭვალა, რომ აქ, ამ საკურ-

თხვევლთან ვილოცებდი, ვიდრე ჩემი გული ხესავით აიტოტებოდა ცისკენ და იქამდე ააშრილებდეს ფოთლებს, ვიდრე ზეცა ჩემს ხალხს გადაარჩენდეს.

ალილი: (წამოდგება) როცა ასეთმა დიდმა ადამიანმა ილაპარაკა ვილაცისადმი სიყვარულზე, მაშინ რა უნდა მოიმოქმედოს ჩემსავით პატარა არსებამ, რომელსაც უარი უთხრეს სიყვარულზე; სხვა რაღა დარჩენია, გარდა იმისა, რომ წინ გაიშვიროს მავედრებელი ხელები და მერე უმწოდ ჩამოუშვას; როცა მიხვდება, ზედმეტი გაბედულება გამოიჩინა?

(გაეშურება დარბაზის გასასვლელისკენ. გრაფინია ქეთლინი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ).

ქეთლინი: ნეტავ თუ ჭეშმარიტია ძველი ზღაპრები, სადაც დედოფლები მწყემსებზე ქორწინდებიან და მეფენი ღარიბ მოსამსახურე ქალებზე; ღვთის მიერ შექმნილი წყლები დაედინა მენს გონებას და მეფეებსა და დედოფლებზე მეტად აგამალა; მე კი დაცლილი ჭურჭელი ვარ.

ალილი: სიჩუმით ყველაფერი გითხარი, მაგრამ ნება მომეცი, შენ გვერდით ვიყო.

ქეთლინი: არა, არა, ვიდრე ჩემი გული ძვერს, არა. შენ კი გაიგონებ ქარის ხმას და კრონშენკის* ძახილს და იმ სიმშვიდეს მოიპოვებ, რომელსაც მე ვესწრაფვოდი.

ალილი: ნება მომეცი ხელზე გეამბორო.

ქეთლინი: მე კი შუბლზე გაკოცებ, თუმც მანაც გიშვებ ჩემგან. არაფერი თქვა. არსებობდნენ ისეთი ქალები, რომლებიც მამაკაცებს სთხოვდნენ გვირგვინები დაეთმოთ ზღვისქვეშა ქვეყნებიდან ან ვაშლის ხეებით დაფარული გორაკიდან, რომელსაც გველესაპი იცავდა, რათა კაცთა გულების და სურვილთა შეცნობა შეძლებოდათ. და როცა ამას მოითხოვდნენ, თვითონაც ისე ცახცახებდნენ, როგორც მე, როცა ახლა ასეთ მძიმე ტვირთს გაკისრებ, როცა გავალბე, უსიტყვოდ ნახვიდე და უკან არ მოიხედო: მშვიდობით. არ მოიხედო და რაც მთავარია მე არ შემომხედო. **(ალილი გადის)** არაფერი მითქვამს მისი მკლავის ჭრილობაზე და ახლა კი წავიდა. **(გარეთ იხედება)** ვერ ვხედავ, ისეთი სიბნელე ჩამონოლიდა. ნუთუ ჩემი გონება და გული ოდნავ არ შეტოკდა ამ წმინდა ალისგან. **(ნელი ნაბიჯით შედის სამლოცველოში. შემოდის ორი სოვდაგარი)**

პირველი სოვდაგარი: თუმცა გთხოვე, რომ მისი საგანძური გაგეძარცვა, ვხედავ, არც კი ინძრევი და თვლემ. ისიც იცი, ვიდრე საგანძური სავსეა, ის ჩვენი მონინალმდეგე იქნება და ისე მოისყიდის ლატაკებს, ჩვენს დიდ ბატონს ბევრი არაფერი შეხვდება. ისიც იცი, მან ამ სახლში უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოხუცები და დავრდომილები შეიკედლა. ასეთ დროს უფრო იაფადაც შეიძლება ყველაფრის ყიდვა. ხომ ნახე, როგორ ვიჯექით ტყის სახლში, ვიდრე ლოკოკინები ფანჯრის მინებზე და ტალახიან იატაკზე დაცოცავდნენ. ძეხორციელი არ იყო, რომ სული მოეყიდა, — არც მოხეტიალე ბრიყვები, არც ისინი, რომლებიც იქამდე ბობოქრობენ და ლაპარაკობენ, ვიდრე კატასავით ყურებში ლანდი არ გაუვიდოდათ. ნუთუ ეს ყველაფერი არ გადელევებს, — ზიხარ აქ მთვლემარე, ზურგმოსრილი და ნიკაპი მუხლებზე დაგიდვია.

მეორე სოვდაგარი: მე რა უნდა მექნა? ისე გულმხურვალედ ლოცულობდა, რომ კარიბჭეს ვერ გადავაბიჯე, ვიდრე მისი სატრფო მის ფიქრებს სიზმარივით გაფანტავდა.

პირველი სოვდაგარი: კარგი, კარგი, აბა, ახლა გავისარჯოთ. აქ განძთსაცავის კარია. დრო აღარ იცდის.

(მეორე სოვდაგარი გადის. პირველი სოვდაგარი ფეხმორთხმით ჯდება სვეტთან, ამოქნარებს და იზმორება)

პირველი სოვდაგარი: როგორც ჩანს, ამ სამყაროს ტვირთი მე უნდა ვზიდო, შორს ჩემი ბატონისა და ღრეობისაგან და ყველაფერი ეს მას შემდეგ გრძელდება, როცა მან ჭიყვას გაარეგნობით, პირველ დედაკაცს ცნობადის ხის ვაშლი აგემა. **(მეორე სოვდაგარი ბრუნდება და თან ტომრებს მოათრევს)** სად

* ერთგვარი ფრინველია.

წავიდნენ მოცეკვავეები? ხომ იცოდნენ, რომ ტვირთი თავიანთი ზურგით უნდა ეთრიათ.

მეორე სოვდაგარი: მათი სუნთქვა სულ რაღაც ერთი წუთის წინათ მესმოდა, მაგრამ ახლა ის დაუდგრომელი არსებები სადღაც გაქრნენ.

პირველი სოვდაგარი: იცოდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ. როგორც ჩანს, ჰგონიათ, ჩვენი დიდი ბატონის სახელს ისე შევლახავთ, რომ ადამიანებივით საკუთარი ზურგით ვზიდავთ ტვირთს. დაფუძახებ და აბა ვნახოთ ვინ გაბედავს ურჩობას?! კრუასანის და ფინბარის უძველესი სახლის მცხოვრებნო, ყველანი აქ მოდი, შეწყვიტეთ გორაკების ფეხით ცეკვა. თუ ზღვის ქვაბულებში წევხართ, მიატოვეთ ერთად შექუჩებული, ეული ზვირთები, მიატოვეთ ტალღები, ციმბალებივით რომ ეხლებიან ერთმანეთს. გარსშემოკრებით. დაემათ ჩამოხერტყონ წყალმცენარეთა აწეწილი ღეროები თმიდან. **(სულები თავს თაღების ქვეშ იყრიან)**

მეორე სოვდაგარი: მოდიან, ცოტახანს იყუჩე. **(სულები ცეკვავენ და მღერაინ)**

პირველი სული: (მღერის) მაინც მოვედით, თუმც გული გვტკივა. მოვედით, რადგან შემოგვესმა თქვენი ძახილი.

მეორე სული: მწუხარებამ დამამუნჯა.

პირველი სული: ქეთლინის მწყემსებმა უამრავი ჯამჭურჭელი დაანყვეს გათელილ ნაპირზე, რამეთუ, როცა ცეკვა წყდება, სმა-ჭამა გვინდება. ამიტომაც წუხს ჩვენი გული, თუმცა ძახილის ხმაზე მოვედით, ჩვენმა ჩივილმა აავსო სანაპირო.

მეორე სული: მწუხარებამ დამამუნჯა.

პირველი სოვდაგარი: რაც ტალღებში ძვეს, გულგრილი უნდა იყოს სიკეთისა და ბოროტებისადმი და მაინც მეჩვენება, რომ ამათ ავიწყდებათ თავიანთი წმინდა, მიუდგომელი ზღვა და ქეთლინის მხარეს იჭერენ.

მეორე სოვდაგარი: ჩუ, ჩუ, ფეხები გააჩერეთ. თქვენ ახლა მათვეს საცეკვაო მოედანზე არა ხართ.

სული: ო, შეხედე, რა ვიპოვე, მარგალიტის მძივი!

(ტომრიდან სამკაულთა ამოღება იწყება)

მეორე სოვდაგარი: ხელი არ უნდა ახლოთ, ჩააბრუნეთ ტომარაში. ახლა კი ტომრები ზურგზე მოიკიდეთ და შემუსრეას ტყის განაპირა სახლში წაილეთ.

სულები: არა, არა, არა, არა!

პირველი სული: არა, არა, გაგვიშვით! ამ წუთიდან ვინც უნდა დაგვიძახოს, არ მივალთ.

მეორე სული: მწუხარებამ დამამუნჯა. **(გადაიან)**

მეორე სოვდაგარი: წავიდნენ; მე არაფრად მაგდებენ და რომც დაფუძახო, უბრალოდ შემობრუნდებიან და სიცოცხლე დამაყრიან. მაგრამ შენ ვერ გაგინევენ ურჩობას.

პირველი სოვდაგარი: (წამოდგება) ამათზე აბეზარი მოცეკვავე სულები არ მინახავს.

(სცენიდან ჩამოდის და თაღების პირისპირ დგება. ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ბრძანებას იძლევა. სულები ზღუქუნ-ზღუქუნით ბრუნდებიან, იღებენ ტომრებს და გადაიან. ტომრების აღებისას სამნი ლაპარაკობენ)

პირველი სული: დღეიდან აღარასდროს ვიცეკვებთ.

მეორე სული: აღარასდროს.

მესამე სული: მწუხარებამ დამამუნჯა.

მეორე სოვდაგარი: (უყურებს სამლოცველოს კარს) გრაფინიას არაფერი გაუგია. ჩაეძინა. ჩვენი მბრძანებელი მეტად ნასიამოვნები დარჩება, თუ გრაფინიას გულს მოვიგებთ. ახლა, როცა ქარი ჩვენნიართა სასიკეთოდ უბერავს, ხომ არ ჯობია მოვეკლათ და მისი სული გადავიბიროთ, ვიდრე ანგელოზები შემფოთებულან?

პირველი სოვდაგარი: თუ ჩემი მბრძანებლისთვის ამ ფირუს მოვიპოვებთ, მაშინ გრაფინია ძალას დაკარგავს და თვითონვე დანებდება. თუმცა მე რაღაც მაქვს ჩაფიქრებული.

მეორე სოვდაგარი: მისი სული ამაღამ ჩვენი იქნება?

პირველი სოვდაგარი: რაღაც ჩავიფიქრე. მე ხომ ჯოჯოხეთის მეცხრე და ყველაზე ძლიერი წრიდან ვარ, სადაც ყველა მეფეა. *(ისმის ხმები)*

მეორე სოვდაგარი: როგორც ჩანს, დაგაგვიანდა, — სახლში ვილაც დადის. ზღვის არსებებმა, რომლებიც აქ მოვიდნენ, სიმღერებითა და უთავბოლო ყბედობით ხმაური ატეხეს და სახლი გამოაღვიძეს. სკამების განწევისა და ფლატუნის ხმა მესმის. გრაფინიამ ყველა ბერიკაცს და დედაბერს მოუყარა თავი ამ სახლში. ყველა აქეთ მოიჩქარის.

ხმა შიგნიდან: აქ იყო.

მეორე ხმა: არა, უფრო მოშორებით.

კიდევ ერთი ხმა: დასავლეთის კოშკში იყო.

კიდევ სხვა ხმა: ჩქარა მოდი, დასავლეთის კოშკში დაეძებნო.

პირველი სოვდაგარი: ჯერ კიდევ გვაქვს დრო, შორეულ ოთახებს ჩხრეკენ.

მეორე სოვდაგარი: ძმაო, რაღაც ხმა გავიგონე, — ხმა, რომელიც მაშფოთებს. *(მიდის სამლოცველოს კართან და შიგნით იჭყიტება. გრაფინია რხევით ადის საკურთხეველის საფეხურებზე, ძილ-ბურანში ბორძიკით ბუტბუტებს „მამაო ჩვენს“)*

პირველი სოვდაგარი: გამოფიხილდება და ლოცვასაც შეწყვეტს.

მეორე სოვდაგარი: რაა, გინდა გამოაფიხილო?

პირველი სოვდაგარი: დაველაპარაკები და გავიგებ, რას ფიქრობს. ქალბატონო, ისეთი ახალი ამბავი მაქვს, ვერ მოიცდის; უნდა გაგიმხილოთ.

(ქეთლინი იღვიძებს და სამლოცველოს კართან მიდის)

ქეთლინი: ვინ მეძახის?

პირველი სოვდაგარი: ახალი ამბავი მოგიტანეთ.

ქეთლინი: ვინ ხართ ან რას წარმოადგენთ?

პირველი სოვდაგარი: ჩვენ სოვდაგარები ვართ და სამყაროს წიგნი გვაქვს შესწავლილი. რადგან მისი ფურცლები გადაკითხული გვაქვს, ბოლო დროის მოვლენებს ვიცნობთ, ძირითადად თქვენც რომ განუხებთ. შევამჩნიეთ, თქვენი სახლის კარი ღია იყო, შემოვედით, რომ სული მოგვეთქვა.

ქეთლინი: ჩემი კარი ღიაა ყველა მშიერ-მწყურვალისთვის, შიშით შეპყრობილ სასონარკვეთილ ადამიანისთვის, რომელიც შევლას ითხოვს. მაგრამ თქვენ მგონი თქვით, რომ ჩემთვის ახალი ამბავი გაქვთ.

პირველი სოვდაგარი: აღენის ჭაობში ის მძიმედ დავრდომილი კაცი შეგვხვდა, რომელსაც ნახირის ყიდვა შესთავაზებთ. ღამით, ზღვაზე, ფეარ ჰედთან, ვიდრე ფანრები ჩაქრებოდნენ, უმოძრაოდ მდგარი ხორბლით დატვირთული ხომალდები დავინახე.

ქეთლინი: მადლობა უფალს, მარიამსა და ანგელოზებს, რომ განძთსაცავში ფული მაქვს და შემიძლია მარცვლეულის ყიდვა მათგან, რომელთაც მარაგად აქვთ შემონახული, რომ ლატაკებს ამ შიმშილობის დროს კეთილდღეობა მოვუტანო. თუმცა თქვენ შორიდან მოდიხართ და ალბათ იცით საგანთა მინიშნებანი, — როდის გაიფანტება მინდვრების თავზე ეს ყვითელი ნისლი, როდის გაქრება დიდი გვალვა და როდის ამოიყრის ბალახი მწვანე ყლორტებს?

პირველი სოვდაგარი: ცვლილების ნიშანწყალი არ ჩანს, ერთი დღე მეორეს ჰგავს, სიმწვანე გახმა, ნახირიც მკვდარია ან კვდება, ყველგან ნისლია ჩამონოლილი, რომელიც თანდათან სქელდება დაავადებებით და სიცხისაგან ვარვარებს. თქვენ ხართ ამ მინის მთელი იმედი.

ქეთლინი: ყური ხომ არ მოგიკრავთ იმ დემონებზე, სულელებს რომ ყიდულობენ?

პირველი სოვდაგარი: ზოგი ადამიანი ამტკიცებს, მათ მგლის თავები აბიათო. იმასაც ამბობენ, მათი კიდურები, მარადიული ცეცხლით გამოშრალნი, ქარიშხლის სისწრაფეს ფლობენო. სხვები ამბობენ, ისინი უხეშები და პატარები არიანო. ზოგი მოკვდავს ჰგავს, მალელები და მუქკანიანები არიან

ქალბატონო და ჩვენსავით მოგზაურობენ. თუმცა ყველა თანხმდება, რომ მათი ძალა გამოხედვაშია, რომელიც ადამიანს თავს ახრევენებს და მათ სულელებს ბადეში ამწყვდევენ. იმასაც ამბობენ, რომ ყველა ადამიანი ნავა და ივაჭრებს იმ სილატაკის გამომწვევი ნისლის გამო, თუ თქვენ არ მოისყიდით და დაიცავთ მათ თქვენი ოქროთი.

ქეთლინი: დიდება ღმერთს, მარიამსა და ანგელოზებს, რომ სიმდიდრე მაქვს! რატომ უნდა გაყიდონ ადამიანებმა თავიანთი სულები?

პირველი სოვდაგარი: როცა დიდ ჭიშკართან მოვედით, ნიშაში დავინახეთ თქვენი სახლთუხუცესი, რომელსაც ისეთი პატარა სული აქვს, ერთი პენი თუ ღირს და ისინი მაინც ას კრონად ყიდულობენ. მაგრამ მათი ნათქვამი მოვისმინე, რომ შენი სულისთვის ხუთას ათას კრონას და მეტსაც გაიმეტებენ.

ქეთლინი: როგორ შეიძლება სულისთვის დიდძალი კრონას გადახდა? ნუთუ მწვანე სამარე ასეთი საშინელია?

პირველი სოვდაგარი: ზოგი სულს იმიტომ ყიდის, რომ ფული ბრწყინავს, ზოგი იმიტომ, რომ სამარე თავზარს სცემს, ზოგი იმიტომ, რომ მისმა მეზობელმა მასზე ადრე გაყიდა სული, ზოგი იმიტომ, რომ არის რაღაც გასახარელი იმედის დაკარგვაში, სიხარულის დაკარგვაში, წინააღმდეგობის შეწყვეტაში, იმაშიც, რომ ბოლოსდაბოლოს მკლავგაშლილი შეეგებებიან მარადიულ ცეცხლს, აფრებს გაშლიან ქარის წინააღმდეგ და რა ფასი აქვს ოქროს, თუ ხალხს სიხარული არ მიანიჭა.

ქეთლინი: არის რაღაც ისეთი, სოვდაგარო, შენს ხმაში, რაც მაშინებს. როცა საუბრობდი ადამიანის სულის და მასთან ერთად ღმერთის დაკარგვაზე, შენი თვალები ენთუბოდნენ და როცა ამბობდი, თუ ჩემი მწირი ფული როგორ შეენევა ხალხს, მაპატიეთ, სოვდაგარებო, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ორივე ილიმებოდით.

პირველი სოვდაგარი: ადამიანთა ცოდვები ჩვენში მხოლოდ სიცილს იწვევს, იმდენი ქვეყანა და იმდენი ადამიანი გვინახავს. რა უცნაურია, რომ ეს ადამიანები ქალბატონის ფესხაცმლის თასმებს ეჭიდებიან და მათ ქვეშ კი დაუსრულებლად კაშკაშებს ცეცხლის ალი.

ქეთლინი: არის თქვენში რაღაც ისეთი, რაც მაშინებს. რაღაც ისეთი, რაც ჩვენნაირი არ არის. სამყაროს რომელიმე უშორეს კუთხეში ხომ არ დაიბადეთ? *(მეორე სოვდაგარი, რომელიც კართან მდგარი უსმენდა, წინ გამოდის და ხმაური და ფეხის ხმა ესმის)*

მეორე სოვდაგარი: აქაურობას გავშორდეთ — გასასვლელში არიან — იჩქარე, თორემ თუ გვიცნეს, „ავე მარიას“ გალობით გაგვიყინავენ გულს და კანს წმინდა წყლით დაგვიოთუთავენ.

პირველი სოვდაგარი: მშვიდობით, განთიადამდე მრავალი მილი უნდა გავიაროთ. ცხენები მოუთმენლად ათქარუნებენ ფლოქებს მინაზე. *(გადიან. დიდძალი გლეხობა შემოდის მეორე კარიდან)*

პირველი გლეხი: გვაპატიე, ქალბატონო, მაგრამ ხმაური შემოგვესმა.

მეორე გლეხი: ცეცხლის პირას ვისხედით და ამაო ამბებს ვეცებოდით.

პირველი გლეხი: ხმაური გავიგონეთ, მაგრამ ვერავინ ვიპოვეთ, თუმცა მთელი სახლი გადავაქოთეთ.

ქეთლინი: ძალიან გაუბედავები ხართ, თუმცა ახლა უკვე ვერას დაგაკლებთ ავი დრო-ჟამი. ვერცერთი ბოროტი სული ვერ შეძლებს თქვენს აქ პოვნას.

ონა: *(შემოდის ნაჩქარევად)* ღმერთო! ღმერთო! განძთსაცავი გატეხეს. *(გლეხები შემფოთებით ყვირიან)*

ქეთლინი: გაჩუმდით! *(ყვირილი შეწყდება)* არავინ დაგინახავთ?

ონა: ღმერთო! ნეტა ჩემი ქალბატონი მთელ ფულს არ დაკარგავდეს!

ქეთლინი: დაე თქვენს შორის მან, ვინც ძალზე მოხუცი არ არის, გამოიყვანოს ცხენი და ამ მხარის ყველა კუთხე-კუნჭული დაძებნოს. ქურდების მპოვნელს ფერმას ვაჩუქებ.

(როცა გრაფინია ლაპარაკობს, შემოდის კაცი, რომელსაც ქამარზე გასაღებთა ასხმა აქვს ჩამოკიდებული. გაისმის საერთო ჩურჩული: „სახლთუხუცესი, სახლთუხუცესი“)

სახლთუხუცესი: აქ დემონები იყვნენ. ქვის ნიშის შესასვლელში ვიჯექი, როცა ორმა ბუმ ჩამიქროლა. ადამიანის ხმით ჩურჩულებდნენ.

მოხუცი გლეხი: ღმერთი შემოგვწყრა!

ქეთლინი: ბერიკაცო! ბერიკაცო! ღმერთს არასოდეს დაუხურავს ის კარი, რომელიც ადამიანს გაუღო. დათრგუნული ვარ, რადგან ყველაზე სამნუხარო გადანყვეტილება იღვიძებს ჩემს გულში, მაგრამ ჯერ რწმენა არ დამიკარგავს. ამიტომ იყურეთ, რადგან დარწმუნებული ვარ, ღმერთი სამყაროს არ მიატოვებს. ახლა იმის წინაშე დგას, რომ თიხას ფორმა მიანიჭოს და გამოძერწოს მისი ხატის. თიხა საუკუნიდან საუკუნემდე ებრძვის მის თითებს და მთელი ძალით ინარჩუნებს თავის ძველ, მძიმე, მქრალ და უფორმო ბუნებას. თუმცა ამ საქმისთვის ჯერ კიდევ არ შეუშლია ხელი, მაგრამ ზოგჯერ მცდარად მოძრაობს და მაშინ დემონთა ხროვა იბადება. **(გლეხები პირჯვარს იწერენ)** ახლა კი დამტოვეთ, რადგან დათრგუნული ვარ და ჭეჭა-ქუხილის მიღმა რალაც ჩურჩული მესმის. **(გამოდის სამლოცველოს კართან)** ნამით შეჩერდით, შეიძლება ვერც გაგისხნოთ, როცა შეგხვდებით; ოონა, აიღე ეს ორი, — საკუჭნაოს და რძის ფერმის გასაღები. **(მეჭურჭლეუხუცესს)** შენ კი ეს აიღე. ეს იმ პატარა ოთახს აღებს, სადაც სამკურნალო მცენარეები — ხარისძირა, ცოცხანა, ეშმაკის ქოში, მრავალძარღვა და თავშავა — ინახება. ზედა თაროზე კი სამკურნალო ნიღნია.

სახლთუხუცესი: ამას რატომ სჩადი, ქალბატონო. სიზმარში თქვენი კუბო ხომ არ ნახეთ?

ქეთლინი: არა, არა, საქმე ეგ არ არის. სავალალო გადანყვეტილება იღვიძებს ჩემში. გოდების ხმა შემომესმა უთვალავი ქოხიდან. ამიტომ ქვევით უნდა ჩავიდე, თუმცა არ ვიცი სად, — უნდა ვილოცო შიმშილისაგან შეშლილ ადამიანთათვის. თქვენც ილოცეთ, კეთილო მეზობლებო.

(გლეხები იჩოქებენ. გრაფინია ქეთლინი ადის სამლოცველოს საფეხურებზე. ცოტა ხნით შემობრუნდება, უძრავად დგას და მერე ხმამაღლა შესძახებს: „მარიამ, ანგელოზთა დედოფალო, და თქვენ, ღრუბლების ფრთებზე შემომსხდარო წმინდანებო, მშვიდობით!“)

სცენა მეოთხე

სცენა, ტყე სასახლის ახლოს, ისევე, როგორც მეორე სცენაში, ჩაივლიან ტომრებით დატვირთული სულები.

პირველი სული: არცერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ საცეკვაოდ, არცერთ ნაბიჯს.

მეორე სული: უკვე დამთავრდა ცეკვის ათასი წელი?

მესამე სული: ასეთი დიდი მწუხარების შემდეგ როგორ უნდა ვიცეკვოთ?

მეოთხე სული: მაგრამ ეს ხვალ გვემახსოვრება?

მეხუთე სული: უნდა ყველაფერ იმაზე ვიფიქროთ, რაც დაგვაგინყდება.

მექექსე სული: ამიტომ ვოხრავთ და ქუთუთოებიც ამიტომ გვაქვს სველი. **(სულები გადიან. ჩაივლის გლეხების ჯგუფი)**

პირველი გლეხი: ვერცხლი და სპილენძი მინახავს, მაგრამ ოქრო არა.

მეორე გლეხი: ოქრო ყვითელია და ბრწყინავს.

პირველი გლეხი: ლამაზია. ეს კი გამიგია, რომ მზისქვეშეთში ყველაზე ლამაზია.

მესამე გლეხი: საკმაოდ ბევრი ოქრო მინახავს.

მეოთხე გლეხი: ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ლამაზია.

პირველი გლეხი: მაგრამ განა ოქრო მზესავით არ ბრწყინავს? აი, რას მეუბნებოდა მამაჩემი, როცა პატარა ბიჭი ვიყავი, უკეთესი დღეები რომ ახსოვდა — ისევე, როგორც მზე მალლა-მალლა ბრწყინავს, მრგვალი და ბრწყინვალე, ოქროც ასევე.

მეორე გლეხი: დედამინაზე არაფერია ისეთი, ოქროთი რომ ვერ იყიდო.

პირველი გლეხი: მათ ოქროთი პირთამდე სავსე უამრავი ტომრები აქვთ. **(გლეხები გადიან. უკან უჩუმრად მისდევთ ორი სოვდაგარი)**

სცენა მხუთე

სცენა — შემუს რუას სახლი. ფარდებს უკან ნიშია. იქ სანოლი დგას და სანოლზე მერის ცხედარი ასვენია. ირგვლივ სანოლები ანთია. ორი სოვდაგარი საუბრობს, დიდ წიგნს დებენ მაგიდაზე, ფულს აწყობენ და ა.შ.

პირველი სოვდაგარი: ხვალ რომ უამრავი სულით დავიხუნძლებით, იმ ტყუილს უნდა ვუმაძღლოდეთ, მე რომ ვთქვი მის ხომალდებზე და სწეულ მენახირებზე. ჩვენს ირგვლივ უამრავი სული მოიყრის თავს.

მეორე სოვდაგარი: ახლა მის სკივრებში თავგები თუ დაფხაკუნებენ.

პირველი სოვდაგარი: როცა ღამე ჩამოდგა და მე ადამიანისთავიანი ბუს სახე მივიღე, დენგელის კლდეებისკენ გავეშურე და დავინახე, რომ ხომალდებს, რომელთაც ამ ქალისთვის მარცვლეული და სანოვაგე მიჰქონდათ, როგორ გაეშალათ ქარში აფრები და როგორ მიექანებოდნენ ათასფრად აფერადებულ ზღვაში. მათ მხოლოდ სამი დღე აშორებთ ჩვენგან.

მეორე სოვდაგარი: როცა დილის ნამი დაეფინა, ბუმბულივით გაფრინდი აღმოსავლეთისკენ და დავინახე ცხრაასი ხარი, მითის მხარეს რომ მიერეკებოდნენ რკინის წვეტიანი ჯოხებით. ჩვენგან მხოლოდ სამი დღე აშორებთ.

პირველი სოვდაგარი: ვაჭრობამდე სამი დღე დარჩა. **(გლეხები თავს იყრიან ტიგსა და შემუსთან)**

შემუსი: შემოდით, შემოდით, მოგესალმებით. ეს ჩემი ცოლია. ის ჩემს დიდებულ ბატონებს დასცინოდა და მათთან ვარიგება არ მოისურვა. ახლა კი აქ ასვენია. არც კი იცის რა უგუნური იყო, რამხელა უგუნური.

ტიგი: ჩვენი ბატონის ფულით ნაყიდი პურის ერთი ნამცეცვიც არ შეჭამა. ჭინჭრით, მჟაუნითა და ბაბუანგერით არსებობდა.

შემუსი: ვერავინ შეაშვებინა თავში, რომ სიკვდილი ყველაზე უარესია, რაც კი შეიძლება დაგვემართოს. ეს ხომ ასე მარტივად შედრის, მას კი ენა გაუხუმდა იმ ტყუილებისაგან, რომელსაც ეკლესიაში უსმენდა. ჩამოაფარე ფარდა.

(ტიგი ფარდას ჩამოაფარებს)

ვიდრე ამ კეთილ ჯენტლმენებს თქვენი ხსნა სურთ, ბრიყვებით ნუ მოიქცევით.

მეორე სოვდაგარი: მას შემდეგ, რაც გვალვა დაიწყო, ისინი ბრბობად დაბორიანდნენ აქეთ-იქით, როგორც ბობოქარი ქარისგან მოწყვეტილი ფოთლები. მოდი მოვრიგდეთ, მოდი მოვრიგდეთ.

პირველი სოვდაგარი: აბა, ვინ გაგვირიგდება?

შემუსი: ოთხი-ხუთი კაცის გარდა, რომლებიც უჭმელობის გამო გუნება-განწყობაზე არ არიან, ყველა. აი, სერ, ერთ-ერთი. თავის დროზე, სხვებიც მოიკრებენ სიმხნევებს.

შუახნის კაცი: მოვედი, რომ გაგვირიგდეთ. პატიოსნად უნდა გადამიხადოთ.

პირველი სოვდაგარი: **(დიდ წიგნში კითხულობს)** ჯონ მეიერი, შეძლებული კაცი, ჭკუით არ გამოირჩევა, აუღელვებელი, გულმხბალი. ანგელოზები მის გადარჩენას ფიქრობენ. ორასი კრონა, მხოლოდ სულის სანაცვლოდ, — ერთი პატარა ქარის ამოსუნთქვისათვის.

შუახნის კაცი: მე სამას კრონას ვითხოვ. თქვენ ხომ წაითხებთ, რომ გზიდან ვერ გადამაქცევთ და ვერ გადმომიბიძგებთ.

პირველი სოვდაგარი: აქ უფრო მეტიც წერია, — ხშირად ღამით იმის შიშით იღვიძებს, რომ ლატაკდება და არის თუ არა ვინმე ისეთი კაცი, რომლის გადარცვაც უსაფრთხოდ შეუძლია.

გლეხი: ამას ვინ იფიქრებდა? ერთხელ, შუალამეს მასთან მარტოდაც ვყოფილვარ.

მეორე გლეხი: ამის შემდეგ საკუთარ დედასაც არ ვენდობი.
პირველი სოვდაგარი: შენთვის ხელსაყრელი შემთხვევაა, — ორასი კრონა.

გლეხი: მაგ თაღლითისთვის ეგეც ბევრია.
მეორე გლეხი: მე არაფერსაც არ მივცემდი.

შემუსი: მეტს ვერ მიიღებ. ასე რომ, დასჯერდი, რასაც გაძლევენ. *(საერთო ბუტბუტი, რომლის დროსაც შუახნის კაცი ფულს იღებს, სცენის უკან მხარეს გაძვრება და სკამზე დაეშება).*

პირველი სოვდაგარი: ნუთუ ამაზე უფრო ღირებული სული არავის აქვს? თუ არ გინდათ, რომ შიმშილით და სიცივიტით დაიტანჯოთ, გაგვირიგდით.

ქალი: ჩემს სულში რას მომცემთ?
პირველი სოვდაგარი: *(ნიგნში კითხულობს)* „მშვიდი, ღამაზი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა“, — ვფიქრობ, ეს ბევრი არაფერია. „ცხადია, კაცმა, რომელზეც ის დაქორწინებულა, არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა არის დამალული ქილაში საათის შუშასა და საპილპილეს შორის“.

ქალი: რა სკანდალური ნიგნი ყოფილა.
პირველი სოვდაგარი: „არც ის იცის, ცხენების ბაზრობაზე როდის წავიდა; ხელი, რომელმაც ეს დაწერა, თუკი არ იმალება, სამჯერ დააკაკუნებს ფანჯრის მინაზე“.

ქალი: და თუ მანდ წერილია, მაშინ ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ, სხვებზე ნაკლები რატომ უნდა მივიღო.

პირველი სოვდაგარი: თითქმის გადარჩენილი ხარ, ორმოცდაათ კრონას მიიღებ. *(ქალი ნასასვლელად შებრუნდება)* მაშინ ასი.

შემუსი: ქალო, გონს მოეგე, მოდი, განა ახლა ვაჭრობის დროა? *(ქალი იღებს ფულს და ბრბოს შეერევა)*

პირველი სოვდაგარი: მოდი მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ. ასეთ სულს მხოლოდ გულმონყალების გამო ვყიდულობთ. ვიდრე ჩვენ მოვიდოდით, ჩვენს ბატონს უკვე სურდა იმათი სულები, რომელთაც ათასი ცოდვა მაინც ჩაიდინეს. *(შემოდის ალილი)*

ალილი: ნაილე ჩემი სული, რადგან ძალიან დამალა; თქვენგან კი არაფერი მიხდა.

შემუსი: არაფერს არ ითხოვ?! მამ როგორ უნდა გაყიდო შენი სული? ისე აქვს გონება არეული, მისი მოსმენა არც ღირს. ისე შემალა გრაფინია ქეთლინის სიყვარულმა, არც კი ესმის, რას ამბობს.

ალილი: იმ გასაჭირმა, რომელიც გრაფინია ქეთლინის დაატყდა, იმ მწუხარებამ, რომელიც მის უმწეო სახეზე ალბეჭდილი, გონება ამირია. მაგრამ ვიცი, რომ ჩემს სულს თქვენ გაზარებთ.

პირველი სოვდაგარი: შენს სულს ვერ მივიღებთ, რადგან ის გრაფინია ქეთლინის ეკუთვნის.

ალილი: არა, უნდა მიიღოთ, დამალა იმის შეგრძნებამ, რომ ჩემი სული მას ვერაფერს შველის.

პირველი სოვდაგარი: ჩემგან შორს დაიჭირე თავი. მე შენს სულს ვერ შევხვები.

ალილი: ნუთუ ასეთი უძლურები ხართ? ნუთუ მთელი ჩემი დღეები ჩემს სულთან უნდა გავატარო? გინდათ, რომ ყველამ შეგიძულეთ და აბუჩად აგიგდონ!

პირველი სოვდაგარი: გაათრიეთ! ძალიან შემანუსხა. *(ტივს და შემუსს გაჰყავთ ალილი და ბრბოში შეაგდებენ)*

მეორე სოვდაგარი: ძმაო, მისმა მზერამ გამსჭვალა და ძრწოლვითა და შიშით ამავსო.

პირველი სოვდაგარი: გადმოიხარე და იმ დიადემას ეამბორე, რომელსაც აქ გამოგ ზანისას ჩემი ბატონის ტუჩები შეეხო და მაშინ ისევ დაგიბრუნდება სიმშვიდე. *(მეორე სოვდაგარი ეამბორება ოქროს დიადემას, რომელიც პირველ სოვდაგარს ადგას თავზე)* მეც დავილაღე, მაგრამ გული მკარნახობს, რომ რასაც ჩვენ ვეძიებთ, იმის უმეტესი ნაწილი უკვე ახლოსაა და ჩვენი გარჯა მალე დასრულდება. მოდი მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ. ყველანი დამუნჯდით? ვითომ რა, ასე უნდა მაყურყურტო ჩემი უძველესი სახელიდან და მარადიული ღრეობიდან ასე შორს მოწყვეტილი?!

მეორე სოვდაგარი: მოვრიგდეთ, მოვრიგდეთ!
შემუსი: არ მოეწონათ, რომ იმ ქალის საფასური ასე დასწიეთ. ასე ამბობენ.

პირველი სოვდაგარი: ზედმეტიც კი მივეცი იმ ბებერს, უსახურ ქალს — ათასი კრონა. *(ერთი დედაბერი წინ გამოდის. სოვდაგარი იღებს ნიგნს და კითხულობს)* აქ მის წინააღმდეგ ისეთი არაფერი წერია. „გაჭირვების ჟამს კვერცხები და ქათმები მოუპარავს, მაგრამ როცა უკეთესი დრო დადგა, ყველაფერი უღიარებია. გამუდმებით ესწრება საკვირაო ლოცვას და როცა შეეძლო, გადასახადსაც იხდიდა“. აილე შენი ფული.

დედაბერი: ღმერთმა დაგლოცოთ, სერ. *(ქალი შეჰკივლებს)* ო, სერ, სხეულში ტკივილმა დამიარა.

პირველი სოვდაგარი: რაც შენ ახსენე, ეგ სახელი დემონური სულებისათვის ცეცხლივითაა. *(როცა დედაბერი წინ გამოდის, გლეხები აჩურჩულდებიან და უკან იხევენ)*

გლეხი: ნახე როგორ დაიკვილა!
მეორე გლეხი: შესაძლოა ჩვენც დავიკვილოთ.

მესამე გლეხი: აი, რას გეტყვით, ჯოჯოხეთის მსგავსი ადგილი არსად არის!

პირველი სოვდაგარი: ნუთუ ასეთი უმნიშვნელო რამის გამო თქვენს სარგებელს ზურგს შეაქცევთ? მოდი მოვრიგდეთ, მოდი მოვრიგდეთ.

შუახნის კაცი: ბატონო, მე შეშინია.

პირველი სოვდაგარი: მე უკვე ვიყიდე შენი სული, ასე რომ, შიშს აზრი აღარა აქვს — სული უკვე გაყიდული გაქვს.

შუახნის ქალი: დამიბრუნე ჩემი სული.
ქალი: *(მუხლებზე ეცემა და სოვდაგარს ებლაუჭება)* ფული უკან ნაილე და ჩემი სული დამიბრუნე.

მეორე სული: თქვე უჯიშობო, ან დალიეთ ან ღრეობას მიჰყავით ხელი. ოხვრა და გოდება სულის საქმეა, თქვენ კი სული აღარა გაქვთ. *(ქალს იცილებს)*

გლეხი: ნამო ნავიდეთ.
მეორე გლეხი: ჰო, ნავიდეთ.

მესამე გლეხი: ნამოდით ჩქარა. იმ ქალს რომ არ ეკივლა, ჩემს სულსაც ნავინწყმდდი.

მეოთხე გლეხი: ნამოდით, ნამოდით. *(კარისკენ შებრუნდებიან, მაგრამ ყვირილზე: „გრაფინია ქეთლინი, გრაფინია ქეთლინი!“ — შეჩერდებიან)*

ქეთლინი: *(შემოდის)* ვხედავ, ისევ ვაჭრობთ?

პირველი სოვდაგარი: შენ გვაკლდი. აქ რამ მოგიყვანა საფირონისთვალეებთან ნმინდანო?

ქეთლინი: მოვედი, რომ ძალიან ძვირად მოგიყიდოთ ჩემი სული.

მეორე სოვდაგარი: ეგ ძნელი არ იქნება, თუ ის დიდი საფასურის ღირსია.

ქეთლინი: ხალხი შიმშილით იხოცება, ამიტომ მოდიან თქვენთან. მათი გოდება დღითა და ღამით ჩამესმის ყურში. ეს ხალხი მიხდა, რომ დავაპურო, ვიდრე სიღუბსა და გლეხის ამისთვის ხუთასი ათასი კრონა მჭირდება.

პირველი სოვდაგარი: ალბათ შენი სული ამაღ ღირს.

ქეთლინი: უფრო მეტიც: ის სულები უნდა გაათავისუფლოთ, რომლებიც უკვე იყიდეთ.

პირველი სოვდაგარი: ჩვენ მხოლოდ ერთადერთი სული ვიცი, რომელიც ამაღ ღირს.

ქეთლინი: რადგან ის ჩემი სულია, ის ჩემთვის ფასდაუდებლად მიმაჩნია.

მეორე სოვდაგარი: შენ გვთავაზობ...

ქეთლინი: ჩემს საკუთარ სულს გთავაზობთ.

გლენი: არა, არა, ჩვენი სულები ღმერთისთვის ისეთი ძვირფასი არ არის, როგორც შენი. ო! უშენოდ როგორ გაძლებს ზეცა, ქალბატონო!

მეორე გლენი: შეხედეთ, როგორ ებლაუჭებიან მათი კლანჭები ტყავის ხელთათმანებს.

პირველი სოვდაგარი: ხუთასი ათასი კრონა; ვიძლევი ამ ფასს. ოქრო აქ არის. სულებმა, ვიდრე თქვენ ლაპარაკობდით, უკვე გაითავისუფლეს თავი ჩვენი ხუნდებისგან, იმიტომ, რომ თქვენმა სახემ მათ ნათელი მოაფინა და გული აღუვსო. მაგრამ ხელმოწერით უნდა დაამოწმოთ, რომ თქვენს სულს ვყიდულობთ. როცა თქვენნიარის სულს ვყიდულობთ, ყველა ფორმალობა უნდა დავიცვათ.

მეორე სოვდაგარი: აი, ამ ფრთით მოაწერეთ. ეს ბუმბული იმ მამალს ეკუთვნოდა, რომელმაც მაშინ დაიყვილა, როცა პეტრემ თავისი უფლის უარყოფა გაბედა და ყველა, ვინც ამ ფრთას გამოიყენებს, ჯოჯოხეთში დიდ პატივში იქნება.

(ქეთლინი წინ გადაიხრება, რომ ხელი მოაწეროს)

ალილი: *(მივარდება და ხელიდან გამოსტაცებს ეტრატს)* ყველაფერი ამ სამყაროს შემქმნელს მიანდე.

ქეთლინი: ვერაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ გოდების ხმა მესმის, გოდების ხმა.

ალილი: *(ეტრატს ძირს მოისვრის)* მწვანე ღობის ძირას ხილვა მქონდა. ასკილის და კუნელის ღობესთან, ჯერ კიდევ გაიგონებთ თუ მთავარანგელოზები როგორ აგორავენ მთის მწვერვლებზე სატანის ცარიელ თავისქალას.

პირველი სოვდაგარი: მოაცილეთ ეს კაცი. *(ტეიგი და შემუსი ისე უხეშად გაათრევენ ალილს, რომ ის იატაკზე ეცემა გლეხებს შორის. ქეთლინი იღებს ეტრატს, ხელს აწერს და მეორე გლეხებს მიუბრუნდება)*

ქეთლინი: აიღეთ ფული და გამომყევით. როცა შორს ვიქნებით ამ ბინძური ადგილიდან, ყველას საკმაო ფულს დაგირიგებთ. *(როცა გადის, გლეხები გარს ეხვევიან და კაბის კალთას უკოცნიან. ალილი და ორი სოვდაგარი მარტო რჩებიან)*

მეორე სოვდაგარი: უნდა წავიდე და მისი კოშკის თავზე ორი რუხი ბუსავით შემომჯდარი მის სიკვდილს დაველოდოთ. რამდენი წელიც არის საჭირო, იმდენს უნდა ველოდოთ, უნდა დავუდარაჯდეთ ჩვენს წმინდა სამკაულს. უნდა დავიცვალოთ მისი სულის დასაუფლებლად.

პირველი სოვდაგარი: უბრალოდ, მის თავს ზემოთ უნდა ვიფარფატოთ, რადგან მხოლოდ ნუთები თუ დარჩა. გული მაშინ გაუტყდა, როცა ეტრატს ხელი მოაწერა. ჩუ, ჩუ, მომესმის, როგორ ქანაობს თავის ანჯამებზე ჯოჯოხეთის ბრინჯაოს კარი და ჩვენს გასამხნეებლად აქეთ მოტივტივებს მარადიული ფიქრი.

მეორე სოვდაგარი: ბუმბულით შემოსილო, ახტი ჰაერში და შენს ბრჭყალებში მოქცეულ სულს შეეგებე. *(გარეთ გაცვივებიან. ალილი მიფოფხდება ოთახის შუაგულისკენ, როცა სცენა გრძელდება, თანდათან ჩამოწვება ბინდი და უფროდაუფრო ბნელდება. შორიდან ისმის ჭექა-ქუხილის და ამოვარდნილი ქარიშხლის ხმა).*

ალილი: ფართოდ გაღებულა ბრინჯაოს კარი და ბალორი მოდის თავისი მძიმე ეტლით, დემონებმა ძველი ქვადაქცეული ღმერთების თვალებს მოარიდეს წლებით დამძიმებული ქუთუთოები; მოდის მოლალატე ბარახი, ავხორცი ჯიშის მოდგმის კაილიტინი, რომელმაც დრუიდის ძალით სუალტემის და ბებერი დექტერას შვილს ღონე გამოაცალა და გაანადგურა. ხოლო დიდმა მეფე ჰელმა პირველად სძლია და მოკლა ნაიზი და დეირდრეს გაუტეხა გული; თვითეულს თავი ცალმხარეს გადაუხრია, რადგანაც ვიდრე ცოცხლები იყვნენ, სასტიკი სიჯიუტით, შეპარვით და ცბიერად ებრძოდნენ სილამაზესა და მშვიდობას. *(ალილი ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ჰაერი*

სულებით იყოს სავსე. შემოდის ოონა) ჩაიცუცქე ბებერო ყანჩავ, მოერიდე ბრმა ქარიშხალს.

ოონა: სად არის გრაფინია ქეთლინი? მთელი დღე თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და როცა მისი ხელი წამით ჩემს ხელს შეეხო, ერთიანად ცახცახებდა. არც კი ვიცი, სად წავიდა.

ალილი: ახლა ქეთლინმა სხვა მეგობრები გაიჩინა და ისინი იმ სამყაროში ამაღლდნენ, სადაც მხოლოდ სიცარიელეა. დემონები წავიდნენ, ბებერო ყანჩავ.

ოონა: ღმერთმა დაიფაროს მისი სული.

ალილი: საათიც კი არ გასულა, რაც თავისი სული გაყიდა. თითქოს ჩვენ ორნი არც ვარსებობთ ამ სამყაროში. ახლა ისინი იმ ფუყე სამყაროსკენ მიდიან. *(ის ძირს მიუთითებს)*

პირველი მიდის თვით ლამაზი და ფერმკრთალი

სახის ორჩილი,

დაჩრდილულ ტანით რომ ტივტივებს დილის ნისლივით.

ისიც, ვინც აღძრავს სურვილებს და თავისი გული

აქვს სისხლით სავსე, როცა სხვები მიიცვლებიან;

მის ირგვლივ უხვად გროვებიან ნისლით მოცული

ქაღნი, ეშმაკებს რომ ხიბლავენ ჩუმი სიცილით,

ირგვლივ ცოდვილთა ცხელი სისხლის გუბე გროვდება;

მერე პატარა მოვარდისფრო-მოთეთრო ფრჩხილინი

გაიზრდებიან, რომ გადიქნენ დიდ, ბასრ ბრჭყალებად.

(ხელს სტაცებს ოონას, ოთახის შუაგულისკენ მიათრევს და მძლავრი მოძრაობით ძირს მიუთითებს. ქარი გუგუნებს. ახლა ისინი მღერას იწყებენ და რაღაც ჰანგებს გამოსცემენ მათი ენები).

ოონა: *(პირველ დაემხობა)* ო, ყოვლის შემოქმედო, დაიცავი ის დემონებისაგან და თუკი მისი სული უნდა წაწყდეს, ჩემი წაიდე. *(ალილი იჩოქებს მის გვერდზე, მაგრამ თითქოს მისი სიტყვები არც ესმის. გლეხები ბრუნდებიან. შემოჰყავთ გრაფინია ქეთლინი და ძირს აწვევენ ოონასა და ალილის წინ. გრაფინია მკვდარივით წევს).*

ოონა: ო, დაე აღზევდნენ უხეში თიხის სურები და ფაიფური ორად გაიპოს! *(ქეთლინს ეამბორობა ხელზე)*

გლენი: ჩვენ იმ ხისქვეშ ვიყავით, სადაც ბილიკი უხვევს, როცა სახეზე მკვდრის ფერი დაედო და გული წაუვიდა. და ვიდრე აქეთ მოგვყავდა, ღრუბლებიდან ძლიერმა ქარმა დაბერა და სამყარო ჩააბნელა, დაგვაბარბაცა და ფეხებთან დიდი ელვა დაეცა. არცერთ ძეხორციელს არ უნახავს ისეთი შვი, მძაფრი და დამაბრმავებელი ქარიშხალი. *(კართან ახლოს მდგარი ურდულს გასწევს)*

ქეთლინი: ო, დამიჭირეთ, მაგრად დამიჭირეთ, რადგან ქარიშხალი მიტაცებს. *(ოონა ქეთლინს მკლავებში მოიმწყვდევს. რომელიღაც ქალი მოთქმას იწყებს)*

გლენი: ჩუ!

სხვა გლეხებიც: ჩუ!

გლენი ქალი: ჩუ!

მეორე გლენი ქალი: ჩუ!

ქეთლინი: *(ნახევრად წამოინწევს)* ფულის ტომრებს თავი ერთად მოუყარეთ და როცა წავალ, მოხუცო ოონა, ყოველ კაცსა და ქალს დაურიგეთ ფული. თვითონვე განსაჯე და მათი საჭიროების მიხედვით გაუნაწილე.

გლენი ქალი: იმდენ ფულს კი მომცემს, რომ შვილები ამ სიღუჭირის დასრულებამდე შევინახო?

მეორე გლენი ქალი: ო, ზეციური დედოფალო და თქვენ, ყველა კურთხეული წმინდანებო, დაე ჩვენ და ჩვენიანებიც დავიღუპოთ, ოლონდ მას მიეტევოს ცოდვები.

ქეთლინი: მომიახლოვეთ სახეები, ოონა და ალილი; მე ისე გიმზერთ, როგორც მერცხალი უმზერს თავის ბუდეს ქონგურის ქვეშ, ვიდრე აღელვებულ წყალს შეერევა. დიდხანს ნუ მიგლოვთ, რადგან გინდაც ერთი სანთელი ჩამოვარდეს, მაინც ბევრი სანთელი დარჩება მაღალ საკურთხეველზე. ვემშვიდობები ალილს, რომელიც ტყის მოცვეკვავებზე მღეროდა, რომელთაც ამქვეყნიური ტვირთისა არაფერი გაეგებოდათ და მათ კეთილ სულებს მხოლოდ სუნთქვა ამოძრავებდა.

გემშვიდობები, ოონა, შენ, რომელიც მეთამაშობდი და როცა ჯერ სულ ბავშვი ვიყავი, ხელში ატატებულს მატარებდი მთელ სახლში, ამიტომაც მოცეკვავეთა მსგავსად მეც ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ქარიშხალმა თმა გამიშალა და უნდა წავიდე. (კვდება)

ოონა: სარკე მომიტანეთ. (ქალს შემოაქვს სარკე შიდა ოთახიდან. ოონას სარკე მიაქვს ქეთლინის ბავესთან. ნამით ყველა ყურდება და მერე ოონა წამოიკვლებს)

ო, მკვდარია!

გლეხი: ის სამყაროს დიადი თეთრი შროშანი იყო.

მეორე გლეხი: ფერმკრთალ ვარსკვლავებზე უფრო ლამაზი იყო.

მოხუცი გლეხი ქალი: ჩემი საყვარელი პატარა ნერგი შუაზეა გადატეხილი. (ალბილი სარკეს ართმევს ოონას და მიწაზე აწარტყმის. სარკე წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად იქცევა)

ალბილი: მე შენ ნამსხვრევებად გაქცევ, რადგან სახე, რომელიც შენ თავისი სილამაზით გავსებდა, აღარ არსებობს: მოკვდი უსიხარულო გულს, რადგან ის, ვისი მწუხარე სიტყვებიც სულიერ არსებად გაქცევადა, გარდაიცვალა და მხოლოდ მტვრის მგრძნობიარე ნამცეცხად დაგტოვა; და შენ, ამაყო მიწაზე და ფრინველთა ფრთებით დაფარული ზღვაო, გაქრით! ველარ გაიგებთ მის გაუბედავი ნაბიჯების ხმას, რადგან მარტონი დარჩით ანგელოზების ხმაურიან ბრძოლაში დემონებთან. (ნამოდგება, თითქმის ყველა დაჩოქილია, მაგრამ ისეთი სიბნელე ჩამონვება, რომ მხოლოდ ადამიანთა არეული სილუეტები მოჩანს) და მე ვტირი და თან გწყევლით თქვენ: ჟამო, ბედისწერაზე და ცვლილებებზე, აღარა მაქვს ნათელი იმედი, მხოლოდ იმ დიად საათს მოველი, როცა თავდაყირა დაინთქმებით უძირო სივრცეში. (გაიღებებს და ჭექა-ქუხილი მოჰყვება)

გლეხი ქალი: დააჩოქეთ, ვიდრე წყევლა ჩვენც დაგვატყვის თავზე ჭექა-ქუხილს და ელვას.

ალბილი: ანგელოზები და ეშმაკები შუა ჰაერში ებრძვიან ერთმანეთს და ბრინჯაოს მახვილები ეჯახებიან ბრინჯაოს მუზარადებს. (კვლავ გაიღებებს და ჭექა-ქუხილი მოსდევს) იონდერი — კამკაშა შუბი, მოსწყდა შურადლებს, ბალორს თვალში გაუარა და მოხუც მოუტურასგან გაქცეული ბნელი ხროვები კივილით მიქრიან. (ყველაფერი ბნელში ინთქმება)

ბერიკაცი: ყოვლადძლიერმა მრისხანებამ წარბოცა დედამინა ჩვენი დიდი სისუსტისა და ცოდვის გამო და ჩვენც უნდა დავიხოცოთ. (სიბნელეს თითქოს სინათლე აპობს. გლეხები მოჩანან მთის კლდოვან ფერდობზე დაჩოქილი. ბურუსიანი ქარიშხალი და მუდმივად ცვალებადი შუქი ტრიალებს მათ თავზე და მათ ზურგს უკან. ნახევრად შუქსა და ნახევრად ჩრდილში დგანან აბჯარასხმული ანგელოზები. მათი იარაღი ძველია და გაცვეთილი. ამონვდილი მახვილები დაბინდულია და დარტყმის ნაჭდეუები აჩნევიათ. თითქოს ჰაერში დგანან საბრძოლველად განლაგებულნი და მკაცრი სახეებით ქვევით იყურებიან. გლეხები ემხოზიან მიწაზე).

ალბილი: ნუღარ უყურებთ ჯოჯოხეთის ნახევრად დახურულ კარიბჭეს. მე მომმართეთ, ღმერთისაგან გონწართმეულს, რომელსაც მოკვდავებთან აღარაფერი აკავშირებს და მასზე მიაბნეთ, ვინც აქ ასვენია. (ერთ-ერთ ანგელოზს შეიპყრობს) ვიდრე არ დამელაპარაკები, უკვდავებას ვერ ეზიარები.

ანგელოზი: შუქი ძირს ეცემა; მარგალიტის კარიბჭე ფართოდაა გაღებული, გრაფინია სიმშვიდეში გადადის; შვიდგზის დაჭრილი გულის მარიამი ეამბორა მის ბაგეთ და გრძელი, კურთხეული თმა სახეზე დაეფინა; შუქთა შუქი ყოველთვის ეფინება გულის წაღილს და არა საქმეს, საქმეს მხოლოდ ჩრდილთა ჩრდილი ეფინება. (ალბილი ათავისუფლებს ანგელოზს და იჩოქებს).

ოონა: უთხარი მათ, რომელნიც მშვიდობის გზაზე ვლენ, რომ მეც მოკვდები და ნავალ მასთან, ვინც ასე მიყვარს. ნღები დიდი შავი ხარებივით თელავენ სამყაროს და მათ ნახირის წარმმართველი ღმერთი მწყემსავს და მე კი მათი ფლოქვებით ვარ გათელილი.

(თითქოს შუქის შუაგულიდან გაისმის შორეული საყვირის ხმა; ხილვა განქარდება და სიბნელეში მკრთალად იკვეთებიან დაჩოქილ გლეხთა სილუეტები).

ინგლისურიდან თარგმნა
მედაა ზაალიშვილა

ნინო ბაქრაძე

მარადიულობის სუნთქვა

(ნატა ვარადას
მისტიკური პოემა)



თემატურად ნატა ვარადას პოეზია უაღრესად მრავალფეროვანია, უზარმაზარია ამპლიტუდა — დაწყებული ოჯახის ქრონიკებიდან მითიურ-მისტიკურით დამთავრებული. მისი თითოეული ლექსი ერთობ „ტევალია“, აზრის სიღრმით დამძიმებული.

ცოტა ხნის წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ დაიბეჭდა ნატა ვარადას პოემა „მერვე დღისა. უადამიანოდ“. პოემაც სტილისტურად აგრძელებს ლექსში დამკვიდრებულ ტრადიციას და ჩნდება მრავალი თემა თუ სახე: მერვე დღის მისტერია, ჰომნოგრაფიის წესებით შექმნილი წმინდა ადრიანესა და ნატალიას ამბავი, მრავალსაუკუნოვანი ჰამელტენს ქრონიკებიდან აღბათ ყველაზე უფრო პირქუში ისტორია, საქართველოს უახლესი წარსულის მიმე მოგონებანი... მაგრამ აქვეა მრავალჭირვარამგამოვლილი, ზოგჯერ სანახავად უბადრუკი და ღირსებაშელახული სამშობლოს დიდი სიყვარული და ტკივილი, ან უკეთ — პროტესტი ჩვენს დღევანდელობაში წამოჭრილი და ჯერ კიდევ ვერ თუ არ გადაჭრილი პრობლემების მიმართ: იქნება ეს კაზრეთის გარშემო ამტყდარი ხმაური, აურზაური ხუდონჰესის თემაზე თუ დიდი პოლიტიკა — საქართველოს სამეზობლოში — ჩრდილოეთკავკასიაში — განვითარებული მოვლენები. პოემა წარმოადგენს ლექსთა წყებას დამოუკიდებელი შინაარსით, მაგრამ შინაგანი დინებებითა და ურთიერთმიმართებით.

ნატა ვარადას შემოქმედება ნათლად მეტყველებს ავტორის დიდი ერუდიციაზე. შესაბამისად, მკითხველიც მომზადებული სჭირდება, რომელმაც უნდა იცოდეს ბიბლია, მითები, ლეგენდები... თუნდაც ქართული კონტექსტის ბნელი, ცივი, მშვიდი და სისხლიანი 90-იანები.

თვალის ერთი გადავლებითაც შეიცნობ, რომ ნატა ვარადას შემოქმედების მასაზროლებელი არის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რელიგია და მითოლოგია, რასაც მარადიულობის სუნთქვა მოაქვს მკითხველამდე და მერე სადღაც უსაზღვროებაში მიაქანებს. გრძნობ საოცარ სიმსუბუქეს, კოსმოსთან თანაზიარობასა და თვალუწვდენელ მასშტაბებს. ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობ, როგორ „ბაცდება გრავიტაცია“.

მუნ ვინაე ჯვარის მოსავი

როგორც ცნობილია, თეიმურაზ პირველის პოემა „წამე-
ბა ქეთევან დედოფლისა“ წარმოადგენს ისეთ მხატვრულ
ქმნილებას, სადაც აღწერილია რეალურად მომხდარი ამბავი
და პოემის პერსონაჟებიც ისტორიული პირნი არიან. პოემის
მთავარი გმირი ქეთევან დედოფალი ხომ ღვიძლი დედაა მე-
ფე-პოეტისა და თეიმურაზი მშვენივრად იცნობს დანარჩენ,
მეორე რიგის პერსონაჟებსაც. ამდენად, ავტორის შემოქმე-
დებითი ფანტაზია მხოლოდ იმაში ვლინდება, რომ იგი, სან-
დო ინფორმაციაზე დაყრდნობით, თვალნათლივ გვიხატავს
მის დაუსწრებლად მომხდარ მოვლენათა მიმდინარეობის
კონკრეტულ ფორმას.

დიდებულმა ქართველმა მკვლევარმა ზურაბ ავალიშ-
ვილმა თავის ნაშრომში „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამე-
ბა ქეთევან დედოფლისა“ ისტორიული ხასიათის კომენტარი
დაურთო აღნიშნულ ნაწარმოებს, დამატებითი შტრიხებით
გააშუქა მასში აღწერილი მოვლენები და პერსონაჟები. ეს
ისტორიული კომენტარი თამამად შეიძლება ჩაითვალოს
სამეცნიერო გამოკვლევის ჩინებულ ნიმუშად, რომელსაც
ამჟვენებს გამოყენებული ქართული თუ უცხოური წყარო-
ების სიმრავლე, მკვლევარის ფართო ერუდიცია, დახვენი-
ლი ანალიზი, მახვილგონიერი მიგნებანი, შესაბამისი გულ-
მოდგინება რომელიმე, თუნდაც პანია საკითხში ჩაღრმავე-
ბისა და, ამასთან ერთად, მასალის გადმოცემის მომხიბლა-
ვი სტილი.

ზ. ავალიშვილი წუთითაც არ კარგავს განსჯის სიფხიზ-
ლეს, დინჯად მიიკვლევს გზას მიზნისაკენ, თავის ადგილზე
არც ზომიერი პათეტიკა ეუცხოება და არც უწყინარი ირო-
ნია. მკვლევარი შორსა დგას ბრალმდებლისა თუ დამცველის
პოზიციიდან. მისი ნაშრომის აღნაგობა და გეზი უფრო დაკ-
ვირვებული გამოძიების გარჯას მოგვაგონებს, თუმცა
ზოგჯერ პირუთენელი მსაჯულიც გამოკრთება ხოლმე.

ზ. ავალიშვილი იზიარებს სხვა ქართველ მეცნიერთა (კ.
კეკელიძე, ალ. ბარამიძე) მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს
თეიმურაზ პირველის ზემოხსენებული პოემის შესახებ და
წერს: „პოემის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტო-
რიაში უდავოა. ეს ალბათ პირველი მაგალითია ცოცხალი ის-
ტორიული თემის, და არა — ჩვეულებრივი ზღაპრულ-ეპი-
კური მასალის პოეტური დამუშავებისა; და ეს თეიმურაზის
უეჭველი და დიდი დამახასიათებელია“.

პოემაში მოხსენიებულ ისტორიულ პერსონაჟთაგან ზო-
გიერთის ვინაობა დაზუსტება-დადგენას მოითხოვს.

პირველად ზ. ავალიშვილმა მიაქცია ყურადღება იმ გა-
რემობას, რომ თეიმურაზის პოემის ერთ-ერთი პერსონაჟი,
სახელდობრ, შირაზის ხანი გახლავთ წარმოშობით ქართვე-
ლი და რჯულით მაჰმადიანი დიდმოხელე შაჰ-აბასისა —
იმაყული-ხან უნდილაძე, რომელსაც კარგად იცნობენ ქარ-
თული თუ უცხოური საისტორიო წყაროები. ზ. ავალიშვილ-
მა შემოიტანა უნდილაძეთა საკითხი თანამედროვე ქართულ
ისტორიოგრაფიაში, რასაც შემდგომი ინტერესის გაცხოვე-
ლება და ინტენსიური კვლევა-ძიება მოჰყვა.

ასევე საგულისხმო აღმოჩნდა თხრობა შირაზში ქეთევან
დედოფლის შვიდწლიანი ტყვეობის შესახებ. ესპანელი ელ-
ჩის გარსია დე სილვა ფიგეროას და იტალიელი მოგზაურის
პიეტრო დელა ვალეს თხზულებებში მიკვლეულმა ცნობებმა
საგრძობლად შეავსეს პოემაში სიტყვაძუნად გადმოცემუ-
ლი ამბავი.

ზ. ავალიშვილი, სწორედ ფიგეროას ცნობათა განხილვი-
ნას, შეეხო თეიმურაზის პოემის 56-ე სტროფში მოხსენიებუ-
ლი პერსონაჟის ვინაობას.

როგორც ირკვევა, ქეთევან დედოფალს 1618 წელს ში-
რაზში მყოფ ესპანელ ელჩთან კონტაქტები დაუმყარებია
თავისი ამალის წევრის, ვინმე მოსე ბერის საშუალებით. ზ.
ავალიშვილი შენიშნავს: „ამ მოსე ბერს, ვგონებ, თეიმურა-
ზის პოემის ერთი ადგილიც ეხება“ — და იმონებს პოემის
56-ე სტროფს: „მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოთა ყო-
ფითა, ვნახე ნახარდი თამამად ყოფითა არ სამყოფითა, ფა-
რაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა, მოსე
ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა“.

თვალი გადავავლოთ იმ ინფორმაციას, მოსე ბერის შესა-
ხებ რომ გვანვდიან ქართული თუ უცხოური წყაროები.

ყველაზე ვრცლად მოგვითხრობს ზემოხსენებული ფიგე-
როა.

ესპანელი ელჩი შირაზში თავდაპირველად იმყოფებოდა
1617 წლის დამლევადან 1618 წლის აპრილამდე. სწორედ ამ
ხანებში შეხვედრია მოსე ბერს. ფიგეროა ქებით მოიხსენი-
ებს თავის ახალ ნაცნობს და აღნიშნავს, რომ იგი თავისი
მარკალებითა და თავდაჭერილობით წარმოადგენდა ჭკუ-
მარიტი ბერის ღირსეულ სახეს. მოსეს უჩვენებია ფიგერო-
ასთვის მშვენივრად აკინძული და ყდამოქოვილი ორი
ქართული წიგნი. ერთი მათგანი შეიცავდა ძველ აღთქმას
(დავითის ფსალმუნითურთ), ხოლო მეორე — სახარებებს,
საქმეს მოციქულთა და წმ. პავლეს ეპისტოლეებს. 1619
წელს ესპანელი ელჩი ხელმეორედ ჩასულა შირაზში და შე-
უტყვია ქართველი ბერის დაღუპვის ამბავი.

ფიგეროას სიტყვით, იმ სახლის მეზობლად, სადაც ქეთე-
ვან დედოფალი და მისი ამალის წევრები ცხოვრობდნენ, ბი-
ნადრობდა შირაზის ხანის მოხელე ჰასანბეგი, წარმოშობით
სპარსელი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ძალზე მდიდარი და
ახალგაზრდა თურქმანი ქალი. ჰასანბეგის ცოლს ახლო ურ-
თერთობა ჰქონია ქართველი დედოფლის ამალის ქალებთან
და თვით ქეთევანთან. ამ ნაცნობობამ ახალგაზრდა თურქმა-
ნი ქალი თურმე მოსე ბერსაც დაუახლოვა. ჰასანბეგი ეჭვიან-
ობას შეუპყრია და ერთ მშვენიერ დღეს, რამდენიმე მეომ-
რის თანხლებით, თავს დასცემია ქართველი ბერის ბინას.
ძალზე ცხელია და მოსე ნახევრადმიშველი ყოფილა. ჰასან-
ბეგს ხმალი უშიშვლია ბერის მოსაკლავად, მაგრამ მოსეს მო-
უხერხებია ხმლის ნაგლეჯა და ფანჯრიდან გადაუსვრია. ამა-
სობაში ჰასანბეგის მხლებლები შემოეხვივნენ და შებოჭესო.
ჰასანბეგმა იფიქრა, რომ მისი ცოლი იმალეობდა ორ სახლს
შუა აღმართულ კედელზე, თავისი მხლებლის იატაკანი
აილო, ძებნას შეუდგა, მიაკვლია კიდეც და მოკლა ქალი. ამის
შემდეგ მოსე ბერი გადაუყვანიათ შირაზის ხანის სასახლის
წინ მდებარე მოედანზე. შეუთავაზებიათ დიდძალი თანხა და
პატიება, თუკი გამაჰმადიანდებოდა. მოსეს მტკიცე უარი გა-
ნუცხადებია. იგი ქვებით ჩაუქოლავთ და მერე ხმლებით
აუკუნავთ. შირაზელ ებრაელებს ესპანელი ელჩისათვის უთ-
ქვამთ, რომ ნამდვილი მიზეზი ბერის დაღუპვისა ის იყო, რომ
ჰასანბეგს სწყუროდა ხელთ ეგდო მთელი ქონება თავისი ცო-
ლისა და საბაბად ეჭვიანობა გამოიყენაო. ამასთან ერთად,
მოსე ბერი ყოფილა მოძღვარი თეიმურაზის ვაჟებისა, რომ-
ლებიც მძევლებად იყვნენ ირანში, ზრდიდა და წვრთნიდა
მათ ქრისტიანულ რჯულზე და, ყიზილბაშთა აზრით, მოსე
ბერის სიკვდილი დააჩქარებდა ახალგაზრდა ქართველი ბა-
ტონიშვილების გამაჰმადიანებას.

გრიგოლ ხუცესმონაზონი თავის თხზულებაში „ცხოვრე-
ბა და წამება ქეთევან დედოფლისა“ ორიოდ სიტყვით, დაუ-
სახელებლად, მოიხსენიებს დედოფლის თანხმებულ ბერს,
რომელიც რაღაც ცილისნამების გამო ცეცხლში დაუნჯავთ.

გადმოცემულ მოვლენათა თანამიმდევრობის მიხედვით, იგი თითქოს უნდა გავაიგივოთ ფიგეროას ნაცნობ მოსე ბერთან.

პიეტრო დელა ვალეც, ასევე დაუსახელებლად, მოგვითხრობს წამებული ქართველი ბერის ამბავს. მისი სიტყვით, მაჰმადიანები ფიქრობდნენ, რომ დედოფალს ქრისტიანულ სარწმუნოებაში ამაგრებდა მისი თანმხლები მღვდელი. ამიტომ დასწამეს რაღაც დიდი დანაშაული და ცეცხლში დაწვეს.

იგივე პიროვნება უნდა იგულისხმებოდეს ანტონ კათალიკოსის „ქეთევან წამებულის“ სვინაქსარულ ტექსტში: „მანცა ქრისტესთვის მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. ხოლო სახელი წმიდისა მის მღვდლისა და ქრისტეს მოწამისა იყო ვასილი“.

შესაძლებელია თუ არა, რომ დასახელებული მოსე ბერი მივიჩნიოთ თეიმურაზის პოემის 56-ე სტროფის პერსონაჟად?

ამგვარი ვარაუდი ეჭვს იწვევს ზოგიერთ გარემოებათა გამო.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ქეთევან დედოფლის წამების გადმოცემისას, რაც მოხდა 1624 წლის სექტემბერში, გახსენება 1618 წელს მომხდარისა აშკარად არღვევს პოემაში აღწერილ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას და ერთგვარად ანელებს თხრობის დინამიზმს. ასეთი გადახვევა ერთობ არაბუნებრივია პოემის სტრუქტურისათვის.

56-ე სტროფი უშუალოდ მოჰყვება ქეთევან დედოფლის სამსტროფიან მონოლოგს და თავად მას მოსდევს ქეთევანის მხლებელთა ქცევა, კერძოდ — გიორგი ხუცესის „შეკრთო-მა-ათრთოლება“. ეს 57-ე სტროფი კი ამგვარად იწყება: „მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა“. სტროფის პირველივე სიტყვა „მაშინ“ თვალნათლივ ადასტურებს 56-ე და 57-ე სტროფებში აღწერილ ამბავთა უშუალო თანამიმდევრობას.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ანტონ კათალიკოსი თავის თხზულებაში ქეთევან დედოფლის წამებაზე იყენებს სხვადასხვა წყაროებს, მაგრამ მისთვის ძირითადია თეიმურაზ პირველის პოემა, რასაც ალაგ-ალაგ ხაზგასმით მიუთითებს კიდევ: „ძე მისი თეიმურაზ პირველი სწერს... იტყვის კვალად თეიმურაზ მეფე“).

ანტონ კათალიკოსი ერთგულად იმეორებს, ზოგჯერ სიტყვა-სიტყვითაც კი მისდევს, თეიმურაზის პოემაში გადმოცემულ ეპიზოდებს: შაჰ-აბასის ბრძანება შირაზის ხანისადმი ქეთევანის წამების თაობაზე, შირაზის ქართველი ხანის წუხილი და ყოყმანი, ქეთევანის ლოცვა და გამზადება წამებისთვის, ჯალათთა მისვლა და ცეცხლის დაგზნება, მხევალთა ატირება, გიორგი ხუცესის „გათათრება“ და ბოლოს — დედოფლის წამების დანწირილებითი აღწერა.

მაგრამ ანტონ კათალიკოსს გამოუტოვებია სწორედ 56-ე სტროფი! საფიქრებელია, რომ იგი არ მიიჩნევდა ამ სტროფში მოხსენიებულ პერსონაჟს წამებულ ქართველ ბერად, თორემ არ გამოტოვებდა აგიოგრაფიული თხზულებისათვის ესოდენ მომგებიან ეპიზოდს და უეჭველად მიუჩნებდა სათანადო ადგილს თავის ნაშრომში.

ამგვარად, 56-ე სტროფის პერსონაჟის გაიგივება ქართველ მოსე ბერთან საფუძვლიან დაეჭვებას იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ წამების წინ დედოფალი თავის მხლებელ-მხევალთ ასე მიმართავს: „თუ არ ეწამოთ, ნუ ნახვალთ, აქ დამემონაწამეთა“. როგორც ჩანს, დედოფალს უჭირს მარტოობა ასეთ განსაცდელში და ნუგეშისმცემელნი ენატრება.

56-ე სტროფის პირველივე სიტყვა „მუნ“ აშკარად მიგვითითებს, რომ მასში აღწერილი პერსონაჟი უშუალო მოწმეა წამებისა, სწორედ იქ იმყოფება — წამების ადგილზე, წამების დროს.

პოეტის თვალწინ წარმოსახა მთელი სურათი, იმდენად ნაცნობი და ახლობელი მონათხრობის მიხედვით, რომ თითქმის ზეპირად იცის ყველაფერი, რაც დედოფლის წამებისას მომხდარა და თქმულა, თითქოსდა თვითონაც უნახავს ეს საზარელი სურათი, თვითონაც მოწმეა წამებისა და სხვებთან ერთად ხედავს მუნ მყოფ „ჯვარის მოსავს“.

ვინ შეიძლება იყოს დედოფლის წამების მოწმე სასულიერო პირი — ბიბლიურ „მოსესავით გამაგრებული“. ასეთად, რა თქმა უნდა, ვერ მივიჩნევთ ხუცეს გიორგის, რომელიც წამების იარაღთა დანახვაზე „შეკრთა, ათრთოლდა“.

მაშ ვინ არის 56-ე სტროფის გმირი?

ქართული წყაროები არაფერს ამბობენ ამის თაობაზე. ეგებ უცხოურმა წყაროებმა მოჰფინონ შუქი აღძრულ საკითხს?

ფრანგი ისტორიკოსის კლოდ მალენგრის ნაშრომში „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (პარიზი, 1635) იმდროინდელ ევროპაში გახმაურებულ ამბებთან ერთად მოთხრობილია ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან (XVII ს.), რომელთა შორისაც ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ქეთევან დედოფლის წამებას (ზ. ავალიშვილის მოსაზრებით, გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია ქეთევან დედოფალზე, ძირითადად, ეყრდნობა სწორედ ზემოხსენებულ მალენგრის ინფორმაციას).

და აი, მალენგრისა და გრიფიუსის ერთობლივი ძალისხმევით ხდება შესაძლებელი — გამოთქმა ვარაუდისა თეიმურაზ პირველის პოემის 56-ე სტროფში მოხსენიებული პერსონაჟის ვინაობის ამოსახსნელად.

კლოდ მალენგრის სიტყვით, როდესაც ქეთევან დედოფლის წამება გადაუწყვეტიათ და მზადებას შესდგომიან, დედოფალს „სწრაფად მოუთხოვია პორტუგალიელ მამათა სავანიდან ერთი მღვდელი გამოეგზავნათ“. მოსულან კათოლიკე პატრები ამბროსი და ანტონი.

გრიფიუსის ტრაგედიის მე-5 მოქმედებაში ჩანს, რომ ქეთევან დედოფლის წამებას მართლაც ესწრება მოძღვარი, სახელად ამბროსი.

ქეთევანის მოახლე ასე ჰყვება წამების წინ მომხდარს: „...და მოძღვარი რანამს მოვიდა, რანამს მიიღო მისი ლოცვა-კურთხევის ნება, განზე გაიხმო, რომ სულისთვის მიეცა შვება მცირე ხნით, რაიც აღსასრულის წუთამდე დარჩა“.

გრიფიუსის ტრაგედიის მოქმედი პირი — მოძღვარი ამბროსი, ამავე სახელით მოხსენიებული მალენგრის მიერ, უნდა იყოს პადრე ამბროზიო, სწორედ ის პორტუგალიელი მისიონერი ავგუსტინელთა ორდენისა, რომელმაც 1628 წელს ქეთევან დედოფლის ნეშტი საქართველოში ჩამოსაყვანა, აქვე განაგრძო მოღვაწეობა, ხოლო 1640 წელს ვატიკანს წარუდგინა თავისი რელაცია ქეთევან დედოფლის შირაზში ტყვეობისა და წამების შესახებ.

იმდენად განუყოფლად არის დაკავშირებული პადრე ამბროზიოს სახელი ქართველ დედოფალთან, რომ შეუძლებელიც კი უნდა გვეჩვენოს მისი მოუხსენებლობა დედოფლის წამების ამსახველ ქართულ პოემაში, მით უფრო, რომ პოემის ავტორი პირადად იცნობდა 1628 წლიდან საქართველოში დამკვიდრებულ პორტუგალიელ მისიონერს. დიახ, შეუძლებელია, რომ ამბროზიოს ღვაწლი და დამსახურება გამორჩენილად თეიმურაზ პირველს, მაშინ როდესაც გერმანელმა მწერალმა, ნაკითხულისა და გაგონილის საფუძველზე, თავის ტრაგედიაში საკადრისად შეამკო პორტუგალიელი მოძღვარი.

ასეთია 56-ე სტროფის პერსონაჟის ვინაობის ამოსახსნელად გამოთქმული ვარაუდი, რომელიც თითქოს არ ჩამოუვარდება ავალიშვილისეულ ვარაუდს. დაე მკითხველმა განსაჯოს ერთისა და მეორის ავტორიანობა.